

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი, საერთაშორისო სამართლის
ინსტიტუტი

ხათუნა ბურკაძე

ძალის გამოყენების სამართლებრივი
ასპექტები საერთაშორისო სამართალში

სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი ირინე ქურდაძე,
სამართლის დოქტორი



თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

2011

სარჩევი

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებების ნუსხა.....	4
შესავალი.....	5
თავი I. ძალის გამოყენების საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები	
§ 1. ძალის გამოყენების ცნება	10
§ 2. ძალის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები გაეროს წესდების მიხედვით	11
§ 3. გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი:	
3.1. უშიშროების საბჭოს უფლებამოსილება	17
3.2. გენერალური ასამბლეის კომპეტენცია	26
3.3. უშიშროების საბჭოსა და გენერალურ ასამბლეას შორის უფლებამოსილების გამიჯვნა	27
3.4. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო (ICJ).....	29
თავი II. თავდაცვის უფლება	
§ 1. თავდაცვის უფლების სამართლებრივი საფუძველი – გაეროს წესდების 51-ე მუხლი	36
§ 2. თავდაცვის უფლების გამოყენების კრიტერიუმები	42
2.1. აუცილებლობა	43
2.2. პროპორციულობა	45
2.3. დროულობა	48
§ 3. შეიარაღებული თავდასხმის დეფინიცია	50
§ 4. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა.....	52
§ 5. არასახელმწიფოებრივი ერთეულების მიერ განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა	57
§ 6. შეიარაღებული თავდასხმა კიბერსივრცეში	64
თავი III. კოლექტიური თავდაცვა	
§ 1. კოლექტიური თავდაცვის მნიშვნელობა	70
§ 2. კოლექტიური თავდაცვის ხელშეკრულებები.....	74
§ 3. სამხედრო ალიანსები	78
§ 4. კოლექტიური თავდაცვის სამართლებრივი შეზღუდვები	81
თავი IV. ჰუმანიტარული ინტერვენცია	
§ 1. ძალის გამოყენება ჰუმანიტარული საფუძვლებით.....	83
§ 2. ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელების წინაპირობები და კრიტერიუმები	88
§ 3. ნატოს ჰუმანიტარული ინტერვენცია კოსოვოში	91

თავი V. კოლექტიური უსაფრთხოება

§ 1. კოლექტიური უსაფრთხოების დეფინიცია98
§ 2. კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა „ცივი ომის“ პერიოდში.....100
§ 3. კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა „ცივი ომის“ შემდგომ.....104
§ 4. კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის მარცხი და უშიშროების
საბჭოს რეფორმირება108
§ 5. რეგიონალური ორგანიზაციების როლი კოლექტიური უსაფრთხოების
უზრუნველყოფის პროცესში116

**თავი VI. რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ
განხორციელებული აგრესიის სამართლებრივი ანალიზი**

§ 1. სამშვიდობო ფორმატის კრიზისი, შეიარაღებული პროვოკაციები და
სამხედრო აგრესიის მომზადება119
§ 2. საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია123
§ 3. საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციის მიერ ძალის
გამოყენება, როგორც აგრესიის აქტი130
§ 4. საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქცია რუსეთის აგრესიაზე....138

დასკვნა147

გამოყენებული ლიტერატურა156

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებების ნუსხა:

- 1) გვ. – გვერდი
- 2) ე.წ. – ეგრეთ წოდებული
- 3) იხ. – იხილეთ
- 4) რედ. – რედაქტორი
- 5) თბ. – თბილისი
- 6) ECOWAS – Economic Community of West African States
- 7) Ed. – Edition
- 8) I.C.J. – International Court of Justice
- 9) N – Number
- 10) Rep. – Report
- 11) U.N. – United Nations
- 12) U.S. – United States
- 13) Vol. – Volume

შესავალი

კვლევის აქტუალობა

ძალის გამოყენების სამართლებრივი ასპექტები საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი პრობლემური და მნიშვნელოვანი თემაა. საერთაშორისოსამართლებრივი სისტემისთვის დღემდე აქტუალურია შემდეგი კითხვა: როდის არის ძალის გამოყენება კანონიერი?

ძალის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ გაერო, მაგრამ უშიშროების საბჭოს ნებართვით ძალის გამოყენების უფლება შესაძლებელია, რეგიონალურ საერთაშორისო ორგანიზაციებსაც მიენიჭოთ.

ძალის გამოყენების თემა საერთაშორისო სამართალში განსაკუთრებით აქტუალურია 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, როდესაც რუსეთმა საქართველოსთან მიმართებით დაარღვია საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები და განახორციელა აგრესია სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა აგრესიამ, იმავე „აგვისტოს ომმა“, ახალი გვერდი გადაფურცლა თანამედროვე სახელმწიფოთა თანამეგობრობის ისტორიაში, რომელიც სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის, ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობის, ძალის გამოყენების ან ძალით დამუქრების აკრძალვის პრინციპებსა და გაეროს წევრ სუვერენულ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობას ეფუძნება. ყველა ეს პრინციპი უხეშად დაარღვია რუსულმა სამხედრო ძალებმა სეპარატისტული ძალების მიერ კონტროლირებად საქართველოს ტერიტორიაზე – აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში – და შემდეგ კი ქვეყნის სხვა ტერიტორიებზე, თითქმის დედაქალაქ თბილისამდე შეჭრით.¹

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლემ, სერ ჰერშ ლაუტერპახტმა, მიუთითა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარ ნორმაზე: „არ უნდა იყოს ძალადობა“. უშიშროების საბჭო, გენერალური ასამბლეა და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო არიან ამ ნორმის დამცველები. ისინი უნდა მიისწრაფოდნენ, ხელი შეუწყონ პრაქტიკაში ამ ნორმის განხორციელებას.²

საერთაშორისოსამართლებრივი სისტემა არ აღმოჩნდა ეფექტური სახელმწიფოებს შორის ძალის გამოყენების თავიდან აცილების თვალსაზრისით, რადგან ამ სისტემას არ აქვს ქმედითი იძულებითი მექანიზმები საერთაშორისო ნორმების დასაცავად და შესასრულებლად.

კვლევა ეხება გაეროს წესდების VII თავის შესაბამისად საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად ან

¹ ალექსიძე ლევან, საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის შეიარაღებული შემოჭრის საერთაშორისოსამართლებრივი ასპექტები, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, №2, 2008 წელი, გვ. 7.

² Franck Thomas, The Use of Force in International Law, Tulane Journal of International and Comparative Law, Volume 11, Spring, 2003, p.7.

აღსადგენად იძულებითი ზომების გამოყენების სამართლებრივ ასპექტებს. გაეროს წესდების 51-ე მუხლიდან გამომდინარე, განხილულია ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის უფლების წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები; თავდაცვის უფლების გამოყენების კრიტერიუმები: აუცილებლობა, პროპორციულობა, დროულობა.

ნაშრომში გაანალიზებულია რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციების როლი საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების პროცესში; გარდა ამისა, განხილულია ძალის გამოყენების ჰუმანიტარული საფუძვლები, ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელების წინაპირობები და კრიტერიუმები. ამასთანავე, კვლევა ეხება უშიშროების საბჭოს, გენერალური ასამბლეისა და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს უფლებამოსილების საკითხს საერთაშორისო მშვიდობის დაცვისა და უსაფრთხოების განმტკიცების პროცესში. ამდენად, თემა აქტუალურია ამ ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების იურიდიული ძალის პრობლემის კვლევის თვალსაზრისითაც.

კვლევა ქართულ სინამდვილეში საერთაშორისო სამართალში ძალის გამოყენების სამართლებრივი ასპექტების შესწავლის პირველი მცდელობაა. ქართულ საერთაშორისო სამართლის მეცნიერებაში საკმაოდ მწირია ლიტერატურა ამ თემის შესახებ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლის გაანალიზების საფუძველზე, კვლევაში მოცემულია ამ მუხლის ახლებური ფორმულირება.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია, გაანალიზოს ძალის გამოყენების საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები; აჩვენოს, როგორია გაეროს უშიშროების საბჭოს როლი, გენერალური ასამბლეის ფუნქციები საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნების პროცესში, რამდენად აფერხებს გაეროს უშიშროების საბჭოში მუდმივი წევრების მიერ ვეტოს უფლების გამოყენება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების დროულად მიღებას; რა განსხვავებაა მშვიდობისათვის საფრთხის შექმნასა და შეიარაღებულ თავდასხმას შორის, შეიძლება თუ არა ძალის გამოყენება საფრთხის არსებობის დროს; როგორია თავდაცვის უფლების კრიტერიუმები, რას გულისხმობს ძალის გამოყენების აუცილებლობა და პროპორციულობა; არასახელმწიფოებრივი ერთეულის მიერ განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა შეიძლება თუ არა გახდეს თავდაცვის უფლების გამოყენების საფუძველი; რას ნიშნავს, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, აგრესიის აქტი.

ზემოაღნიშნული საკითხების განხილვა კი უზრუნველყოფს იმ ხარვეზების ნათლად წარმოჩენას, რომლებიც არსებობს საერთაშორისო სისტემაში საერთაშორისო მშვიდობის დაცვისა და უსაფრთხოების განმტკიცების პროცესში და ხელს შეუწყობს ამ მიმართულებით გამოსავლის პოვნას.

კვლევის საგანი

საერთაშორისო სამართალში ძალის გამოყენების სამართლებრივი ასპექტების შესწავლისას ნაშრომში გაანალიზებულია შემდეგი პრობლემური საკითხები:

- 1) გაეროს წესდება ითვალისწინებს თუ არა მუდმივი საერთაშორისო ძალების შექმნას, რათა დროულად მოხდეს აგრესიის ფაქტზე რეაგირება?
- 2) რა შემთხვევაშია შესაძლებელი ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვის უფლების გამოყენება?
- 3) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს შეიარაღებული თავდასხმის არსებობისას უშუალოდ წარმოეშობა თუ არა თავდაცვის უფლება და რამდენად საჭიროა უშიშროების საბჭოსგან წინასწარი თანხმობა?
- 4) რა შემთხვევებში შეიძლება კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის ამოქმედება?
- 5) გაეროს წესდების თანახმად, როგორია უშიშროების საბჭოს უფლებამოსილება კოლექტიური უსაფრთხოების განხორციელებისას?
- 6) რამდენად შეზღუდულია უშიშროების საბჭო მშვიდობისათვის საფრთხის შექმნის ფაქტის განსაზღვრისას და ამ თვალსაზრისით არსებობს თუ არა შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველი?
- 7) რა განსხვავებაა მშვიდობისათვის საფრთხის შექმნასა და შეიარაღებულ თავდასხმას შორის?
- 8) რამდენად სავალდებულოა უშიშროების საბჭოს გაეროს წესდების მე-7 თავით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები წევრი ქვეყნებისთვის?
- 9) იწვევს თუ არა გენერალური ასამბლეის მიერ საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე მიღებული რეკომენდაციები გაეროს წევრი ქვეყნების მიმართ სამართლებრივი ვალდებულებების წარმოშობას?
- 10) რამდენად შესაძლებელია, უშიშროების საბჭომ და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ერთდროულად მიიღონ ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები? რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო არ თვლის აგრესიის მსხვერპლად ან აგრესორად იმ სახელმწიფოს, რომელიც ასეთად მიიჩნია უშიშროების საბჭომ? მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს შეუძლია თუ არა, არ გაითვალისწინოს უშიშროების საბჭოს მავალდებულებელი გადაწყვეტილება?³
- 11) როგორია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ორგანოების პრაქტიკა ძალის გამოყენების შემთხვევებში და ამ თვალსაზრისით ხომ არ წარმოიშვა ახალი კრიტერიუმები და პროცედურები?
- 12) საერთაშორისო სამართლის თანახმად, დასაშვებია თუ არა ძალის გამოყენება არა მხოლოდ არსებული ძალის საპასუხოდ, არამედ სამომავლო თავდასხმის თავიდან ასაცილებლად? აქვს თუ არა

³ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.318.

სახელმწიფოს უფრო ფართო უფლება, წინასწარ განჭვრიტოს მოსალოდნელი თავდასხმა და გამოიყენოს პრევენციული ზომები?

13) არასახელმწიფოებრივი ერთეულის მიერ განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა შეიძლება თუ არა, გახდეს თავდაცვის უფლების გამოყენების საფუძველი?

14) რა კრიტერიუმები გამოიყენება თავდაცვის უფლების განხორციელებისას?

15) თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში რას ნიშნავს კიბერსივრცეში შეიარაღებული თავდასხმის განხორციელება? რამდენადაა შესაძლებელი საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ კიბერტექნიკური საშუალებების ომის წარმოების ფორმად მიჩნევა და კიბერშეტევების შეიარაღებული კონფლიქტის შემადგენელ ნაწილად აღიარება?

16) როგორია კოლექტიური თავდაცვის სამართლებრივი შეზღუდვები და რამდენად დასაშვებია კოლექტიური თავდაცვის უფლების გამოყენება, თუ არ არსებობს დახმარების აღმოჩენის თაობაზე მსხვერპლი ქვეყნის თხოვნა?

17) დასაშვებია თუ არა ძალის გამოყენება ჰუმანიტარული საფუძვლებით?

18) რას გულისხმობს კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა?

19) რამდენად ეფექტური აღმოჩნდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების საფუძველზე შექმნილი კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა?

20) რამდენად შეიძლება იძულებითი ღონისძიებების განხორციელება რეგიონალური შეთანხმების საფუძველზე ან რეგიონალური ორგანოების მიერ, თუ არ არსებობს უშიშროების საბჭოს თანხმობა? შეიძლება თუ არა, უშიშროების საბჭომ იძულებითი ღონისძიებების განხორციელებისას რეგიონალური ორგანიზაცია გამოიყენოს რეგიონის საზღვრებს მიღმა?

21) რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის სამართლებრივი ანალიზი: როგორც ფაქტობრივი გარემოებების განხილვა, ისე მათი სამართლებრივი შეფასება, ასევე, რუსეთის აგრესიაზე საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქციის გაანალიზება.

კვლევის მეთოდოლოგია და ინფორმაციული ბაზა

ნაშრომი შესრულებულია კვლევის შედარებით სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით, რომელსაც ამ კვლევისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან უცხოური ლიტერატურის ანალიზის გარეშე შეუძლებელი იყო აღნიშნული საკითხის შესწავლა. კერძოდ, მეცნიერთა შეხედულებების შეპირისპირებისა და პრაქტიკაში არსებული ცალკეული შემთხვევების შედარებითი ანალიზის საფუძველზე კვლევაში ასახულია შესაბამისი დასკვნები.

ნაშრომში გამოყენებულია საერთაშორისო სამართალში ძალის გამოყენების საკითხზე გამოცემული სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სტატიები, *Lexis Nexis*-ისა და *Hein Online*-ის მონაცემთა

ბაზები, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეთა მასალები, შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტები.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა

დისერტაცია შედგება შესავლის, 6 თავის, 25 პარაგრაფის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისგან.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია ძალის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები და ძალის გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი; მეორე თავი ეხება თავდაცვის უფლების გამოყენების კრიტერიუმებს, შეიარაღებული თავდასხმის სახეებს; მესამე თავი ეთმობა კოლექტიური თავდაცვის მნიშვნელობას, კოლექტიური თავდაცვის ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და სამხედრო ალიანსებს; მეოთხე თავში გაანალიზებულია ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელების წინაპირობები და კრიტერიუმები; მესუთე თავი ეხება კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის ხარვეზებს, უშიშროების საბჭოს რეფორმირების აუცილებლობას, კოლექტიურ უსაფრთხოებას როგორც „ცივი ომის“, ისე მის შემდგომ პერიოდში, რეგიონალური ორგანიზაციების როლს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში; ძალის გამოყენების სამართლებრივი ასპექტებისა და კრიტერიუმების შესწავლის საფუძველზე მეექვსე თავში ავტორი სამართლებრივად განიხილავს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის აქტს; დისერტაციის დასკვნით ნაწილში მოცემულია ნაშრომის თითოეულ თავში განხორციელებული კვლევის შედეგების შეჯამება.

თავი I. ძალის გამოყენების საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები

1. ძალის გამოყენების ცნება

ძალის გამოყენების ზუსტი რეგულირება მიზნად ისახავს მშვიდობიან, ორმხრივ თანამშრომლობას ქვეყნებს შორის. სახელმწიფოს შიდა სამართლებრივმა სისტემამ თანდათანობით უარი თქვა ძალის გამოყენების მონოპოლიზაციაზე და, ძირითადად, ძალის გამოყენების შესაძლებლობა თავდაცვის მიზნით დაუშვა.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ძალის გამოყენების შესახებ ეფუძნება გაეროს წესდებას. გაეროს წესდების ავტორებს სურდათ ძალის ნებისმიერი სახით გამოყენების აკრძალვა, თუმცა, იმავდროულად, გაითვალისწინეს ცალკეული გამონაკლისები, რომლებიც რეგულირდება გაეროს წესდების შესაბამისად.

გაეროს შექმნის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი მე-20 საუკუნეში საერთაშორისო სამართლის მოდერნიზება გახლდათ. ლიდერებმა გადაწყვიტეს: „შექმნათ პირობები სამართლიანობის დასაცავად და ხელშეკრულებებიდან და საერთაშორისო სამართლის სხვა წყაროებიდან გამომდინარე ვალდებულებების პატივსაცემად, ასევე თაობების გადასარჩენად ომისგან, რომელმაც ორჯერ წარმოუდგენელი უბედურება მოუტანა კაცობრიობას“.⁴

გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი თავს იკავებს საერთაშორისო ურთიერთობებში ძალით მუქარისა ან მისი გამოყენებისაგან, როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ასევე გაერთიანებული ერების მიზნებთან შეუთავსებელი რაიმე სხვა სახით.⁵

მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი ლაპარაკობს ძალის გამოყენებაზე და არა ომის წარმოებაზე. ტერმინი „ომი“ მიუთითებს ვიწრო და კონკრეტულ სამართლებრივ მდგომარეობაზე, რომელიც იწყება ომის გამოცხადებით და მთავრდება ზავით. მაგალითად, იაპონიამ უარი თქვა, გამოეცხადებინა ომი ჩინეთთან და „ომის“ ნაცვლად გამოიყენა შემდეგი სახელწოდება: „სამხედრო ოპერაცია მანჯურიაში“ (1932–1941 წლები).⁶

ამდენად, ტერმინ „ძალის გამოყენების“ უპირატესობა არის ის, რომ იგი მოიცავს ნებისმიერ ძალისმიერ ფორმას. შესაბამისად, ძალის გამოყენების აკრძალვა არ არის დამოკიდებული იმაზე, სახელმწიფო თუ რა სახელს დაარქმევს სამხედრო კონფლიქტს.

მეორე მხრივ, გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი გაეროს წევრებს მოუწოდებს, თავი შეიკავონ ძალით დამუქრების ან მისი გამოყენებისაგან ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ან განახორციელონ

⁴ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, თბ., გამომცემელი: “ბონა კაუზა”, 2008, გვ.5.

⁵ იქვე, გვ. 7.

⁶ Värk René, The Use of Force in the Modern World: Recent Developments and Legal Regulation of the Use of Force, Baltic Defense Review, Volume 10, November, 2003, pp.29-30.

ისეთი ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება გაეროს მიზნებს. აქვე ისმის კითხვა – ძალის გამოყენების აკრძალვა ხომ არ არის პირობითი და რამდენად დასაშვებია მისი გამოყენება ფართო გაგებით იმ შემთხვევაში, თუ იგი არ არის მიმართული ნებისმიერი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ? რამდენად შესაძლებელია ჰუმანიტარული ინტერვენციისა და ძალის გამოყენების „ალტრუსტული“ შემთხვევების გამართლება? შეიძლება ითქვას, რომ ამ ნორმის დადგენის მთავარი მიზანი იყო პატარა სახელმწიფოებისათვის მყარი გარანტიების შექმნა და არა ნებისმიერი ფორმით ძალის გამოყენების აკრძალვა.⁷

გაეროს წესდება საერთაშორისო სამართალში ძალის გამოყენებას უშვებს შემდეგ შემთხვევებში: ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის უფლების განხორციელებისას; გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ სანქცირებულ ან კონტროლირებად სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობისას; მეორე ქვეყნის თხოვნის საფუძველზე ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე ძალის გამოყენებისას.

ამდენად, ძალის გამოყენება გულისხმობს ნებისმიერ ძალისმიერ ფორმას, ხოლო მისი გამოყენების კანონიერება განისაზღვრება გაეროს წესდებით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევების ფარგლებში.

2. ძალის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები გაეროს წესდების მიხედვით

გაეროს წესდების მე-7 თავის 39-ე მუხლის თანახმად, უშიშროების საბჭო განსაზღვრავს მშვიდობისათვის ნებისმიერი საფრთხის შექმნის, მშვიდობის ხელყოფის ან აგრესიის ფაქტებს და იღებს რეკომენდაციას ან გადაწყვეტილებას, თუ რა სახის ღონისძიებებს გამოიყენებს, 41-ე და 42-ე მუხლების შესაბამისად, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დასაცავად.⁸

წესდების 39-ე მუხლის ბოლო სიტყვები მოკლედ გამოხატავს უშიშროების საბჭოს მანდატს: ეს არის საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვა ან აღდგენა.⁹ საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვა მიზნად ისახავს მშვიდობის ხელყოფის თავიდან აცილებას ანუ გარკვეული პრევენციული ზომების განხორციელებას. საბჭოს ღონისძიებებს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების ხელყოფის ფაქტის განჭვრეტისას აქვს შემაკავებელი მიზანი. საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების ხელყოფის შემთხვევაში სიტუაცია რადიკალურად იცვლება. ამ დროს საბჭოს მისიაა, აღადგინოს მშვიდობა. მას ასევე უწევს, იფიქროს იმ ნაბიჯებზე, რომლებიც აუცილებელია სამართლიანობისა და წესრიგის კვლავ აღსადგენად.¹⁰

⁷ Brownlie Ian, *International Law and the Use of Force by States*, Oxford: Clarendon Press, 1963, p.268.

⁸ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, თბ., გამომცემელი: “ბონა კაუზა”, 2008, გვ.18.

⁹ Vetschera H., *International Law and International Security: The Case of Force Control*, German Yearbook of International Law, Volume 24, 1981, pp. 144-146.

¹⁰ Dinstein Yoram, *War, Aggression and Self-Defence*, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.280.

წესდება ანიჭებს საბჭოს სრულ ძალაუფლებას საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დასაცავად ან აღსადგენად. 39-ე მუხლის ძირითადი მიზანია, განსაზღვროს, რა შემთხვევებში შეუძლია უშიშროების საბჭოს ამ ძალაუფლების გამოყენება. გარდა ამისა, ამ მუხლის თანახმად, ზემოაღნიშნულ შემთხვევებში „კარი ავტომატურად ღიაა როგორც არასამხედრო, ისე სამხედრო იძულებითი ღონისძიებებისათვის“.¹¹

უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ რეკომენდაციებს არ აქვს სავალდებულო ხასიათი.¹² მათ მხოლოდ შეუძლიათ, წვერი ქვეყნები დაარწმუნონ განსაზღვრული ზომების განხორციელების აუცილებლობაში. რეკომენდაციები შეიძლება ეხებოდეს როგორც მშვიდობისათვის საფრთხის შექმნის, ისე მისი ხელყოფისა და აგრესიის ფაქტებს. ასევე, ისინი შესაძლოა, მოიცავდნენ პირდაპირ რომელიმე სახელმწიფოსგან კონკრეტული მოქმედების განხორციელების აუცილებლობას საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დასაცავად ან აღსადგენად. წვერ ქვეყნებს შეუძლიათ, შეასრულონ ან უარი თქვან უშიშროების საბჭოს რეკომენდაციის შესრულებაზე. მაგრამ, ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ უშიშროების საბჭოს რეკომენდაციის უგულებელყოფის შემთხვევაში შეუძლია, მიიღოს მავალდებულებელი გადაწყვეტილება. წესდების 39-ე მუხლის თანახმად, უშიშროების საბჭო უფრო რთულ მდგომარეობაშია, როდესაც საუბარია საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების აღდგენაზე. თუ აღნიშნული მუხლის ტექსტის პუნქტუაციის მიხედვით ვიმსჯელებთ, მითითება 41-ე და 42-ე მუხლებზე დაკავშირებულია უფრო გადაწყვეტილებასთან, ვიდრე რეკომენდაციასთან. თუმცა, საბოლოო ჯამში, უნდა ითქვას, რომ, როდესაც უშიშროების საბჭო 39-ე მუხლის თანახმად იღებს რეკომენდაციას, ის არ იზღუდება 41-ე და 42-ე მუხლებით. უშიშროების საბჭოს შეუძლია, მიიღოს ნებისმიერი ის ღონისძიება, რომელიც მიაჩნია სათანადოდ საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების აღდგენისთვის.¹³

გაეროს წესდების 41-ე მუხლი აღგენს: „უშიშროების საბჭო უფლებამოსილია, გადაწყვიტოს, შეიარაღებული ძალების გამოყენებასთან დაუკავშირებელი რა ზომები უნდა გამოიყენონ მის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, და მას შეუძლია, მოსთხოვოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებს ამ ზომების გამოყენება. ეს ზომები შეიძლება მოიცავდეს ეკონომიკურ ურთიერთობათა, სარკინიგზო, საზღვაო, საჰაერო, საფოსტო, სატელეგრაფო, რადიო თუ კომუნიკაციის სხვა საშუალებათა სრულ ან ნაწილობრივ შეწყვეტას, აგრეთვე დიპლომატიურ ურთიერთობათა გაწყვეტას“.¹⁴

ღონისძიებათა ნუსხა, რომელიც გაეროს წესდების 41-ე მუხლშია მოცემული, ამომწურავი არ არის, მაგრამ არცერთი ღონისძიება,

¹¹ Osterdahl Inger, Threat to the Peace: The Interpretation by the Security Council of Article 39 of the UN Charter, Publisher: Uppsala: Iustus Förlag, 1998, p.28.

¹² Schwarzenberger G., International Constitutional Law (International Law as Applied by International Courts and Tribunals, III), 1967, pp. 204-5.

¹³ Orakhelashvili Alexander, The Legal Basis of the United Nations Peace-Keeping Operations, Virginia Journal of International Law, Volume 43, Winter, 2003, pp.485- 493.

¹⁴ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, თბ., გამომცემელი: “ბონა კაუზა”, 2008, გვ.18-19.

ზემოაღნიშნული დებულების თანახმად, არ გულისხმობს ძალის გამოყენებას.¹⁵

გაეროს წესდების 50-ე მუხლი განმარტავს, რომ, თუ უშიშროების საბჭო რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ პრევენციულ ან იძულებით ღონისძიებებს ასორციელებს, ნებისმიერ სახელმწიფოს, იმის მიუხედავად, არის თუ არა იგი ორგანიზაციის წევრი, რომლის წინაშეც განსაკუთრებული ეკონომიკური პრობლემები წამოიჭრება ზემოხსენებულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად, უფლება აქვს, კონსულტაციები გამართოს უშიშროების საბჭოსთან ასეთი პრობლემების გადასაჭრელად.¹⁶ ტექსტიდან ჩანს, რომ გათვალისწინებულია იმ ქვეყნის ინტერესები, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს გეოგრაფიული სიახლოვე ან სავაჭრო ურთიერთობები იმ სახელმწიფოსთან, რომლის წინააღმდეგ ხორციელდება იძულებითი ღონისძიებები, მათ შორის იგულისხმება ეკონომიკური სანქციებიც, და დასჭირდეს სპეციალური დახმარება.¹⁷ ამის მაგალითია იორდანის სამეფო სპარსეთის ყურის ომის დროს. ამ ქვეყანაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ერაყისათვის დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა და 1990 წლის სექტემბერში გამოიყენეს წესდების 50-ე მუხლი.¹⁸ უშიშროების საბჭომ მიიღო 669-ე რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებდა, წესდების 50-ე მუხლის შესაბამისად, ვითარების გარკვევასა და სათანადო დახმარების გაწევას.¹⁹ იორდანამ აირჩია ერაყთან სავაჭრო ურთიერთობების გაგრძელება 661-ე რეზოლუციის დარღვევით.²⁰ გაეროს წესდების 50-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები გვხვდება როგორც სპარსეთის ყურის ომამდე (მოზამბიკთან მიმართებით, როდესაც სამხრეთ როდეზიას სანქციები დაუწესეს (386-ე რეზოლუცია, 1976 წელი),²¹ ისე მის შემდგომ, მაგალითად, ლიბიისთვის საჰაერო ემბარგოს დაწესებისას (748-ე რეზოლუცია, 1992 წელი).²²

გაეროს წესდების 42-ე მუხლის თანახმად, თუ უშიშროების საბჭო მიიჩნევს, რომ 41-ე მუხლში გათვალისწინებული ზომები შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს, ან უკვე არასაკმარისი აღმოჩნდა, იგი უფლებამოსილია, საჰაერო, საზღვაო თუ სახმელეთო ძალებით ისეთი მოქმედება განახორციელოს, როგორც აუცილებელი იქნება

¹⁵ Broms Bengt, *The United Nations*, Helsinki: Suomalainen Tiedeakatemia (Finnish Academy of Science and Letters), 1990, p. 313.

¹⁶ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, თბ., გამომცემელი: “ბონა კაუზა”, 2008, გვ.21.

¹⁷ Goodrich L. M., Hambro E. and Simons A. P., *Charter of the United Nations*, 3rd ed., New York, Columbia University Press, 1969, p. 341.

¹⁸ Ved P. Nanda, *The Iraqi Invasion of Kuwait: The U.N. Response*, Southern Illinois University Law Journal, Volume 15, 1990–1, pp. 431, 443.

¹⁹ Security Council Resolution N669, September 24, 1990, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/575/19/IMG/NR057519.pdf?OpenElement> (ნანახის: 25.05.2010).

²⁰ United States Department of Defense Report to Congress on the Conduct of the Persian Gulf War, *International Legal Materials*, Volume 31, 1992, pp. 612, 638–639.

²¹ Security Council Resolution N386, March 17, 1976, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/294/74/IMG/NR029474.pdf?OpenElement> (ნანახის: 25.05.2010).

²² Security Council Resolution N748, March 31, 1992, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/011/07/IMG/NR001107.pdf?OpenElement> (ნანახის: 25.05.2010).

საერთაშორისო მშვიდობის დასაცავად თუ აღსადგენად. ასეთი მოქმედება შეიძლება მოიცავდეს ორგანიზაციის წევრების საპაერო, საზღვაო თუ სახმელეთო ძალების დემონსტრაციებს, ბლოკადასა და სხვა ოპერაციებს.²³

42-ე მუხლის შესაბამისად, საბჭოს შეუძლია, გამოიყენოს ძალა, როგორც შეზღუდულად, ისე სრული მასშტაბით.²⁴

წესდების მე-40 მუხლის მიხედვით, უშიშროების საბჭოს ეძლევა უფლებამოსილება, ვიდრე რეკომენდაციებს შეიმუშავებდეს ან 39-ე მუხლით გათვალისწინებული ზომების მიღებას გადაწყვეტდეს, დაინტერესებულ მხარეებს მოსთხოვოს იმ დროებით ღონისძიებათა შესრულება, რომლებსაც იგი აუცილებლად ან სასურველად ჩათვლის. ასეთი დროებითი ზომები ზიანს არ უნდა აყენებდეს დაინტერესებულ მხარეთა უფლებებს, მოთხოვნებს ან მდგომარეობას. უშიშროების საბჭო ჯეროვნად უნდა ითვალისწინებდეს ამ დროებითი ზომების შეუსრულებლობას.²⁵ ამ მუხლის თავდაპირველი მიზანი იყო მშვიდობისათვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში მისი რეალურად ხელყოფის თავიდან აცილება.²⁶ უშიშროების საბჭოს პრაქტიკაში, ზემოაღნიშნული დროებითი ზომები, რომლებიც ეხება ცეცხლის შეწყვეტას, სადავო ტერიტორიიდან ჯარების გაყვანის მანდატს და ა.შ., ძირითადად, გამოიყენება ხელყოფის შემდეგ.²⁷

წესდება არ ითვალისწინებს მუდმივი საერთაშორისო ძალების დაფუძნებას, რომელთა ფორმირებას უშუალოდ თავად გაერო განახორციელებს. შესაბამისად, საეჭვოა, საბჭო წესდების მიხედვით რამდენადაა უფლებამოსილი, სახელმწიფოს მოსთხოვოს, ნება დართოს მოხალისეებს, შევიდნენ სამხედრო სამსახურში აგრესორის წინააღმდეგ საბრძოლველად.²⁸

ნაცვლად ამისა, 42-ე მუხლი უთითებს სამხედრო ოპერაციის განხორციელებაზე უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე წევრი ქვეყნების ძალების მეშვეობით. როგორია ამ ძალების ხელმისაწვდომობა საბჭოსთვის? 43-ე მუხლის მიხედვით, გაეროს ყველა წევრი ვალდებულია, უშიშროების საბჭოს განკარგულებაში, მისი მოთხოვნით და საგანგებო შეთანხმებისა თუ შეთანხმებათა შესაბამისად, გადასცეს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დასაცავად აუცილებელი შეიარაღებული ძალები, დახმარება და მომსახურების სათანადო საშუალებები მათ ტერიტორიაზე გავლის უფლების ჩათვლით. ასეთი შეთანხმება თუ შეთანხმებები განსაზღვრავს ჯარების რაოდენობასა და სახეობებს, მათი მზადყოფნის ხარისხსა და საერთო

²³ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, თბ., გამომცემელი: “ბონა კაუზა”, 2008, გვ.19.

²⁴ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.282.

²⁵ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, თბ., გამომცემელი: “ბონა კაუზა”, 2008, გვ.18.

²⁶ Goodrich L. M., Hambro E. and Simons A. P., Charter of the United Nations, 3rd ed., New York, Columbia University Press, 1969, pp. 303–304.

²⁷ Frowein Jochen and Krisch Nico, “Article 40”, The Charter of the United Nations: A Commentary, Volume I, Editor: Bruno Simma, 2nd ed., Oxford University Press, 2002, pp. 729, 733.

²⁸ Green Leslie, The Contemporary Law of Armed Conflict, 2nd ed., Manchester: Manchester University Press, 2000, p.272.

განლაგებას, მომსახურების საშუალებებისა და დახმარების ხასიათს. შეთანხმებისა თუ შეთანხმებათა დასადგებად მოლაპარაკება ეწეობა უშიშროების საბჭოს ინიციატივით უმოკლეს დროში. შეთანხმებები დაიდება უშიშროების საბჭოსა და ორგანიზაციის წევრებს შორის ან უშიშროების საბჭოსა და ორგანიზაციის წევრთა ჯგუფებს შორის და ექვემდებარება ხელმოწერ სახელმწიფოთა მიერ რატიფიკაციას, მათი კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად.²⁹ სპეციალური შეთანხმებებით განსაზღვრულ საკითხთა წრე ნათელია. საბჭომ არ შეიძლება დაასრულოს მისია მანამ, სანამ კრიზისი ბოლომდე არ დაიდგება. წევრმა ქვეყნებმა თავად უნდა განსაზღვრონ, რომელი შენაერთები არიან მზად საბრძოლველად, და ისინი უშიშროების საბჭოს გადაეცემიან კონკრეტულ შემთხვევაში.³⁰

უშიშროების საბჭო არ მოითხოვს სპეციალური შეთანხმების დადებას გაეროს ყველა წევრთან, არც საბჭოს მუდმივ წევრებთან.³¹ მაგრამ საინტერესოა, უშიშროების საბჭოს კონტროლის ქვეშ წევრი ქვეყანა რამდენადაა შეზღუდული, შეცვალოს შეიარაღებული ძალები იძულებითი ღონისძიებების განხორციელებისას, როდესაც არ დადებულია სპეციალური შეთანხმება. არსებობს წესდების ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერპრეტაცია ამ საკითხთან დაკავშირებით: ერთი მიდგომით, უშიშროების საბჭომ შეიძლება დაჟინებით მოითხოვოს წევრი ქვეყნის სამხედრო ძალების გაგზავნა, მიუხედავად სპეციალური შეთანხმების არარსებობისა;³² მეორე ინტერპრეტაციით კი, წესდების თანახმად, წევრი ქვეყნის წვლილი უშიშროების საბჭოს მიერ წარმოებულ კოლექტიური უსაფრთხოების ოპერაციაში არის აბსტრაქტული, განყენებული მანამ, სანამ არ მოხდება მისი კონკრეტიზაცია სპეციალური შეთანხმებით.³³

წესდების 43-ე მუხლი მიუთითებს, რომ მოლაპარაკებები უშიშროების საბჭოს ინიციატივით სპეციალური შეთანხმებების თაობაზე უნდა გაიმართოს, როგორც კი ეს შესაძლებელი იქნება. მიუხედავად ამისა, ექვსი ათწლეულია, რაც მსგავსი შეთანხმებები არ დადებულია. 106-ე მუხლის თანახმად, სპეციალური შეთანხმებების ძალაში შესვლის საკითხი წესდების 43-ე მუხლში უნდა ვეძებოთ. ხუთმა მუდმივმა სახელმწიფომ უნდა მოითხოვოს, განახორციელებენ თუ არა გაეროს სახელით ერთობლივ მოქმედებას, რომელიც შეიძლება აუცილებელი იყოს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით.³⁴ წესდების 43-ე მუხლიდან გამომდინარე, სპეციალური შეთანხმებები აქამდე არ დადებულია. გარდამავალი პერიოდი, გათვალისწინებული 106-ე

²⁹ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, თბ., გამომცემელი: “ბონა კაუზა”, 2008, გვ.19.

³⁰ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.305.

³¹ Goodrich Leland and Simons Anne, The United Nations and the Maintenance of International Peace and Security, Washington D. C., The Brookings Institution, 1955, pp. 395–396.

³² Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.305.

³³ იქვე.

³⁴ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, თბ., გამომცემელი: “ბონა კაუზა”, 2008, გვ.38.

მუხლით, ჯერ არ დასრულებულა.³⁵ მიუხედავად ამისა, 106-ე მუხლმა ვერ მოიპოვა პრაქტიკული მნიშვნელობა.³⁶ წესდების 44-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ შეიარაღებული ძალების უზრუნველყოფის მოთხოვნამდე გაეროს წევრი ქვეყნები, რომლებიც იმ დროისთვის არ შედიან უშიშროების საბჭოს შემადგენლობაში, მოწვეულნი იქნებიან, რათა მონაწილეობა მიიღონ ნებისმიერი იმ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც დაკავშირებულია ძალების განლაგებასთან.³⁷

გადაუდებელ შემთხვევებში ერთობლივი იძულებითი ღონისძიების განხორციელების უფლების მინიჭებისას გაეროს წევრები ხელმძღვანელობენ 45-ე მუხლით, როდესაც აუცილებელია საჭირო ძალების კონტინგენტის დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომობის რეჟიმის შენარჩუნება.³⁸ ეს მუხლი, ასევე, მიუთითებს სპეციალური შეთანხმებების დადებაზე, 43-ე მუხლიდან გამომდინარე. სწორედ მათი მეშვეობით უნდა განისაზღვროს საჭირო ძალების კონტინგენტის მზადყოფნის ხარისხი და გეგმები ერთობლივი მოქმედებებისათვის.

46-ე და 47-ე მუხლები მიუთითებენ სამხედრო-საშტაბო კომიტეტის დაფუძნებაზე, რომელიც შედგება შტაბის მეთაურებისა და უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრის ან მათი წარმომადგენლებისაგან. მისი მიზანია, მისცეს რჩევები და დაეხმაროს უშიშროების საბჭოს სამხედრო საკითხებთან დაკავშირებით,³⁹ თუმცა აქამდე სამხედრო-საშტაბო კომიტეტზე პერიოდულად განხილულ წინადადებებს განსაკუთრებული შედეგი არ მოუტანია.⁴⁰ ამ თვალსაზრისით, საინტერესოა უშიშროების საბჭოს მიერ 1990 წელს მიღებული რეზოლუცია N665, რომლის თანახმად, საბჭომ მოსთხოვა წევრ სახელმწიფოებს, ეთანამშრომლათ ქუვეითის მთავრობასთან, როდესაც ხორციელდებოდა ერაყის ბლოკადა, და კოორდინაციისათვის გამოეყენებინათ სამხედრო-საშტაბო კომიტეტის მექანიზმი.⁴¹ მიუხედავად ამისა, ამერიკის ხელმძღვანელობით მოქმედმა კოალიციამ უპირატესობა მიანიჭა კომიტეტის დატოვებას.⁴²

³⁵ Geiger R., “Article 106”, The Charter of the United Nations: A Commentary, Editor: Bruno Simma, 2nd ed., Oxford University Press, 2002, pp. 1327-1328.

³⁶ იქვე, გვ. 1329.

³⁷ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, თბ., გამომცემელი: “ბონა კაუზა”, 2008, გვ.19-20.

³⁸ იქვე.

³⁹ იქვე.

⁴⁰ Bailey S.D. and Daws S., The Procedure of the UN Security Council, 3rd ed, Oxford: Clarendon Press, 1998, p.280.

⁴¹ Security Council Resolution N665, August 25, 1990, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/575/15/IMG/NR057515.pdf?OpenElement> (ნანახის: 24.06.2010).

⁴² Walker George, The Crisis over Kuwait, August 1990 – February 1991, Duke Journal of Comparative and International Law, Volume I, 1991, pp. 25, 49.

3. გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი:

3.1. უშიშროების საბჭოს უფლებამოსილება

გაეროს წესდების თანახმად, უშიშროების საბჭოს დისკრეციული უფლებამოსილება ძალიან ფართოა. წესდების 39-ე და 51-ე მუხლების შედარება ხაზს უსვამს საბჭოს მოქმედების თავისუფლებას. 51-ე მუხლის მიხედვით კი, ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის უფლების გამოყენება ნებადართულია მხოლოდ შეიარაღებული თავდასხმის საპასუხოდ. 39-ე მუხლის მიხედვით კი, კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა ამოქმედდება მაშინ, როდესაც უშიშროების საბჭო დაადგენს, რომ შეიქმნა საფრთხე მშვიდობისთვის, ხელყოფილია მშვიდობა ან განხორციელდა აგრესია. ერთი მხრივ, ნებისმიერი სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ჯგუფი უფლებამოსილია, გამოიყენოს ძალა საერთაშორისო ურთიერთობებში მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში თავდაცვითი მიზნით შეიარაღებული თავდასხმისას და მისი გამოყენების კანონიერებას საბოლოოდ უშიშროების საბჭო იკვლევს; მეორე მხრივ, უშიშროების საბჭოს შეუძლია, გამოიყენოს ძალა კოლექტიური უსაფრთხოების სახელით და, წესდების თანახმად, მისთვის მინიჭებული ეს უფლებამოსილება თითქმის შეუზღუდავია. უშიშროების საბჭომ შეიძლება გამოიყენოს ძალა ნებისმიერი ტიპის აგრესიის წინააღმდეგ, რომელიც არ არის აუცილებელი, უტოლდებოდეს შეიარაღებულ თავდასხმას,⁴³ ან მშვიდობისათვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში.⁴⁴

წესდებამ უშიშროების საბჭოს მისცა მოქმედების სრული თავისუფლება კოლექტიური უსაფრთხოების განხორციელებისას. საბჭო არა მარტო თავისუფალია, გადაწყვიტოს, თუ რა შემთხვევებში და როგორ გამოიყენოს ძალა, არამედ შეუძლია განსაზღვროს, ზუსტად როდის განახორციელოს ეს და ვის წინააღმდეგ. ნათელია, რომ საბჭოს შეუძლია პრევენციული ომის ინიცირება, თუ არსებობს მშვიდობის ხელყოფის მოლოდინი (მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საფრთხე უკვე მოქმედების ზღვარზეა).⁴⁵ საბჭოს ეს უფლება წარმოეშობა არა მარტო წესდების მე-7 თავიდან გამომდინარე, არამედ ამაზე წესდების პირველი მუხლი მიუთითებს, სადაც ჩამოთვლილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნები და მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, გაერომ განახორციელოს ეფექტური კოლექტიური ღონისძიებანი მშვიდობისათვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად და აღმოსაფხვრელად.⁴⁶

⁴³ შესაძლებელია, უშიშროების საბჭომ „აგრესიად“ მიიჩნიოს ისეთი ქმედებაც, რომელმაც შეიძლება, არ წარმოშვას თავდაცვის უფლება. იხ.: Hargrove John Lawrence, *The Nicaragua Judgment and the Future of the Law of Force and Self-Defence*, *American Journal of International Law*, Volume 81, 1987, pp. 139-140. მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმას, რომ შეიარაღებული თავდასხმა არ შეიძლება ჩათვალოს აგრესიად. იხ.: Dinstein Yoram, *War, Aggression and Self-Defence*, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.283.

⁴⁴ Dinstein Yoram, *War, Aggression and Self-Defence*, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.283

⁴⁵ იქვე.

⁴⁶ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, თბ., გამომცემელი: “ბონა კაუზა”, 2008, გვ.6.

მშვიდობისათვის საფრთხის შექმნა (ხსენებული წესდების 39-ე მუხლში) არ შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს ძალის გამოყენების საფრთხესთან, რომელიც აღნიშნულია გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტში.⁴⁷ ნათელია, რომ ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ ძალის გამოყენების საფრთხე შეიძლება უშიშროების საბჭოს მიერ იყოს მიჩნეული როგორც საფრთხე მშვიდობისათვის.⁴⁸ მშვიდობისათვის საფრთხის შექმნის დეფინიცია უთუოდ არ გულისხმობს ძალის გამოყენების ნებისმიერ შემთხვევას, არც საერთაშორისო სამართლის ნებისმიერ დარღვევას.⁴⁹ თუ რას გულისხმობს მშვიდობისათვის საფრთხის შექმნა, მთლიანად უშიშროების საბჭოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება.⁵⁰ საბჭო თავისუფალია, განსაზღვროს „შორეული საფრთხე“.⁵¹ მშვიდობისათვის საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს ისეთი ქმედება, რომელიც არღვევს საერთაშორისო უსაფრთხოების წონასწორობას. მაგრამ, თუ წესდების 39-ე მუხლის მიხედვით ვიმსჯელებთ, მშვიდობისათვის საფრთხის შემცველად უნდა მივიჩნიოთ ის, რასაც საბჭო ჩათვლის ასეთ საფრთხედ.⁵²

რამდენიმე სწავლული თვლის, რომ საბჭოს დისკრეციული უფლებამოსილება მშვიდობისათვის საფრთხის შექმნის არსებობის განსაზღვრისას არ არის შეუზღუდავი.⁵³ მაგრამ რა არის შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველი? 1995 წელს ყოფილი იუგოსლავიის საკითხებზე საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის სააპელაციო პალატამ *ტადიჩის* საქმეზე აღნიშნა, რომ საფრთხის განმარტებისას საბჭო არ არის სრულად შეუბოჭავი, რადგან მას მოუწევს წესდების მიზნებისა და პრინციპების ფარგლებში მოქმედება.⁵⁴ ეს გამონათქვამი არ შეიცავს რაიმე განსაკუთრებულ მოსაზრებას. ერთია, როდესაც არ ეთანხმები მშვიდობისათვის საფრთხის შექმნის ფაქტის არსებობასთან დაკავშირებით საბჭოს განსაზღვრებას, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ თითქმის შეუძლებელია, ისეთი გარემოებები მიიჩნიოს საბჭომ მშვიდობისათვის საფრთხის შემცველად, რომლებიც არ იქნება წინააღმდეგობაში გაეროს მიზნებსა და პრინციპებთან. ამდენად, საბჭოს ფართო დისკრეციული უფლებამოსილება, ჩვეულებრივ, თანმხვედრი უნდა იყოს წესდების

⁴⁷ Kelsen H., *The Law of the United Nations: A Critical Analysis of Its Fundamental Problems*, London: Stevens and Sons, 1951, p. 727.

⁴⁸ Dinstein Yoram, *War, Aggression and Self-Defence*, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.283.

⁴⁹ იქვე, გვ. 284.

⁵⁰ Kelsen H., *The Law of the United Nations: A Critical Analysis of Its Fundamental Problems*, London: Stevens and Sons, 1951, p. 727.

⁵¹ Garwood-Gowers A., *Pre-Emptive Self-Defence: A Necessary Development or the Road to International Anarchy*, *Australian Year Book of International Law*, Volume 23, 2002, pp. 51, 63.

⁵² Dinstein Yoram, *War, Aggression and Self-Defence*, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.284.

⁵³ Wet Erika, *The Chapter VII Powers of the United Nations Security Council*, Oxford: Hart Publishing, 2004, pp. 134–144.

⁵⁴ *Prosecutor v. Tadic, Judgment*, International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia, Case No. IT-94–1-AR72 (Jurisdiction), Appeals Chamber, 1995, *International Legal Materials*, Volume 35, 1996, pp. 35, 43.

მიზნებისა და პრინციპებისა, რაც ზღუდავს კონკრეტული ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.⁵⁵

ასევე გასათვალისწინებელია, რომ უშიშროების საბჭო არის პოლიტიკური და არა სასამართლო ორგანო. ის შედგება წევრი ქვეყნებისაგან და მისი გადაწყვეტილება დაკავშირებულია პოლიტიკურ მოტივებთან, რომლებიც არ არის აუცილებელი, სამართლებრივ ასპექტებს შეესაბამებოდეს. საბჭო, როგორც არასასამართლო ორგანო, არ არის ვალდებული, მიუთითოს გადაწყვეტილების მიღების მიზეზებზე.⁵⁶

საბჭოს განმარტება მშვიდობისათვის საფრთხის შემცველი ფაქტის არსებობასთან დაკავშირებით საბოლოოა და გაეროს ყველა წევრმა უნდა მიიღოს იგი, მიუხედავად იმისა ეთანხმება თუ არა ამ გადაწყვეტილებას.⁵⁷

2001 წლის 12 სექტემბერს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია №1368, რომლითაც დაგმო 1 დღით ადრე ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული თავდასხმა და მიუთითა, რომ აღნიშნული და მისი მსგავსი ნებისმიერი ქმედება არის საფრთხე საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის.⁵⁸ ხოლო 2001 წლის სექტემბრის ბოლოს საბჭომ კვლავ მიიღო ახალი რეზოლუცია (№1373), რომელშიც ხელახლა დაადასტურა ზემოაღნიშნული პოზიცია.⁵⁹ 1377-ე რეზოლუციაში (მიღებული 2001 წლის ნოემბერში საბჭოს სხდომაზე) გაცხადდა, რომ საერთაშორისო ტერორისტული აქტები 21-ე საუკუნის ერთ-ერთი უმთავრესი საფრთხეა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის,⁶⁰ რაც აისახა საბჭოს შემდგომ რეზოლუციებშიც, რომლებიც ეხებოდა ბალიში (რეზოლუცია №1438, 2002),⁶¹ კენიასა (რეზოლუცია №1450, 2002)⁶² და ბოგოტაში (რეზოლუცია №1465, 2003)⁶³ განხორციელებულ ტერორისტულ აქტებს.

მშვიდობისათვის საფრთხის შექმნა არის უფრო ფართო ცნება, ვიდრე შეიარაღებული თავდასხმა. განსხვავება ორივე კატეგორიას შორის შედეგიდან გამომდინარეობს. ნებისმიერ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს შეუძლია, უპასუხოს შეიარაღებულ თავდასხმას ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის უფლების გამოყენებით,

⁵⁵ Wet Erika, *The Chapter VII Powers of the United Nations Security Council*, Oxford: Hart Publishing, 2004, pp. 191–215.

⁵⁶ Fawcett J. E. S., *Security Council Resolutions on Rhodesia*, *British Year Book of International Law*, Volume 41, 1965–6, pp. 103, 116–117.

⁵⁷ Dinstein Yoram, *War, Aggression and Self-Defence*, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.285.

⁵⁸ Security Council Resolution N1368, September 12, 2001, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N01/533/82/PDF/N0153382.pdf?OpenElement> (ნანახია: 20.07.2010).

⁵⁹ Security Council Resolution N1373, September 28, 2001, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N01/533/82/PDF/N0153382.pdf?OpenElement> (ნანახია: 20.07.2010).

⁶⁰ Security Council Resolution N1377, November 12, 2001, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N01/633/01/PDF/N0163301.pdf?OpenElement> (ნანახია: 24.07.2010).

⁶¹ Security Council Resolution N1438, October 14, 2002, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N02/638/47/PDF/N0263847.pdf?OpenElement> (ნანახია: 24.07.2010).

⁶² Security Council Resolution N1450, December 13, 2002, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N02/740/29/PDF/N0274029.pdf?OpenElement> (ნანახია: 24.07.2010).

⁶³ Security Council Resolution N1465, February 13, 2003, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N03/247/96/PDF/N0324796.pdf?OpenElement> (ნანახია: 24.07.2010).

ხოლო მშვიდობისათვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში უშიშროების საბჭო წყვეტს კოლექტიური უსაფრთხოების ღონისძიების გამოყენების საკითხს.⁶⁴

მიუხედავად განსხვავებისა, ზემოაღნიშნული ორივე კატეგორია შეიძლება ერთდროულად არსებობდეს. II სექტემბრის ტერორისტული აქტის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების მიერ თავდაცვითი ღონისძიებების განხორციელების გარდა, უშიშროების საბჭომ უშუალოდ 1373-ე რეზოლუციაში მიუთითა, რომ სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები ტერორისტული აქტების დაფინანსების შესაჩერებლად, აკრძალონ ტერორისტული ჯგუფები, არ დაუშვან ტერორისტების იარაღით მომარაგება და ა.შ.⁶⁵ საწინააღმდეგო ძალის გამოყენებამ, ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვის უფლების განხორციელებამ შეიძლება ალაგმოს ალ-ქაიდა ავღანეთიდან. მაგრამ უშიშროების საბჭო თავისუფალია, გადაწყვიტოს, კოლექტიური უსაფრთხოების თუ რა ზომებს მიმართავს არსებულ გარემოებათა გათვალისწინებით. ამასთანავე, ღონისძიებათა ორივე ტიპი – როგორც თავდაცვითი, ისე კოლექტიური უსაფრთხოების – შეიძლება წარმოიშვას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.⁶⁶

1368-ე და 1373-ე რეზოლუციები უთითებს, რომ ნებისმიერი საერთაშორისო ტერორისტული აქტი არის საფრთხე საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის. მაშასადამე, უშიშროების საბჭოს შეუძლია, ქვეყნის შიგნით ტერორიზმის საფრთხის არსებობა მიიჩნიოს საფრთხედ საერთაშორისო მშვიდობისთვის. რამდენიმე შემთხვევაში კონკრეტული სახელმწიფოს საზღვრების ფარგლებში არსებული საშინაო ვითარება უშიშროების საბჭომ ჩათვალა საფრთხედ საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის.⁶⁷ უშიშროების საბჭომ შეიძლება მიიჩნიოს, რომ არასაერთაშორისო შეიარაღებული თავდასხმა საფრთხეა მშვიდობისათვის, და მიიღოს შესაბამისი ღონისძიებები იმის წინააღმდეგ, ვისაც მშვიდობისთვის ხელისშემშლელად ჩათვლის.⁶⁸ 1997 წელს უშიშროების საბჭომ მიიღო №1127 რეზოლუცია და განსაზღვრა, რომ ანგოლაში არსებული სიტუაცია საფრთხეს უქმნიდა საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას რეგიონში. საბჭომ წესდების მე-7 თავის მიხედვით დაუწესა სანქციები არასახელმწიფოებრივ წარმონაქმნს – კავშირს ანგოლის სრული დამოუკიდებლობისთვის.⁶⁹

2004 წელს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ №1540 რეზოლუციაში მითითებულია, რომ ბირთვული, ქიმიური და

⁶⁴ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.286.

⁶⁵ Security Council Resolution N1373, September 28, 2001, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N01/557/43/PDF/N0155743.pdf?OpenElement> (განახობა: 24.07.2010).

⁶⁶ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.286.

⁶⁷ Kirgis Frederic L., The Security Council's First Fifty Years, Volume 89, American Journal of International Law, 1995, pp. 506, 513–514.

⁶⁸ Kooijmans P. H., The Security Council and Non-State Entities as Parties to Conflicts, International Law: Theory and Practice (Essays in Honour of Eric Suy), editor: Karel Wellens, Kluwer Law International, Hague, 1998, pp. 333, 339.

⁶⁹ Security Council Resolution N1127, August 28, 1997, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N97/226/93/PDF/N9722693.pdf?OpenElement> (განახობა: 24.05.2010).

ბიოლოგიური იარაღის გავრცელება საფრთხეა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის.⁷⁰

ამასთანავე, უშიშროების საბჭომ შეიძლება ადამიანის უფლებების ხელყოფა ძალის გამოყენების გარეშე ჩათვალოს საფრთხედ მშვიდობისთვის.⁷¹

რაც შეეხება მშვიდობის ხელყოფასა და აგრესიას შორის განსხვავებას, წესდება ნათლად არ მიუთითებს, თუ რა განსხვავებაა ამ ორ კატეგორიას შორის.⁷² პრაქტიკაში თავად უშიშროების საბჭო განსაზღვრავს ამ თუ იმ ქმედების მშვიდობის ხელყოფის ფაქტად მიჩნევას ან აგრესიის აქტად აღიარებას.

გაეროს წესდების 25-ე მუხლის თანახმად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები თანხმდებიან, რომ მიიღებენ და განახორციელებენ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს წესდების შესაბამისად.⁷³ სადავო არ უნდა იყოს, უშიშროების საბჭოს თუ რომელ გადაწყვეტილებებზე მიუთითებს 25-ე მუხლი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უშიშროების საბჭოს მიერ გაეროს წესდების მე-7 თავის ეგიდით მიღებული გადაწყვეტილებების მიზანი საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვა ან აღდგენა უნდა იყოს, რათა მათ ჰქონდეთ სამართლებრივად სავალდებულო ხასიათი.⁷⁴

1971 წელს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ სარეკომენდაციო დასკვნაში *ნამიბიის* საქმეზე მიუთითა, რომ 25-ე მუხლი არ მოიცავს მხოლოდ უშიშროების საბჭოს მე-7 თავით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს.⁷⁵ მიუხედავად ამისა, არ არსებობს კითხვის ნიშანი უშიშროების საბჭოს მე-7 თავით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებათა სავალდებულო ხასიათთან დაკავშირებით. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ განაცხადა, რომ ამ გადაწყვეტილებების სავალდებულობა აღიარებულია არა მარტო 25-ე მუხლით, არამედ მასზე განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული წესდების 48-ე და 49-ე მუხლებში.⁷⁶

წესდების 48-ე მუხლის თანახმად, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებათა შესასრულებლად მოქმედებს ორგანიზაციის ყველა წევრი ან ზოგიერთი მათგანი, იმის მიხედვით, როგორც ამას უშიშროების საბჭო განსაზღვრავს. ასეთ გადაწყვეტილებებს ორგანიზაციის წევრები ასრულებენ უშუალოდ, აგრეთვე სათანადო

⁷⁰ Security Council Resolution N1540, April 28, 2004, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N04/328/43/PDF/N0432843.pdf?OpenElement> (ნანახის: 24.05.2010).

⁷¹ Gill T. D., *Legal and Some Political Limitations on the Power of the UN Security Council to Exercise Its Enforcement Powers under Chapter VII of the Charter*, Netherlands Yearbook of International Law, Volume 26, 1995, pp. 33, 42-43.

⁷² Dinstein Yoram, *War, Aggression and Self-Defence*, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.287.

⁷³ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, თბ., გამომცემელი: “ბონა კაუზა”, 2008, გვ.14.

⁷⁴ Dinstein Yoram, *War, Aggression and Self-Defence*, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.288.

⁷⁵ იქვე, გვ. 289.

⁷⁶ იქვე.

საერთაშორისო დაწესებულებების მეშვეობით, რომელთა წევრებიც არიან.⁷⁷

წესდების 49-ე მუხლის მიხედვით კი, ორგანიზაციის წევრები უნდა გაერთიანდნენ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით მიღებულ ღონისძიებათა განსახორციელებლად და ერთმანეთის დასახმარებლად.⁷⁸

წესდების 48-ე მუხლის გაანალიზების შედეგად შეიძლება ითქვას შემდეგი: პირველი, უშიშროების საბჭო წესდების მე-7 თავით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს იღებს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვისა და აღდგენის მიზნით; მეორე, 48-ე მუხლი ნათელყოფს, რომ საბჭომ გადაწყვეტილების იმპლემენტაცია შეიძლება დაავალოს რამდენიმე წევრ ქვეყანას ან ყველას; მესამე, 48-ე მუხლი უშვებს საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებას რეგიონალური ორგანიზაციების მეშვეობით. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ 48-ე მუხლი ეხება მხოლოდ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც წერილობით ავალდებულებს სახელმწიფოს, განახორციელოს სათანადო ღონისძიება, და ის არ ეხება ისეთ მოქმედებას, რომლის სავალდებულობა არ არის საბჭოს მიერ განსაზღვრული.⁷⁹

დასაშვებ ქმედებას ეხება უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეკომენდაცია, რომელიც მომდინარეობს გაეროს წესდების 39-ე, და არა 48-ე, მუხლიდან. არც ერთ წევრს არ მოეთხოვება, განახორციელოს იძულებითი მოქმედება, თუ არ არსებობს უშიშროების საბჭოს მავალდებულებელი გადაწყვეტილება. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოებმა, ერთობლივად ან რამდენიმემ, შეიძლება ნებაყოფლობით განახორციელონ იძულებითი ღონისძიება საბჭოს არასავალდებულო მოწოდების საპასუხოდ, მაგრამ ეს ღონისძიება უნდა იყოს დაკანონებული საბჭოს მიერ მშვიდობისათვის საფრთხის შექმნის, მშვიდობის ხელყოფისა და აგრესიის შემთხვევებში.⁸⁰

გაეროს წესდების 39-ე მუხლი იყენებს მავალდებულებელ სიტყვას – „უნდა“, როდესაც აღწერს უშიშროების საბჭოს ფუნქციას კოლექტიური უსაფრთხოების სფეროში: საბჭომ უნდა განსაზღვროს მშვიდობისათვის ნებისმიერი საფრთხის, მშვიდობის ამა თუ იმ დარღვევის ან აგრესიის აქტის არსებობა და შეიმუშაოს რეკომენდაცია, ან გადაწყვიტოს, თუ რა ზომებს მიიღებენ საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დასაცავად და აღსადგენად.⁸¹

ნებისმიერი ქმედება ხორციელდება უშიშროების საბჭოს რეზოლუციის თანახმად. გაეროს წესდების 27-ე მუხლის მიხედვით, საბჭოს რეზოლუციის მისაღებად საჭიროა სულ ცოტა 9 წევრის ხმა.⁸² საბჭოს ცხრა წევრს შორის ჩაითვლება ყველა მუდმივი წევრის თანხმდომი ხმა. თუ ერთ-ერთი მუდმივი წევრი (ამერიკის შეერთებული შტატები, ჩინეთი, საფრანგეთი, გაერთიანებული სამეფო, რუსეთის

⁷⁷ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, თბ., გამომცემელი: “ბონა კაუზა”, 2008, გვ.21.

⁷⁸ იქვე.

⁷⁹ Schachter O., Legal Aspects of the Gulf War of 1991 and Its Aftermath, Law, Policy, and International Justice (Essays in Honour of Maxwell Cohen), Editors: W. Kaplan and D. McRae, 1993, pp. 5, 20.

⁸⁰ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.290.

⁸¹ იქვე.

⁸² Protocol of Entry into Force of the Amendments to Articles 23, 27 and 61 of the Charter of the United Nations, United Nations Juridical Yearbook, 1965, pp. 159, 160.

ფედერაცია) გამოიყენებს ვეტოს უფლებას და არ დაეთანხმება რეზოლუციის ტექსტს, გადაწყვეტილებას ვერ მიიღებენ.

გაეროს წესდების 27-ე მუხლი ეხება უშიშროების საბჭოში საკითხის განხილვისას კენჭისყრის წესს. მუდმივი წევრის მიერ რეზოლუციის უარყოფისას საკითხი ჩავარდება, მაშინ როდესაც თავის შეკავების ან კენჭისყრაში არმონაწილეობისას ეს არ მიიღება მხედველობაში.⁸³

როდესაც საკამათო იყო წესდების 27-ე მუხლის ინტერპრეტაცია, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ *ნამიბიის* საქმეზე დაადასტურა საბჭოს ერთიანი პრაქტიკა.⁸⁴

თავის შეკავება ან არმონაწილეობა კენჭისყრაში ერთი ან მეტი მუდმივი წევრი ქვეყნის მიერ არის საერთო მოვლენა, ასახული უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციების თითქმის მეოთხედში.⁸⁵

წესდების 27-ე მუხლი, ასევე, უთითებს, რომ კამათის მონაწილე მხარემ გადაწყვეტილების მიღებისას კენჭისყრისაგან თავი უნდა შეიკავოს, VI თავისა და 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე. ამდენად, იგი ამ წესის განსაზღვრისას არ ეხება მე-7 თავით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს. შესაბამისად, მუდმივ ქვეყნას შეუძლია გამოიყენოს ვეტო და ჩაშალოს კენჭისყრა მე-7 თავით გათვალისწინებული ღონისძიებების განხილვისას, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი დავის მხარე. ყოველივე ეს კი მიანიშნებს იმაზე, რომ მუდმივი წევრი შესაძლოა მუდმივად იყოს დამაბრკოლებელი ფაქტორი ნებისმიერი რეზოლუციის მიღებისას, რომელიც ეხება წესდების მე-7 თავს.⁸⁶

რეალისტური თვალთახედვით, წესდების კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა უმკლავდება მხოლოდ „მშვიდობის უმნიშვნელო/მეორეხარისხოვან დამრღვევებს“.⁸⁷ შეიარაღებული კონფლიქტები (იქნება ეს საერთაშორისო თუ ქვეყნის შიგნით მიმდინარე), რომლებშიც მუდმივი წევრები პირდაპირ ან არაპირდაპირ ჩართულები არიან და აქვთ თავიანთი ინტერესები და მიზნები, პრაქტიკულად გამორიცხავს წესდებით გათვალისწინებული კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის მიღწევას.⁸⁸

რაც შეეხება თავდაცვითი უფლების განხორციელებისას მიღებული ზომების შესახებ უშიშროების საბჭოსთვის დაუყოვნებლივ შეტყობინებას, *ნიკარაგუის* საქმის განხილვის შემდეგ ნათელია, რომ სახელმწიფოებმა უნდა შეასრულონ 51-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება. კერძოდ, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნა, რომ უშიშროების საბჭოსთვის შეტყობინების

⁸³ Stavropoulos Constantin, The Practice of Voluntary Abstentions by Permanent Members of the Security Council under Article 27, Paragraph 3, of the Charter of the United Nations, *American Journal of International Law*, Volume 61, 1967, pp. 737, 742–4.

⁸⁴ Dinstein Yoram, *War, Aggression and Self-Defence*, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.291.

⁸⁵ Franck T.M., *Recourse to Force: State Action against Threats and Armed Attacks*, Cambridge, 2002, p.8.

⁸⁶ Dinstein Yoram, *War, Aggression and Self-Defence*, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.291.

⁸⁷ იქვე, გვ. 292.

⁸⁸ იქვე.

არარსებობა შეიძლება გახდეს ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც მიუთითებს თავდაცვის უფლების გამოყენების საექსპორტოზე.⁸⁹ მოსამართლე შევებელმა თავის განსხვავებულ მოსაზრებაში გააკრიტიკა ზემოაღნიშნული პოზიცია და აღნიშნა, რომ იგი მიუღებელია ფარული თავდაცვის შემთხვევაში.⁹⁰

ნიკარაგუის საქმის განხილვამდე უშიშროების საბჭოსთვის თავდაცვითი ღონისძიებების შესახებ შეტყობინების მოთხოვნა არ იყო მკაცრად დაცული ინდივიდუალური თავდაცვითი უფლების გამოყენებისას (განსხვავებული პრაქტიკაა კოლექტიურ თავდაცვასთან მიმართებით).⁹¹

უშიშროების საბჭო, ჩვეულებრივ, კონფლიქტის დასაწყისში არ აცხადებს, რომ თავდაცვის უფლების გამოყენების მოთხოვნა სამართლიანია. გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფოები თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევაში ცდილობენ, უშიშროების საბჭოს წარუდგინონ როგორც უშუალოდ დაზარალებული ქვეყნები. მაგალითად, ირან-ერაყის ომის დროს ორივე სახელმწიფომ განმეორებით შეატყობინა უშიშროების საბჭოს კონფლიქტის შესახებ, რადგან უშიშროების საბჭოს არ გაუკეთებია პირველადი განმარტება იმასთან დაკავშირებით, იყო თუ არა ერაყი აგრესორი. თავის მხრივ, ერაყი ცდილობდა, ეჩვენებინა, რომ ის იყო მსხვერპლი ქვეყანა, განსაკუთრებით ირანის მიერ 1987 წლის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ სავალდებულო რეზოლუციის შესრულებაზე უარის თქმის შემდეგ.⁹² ასევე საკამათოა, რომ ასეთი მოხსენებები ეფუძნება წესდების 51-ე მუხლს, ვიდრე ომის კანონებს, სადაც ქმედების კანონიერების საექსპორტო საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საქმეა. ვიეტნამის ომის დროს ამერიკის შეერთებული შტატები ძალის გამოყენებას ამართლებდა კოლექტიური თავდაცვის უფლებით. ამასთან, მან შემდგომ უშიშროების საბჭოს შეატყობინა ჩრდილოეთ ვიეტნამის პორტის დანადგმისა და კამბოჯის დაბომბვის თაობაზე, როგორც თავდაცვის უფლების გამოყენების საფუძველზე განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.⁹³ ფოლკლენდის კონფლიქტის დროს კი გაერთიანებული სამეფოს მოხსენება მიმდინარე მოვლენების შესახებ თავდაცვის უფლების მიხედვით შესაძლოა, ასახავდეს ეჭვს, რომ ისინი ომის კანონების შესატყვისია.⁹⁴

ამასთანავე, საინტერესოა, სახელმწიფოების მიერ თავდაცვის უფლებასა და უშიშროების საბჭოს შესაძლებლობებს შორის კავშირის დადგენა. უშიშროების საბჭო არის თუ არა წესდების მე-7 თავის საფუძველზე შეზღუდული, არ მიმართოს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუშლის გაეროს წესდების 51-ე მუხლით გათვალისწინებული თავდაცვის უფლების გამოყენებას? ეს კითხვა გაჩნდა 1977 წელს, როდესაც საფრანგეთი ირწმუნებოდა, რომ იარაღის

⁸⁹ Gray Christine, *International Law and the Use of Force*, Second Edition, Oxford University Press, 2004, p.102.

⁹⁰ იქვე.

⁹¹ იქვე.

⁹² იქვე, გვ. 104.

⁹³ Falk R. A., *The Vietnam War and International Law*, Volume 3, Princeton University Press, 1972, pp. 23-148.

⁹⁴ Gray Christine, *The British Position in regard to the Gulf Conflict*, *International and Comparative Law Quarterly*, Volume 37, 1988, pp. 420-421.

ემბარგოს დაწესებას სამხრეთ აფრიკისათვის შეეძლო მისი თავდაცვის უფლების ხელყოფა. მიუხედავად ამისა, საფრანგეთმა კენჭისყრის დროს მხარი დაუჭირა სამხრეთ აფრიკისათვის ემბარგოს დაწესებას, რადგან მისი განცხადებით სამხრეთ აფრიკის მთავრობას იარაღი სჭირდებოდა ქვეყნის შიგნით რეპრესიების განსახორციელებლად.⁹⁵ იგივე კითხვა წარმოიშვა *სიერა-ლეონეს* საქმის განხილვის დროს, როდესაც სიერა-ლეონეს მთავრობას უნდოდა დაეცვა იარაღით მომარაგების კანონიერება და სურდა, ემბარგო გაეროცელებულიყო მხოლოდ იმ პირებზე, რომლებმაც მოიპოვეს ძალაუფლება სახელმწიფო გადატრიალებით. თუმცა მსგავსი ჩანაწერი უშიშროების საბჭოს 1132-ე რეზოლუციაში (1997 წელი) არ აისახა.⁹⁶

ეს საკითხი კვლავ საკამათო გახდა ყოფილი იუგოსლავიის კონფლიქტის დროს. კონფლიქტის დაწყებისთანავე, 1991 წელს, უშიშროების საბჭომ დააწესა იარაღის ემბარგო იუგოსლავიის მთელ ტერიტორიაზე. 713-ე რეზოლუცია მიიღეს ერთსულოვნად და იარაღის ემბარგო დააწესეს იუგოსლავიის ფედერალური მთავრობის თანხმობით. მაგრამ იუგოსლავია დაიშალა და 1992 წლის მაისში ბოსნია-ჰერცეგოვინა გახდა გაეროს წევრი. ბოსნია-ჰერცეგოვინა ირწმუნებოდა, რომ იარაღის ემბარგო მას არ უნდა შეხებოდა, რადგან გაეროს წესდების 51-ე მუხლის საფუძველზე მისთვის მინიჭებულ თავდაცვის ხელშეუვალ უფლებას უნდა ჰქონოდა უპირატესი ძალა ემბარგოზე იმ მიზნით, რომ ეს უფლება გამოეყენებინა იუგოსლავიის (სერბიისა და მონტენეგროს) წინააღმდეგ. თუმცა უშიშროების საბჭომ უარი განაცხადა ემბარგოს გაუქმებაზე.⁹⁷

საუკეთესო პოზიცია ზემოაღნიშნულ შემთხვევაში არის ის, რომ იარაღის ემბარგოს დაწესებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს თავდაცვის უფლებაზე, მაგრამ ეს, ფაქტობრივად, არ გულისხმობს თავდაცვის უფლების უგულებელყოფას.⁹⁸

იგივე კითხვა წარმოიშვა *რუანდის* საქმის განხილვისას. 1994 წელს რუანდის მთავრობის სურვილის საწინააღმდეგოდ უშიშროების საბჭომ დააწესა იარაღის ემბარგო, რათა თავიდან აეცილებინა ძალადობის ესკალაცია, თუმცა რუანდა მიიჩნევდა, რომ საბჭოს უნდა გაეუქმებინა იგი, რადგან არსებობდა გარე საფრთხეები. რუანდის მცდელობა იარაღის ემბარგოს დაწესების წინააღმდეგ, რომელიც მას ქვეყნის შიგნით მიმდინარე კონფლიქტის გამო დაუწესეს, და რომელიც გარეშე ძალების ჩარევით ხორციელდებოდა, წარმატებით დასრულდა.⁹⁹

⁹⁵ Gray Christine, *International Law and the Use of Force*, Second Edition, Oxford University Press, 2004, p.106.

⁹⁶ იქვე.

⁹⁷ იქვე.

⁹⁸ იქვე, გვ. 107.

⁹⁹ იხ.: UN Publications Blue Book Series, *The United Nations and Rwanda: 1993-1996*, Volume 10, New York: United Nations Department of Public Information, 1996.

3.2. გენერალური ასამბლეის კომპეტენცია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ძალაში შესვლიდან უმოკლეს პერიოდში აშკარა გახდა, რომ ვეტოს უფლების არსებობის გამო უშიშროების საბჭო გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა.

1950 წელს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ცნობილი რეზოლუცია „ერთობა მშვიდობისთვის“, რომელშიც აღინიშნა, რომ უშიშროების საბჭოში მუდმივი წევრების ერთსულოვნების ნაკლებობა აფერხებს საბჭოს ძირითადი პასუხისმგებლობის შესრულებას მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. გენერალურმა ასამბლეამ შესაძლებელია, მიიღოს შესაბამისი რეკომენდაციები კოლექტიური ღონისძიებების შესახებ მშვიდობის ხელყოფის ან აგრესიის დროს. თუ ამ პერიოდში გენერალური ასამბლეის სესია არ მიმდინარეობს, რიგგარეშე სპეციალური სესია მოიწვევა 24 საათში, უშიშროების საბჭოს 7 წევრის ან ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით, ან უმრავლესობისაგან თანხმობის მიღების საფუძველზე.¹⁰⁰

რეზოლუციის – „ერთობა მშვიდობისათვის“ – მიღება მიჩნეული იყო ეპოქალურ ნაბიჯად.¹⁰¹

მიუხედავად ამისა, ამ რეზოლუციას არ შეუძლია, ცვლილებები შეიტანოს გაეროს წესდებაში.¹⁰² ამასთანავე, გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ რეკომენდაციებს არ აქვს სავალდებულო ხასიათი და მათი შესრულება წევრი ქვეყნებისთვის არის მხოლოდ ნებაყოფლობითი.¹⁰³

რეზოლუციაში არსადაა ნახსენები, რომ გენერალური ასამბლეა დაიკავებს უშიშროების საბჭოს ადგილს.¹⁰⁴

1962 წელს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ სარეკომენდაციო დასკვნაში გაეროს ცალკეული ხარჯების შესახებ მიუთითა, რომ მხოლოდ უშიშროების საბჭო არის უფლებამოსილი, დააკისროს წევრ ქვეყანას გაეროს წესდების მე-7 თავიდან გამომდინარე ვალდებულებები.¹⁰⁵

„ცივი ომის“ პერიოდში გენერალური ასამბლეა ცდილობდა, აეღო უშიშროების საბჭოს ძირითადი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში, თუმცა „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში ეს ტენდენცია თანდათან შეიცვალა.¹⁰⁶

¹⁰⁰ Resolution - “Uniting for Peace” (adopted by General Assembly on November 3, 1950), N377, <http://www.un.org/ga/about/background.shtml> (ნანახია: 25.02.2010).

¹⁰¹ Woolsey L. H., The “Uniting for Peace” Resolution of the United Nations, American Journal of International Law, Volume 45, 1951, pp. 129, 130.

¹⁰² Andrassy Juraj, “Uniting for Peace”, American Journal of International Law, Volume 50, 1956, pp. 563, 572.

¹⁰³ Stone J., Legal Controls of International Conflict: A Treatise on the Dynamics of Disputes and War – Law, London, 1954, p.274.

¹⁰⁴ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.316.

¹⁰⁵ Advisory Opinion on Certain Expenses of the United Nations (Article 17, Paragraph 2, of the Charter), International Court of Justice, 1962, <http://www.icj-cij.org/docket/index.php> (ნანახია: 25.02.2010).

¹⁰⁶ White N. D., Keeping the Peace: The United Nations and the Maintenance of International Peace and Security, Second Edition, Manchester: Manchester University Press, 1997, p.143.

საბოლოო ჯამში, უშიშროების საბჭოს მიერ თავისი მანდატის შეუსრულებლობის შემთხვევაში, გაეროში არც ერთ სხვა ორგანოს არ შეუძლია მისი ჩანაცვლება.

ნებისმიერ შემთხვევაში გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეკომენდაცია, რომელიც ეხება საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებს, მოკლებულია პოლიტიკურ მნიშვნელობას და არ იწვევს წევრი ქვეყნების მიმართ სამართლებრივი ვალდებულებების წარმოშობას. პრაქტიკულად, გენერალური ასამბლეა უუნაროა, მოითხოვოს რაიმე სავალდებულო ღონისძიების განხორციელება ახალი სამართლებრივი დასაყრდენის მოძიებით.¹⁰⁷

როდესაც გენერალური ასამბლეა რეკომენდაციაში უთითებს ძალის გამოყენებაზე, ეს ინტერპრეტირებული უნდა იქნეს როგორც შეგონება, დარწმუნება წევრი ქვეყნებისა, მიმართონ ერთობლივ მოქმედებას თავიანთი კოლექტიური თავდაცვის ხელშეუვალი უფლების განხორციელებისას.¹⁰⁸

გენერალური ასამბლეა მოკლებულია უფლებამოსილებას, დაავალოს წევრ ქვეყნებს, გამოიყენონ თავდაცვის უფლება. გენერალური ასამბლეის პრეროგატივა ისაა, რომ მას შეუძლია, წევრი ქვეყნები წააქეზოს, გამოიყენონ წესდებით (ასევე საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით) მინიჭებული უფლება.¹⁰⁹

კოლექტიური უსაფრთხოება განსხვავდება კოლექტიური თავდაცვისაგან. კოლექტიურ თავდაცვას შეიძლება მიმართონ გენერალური ასამბლეის ინიციატივით. რეზოლუცია „ერთობა მშვიდობისათვის“ ფრთხილია, როდესაც ეხება გენერალური ასამბლეის მიერ შეიარაღებული ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით რეკომენდაციის მიცემას. რეზოლუციის თანახმად, გენერალურ ასამბლეას ეს შეუძლია მშვიდობის ხელყოფის ან აგრესიის დროს და არა მშვიდობისათვის საფრთხის შექმნის დროს.¹¹⁰

3.3. უშიშროების საბჭოსა და გენერალურ ასამბლევას შორის უფლებამოსილების გამიჯვნა

გაეროს წესდება უზრუნველყოფს ორივე ზემოაღნიშნულ ორგანოს შორის ფუნქციების გადანაწილებას. წესდების მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გენერალური ასამბლეა უფლებამოსილია, განიხილოს ყოველი საკითხი, რომელიც საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვას ეხება და რომელსაც მის წინაშე დასვამს ორგანიზაციის ნებისმიერი წევრი ან უშიშროების საბჭო, ან სახელმწიფო, რომელიც არ არის ორგანიზაციის წევრი, წესდების 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და მე-12 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა. იგი ნებისმიერ ასეთ

¹⁰⁷ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.317.

¹⁰⁸ Thomas Ann Van Wynen and Thomas Aaron Joshua, Non-Intervention: The Law and Its Import in the Americas, Dallas, 1956, pp. 175–176.

¹⁰⁹ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.317.

¹¹⁰ იქვე.

საკითხზე რეკომენდაციას შეიმუშავენ დაინტერესებული სახელმწიფოებისა და უშიშროების საბჭოსათვის. ხოლო ნებისმიერ საკითხს, რომელიც მოითხოვს აუცილებელ მოქმედებას, გენერალური ასამბლეა განხილვამდე ან მის შემდეგ, გადასცემს უშიშროების საბჭოს.¹¹¹ რაც შეეხება წესდების მე-12 მუხლს, მისი მიზანია, თავიდან აიცილოს უშიშროების საბჭოსა და გენერალურ ასამბლეას შორის უთანხმოება. გაეროს წესდების მე-12 მუხლის თანახმად, როდესაც უშიშროების საბჭო ასრულებს გაეროს წესდებით დაკისრებულ ფუნქციებს რაიმე დავასა თუ სიტუაციასთან დაკავშირებით, გენერალურ ასამბლეას არ შეუძლია, შეიმუშაოს რეკომენდაცია ამ დავისა თუ სიტუაციის თაობაზე, თუ უშიშროების საბჭო არ მოითხოვს ამას.¹¹² მიუხედავად ამისა, უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის ფუნქციები არ არის მკაცრად გამიჯნული.¹¹³

როგორც უკვე აღინიშნა, გენერალურმა ასამბლეამ უშიშროების საბჭოს ინერტულობისა და ძირითადი ფუნქციის შეუსრულებლობის შედეგად 1950 წელს მიიღო რეზოლუცია „ერთობა მშვიდობისათვის“, რომელიც გენერალურ ასამბლეას ნებას რთავდა, მოეწვია საგანგებო შეხვედრა, როდესაც უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები ვერ თანხმდებოდნენ, თავიანთი მთავარი მოვალეობის განხორციელებისას დაეცვათ საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება. ამდენად, გენერალურმა ასამბლეამ შეიძლება რეკომენდაცია გაუწიოს კოლექტიურ ღონისძიებებს, თუ ეს აუცილებელია.¹¹⁴

წესდების მე-12 მუხლის დანიშნულებამ თანდათან პრაქტიკაში მნიშვნელობა დაკარგა. გენერალური ასამბლეა შეიმუშაებდა რეკომენდაციებს მაშინაც, როდესაც უშიშროების საბჭო აქტიურად განიხილავდა ამ საკითხს. თუ უშიშროების საბჭო რეალურად არ ახორციელებდა თავის ფუნქციებს კონკრეტულ შემთხვევაში, ან თუ რეზოლუციის მიღებას აფერხებდა ვეტოს უფლების გამოყენება, გენერალური ასამბლეა უშვებდა რეკომენდაციის შემუშავების შესაძლებლობას, რომელიც უშუალოდ არ ეწინააღმდეგებოდა უშიშროების საბჭოს რეზოლუციას.¹¹⁵

გენერალურმა ასამბლეამ მიიღო მთელი რიგი რეზოლუციებისა, რომლებშიც მხილებულია კონკრეტული მოქმედებები, როდესაც უშიშროების საბჭომ ვერ მიაღწია შეთანხმებას რეზოლუციის მისაღებად ან ვერ შეეძლო ქმედითი ღონისძიებების განხორციელება დამრღვევი ქვეყნის წინააღმდეგ. თუმცა რამდენიმე დასავლურმა ქვეყანამ გენერალური ასამბლეის ზემოაღნიშნული რეზოლუციები მხოლოდ აზრს მოკლებულ რიტორიკად მიიჩნია.¹¹⁶

¹¹¹ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, თბ., გამომცემელი: “ბონა კაუზა”, 2008, გვ.10.

¹¹² იქვე.

¹¹³ Gray Christine, *International Law and the Use of Force*, Second Edition, Oxford University Press, 2004, p.200.

¹¹⁴ იქვე.

¹¹⁵ Gray Christine, *Bosnia and Herzegovina: Civil War or Inter-State Conflict: Characterisation and Consequences*, British Yearbook of International Law, Volume 67, 1996, p.155.

¹¹⁶ Gray Christine, *International Law and the Use of Force*, Second Edition, Oxford University Press, 2004, p.201.

3.4. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო (ICJ)

მიუხედავად განსხვავებისა, უშიშროების საბჭოსა და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს შორის არსებობს ურთიერთკავშირი. პირველ რიგში, საუბარია საბჭოსა და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს თანმხვედრ კომპეტენციაზე, ხოლო მეორე მხრივ, საინტერესოა, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს რამდენად შეუძლია, გააუქმოს საბჭოს რეზოლუციები მიღებული წესდების მე-7 თავიდან გამომდინარე.¹¹⁷

ნიკარაგუის საქმეში ამერიკის შეერთებული შტატები დავობდა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციაზე, განეხილა ძალის გამოყენების კანონიერებასთან (მათ შორის აგრესიის აქტების ან მშვიდობის ხელყოფის შემთხვევებში) დაკავშირებული საჩივრები იმ საფუძველზე, რომ ეს არის, წესდების თანახმად, გაეროს პოლიტიკური ორგანოების, უმთავრესად უშიშროების საბჭოს, ფუნქცია.¹¹⁸ 1984 წელს სასამართლომ უარი თქვა ამ არგუმენტის მიღებაზე იმის გამო, რომ უშიშროების საბჭოს პასუხისმგებლობა ზემოაღნიშნულ სფეროში არის მხოლოდ ძირითადი და არა განსაკუთრებული.¹¹⁹ სასამართლო გადაწყვეტილებით ერთმანეთისგან გაიმიჯნა სასამართლოს ფუნქციები და უშიშროების საბჭოსათვის დაკისრებული პოლიტიკური მოვალეობები.¹²⁰ მოსამართლე შევებელმა გაიზიარა იგივე მიდგომა 1986 წელს თავის განსხვავებულ მოსაზრებაში:

როდესაც უშიშროების საბჭოს გაეროს წესდება ანიჭებს აგრესიის აქტის განსაზღვრის უფლებამოსილებას, ის არ მოქმედებს როგორც სასამართლო. მისთვის პოლიტიკური მიზეზები უპირატესია, ვიდრე სამართლებრივი. ამდენად, უშიშროების საბჭო არის პოლიტიკური ორგანო, რომელიც მოქმედებს პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე. განსხვავებით სასამართლოსგან, უშიშროების საბჭო არ არის შებოჭილი სამართლებრივი ასპექტებით და შეუძლია, არ გაითვალისწინოს ისინი.¹²¹

წესდების თანახმად, უშიშროების საბჭო პასუხისმგებელია საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვისა და აღდგენის ყველა მნიშვნელოვან მისიაზე. საბჭო უნდა იყოს კონცენტრირებული ამოცანის პოლიტიკურ, და არა სამართლებრივ, მხარეებზე. როგორც სერ ჯერალდ ფიცმორისმა აღნიშნა, საბჭო მიზნად არ ისახავს დასჯას საერთაშორისო სამართლის ნებისმიერი დარღვევისას, მიუხედავად ამისა, არაპირდაპირ მას შეუძლია ამ შედეგების მიღწევა.¹²² საბჭო არ არის სათანადო ორგანო, რომელსაც შეუძლია მიიღოს სასამართლო გადაწყვეტილება და განსაზღვროს, შეიარაღებული კონფლიქტისას ვინ

¹¹⁷ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.318.

¹¹⁸ იქვე.

¹¹⁹ იქვე.

¹²⁰ იქვე.

¹²¹ იქვე.

¹²² Fitzmaurice G.G., The Foundations of the Authority of International Law and the Problem of Enforcement, Modern Law Review, Volume 19, 1956, pp.1,5.

არის სამართლებრივი ვალდებულების დარღვევაში დამნაშავე. ასეთი განსაზღვრება უდავოდ შეაფერხებდა იმ ღონისძიებების განხორციელებას, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას.¹²³

საწინააღმდეგო შეიძლება ითქვას სასამართლოზე, რომელთან მიმართებითაც არ არსებობს ხელის შემშლელი პოლიტიკური დაბრკოლებები თუ მოტივები, იგი ქმედების კვალიფიკაციისას მთლიანად ეყრდნობა სამართლებრივ კრიტერიუმებს.¹²⁴

ორივე – უშიშროების საბჭოც და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოც – უფლებამოსილია, გამოხატოს თავისი პოზიცია ერთსა და იმავე მოვლენაზე: ერთი ორგანო ეხება პოლიტიკურ, ხოლო მეორე სამართლებრივ ასპექტებს. თუმცა შეიძლება წარმოიშვას შემდეგი კითხვა: როგორ ავიცილოთ ზემოაღნიშნული ორგანოების მიერ ერთდროულად თეორიულად გაუთვალისწინებელი ორი ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება? უმრავლეს შემთხვევაში, რეალობაში, რასაკვირველია, ასეთი პირდაპირი წინააღმდეგობა არ წარმოიქმნება.¹²⁵

სასამართლო, როგორც წესი, არ მოდის წინააღმდეგობაში იმასთან, რაც გაველენას ახდენს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვასა და აღდგენაზე. მისაღებია იმის დაშვება, რომ ასეთ საკითხებზე სამართლებრივი რეგულაციები მეორეხარისხოვანი დარჩება მომავალში.¹²⁶ როდესაც სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას აგრესიის აქტის არსებობის შესახებ, რთულია დაიჯერო, რომ იგი უნდა მიისწრაფოდეს საწინააღმდეგოსკენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება გახდეს სპეკულაციის თემა, პოტენციური უთანხმოების სცენარი უშიშროების საბჭოსა და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს შორის მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს. რა მოხდება, თუ საბჭო მიიჩნევს, რომ აგრესიის აქტი განახორციელა „არკადიამ“ „უტოპიის“ წინააღმდეგ, მაშინ როდესაც სასამართლო ადგენს, რომ „არკადია“ არ უნდა დაადანაშაულონ და, ფაქტობრივად, სწორედ ის არის აგრესიის მსხვერპლი. როგორც სასამართლომ შენიშნა *ნიკარაგუის* საქმეში, ასეთი საქმის წარმოებისას არ უნდა ითქვას, რომ უშიშროების საბჭო შეცდა. მაგრამ რა უნდა გააკეთოს სასამართლომ მომავალში, თუ ამის თქმა მოუხდა?¹²⁷

მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის დროს (როგორც ამას შეერთებული შტატები ასაბუთებს) უპირატესობა უნდა მიენიჭოს მხოლოდ უშიშროების საბჭოს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების აღდგენის მისიის განხორციელებისას. საბჭოს შეუძლია, მოითხოვოს ცეცხლის შეწყვეტა, ჯარების გაყვანა და იყოს შესაბამისი

¹²³ Schachter O., The Quasi-Judicial Role of the Security Council and the General Assembly, American Journal of International Law, Volume 58, 1964, p.960.

¹²⁴ Chimni B.S., The International Court and the Maintenance of Peace and Security: The Nicaragua Decision and the United States Response, International and Comparative Law Quarterly, Volume 35, 1986, pp. 960, 967-9.

¹²⁵ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.319.

¹²⁶ Schachter O., Self-Defense and the Rule of Law, American Journal of International Law, Volume 83, 1989, pp. 259, 276-277.

¹²⁷ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.320.

იძულებითი ზომების განსაზღვრის ინიციატორი, ძირითადი სამართლებრივი საკითხების დადგენის გარეშე. კონფლიქტის შედეგად მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო თავისუფალია გამოიკვლიოს არსებული ვითარება სამართლებრივ კრიტერიუმებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. მან შეიძლება ისეთი დასკვნები გააკეთოს, რომლებიც საწინააღმდეგოს ამბობენ საბჭოს მიერ აღრე მიღებულ გადაწყვეტილებებზე.¹²⁸

უშიშროების საბჭოს პასუხისმგებლობა მიმდინარე კონფლიქტში არის საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების აღდგენა. მშვიდობის აღდგენა გადაუდებელია, ვიდრე დავის მოგვარება, თუმცა ეს უნდა იყოს დროებითი პრიორიტეტი. მაგრამ არ არის აუცილებელი, უშიშროების საბჭოს ეკუთვნოდეს საბოლოო სიტყვა მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების შესახებ. საბოლოო გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს სასამართლომ, რა თქმა უნდა, თავისი იურისდიქციის ფარგლებში.¹²⁹

ნაკლებად სავარაუდოა, რომ საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტის მხარეებმა მიმართონ სასამართლოს დავის განხილვისათვის სწორედ სამხედრო მოქმედების მიმდინარეობისას. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს სასამართლოს იურისდიქციის უგულებელყოფის არანაირი მიზეზი.¹³⁰ უშიშროების საბჭო ვალდებულია, მხედველობაში მიიღოს ის ფაქტი, რომ სასამართლო ახორციელებს თავის უფლებამოსილებას ყოველგვარი შეუსაბამო ჩარევის გარეშე. მაგრამ თუ კონფლიქტის მხარეები ვერ თანხმდებიან, მიმართონ სასამართლოს დავის განსახილველად და, ამასთანავე, სამხედრო მოქმედებები არ არის დამთავრებული, სასამართლო ვალდებულია, შეზღუდოს თავისი ძალაუფლება, რათა თავიდან აიცილოს რეალური ან პოტენციური უთანხმოება უშიშროების საბჭოსთან.¹³¹

ლოკერბის საქმესთან დაკავშირებით წარმოიშვა კითხვა: აქვს თუ არა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სათანადო ძალაუფლება, გადახედოს უშიშროების საბჭოს მიერ გაეროს წესდების მე-7 თავით გათვალისწინებულ მავალდებულებელ რეზოლუციებს?¹³² 1987 წლის 21 დეკემბერს ავიაკომპანია „პანამერიკის“ კუთვნილი თვითმფრინავი, რომელიც რეისს ნიუ-იორკიდან ასრულებდა, შოტლანდიის პატარა ქალაქ ლოკერბის თავზე აფეთქდა, რის შედეგადაც 270 ადამიანი დაიღუპა. ორი ლიბიელი მოხელე იყო ეჭვმიტანილი ამ ტერორისტული აქტის განხორციელებაში და ლიბიას მოსთხოვეს მათი გადაცემა ან შეერთებული შტატების სასამართლოსთვის (ავიანახების ეროვნული სახელმწიფო), ან გაერთიანებული სამეფოსთვის (სახელმწიფო, რომლის საჰაერო სივრცეში მოხდა ტერორისტული აქტი). ლიბიამ უარი განაცხადა ამ

¹²⁸ იქვე.

¹²⁹ იქვე.

¹³⁰ Bilder R.B., Judicial Procedures Relating to the Use of Force, Virginia Journal of International Law, Volume 31, 1990-1991, pp. 249, 265.

¹³¹ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.321.

¹³² Beveridge Fiona, The Lockerbie Affair, International and Comparative Law Quarterly, Volume 41, 1992, pp. 907-20.

მოთხოვნაზე. უშიშროების საბჭომ მიიღო სამი რეზოლუცია ამ საკითხზე: პირველი რეზოლუცია (მიღებული 1992 წლის იანვარს, №731) ლიბიისგან ითხოვდა, ეთანამშრომლა ექვმიტანილთა გადაცემის საკითხში;¹³³ მეორე რეზოლუციის (მიღებული 1992 წლის მარტში, №748) თანახმად, გაეროს წესდების მე-7 თავის შესაბამისად, უშიშროების საბჭომ გადაწყვიტა, რომ ლიბიამ უნდა შეასრულოს შესაბამისი მოთხოვნები, მისი უარი კი საფრთხეა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის, ასევე საბჭომ ლიბიას დაუწესა სხვადასხვა სანქცია (მათ შორის საჰაერო ემბარგო);¹³⁴ მესამე რეზოლუციაში (მიღებული 1993 წლის ნოემბერში, №883) უშიშროების საბჭომ წესდების მე-7 თავზე დაყრდნობით კვლავ დაადასტურა მშვიდობისათვის საფრთხის არსებობა და გააფართოვა სანქციები, ძირითადად, გაყინა ლიბიის აქტივები საზღვარგარეთ.¹³⁵

1992 წლის მარტში, 731-ე რეზოლუციის შემდეგ, 748-ე და 883-ე რეზოლუციებამდე ლიბიამ დაიწყო საქმის აღძვრა გაერთიანებული სამეფოსა და ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში. ლიბიის განაცხადი ეყრდნობოდა სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ 1971 წლის მონრეალის კონვენციას.¹³⁶ ამერიკის შეერთებული შტატები და გაერთიანებული სამეფო ამტკიცებდნენ, რომ აღნიშნული საქმის განხილვა დაუშვებელი იყო. გაეროს წესდების 25-ე და 103-ე მუხლების თანახმად კი, უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს შეექმლოთ, ჩაენაცვლებინათ მონრეალის კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებები.¹³⁷ გაეროს წესდების 103-ე მუხლის მიხედვით, მომავალში წესდებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს აქვთ უპირატესი ძალა ნებისმიერ იმ ვალდებულებებთან მიმართებით, რომლებიც წევრმა ქვეყნებმა აიღეს საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე.¹³⁸

თავდაპირველად, 1992 წელს, სასამართლომ წესდების 25-ე და 103-ე მუხლების მითითებით პრაქტიკულად დაადასტურა 748-ე რეზოლუციის სავალდებულოობა; მიუხედავად ამისა, 1998 წელს სასამართლომ ლიბიის განაცხადის დასაშვებობა განსაზღვრა მისი შევსების თარიღის გათვალისწინებით. ამ თვალსაზრისით, მხედველობაში არ მიიღება უშიშროების საბჭოს 748-ე (1992 წელი) და 883-ე (1993 წელი) რეზოლუციები, რომლებიც მოგვიანებით იქნა მიღებული. უშიშროების

¹³³ Security Council Resolution N731, January 21, 1992, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/010/90/IMG/NR001090.pdf?OpenElement> (ნანახის: 24.07.2010).

¹³⁴ Security Council Resolution N748, March 31, 1992, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/011/07/IMG/NR001107.pdf?OpenElement> (ნანახის: 24.07.2010).

¹³⁵ Security Council Resolution N883, November 11, 1993, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N93/626/78/PDF/N9362678.pdf?OpenElement> (ნანახის: 24.07.2010).

¹³⁶ Montreal Convention for the Suppression of Unlawful Acts against the Safety of Civil Aviation, United Nations Juridical Yearbook, 1971, p.143.

¹³⁷ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.322.

¹³⁸ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, თბ., გამომცემელი: “ბონა კაუზა”, 2008, გვ.37.

საბჭომ 731-ე რეზოლუცია (1992 წელი) მიიღო სასამართლო განაცხადის შევსებამდე, რაც არ შეიძლება იყოს სამართლებრივად შემაფერხებელი ფაქტორი ამ განაცხადის დასაშვებობის საკითხის განხილვისას, რადგან ეს იყო უბრალოდ რეკომენდაცია, რომელსაც სავალდებულო ხასიათი არ ჰქონდა.¹³⁹

ნათელია, რომ ლიბიის მიერ განაცხადის შევსებამ გამოიწვია 748-ე რეზოლუციის მიღება, რომლის მავალდებულებელმა ტექსტმა წარმოშვა სამართლებრივი დაბრკოლება მისი დასაშვებობისთვის.

ორი ლიბიელი ექვმიტანილი გადასცეს პოლანდიას, რომელმაც თავის თავზე აიღო შოტლანდიის სასამართლოს მიერ ნიდერლანდების სამეფოში სასამართლო პროცესის ჩატარების უზრუნველყოფა, რათა სასამართლოს განეხილა ექვმიტანილთა საქმე.¹⁴⁰ უშიშროების საბჭომ მიიღო 1192-ე რეზოლუცია (1998 წელი), სადაც მიუთითა, რომ შეწყვეტდა ლიბიის წინააღმდეგ სანქციების განხორციელებას, როგორც კი ბრალდებულებს პოლანდიაში ჩაიყვანდნენ.¹⁴¹

საბოლოოდ, ერთ-ერთი ბრალდებული 2001 წელს გაასამართლეს. 2003 წელს ლიბია დასთანხმდა, გადაეხადა სათანადო კომპენსაცია დაღუპულთა ოჯახებისთვის. გადახდილი თანხა შეადგენდა 2,7 მილიარდ დოლარს. ამასთანავე, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოდან გამოტანილ იქნა განაცხადი ამერიკის შეერთებული შტატებისა და გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ.¹⁴² ხოლო უშიშროების საბჭომ, 1506-ე რეზოლუციის (2003 წელი) თანახმად, შეწყვიტა სანქციების განხორციელება ლიბიის წინააღმდეგ.¹⁴³

სასამართლომ *ლოკერბის* საქმეში თავი შეიკავა უშიშროების საბჭოსთან პირდაპირი უთანხმოებისგან.¹⁴⁴ მაგრამ ზემოაღნიშნული საქმის განხილვის შედეგად ჩნდება კითხვა - სასამართლოს აქვს თუ არა ძალაუფლება, მხედველობაში არ მიიღოს საბჭოს მავალდებულებელი გადაწყვეტილებები (როგორცაა, მაგალითად, 748-ე რეზოლუცია)?¹⁴⁵ თავის განსხვავებულ პოზიციაში 1998 წელს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პრეზიდენტმა შევებელმა უარყო, რომ სასამართლო, უმეტეს შემთხვევაში, არის ადჭურვილი უფლებამოსილებით, განახორციელოს უშიშროების საბჭოს მავალდებულებელი გადაწყვეტილებების სამართლებრივი გადასინჯვა და საჯაროდ განაცხადა, რომ სასამართლოს პრაქტიკულად არ აქვს ძალაუფლება, გააუქმოს, უკუაგდოს უშიშროების საბჭოს

¹³⁹ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.322.

¹⁴⁰ The Netherlands–United Kingdom, Agreement Concerning a Scottish Trial in the Netherlands, 1998, International Legal Materials, Volume 38, 1999, pp. 926, 927.

¹⁴¹ Security Council Resolution N1192, August 27, 1998, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N98/251/64/PDF/N9825164.pdf?OpenElement> (ნანახია: 21.03.2010).

¹⁴² Murphy S. D., Libyan Payment to Families of Pan Am Flight 103 Victims, American Journal of International Law, Volume 97, 2003, pp. 987, 990–1.

¹⁴³ Security Council Resolution N1506, September 12, 2003, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N03/498/81/PDF/N0349881.pdf?OpenElement> (ნანახია: 21.03.2010).

¹⁴⁴ Martenczuk B., The Security Council, the International Court and Judicial Review: What Lessons from Lockerbie?, European Journal of International Law, Volume 10, 1999, pp. 517, 532.

¹⁴⁵ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.323.

გადაწყვეტილებები მიღებული წესდების 39-ე, 41-ე და 42-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში.¹⁴⁶

1992 წელს მოსამართლე ვეერამანტრიმ თავის განსხვავებულ პოზიციაში უფრო მოდელირებული შეფასება გააკეთა სასამართლოსა და საბჭოს ურთიერთობების შესახებ. ნებისმიერი საქმის განხილვისას, რომლის საგანია უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების მართებულობა, კანონიერება, წესდების მე-7 თავიდან გამომდინარე, არ ნიშნავს, რომ სასამართლოს შეუძლია მისი სათანადოდ გადაწყვეტა.¹⁴⁷

გაეროს წესდების მე-7 თავის თანახმად, უშიშროების საბჭო არის აღჭურვილი ფართო დისკრეციული უფლებამოსილებით. როგორც წესი, სასამართლოს არ შეუძლია, შეეწინააღმდეგოს საბჭოს. ამის საუკეთესო მაგალითია ის, რომ უშიშროების საბჭოს მიერ ამა თუ იმ სიტუაციის მიხნევა მშვიდობისათვის საფრთხის შემქმნელად, არ საჭიროებს სასამართლოს მიერ ამ ფაქტების გადახედვას.¹⁴⁸ მიუხედავად ამისა, საბჭოს გადაწყვეტილებები უნდა იყოს კანონიერი.¹⁴⁹

მოსამართლე ვეერამანტრიმ საზი გაუსვა შემდეგ ფაქტს: ივარაუდება, რომ უშიშროების საბჭოს რეზოლუციები უნდა იყოს კანონიერი. მაგრამ, ასევე, აღსანიშნავია, რომ უშიშროების საბჭოს ძალაუფლება და კომპეტენცია წესდებიდან მომდინარეობს. შედეგად, თუ უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციები წესდებით გათვალისწინებული კანონიერი უფლებამოსილების ფარგლებს სცდება, სასამართლოს ყოველგვარი არჩევანის გაკეთების გარეშე შეუძლია მისი უკანონოდ, ძალადაკარგულად გამოცხადება.¹⁵⁰

გაეროს წესდების 25-ე მუხლის თანახმად, უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს წევრი ქვეყნები იღებენ და ახორციელებენ წესდების შესაბამისად.¹⁵¹

უშიშროების საბჭოს მავალდებულებელ გადაწყვეტილებებს შეიძლება ჰქონდეს უპირატესი ძალა საერთაშორისო სამართლის ჩვეულებრივ ნორმებთან მიმართებით, წესდების 103-ე და 25-ე მუხლებიდან გამომდინარე. თუმცა განსხვავებულია ვითარება, როდესაც საუბარია იმპერატიულ ნორმებზე (*jus cogens*).¹⁵² იმპერატიული ნორმა არის ქცევის წესი, რომელიც აღიარებულია სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ, მისი დარღვევა დაუშვებელია და შეცვლა შეიძლება მხოლოდ საყოველთაო საერთაშორისო სამართლის იმავე ხასიათის მქონე ნორმით.¹⁵³ ამდენად, არ არის მართებული, რომ წესდების 103-ე მუხლი წინააღმდეგობაში მოვიდეს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით განმტკიცებულ საერთაშორისო სამართლის

¹⁴⁶ იქვე.

¹⁴⁷ იქვე.

¹⁴⁸ Merrills J. G., *International Dispute Settlement*, 3rd ed., Cambridge University Press, 1998, p. 251.

¹⁴⁹ Dinstein Yoram, *War, Aggression and Self-Defence*, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.324.

¹⁵⁰ Bowett D., *The Impact of Security Council Decisions on Dispute Settlement Procedures*, *European Journal of International Law*, Volume 5, 1994, pp. 89, 95–6.

¹⁵¹ Gowlland-Debbas V., *Security Council Enforcement Action and Issues of State Responsibility*, *International and Comparative Law Quarterly*, Volume 43, 1994, pp. 55, 90.

¹⁵² Dinstein Yoram, *War, Aggression and Self-Defence*, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.324.

¹⁵³ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი, რედაქტორი ლ. ალექსიძე, თბ., 2003, გვ. 150-151.

იმპერატიულ ნორმებთან.¹⁵⁴ შეიძლება ითქვას, რომ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება თუ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის იმპერატიულ ნორმებს, ის უთუოდ არ უნდა შესრულდეს.¹⁵⁵

მაგალითად, აგრესიის აკრძალვა იმპერატიული ნორმაა. როდესაც უშიშროების საბჭო გადაწყვეტს, განახორციელოს კოლექტიური ღონისძიება აგრესიის წინააღმდეგ აღნიშნული იმპერატიული ნორმის უზრუნველყოფის მიზნით და თუ ეს ქმედება იწვევს მეორე იმპერატიული ნორმის ხელყოფას, შესაძლოა, საკამათო გახდეს, რომელ მათგანს უნდა მიენიჭოს უპირატესობა.¹⁵⁶

ყველა ზემოაღნიშნული სცენარის არსებობა უფრო თეორიაშია წარმოსადგენი, ვიდრე პრაქტიკაში. თუმცა, საბოლოო ჯამში, მისაღებია იმ მკვლევართა პოზიცია, რომელთა მიხედვით, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო კომპეტენტურია, ძალადაკარგულად გამოაცხადოს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული მავალდებულებელი გადაწყვეტილება გაეროს წესდებასთან ან საერთაშორისო სამართლის იმპერატიულ ნორმებთან შეუსაბამობის საფუძველზე.¹⁵⁷

¹⁵⁴ Shaw Malcolm, *The Security Council and the International Court of Justice: Judicial Drift and Judicial Function, The International Court of Justice: Its Future Role after Fifty Years*, Hague, 1997, pp. 219, 229.

¹⁵⁵ Akande D., *The International Court of Justice and the Security Council: Is There Room for Judicial Control of Decisions of the Political Organs of the United Nations?*, *International and Comparative Law Quarterly*, Volume 46, 1997, pp. 309, 322.

¹⁵⁶ Svanberg-Torpman K., *The Security Council as a Law Enforcer and Legislator, Peace and Security: Current Challenges in International Law*, Editors: D. Amne'us and K. Svanberg-Torpman, Lund, Suecia: Studentlitteratur, 2004, pp. 85, 94-5.

¹⁵⁷ Dinstein Yoram, *War, Aggression and Self-Defence*, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.325.

თავი II. თავდაცვის უფლება

1. თავდაცვის უფლების სამართლებრივი საფუძველი – გაეროს წესდების 51-ე მუხლი

1996 წელს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ერთ-ერთ სარეკომენდაციო დასკვნაში მიუთითა, რომ სასამართლო ყოველთვის ითვალისწინებს ნებისმიერი სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მისთვის 51-ე მუხლით მინიჭებული თავდაცვის უფლება.¹⁵⁸

მიუხედავად ამისა, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, იმავდროულად, აღნიშნავს, რომ თითოეულმა სახელმწიფომ თავდაცვის უფლება უნდა გამოიყენოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.¹⁵⁹

სახელმწიფოთა უმრავლესობა და სწავლული იურისტები მიიჩნევენ, რომ თავდაცვის უფლება უნდა იყოს ინტერპრეტირებული ვიწროდ, რადგან იგი გამოიყენება რეალური შეიარაღებული თავდასხმის დროს. თუმცა ზოგიერთი უპირატესობას ანიჭებს ფართო ინტერპრეტაციას და ასაბუთებს, რომ სახელმწიფომ შეიძლება მიმართოს თავდაცვის პრევენციულ ზომებს, მიუხედავად რეალური შეიარაღებული თავდასხმის არსებობისა. ამ კონცეფციის მომხრეები უმცირესობაში არიან. თუმცა გასარკვევია, საერთაშორისო სამართალი უშვებს თუ არა ძალის გამოყენებას არა მხოლოდ არსებული ძალის საპასუხოდ, არამედ სამომავლო თავდასხმის თავიდან ასაცილებლად.¹⁶⁰

გაეროს წესდების 51-ე მუხლი ადგენს, რომ „ეს წესდება არ ეხება ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის ხელშეუვალ უფლებას, თუ ორგანიზაციის წევრებზე შეიარაღებული თავდასხმა მოხდა მანამ, სანამ უშიშროების საბჭო არ მიიღებს მშვიდობისა და უსაფრთხოების დასაცავად სხვა ზომებს.“¹⁶¹

ამდენად, 51-ე მუხლი ზუსტად მოითხოვს შეიარაღებულ თავდასხმას, როგორც წინარე პირობას, თავდაცვითი ძალის გამოყენებისათვის. სახელმწიფოებს აქვთ უფლება, გამოიყენონ თავდაცვა, თუ შეიარაღებული თავდასხმა ხორციელდება. შესაბამისად, 51-ე მუხლის ტერმინები არ მოდის შესაბამისობაში მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის ტერმინებთან, რადგან ეს უკანასკნელი კრძალავს ორივე შემთხვევას: როგორც ძალის გამოყენებას, ასევე ასეთი საფრთხის შექმნას. ყოველივე ეს კი იძლევა შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალებას: გაეროს წესდების თანახმად, ძალის გამოყენების საფრთხე არ ამართლებს თავდაცვითი ძალის გამოყენებას. როგორც უკვე აღინიშნა, უმრავლესობა სწავლულებისა მხარს უჭერს ამ პოზიციას,

¹⁵⁸ Advisory Opinion on the Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons, International Court of Justice, 1996, <http://www.icj-cij.org/docket/files/95/7495.pdf> (ნანახია: 25.01. 2010).

¹⁵⁹ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.175.

¹⁶⁰ Värk René, The Use of Force in the Modern World: Recent Developments and Legal Regulation of the Use of Force, Baltic Defense Review, Volume 10, November, 2003, p.33.

¹⁶¹ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, თბ., გამომცემელი: “ბონა კაუზა”, 2008, გვ.21-22.

მაგალითად: ლუის ჰენკინი წერდა, რომ თუ გაეროს წესდების 51-ე მუხლს პატიოსნად წავიკითხავთ, მივხვდებით, რომ წესდება მიზნად ისახავდა ძალის გამოყენების დაშვებას მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევაში, კერძოდ თავდაცვის უფლების გამოყენებას შეიარაღებული თავდასხმის არსებობისას;¹⁶² იან ბროუნლი მიიჩნევს, რომ 51-ე მუხლი არ უშვებს წინასწარ რაიმე მოქმედების განხორციელების შესაძლებლობას;¹⁶³ ფილიპ ჯესაპმა განაცხადა, რომ წესდების 51-ე მუხლის ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს ვიწრო გაგებით. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენება საფრთხის არსებობის მიჩნევისას არ ამართლებს მის მოქმედებას.¹⁶⁴

ასეთი ინტერპრეტაცია შესაბამისობაშია გაეროს წესდების შემქმნელთა მიზნებთან, რომლებსაც სურდათ საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის ცალმხრივად გამოყენების მაქსიმალური შემცირება.¹⁶⁵

სახელმწიფოს აქვს ძალის გამოყენების უფლება თავდაცვის მიზნით შეიარაღებული თავდასხმის დაწყებისთანავე, და მანამ, სანამ უშიშროების საბჭო არ მიიღებს საჭირო ზომებს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.¹⁶⁶

გაეროს წევრმა სახელმწიფომ უშიშროების საბჭოს დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდეს ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც განახორციელა თავდაცვის უფლების გამოყენების დროს. რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ უშიშროების საბჭომ არ მიმართა იმ ღონისძიებებს, რომლებიც საჭიროა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დასაცავად? თავდაცვის უფლების გამოყენების უფლება დაზარალებულ სახელმწიფოს აქვს მანამ, სანამ უშიშროების საბჭო არ მიიღებს ეფექტურ ზომებს მის დასახმარებლად.¹⁶⁷

სხვა შემთხვევაში თავდაცვითი სამხედრო ქმედებები დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს, როგორც კი სამხედრო ოპერაციის მიზანი მიიღწევა.¹⁶⁸

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ პრევენციული ღონისძიებები შეიძლება იყოს კანონიერი, თუ ის არ იქცა სადამსჯელო ოპერაციად. ბროუნლი უშვებს ასეთი ღონისძიებების გამოყენებას მცირე მასშტაბის შეტევისას იმ პირობით, რომ ის უზრუნველყოფს საზღვართან მსგავსი შემთხვევის თავიდან აცილებას. ნებისმიერი ფართო პრევენციული ღონისძიება, მისი აზრით, კანონიდან გამომდინარე, დამოკიდებულია წინასწარი მოქმედების სტატუსზე.¹⁶⁹ დინსტეინი აღნიშნავს, რომ უნდა გაირკვეს, ფაქტობრივად, თუ როდის დაიწყო თავდასხმა. განსხვავებით დინსტეინისგან, ბროუნლი არ მიიჩნევს, რომ თავდასხმა დაიწყო

¹⁶² Henkin Louis, Nations Behave: Law and Foreign Policy, Second Edition, New York: Columbia University Press, 1979, p. 295.

¹⁶³ Brownlie Ian, International Law and the Use of Force by States, Oxford: Clarendon Press, 1963, p. 278.

¹⁶⁴ Jessup Phillip, A Modern Law of Nations, New York: Macmillan, 1948, p. 166.

¹⁶⁵ Glennon Michael, The Fog of Law: Self- Defense, Inherence, and Incoherence in Article 51 of the United Nations Charter, Harvard Journal of Law & Public Policy, Volume 25, 2002, p. 546.

¹⁶⁶ Värk René, The Use of Force in the Modern World: Recent Developments and Legal Regulation of the Use of Force, Baltic Defense Review, Volume 10, November, 2003, p.31.

¹⁶⁷ Antonio Cassese, International Law, Oxford: Oxford University Press, 2001, p. 305.

¹⁶⁸ Värk René, The Use of Force in the Modern World: Recent Developments and Legal Regulation of the Use of Force, Baltic Defense Review, Volume 10, November, 2003, p.32.

¹⁶⁹ Brownlie Ian, International Law and the Use of Force by States, Oxford: Clarendon Press, 1963, p.372.

პოტენციური თავდამსხმელი ძალების მიერ პოტენციური მსხვერპლის ტერიტორიული მთლიანობის, მათ შორის მისი საჰაერო სივრცისა თუ ტერიტორიული წყლების, ხელყოფამდე.¹⁷⁰ იმ მომენტში დაზარალებულ სახელმწიფოს შეუძლია, თავად დაიცვას თავი გაეროს წესდების 51-ე მუხლიდან გამომდინარე. მიუხედავად ამისა, ბროუნლი აღნიშნავს, რომ განსაზღვრულ შემთხვევებში აგრესიისათვის წინააღმდეგობის გაწევის ტექნიკური საშუალებები არ არის თავდაცვის ადეკვატური, როდესაც მოწინააღმდეგე იჭრება გარკვეულ ტერიტორიაზე.¹⁷¹ მაგალითად, საჰაერო ოპერაციების განხორციელებისას. მეტიც, ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა შეიძლება მოითხოვოს თავდასხმის დაწყების ხელახალი ინტერპრეტირება.¹⁷²

თავდაცვის არსი მდგომარეობს თვითდახმარებაში. საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული პირობების არსებობისას სახელმწიფოს შეუძლია ცალმხრივად ან სხვა ქვეყნების დახმარებით უპასუხოს არაკანონიერ ძალას. თვითდახმარების, როგორც სამართლებრივი დაცვის საშუალების, გამოყენება სახელმწიფოებს შეუძლიათ, როდესაც მათი უფლებები ხელყოფილია.¹⁷³ თვითდახმარება არის ყველა სამართლებრივი სისტემისათვის დამახასიათებელი.¹⁷⁴

თვითდახმარება საერთაშორისო სამართალში შეიძლება გამოიხატებოდეს რამდენიმე გზით. პირველად დაზარალებულმა სახელმწიფომ შესაძლოა გამოიყენოს არაიძულებითი ღონისძიებები, როგორებიცაა: დიპლომატიური ურთიერთობების შეწყვეტა სხვა სახელმწიფოსთან ან უცხოელი დიპლომატის *persona non grata*-დ გამოცხადება.¹⁷⁵ კანონიერი თვითდახმარება სახელმწიფოებს შორის შეიძლება გულისხმობდეს იძულებითი ღონისძიებების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას იმ შემთხვევაში, თუ ეს ღონისძიებები შეესაბამება თავდაცვის უფლების მოთხოვნებს. დროადადრო საერთაშორისო სამართლის სწავლულები მიიჩნევენ, რომ თვითდახმარებისა და თავდაცვის კონცეფციები ერთმანეთთანაა დაკავშირებული, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ცალკეულ ცნებებად მოიაზრებიან.¹⁷⁶

შეიძლება ითქვას, რომ თავდაცვა არის შეიარაღებული თვითდახმარების დაშვებული ფორმა.¹⁷⁷

თავდაცვის იდეის განვითარება საერთაშორისო სამართალში მიმდინარეობს აგრესიის აკრძალვის მხარდამხარ.¹⁷⁸

¹⁷⁰ იქვე, გვ. 373-74.

¹⁷¹ იქვე, გვ. 367.

¹⁷² Barkham Jason, Information Warfare and International Law on the Use of Force, New York University Journal of International Law and Politics, Volume 34, 2001-2002, p.79.

¹⁷³ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press 2005, p.175; Kelsen H., General Theory of Law and State, Harvard, 1945, p. 339.

¹⁷⁴ Dinstein Yoram, International Law as a Primitive Legal System, New York University Journal of International Law and Politics, Volume 19, 1986-1987, p. 12.

¹⁷⁵ Sen B., A Diplomat's Handbook of International Law and Practice, 3rd ed., Dordrecht, Martinus Nijhoff, 1988, pp. 218, 232.

¹⁷⁶ Krift T. R., Self-Defense and Self-Help: The Israeli Raid on Entebbe, Brooklyn Journal of International Law, Volume 4, 1977-8, pp. 43, 55-6.

¹⁷⁷ Report of the International Law Commission, 32nd Session, Yearbook of the International Law Commission, 1980, p. 54.

¹⁷⁸ იქვე, გვ. 52.

გაეროს წესდების 51-ე მუხლი უნდა განიხილოს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტთან ურთიერთმიმართებით. წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი თავს იკავებს საერთაშორისო ურთიერთობებში ძალით მუქარისა ან მისი გამოყენებისაგან, როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ასევე გაერთიანებული ერების მიზნებთან შეუთავსებელი რაიმე სხვა სახით.¹⁷⁹ ამდენად, წესდების ეს მუხლი აწესებს საერთო ვალდებულებას სახელმწიფოებისათვის, რათა ძალის გამოყენებისაგან თავი შეიკავონ; ხოლო 51-ე მუხლი ადგენს გამონაკლის შემთხვევას, როდესაც ქვეყნისთვის დასაშვებია ძალის გამოყენება.¹⁸⁰

თავდაცვა, საერთაშორისო სამართლის ძირითადი ნორმების შესაბამისად, არის უფლება და არა მოვალეობა.¹⁸¹ თუმცა დინსტეინისგან განსხვავებით, ზოგიერთი ფიქრობს, რომ თავდაცვა არასამართლიანი თავდასხმის წინააღმდეგ არის არა მხოლოდ უფლება, არამედ ის მოვალეობაცაა.¹⁸² მიუხედავად ამისა, ეს განცხადება უფრო ასახავს მორალურ ან თეოლოგიურ ასპექტებს. ეს არ არის საერთაშორისო სამართალთან შესაბამისობაში. საერთაშორისო სამართალი არ ადგენს თავდაცვის, როგორც წესის, განხორციელების ვალდებულებას.¹⁸³ სახელმწიფო თავად ირჩევს, გამოიყენოს თუ არა საწინააღმდეგო ძალა. ქვეყანამ შეიძლება უპირატესობა პოლიტიკურ კომპრომისს მიანიჭოს.¹⁸⁴

რაც შეეხება კოლექტიურ თავდაცვის ვალდებულებას, ის წარმოიშობა ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე.

თუ გაეროს წესდების 51-ე მუხლის ტექსტის მიხედვით ვიმსჯელებთ, მასში საზგასმით საუბარია გაეროს წევრი ქვეყნის თავდაცვის, როგორც ხელშეუვალი უფლების, გამოყენებაზე.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისოსამართლებრივი ნორმები, რომლებიც თავდაცვას ეხება, არ ეფუძნება საერთაშორისო სამართლის მხოლოდ ერთ წყაროს. რასაკვირველია, ყველაზე მნიშვნელოვანი ამ შემთხვევაში გაეროს წესდების 51-ე მუხლია.¹⁸⁵ მიუხედავად ამისა, თავდაცვის უფლება რეგულირდება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით. როგორც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ *ნიკარაგუის* საქმეზე განაცხადა: არ არსებობს არანაირი ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ ძალის გამოყენებისა და თავდაცვასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირებულია როგორც

¹⁷⁹ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, თბ., გამომცემელი: “ბონა კაუზა”, 2008, გვ.7.

¹⁸⁰ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.176.

¹⁸¹ იქვე, გვ. 178.

¹⁸² Vattel Emmerich, The Law of Nations or the Principles of Natural Law, Book III, (Classics of International Law), Editor: C. G. Fenwick, 1916, p. 246.

¹⁸³ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.179.

¹⁸⁴ იქვე, გვ. 178.

¹⁸⁵ Green James, Docking the Caroline: Understanding the Relevance of the Formula in Contemporary Customary International Law Concerning Self-Defense, Cardozo Journal of International and Comparative Law, Fall, 2006, pp.430-431.

ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლით, ისე ხელშეკრულებებით.¹⁸⁶ არსებობს მრავალი სამართლებრივი ასპექტი, რომლებიც ნათლად არ არის წარმოჩენილი წესდების 51-ე მუხლში. ამდენად, თავდაცვის უფლებასთან დაკავშირებული საკითხების სრულად გაგებისთვის, აუცილებელია ყველა იმ სამართლებრივი მოთხოვნის გაანალიზება, რომლებიც წარმოიშობა საერთაშორისო სამართლის ორივე წყაროდან.¹⁸⁷ თავდაცვის უფლების გამოყენებისას სახელმწიფომ უნდა დაიცვას შესაბამისი კრიტერიუმები, რომლებიც გაეროს წესდებაში არ არის მოცემული, მაგრამ ის საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილია. ისინი მომდევნო პარაგრაფშია განხილული. თავდაცვის გამოყენების შეზღუდული განმარტების თანახმად, დასაბუთებულია, რომ უპირატესობა არ უნდა მიენიჭოს ფართო განმარტებას,¹⁸⁸ რისი მაგალითია საქმე *ნიკარაგუა ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ*.¹⁸⁹ კერძოდ, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ მიუთითა, რომ ძალის გამოყენება არ შეიძლება მოსალოდნელი შეტევის განჭვრეტის დროს, ან როცა მუქარა არის არაძალადობრივი ხასიათის, ან ნებისმიერი სხვა რამის დასაცავად, გარდა სახელმწიფოს ტერიტორიისა.¹⁹⁰

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების თანახმად, თავდაცვის უფლება სახელმწიფოს განუსხვისებელი უფლებაა და იგი შეიძლება გამოიყენონ როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად.¹⁹¹

წესდების 51-ე მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფო მიმართავს თავდაცვის უფლებას მას შემდეგ, როდესაც შეიარაღებული თავდასხმა დაიწყება. ერთი შეხედვით, ნათელი და გასაგები დებულება შეიძლება სადავო გახდეს. პრობლემა, ძირითადად, ისაა, აქვს თუ არა სახელმწიფოს უფრო ფართო უფლება, წინასწარ განჭვრიტოს მოსალოდნელი თავდასხმა და გამოიყენოს პრევენციული ზომები? შესაბამისად, გასარკვევია, წესდების 51-ე მუხლი ანიჭებს თუ არა სახელმწიფოს წინასწარი თავდაცვის შესაძლებლობას, რაც ნიშნავს: ქვეყანამ, როდესაც დარწმუნებულია ან ფიქრობს, რომ მეორე სახელმწიფო აპირებს მასზე შეიარაღებულ თავდასხმას, განახორციელოს პრევენციული დარტყმა, სანამ მის ტერიტორიას ხელყოფენ.¹⁹²

წინასწარი თავდაცვის უფლების მხარდამჭერები ირწმუნებიან, რომ არარეალურია, სახელმწიფო იყოს ვალდებული, დაელოდოს მის წინააღმდეგ შეიარაღებული თავდასხმის განხორციელებას.¹⁹³

¹⁸⁶ Military and Paramilitary Activities (Nicaragua . v. U.S.), International Court of Justice, Report 14, June 27, 1986, paragraph 34, p.15.

¹⁸⁷ Green James, Docketing the Caroline: Understanding the Relevance of the Formula in Contemporary Customary International Law Concerning Self-Defense, *Cardozo Journal of International and Comparative Law*, Fall, 2006, p.431.

¹⁸⁸ Brownlie Ian, *Humanitarian Intervention, Law and Civil War in the Modern World*, Editor: Moore. J.N., USA: Johns Hopkins University Press, 1974, p.176.

¹⁸⁹ Military and Paramilitary Activities (Nicaragua . v. U.S.), International Court of Justice, Report 14, June 27, 1986, paragraphs 202-209, pp.311-314.

¹⁹⁰ იქვე.

¹⁹¹ Alexandrov S. A., *Self-defence Against the Use of Force in International Law*, Hague, 1996, p.77.

¹⁹² Gray Christine, *The Use of Force and International Legal Order*, Editor: Malcolm D. Evans, Second Edition, Oxford University Press, 2006, p. 605.

¹⁹³ იქვე, გვ. 606.

მოწინააღმდეგეები კი ფიქრობენ, რომ წინასწარი თავდაცვა ესკალაციის საკმაოდ რისკს შეიძლება შეიცავდეს, რადგან ალბათობა დიდია, რომ სახელმწიფო მეორე ქვეყნის განზრახვის გამოცნობაში შეცდეს და მისი რეაგირება იყოს არაპროპორციული.¹⁹⁴

თავდაცვის უფლება უძველესი დროიდან ჩვეულებითი სამართლით განსაზღვრული უფლებაა, რომელიც სახელმწიფოებრიობის განუყოფელი ნაწილია, თუმცა მისი განხორციელების პირობები გაეროს წესდების 51-ე მუხლითაა დადგენილი.¹⁹⁵

თავდაცვის უფლების განხორციელება არ გულისხმობს რაიმე მოთხოვნას უშიშროების საბჭოსგან წინასწარი ნებართვის მიღების შესახებ, ეს სახელმწიფოს სუვერენიტეტის სფეროა (თუმცა საერთაშორისო სამართლის მიერ დაწესებული გარკვეული შეზღუდვები უნდა იქნეს გათვალისწინებული).¹⁹⁶ თავდაცვა შეიძლება იყოს ინდივიდუალური, როდესაც სახელმწიფო პასუხობს შეიარაღებულ თავდასხმას, ან კოლექტიური, როდესაც დაზარალებულ ქვეყანას ეხმარება სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ჯგუფი, რომელთა წინააღმდეგაც არ განხორციელებულა შეტევა და მათ უშუალოდ არ ემუქრება საფრთხე.¹⁹⁷

თავდაცვის უფლებასთან დაკავშირებით ჩვეულებითი სამართლის პრინციპებისა და გაეროს წესდების 51-ე მუხლის დებულებების ურთიერთკავშირი დადასტურებულია მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ, რაც უდავოა.¹⁹⁸

ბროუნლი,¹⁹⁹ გრეი²⁰⁰ და ჰენკინი²⁰¹ ასაბუთებენ, რომ თავდაცვის უფლება არ წარმოიშობა მანამ, სანამ შეიარაღებული თავდასხმა რეალურად არ დაიწყება. დინსტეინი,²⁰² ასევე, უარს ამბობს წინასწარ თავდაცვაზე, მაგრამ უშვებს თავდაცვის უფლების გამოყენებას იმ შემთხვევაში, როდესაც შეტევის განხორციელება აშკარად გარდაუვალია; ხოლო ბოვეტი, შვებელი, ჯენინგსი და ვოტსი თვლიან, რომ წინასწარი თავდაცვის უფლების გამოყენება შესაძლებელია მოახლოებული შეიარაღებული თავდასხმის წინააღმდეგ (შვებელი და ჯენინგსი მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პრეზიდენტები იყვნენ).²⁰³

მოსამართლე ჰიგინსმა აღნიშნა: ბირთვულ ეპოქაში კეთილგონიერება არ გულისხმობს ორაზროვანი დებულების ისეთ განმარტებას, რომელიც სახელმწიფოსგან მოითხოვს, უმოქმედოდ დაელოდოს თავის ბედისწერას მანამ, სანამ მას არ ექნება უფლება,

¹⁹⁴ იქვე, გვ. 607.

¹⁹⁵ Greenwood Christopher, International Law and the Pre-emptive Use of Force: Afghanistan, Al-Qaida and Iraq, San Diego International Law Journal, Volume 4, 2003, p.11.

¹⁹⁶ იქვე.

¹⁹⁷ Military and Paramilitary Activities (Nicaragua v. U.S.), International Court of Justice, Report 14, June 27, 1986, paragraphs 104-106, pp.264-265.

¹⁹⁸ იქვე.

¹⁹⁹ Brownlie Ian, International Law and the Use of Force by States, Oxford: Clarendon Press, 1963, pp. 257-276.

²⁰⁰ Gray Christine, International Law and the Use of Force, Oxford University Press, 2004, p.112.

²⁰¹ Henkin Louis, How Nations Behave, New York: Columbia University Press, 1979, pp. 141-44.

²⁰² Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.182.

²⁰³ Greenwood Christopher, International Law and the Pre-emptive Use of Force: Afghanistan, Al-Qaida and Iraq, San Diego International Law Journal, Volume 4, 2003, p. 15.

თავი დაიცვას. თანამედროვე თავდაცვის უფლების განმარტება მოითხოვს რეალისტურ ინტერპრეტაციას. თავდაცვის უფლების გამოყენების აკრძალვამ შეიარაღებული თავდასხმის დაწყებამდე შეიძლება, სავალალო შედეგები გამოიწვიოს.²⁰⁴

ზემოაღნიშნული მოსაზრება უფრო მეტად ასახავს სახელმწიფოების პრაქტიკასა და თანამედროვე სამხედრო ვითარებას, ვიდრე 51-ე მუხლის ინტერპრეტაციას, რომელიც გულისხმობს თავდაცვის უფლების გამოყენებას შეიარაღებული თავდასხმის განხორციელებისას.²⁰⁵

2. თავდაცვის უფლების გამოყენების კრიტერიუმები:

სახელმწიფოს მიერ თავდაცვის უფლების გამოყენებისას დაცული უნდა იყოს შესაბამისი კრიტერიუმები. მაგალითად, ჰუგო გროციუსი თვლიდა, რომ სახელმწიფოს მიერ თავდაცვის უფლების განხორციელებისას გასათვალისწინებელია შემდეგი მოთხოვნები: 1) საფრთხე გარდაუვალია; 2) სათანადო მოქმედებების განხორციელება აუცილებელია საფრთხის დასაძლევად; 3) მიღებული ზომები საფრთხის პროპორციულია.²⁰⁶

„კაროლინის“ საქმეში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დანიელ ვებსტერმა ეს მოთხოვნები საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმებად აღიარა.²⁰⁷

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ნიკარაგუის საქმის განხილვისას მიუთითა, რომ გაეროს წესდების 51-ე მუხლი არ შეიცავს რაიმე სპეციალურ წესს იმის შესახებ, სახელმწიფომ თუ როგორ უნდა განახორციელოს კონკრეტული იძულებითი ზომა. თუმცა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი განსაზღვრავს, რომ პასუხი შეიარაღებულ თავდასხმაზე უნდა იყოს პროპორციული და აუცილებელი.²⁰⁸

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ პროპორციულობისა და აუცილებლობის კრიტერიუმების დაცვა ხელახლა დაადასტურა 2003 წელს ნავთობის პლატფორმის საქმესთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაში.²⁰⁹

ფაქტობრივად, პროპორციულობისა და აუცილებლობის კრიტერიუმებს თან ახლავს მესამე კრიტერიუმიც, რაც დაუყოვნებლივი რეაგირების აუცილებლობას გულისხმობს.

²⁰⁴ Higgins Rosalyn, Problems and Process: International Law and How We Use It, Clarendon Press, Oxford, 1994, p. 242.

²⁰⁵ Greenwood Christopher, International Law and the Pre-emptive Use of Force: Afghanistan, Al-Qaida and Iraq, San Diego International Law Journal, Volume 4, 2003, p. 15.

²⁰⁶ Motala Ziyad and ButleRitchie David, Self-Defense in International Law, The United Nations and the Bosnia Conflict, University of Pittsburgh Law Review, Volume 57, 1995-1996, p.10.

²⁰⁷ იქვე, გვ. 7.

²⁰⁸ Military and Paramilitary Activities (Nicaragua . v. U.S.), International Court of Justice, Report 14, June 27, 1986, paragraph 194, p.84.

²⁰⁹ Case Concerning Oil Platforms (Islamic Republic of Iran v. the United States of America), International Court of Justice, 2003, <http://www.icj-cij.org/docket/files/90/9745.pdf> (ნანახია: 05.05.2010).

ისტორიულად, როგორც უკვე აღინიშნა, ეს სამივე კრიტერიუმი „კაროლინის“ საქმიდან მომდინარეობს.²¹⁰

სახელდობრ, 1837 წლის აჯანყებამ კოლონიურ კანადაში მოიპოვა აქტიური მხარდაჭერა ამერიკელ მოხალისეებსა და კერძო მიმწოდებლებში, რომლებიც მოქმედებდნენ რეგიონის საზღვართან, შეერთებულ შტატებში. ბრიტანელებმა ჩათვალეს, რომ გემ „კაროლინის“ მეშვეობით მემბოსეებს ამარაგებდნენ სხვადასხვა მასალით. ბრიტანეთის ძალებმა გემის დასაუფლებლად კანადის მხრიდან გადმოკვეთეს შეერთებული შტატების საზღვარი. შეერთებული შტატების ორი მოქალაქე შეტაკების დროს გემზე დაიღუპა, ხოლო ერთი ბრიტანელი ოფიცერი დააკავეს მკვლელობისათვის.²¹¹

შეერთებულმა შტატებმა დაგმო ბრიტანეთის მთავრობის ქმედება და მიიჩნია, რომ გაერთიანებულმა სამეფომ დაარღვია შტატების სუვერენიტეტი. შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დანიელ ვებსტერმა ბრიტანეთის მთავრობისგან მოითხოვა თავდაცვის უფლების გამოყენების კანონიერების დასაბუთება, აუცილებლობის, პროპორციულობისა და დროულობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.²¹²

ბირთვული იარაღის საქმეზე გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ სარეკომენდაციო დასკვნაში დაადგინა, რომ აუცილებლობისა და პროპორციულობის კრიტერიუმები ძალის გამოყენების ნებისმიერი შემთხვევის მიმართ მოქმედებს, მათ შორის, გაეროს წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად თავდაცვის მიზნით ძალის გამოყენებისას.²¹³

გარდა ამისა, საქმეზე - *ნიკარაგუა ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ* - გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა, რომ თავდაცვის უფლების მიზნით შეიარაღებული თავდასხმის პროპორციული და მის მოსაგერიებლად აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში აღიარებული ნორმაა.²¹⁴

2.1. აუცილებლობა

აუცილებლობის კრიტერიუმი შეიძლება მივიჩნიოთ როგორც „კაროლინის“ ფორმულის შემადგენელი ნაწილი. დანიელ ვებსტერმა ლორდ ეშბარტონისადმი მიწერილ წერილში აღნიშნა, რომ თავდაცვა

²¹⁰ Schmitt Michael, Preemptive Strategies in International Law, Michigan Journal of International Law, Volume 24, 2002-2003, p.529.

²¹¹ Meng Warner, “The Caroline” in Rudolf Bernhardt, Encyclopedia of Public International Law, Volume I, Amsterdam: North-Holland, 1992, pp. 537-538.

²¹² Schmitt Michael, Preemptive Strategies in International Law, Michigan Journal of International Law, Volume 24, 2002-2003, p.530.

²¹³ Legality of the Threat or Use of Force of Nuclear Weapons, International Court of Justice, Advisory Opinion, 1997, <http://www.icj-cij.org/docket/index.php> (ნანახის თარიღი: 10.01.2010).

²¹⁴ Military and Paramilitary Activities (Nicaragua v. U.S.), International Court of Justice, Report 14, June 27, 1986, paragraph 217, pp.316-317.

უნდა იყოს აუცილებელი.²¹⁵ „კაროლინის“ ფორმულა უფრო შორს მიდის და უთითებს, რომ თავდაცვის აუცილებლობა არ უნდა ტოვებდეს არჩევანის საშუალებას და დროს ფიქრისთვის. ამასთანავე, თავდაცვითი მოქმედება არ უნდა იყოს გაუაზრებელი.²¹⁶

თავდასხმაზე სათანადო რეაგირება უნდა იყოს აუცილებელი, რათა საფრთხისგან იხსნან სახელმწიფო ან, სულ ცოტა, დაიცვან მისი სასიცოცხლო ინტერესები.²¹⁷ ეს უნდა გულისხმობდეს, ალბათ, ისეთ თავდასხმას, რომლის წინააღმდეგ საპასუხო რეაგირება აუცილებელი გახდა, როგორც კი საფრთხე შეექმნა სახელმწიფოს არსებობას.²¹⁸ ასევე, სასიცოცხლო ინტერესების დაცვის ფაქტორის გათვალისწინებით, ზოგჯერ სახელმწიფოები მიმართავენ ძალის გამოყენებას თავდაცვის მიზნით.²¹⁹ მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ ამ გარემოებებში შეიძლება მიმართონ თავდაცვის უფლების გამოყენებას. პრაქტიკაში სიტყვა „გადარჩენა“ შესაძლებელია, სამართლებრივად მიუთითებდეს საპასუხო რეაგირების აუცილებლობაზე.²²⁰ მაგალითად, ზამბიამ, ბოტსვანამ და ზიმბაბვემ მიიტანეს იერიში სამხრეთ აფრიკის ძალებზე, რადგან მათ 1988 წელს საჯაროდ განახორციელეს თავდასხმების მთელი სერია აფრიკის ეროვნული კონგრესის ცენტრების წინააღმდეგ ზემოაღნიშნულ სამივე ქვეყანაში. ზამბიის, ბოტსვანისა და ზიმბაბვის საპასუხო რეაგირება ამ შემთხვევაში აღქმულ იქნა აუცილებლობად.²²¹

აუცილებლობის კრიტერიუმი საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში არ უნდა იყოს მიჩნეული როგორც აბსოლუტური აუცილებლობა: „გააკეთე ან მოკვდი“.²²² მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ითვლება, რომ აუცილებლობა გულისხმობს სათანადო მოქმედების განხორციელებას უკიდურეს შემთხვევაში. ჯონ ქვიგლი თვლის, რომ შეიარაღებული ძალა უკიდურესი საშუალებაა.²²³ სახელმწიფოს შეუძლია, გამოიყენოს ძალა თავდაცვის მიზნით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა არჩევანი არ აქვს.

აუცილებლობის კრიტერიუმი მოითხოვს, რომ ძალისმიერი თავდაცვითი რეაგირება უნდა იყოს უკიდურესი ფორმა, რომელსაც მიმართავენ მშვიდობიანი საშუალებების ამოწურვისას. როდესაც სახელმწიფოზე ხორციელდება თავდასხმა, საპასუხო რეაგირება ძალის გამოყენებით ნათელია. მაგრამ მშვიდობისათვის საფრთხის შემქმნელი

²¹⁵ Green James, Docking the Caroline: Understanding the Relevance of the Formula in Contemporary Customary International Law Concerning Self-Defense, *Cardozo Journal of International and Comparative Law*, Volume 14, 2006, p.436.

²¹⁶ იქვე.

²¹⁷ Kearley Timothy, Raising the Caroline, *Wisconsin International Law Journal*, Volume 17, 1999, p.326.

²¹⁸ Green James, Docking the Caroline: Understanding the Relevance of the Formula in Contemporary Customary International Law Concerning Self-Defense, *Cardozo Journal of International and Comparative Law*, Volume 14, 2006, p.451.

²¹⁹ იქვე.

²²⁰ იქვე.

²²¹ იქვე, გვ. 452.

²²² იქვე.

²²³ Quigley John, The Afghanistan War and Self-Defense, *Valparaiso University Law Review*, Volume 37, 2002-2003, pp. 541, 546.

ვითარების განხილვისას უფრო მართებულია ისეთი ღონისძიებების გამოყენება, როგორებიცაა დიპლომატიური ან ეკონომიკური სანქციები.²²⁴

აუცილებლობის კრიტერიუმში ეფუძნება შემდეგ გარემოებებს: ა) სახელმწიფო იყენებს თავდაცვის უფლებას, როდესაც თავდასხმა დაწყებულია კონკრეტული ქვეყნის მიერ; ბ) ძალა გამოიყენება მხოლოდ შეიარაღებული თავდასხმის წინააღმდეგ და არა ინციდენტის ან სხვა მსგავსი შემთხვევის დროს; გ) ამოიწურა ყველა მისაღები ალტერნატიული საშუალება. შესაბამისად, თუ დიპლომატიური, ეკონომიკური, საინფორმაციო, სამართლებრივი ან სხვა გზებით შესაძლებელია საფრთხის შეკავება, თავდაცვის მიზნით ძალის გამოყენება მიიჩნევა გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევად.²²⁵ სხვა სიტყვებით, ძალის გამოყენება აუცილებელი არ არის მანამ, სანამ შედეგი მიიღწევა მშვიდობიანი ღონისძიებებით.²²⁶

2.2. პროპორციულობა

პროპორციულობა არის ძალის გამოყენების სამართლის ფუნდამენტური კომპონენტი.²²⁷ ისტორიულად იგი სამართლიანი ომის თეორიის ნაწილია.²²⁸

პროპორციულობა არის თავდაცვის უფლების შემადგენელი ელემენტი, რაც უდავოა.²²⁹ იგი ერთ-ერთი არსებითი კომპონენტია ძალის გამოყენების კანონიერების დასადგენად.²³⁰ სახელმწიფოს არ შეუძლია, შეაფასოს ძალის გამოყენების პროპორციულობა იმ მომენტში, როდესაც ის იღებს გადაწყვეტილებას, განახორციელოს სათანადო რეაგირება შეიარაღებულ თავდასხმაზე.²³¹

პროპორციულობა კომპლექსური ცნებაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზეა დამოკიდებული.²³² პროპორციულობის შეფასებისას სხვადასხვა ფაქტორი უნდა იქნეს გათვალისწინებული. პირველ რიგში, დასადგენია სამიზნე ჯგუფი. გარდა ამისა, გასარკვევია, თუ რა საშუალებებსა და მეთოდებს მიმართავენ შეტვისას. ზოგიერთი

²²⁴ Schmitt Michael, International Law and the Use of Force: The Jus Ad Bellum, Volume II, Quarterly Journal, September, 2003, p.92.

²²⁵ Schmitt Michael, Preemptive Strategies in International Law, Michigan Journal of International Law, Volume 24, 2002-2003, p.53.

²²⁶ Schachter Oscar, The Right of States to Use Armed Force, Michigan Law Review, Volume 82, 1983-1984, p. 1635.

²²⁷ Gardam Judith Gail, Proportionality and Force in International Law, American Journal of International Law, Volume 87, 1993, p.391.

²²⁸ სამართლიანი ომის თეორიის შესწავლის მიზნით იხ.: Bainton Roland, Christian Attitudes Toward War And Peace, New York: Abingdon Press, 1960; Johnson James Turner, Ideology, Reason and the Limitation of War, Princeton University Press, 1975; Russel Frederick, The Just War in the Middle Ages, Cambridge, 1975.

²²⁹ Brownlie Ian, International Law and the Use of Force by States, Oxford: Clarendon Press, 1963, p. 261; McDougal Myres, Feliciano Florentino, Law and Minimum World Public Order, Yale University Press, 1961, pp. 241-244.

²³⁰ Brownlie Ian, International Law and the Use of Force by States, Oxford: Clarendon Press, 1963, p. 259.

²³¹ Gardam Judith Gail, Proportionality and Force in International Law, American Journal of International Law, Volume 87, 1993, pp.392-393.

²³² Schachter Oscar, International Law in Theory and Practice, Boston: M. Nijhoff, 1991, p. 153.

სახეობის იარაღს შეუძლია უფრო მეტი ზიანის მოტანა. საპაერო თავდასხმების დროს რთულია, ერთმანეთისგან განასხვავო მებრძოლი არამებრძოლისგან, რაც შეიძლება იყოს დისპროპორციული ზომა სამხედრო ამოცანის მისაღწევად. ამ მოთხოვნების მხედველობაში მიღებამ კი შესაძლებელია შეამციროს სამოქალაქო უბედურებები.²³³

პროპორციულობა მოითხოვს ორ საპირისპირო მიზანს: მებრძოლთა მინიმალური დანაკარგებით სამხედრო ამოცანების სწრაფად მიღწევასა და მეორე მხარის სამოქალაქო მოსახლეობის დაცვას შორის ბალანსის უზრუნველყოფას.²³⁴

მთავარ კითხვად რჩება ის, თუ რის საფუძველზე უნდა განისაზღვროს ამ თუ იმ მოქმედების პროპორციულობა. უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია, რამდენად დაცულია თანაბარზომიერების პრინციპი საპასუხო რეაგირებასა და თავდასხმას შორის და თავდაცვითი ზომებით რამდენად შესაძლებელია შეტევის შეჩერება. პროპორციულობის დადგენის დროს შეუძლებელია ამ ორი მთავარი ასპექტის ერთმანეთისგან გამიჯვნა, შესაბამისად, ორივე მათგანის გათვალისწინება მნიშვნელოვანია იმისათვის, რათა გაირკვეს, იყო თუ არა თავდაცვის მიზნით გამოყენებული ძალა პროპორციული.²³⁵

„კაროლინის“ ფორმულის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, პროპორციულობის შესაფასებლად არსებობს მთავარი სიტყვა „გადაჭარბებული“, რაც გამოიყენება თავდასხმასა და საპასუხო რეაგირებასთან მიმართებით.²³⁶

უმრავლეს შემთხვევაში, სახელმწიფოები მიიჩნევენ, რომ პროპორციულობისას დაცულია ტოლფასოვნება საპასუხო რეაგირებასა და იმ ძალის ოდენობას შორის, რომელიც აუცილებელია თავდასხმის შესაკავებლად და არა საპასუხო რეაგირებასა და შეტევის მასშტაბებსა და საშუალებებს შორის.²³⁷ მაგალითად, 1947-1948 წლებში ქაშმირის გამო ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტის დროს პაკისტანმა გამოიყენა ძალა თავისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მიუხედავად იმისა, რომ მისი მასშტაბები და საშუალებები იყო ინდოელთა ძალების ტოლფასი, პაკისტანის მოქმედება არ მიიჩნევა კანონიერად, რადგან მიზნის მისაღწევად გამოყენებულ ძალას გადაამეტა.²³⁸

1958 წელს თავდაცვითი უფლების გამოყენების კონტექსტში ტუნისელებთან შეტაკების დროს საფრანგეთი მიუთითებდა, რომ მან თავდასხმის შეჩერების მიზნით ძალა კანონიერად გამოიყენა.²³⁹ ფოლკლენდის კონფლიქტის დროს ბრიტანეთის მოქმედება მიჩნეულ იქნა პროპორციულად მიზნის მიღწევის თვალსაზრისით²⁴⁰ და მიღებულ იქნა

²³³ Gardam Judith Gail, Proportionality and Force in International Law, American Journal of International Law, Volume 87, 1993, pp. 408-409.

²³⁴ იქვე, გვ.409.

²³⁵ Green James, Docking the Caroline: Understanding the Relevance of the Formula in Contemporary Customary International Law Concerning Self-Defense, Cardozo Journal of International and Comparative Law, Volume 14, 2006, p.457.

²³⁶ იქვე.

²³⁷ იქვე, გვ. 458.

²³⁸ იქვე.

²³⁹ იქვე, გვ. 459.

²⁴⁰ Gardam Judith, Necessity, Proportionality and the Use of Force by States, Cambridge University Press, 2004, p.159.

უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, რომელიც არგენტინისგან ფოლკლენდის კუნძულების დატოვებას ითხოვდა.²⁴¹

პროპორციულობის პრინციპი ზღუდავს თავდაცვით ქმედებას იმ ფარგლებში, რაც აუცილებელია თავდასხმის მოსაგერიებლად ან შესაკავებლად.²⁴² ამდენად, პროპორციული ძალა გულისხმობს ძალის იმ ოდენობით გამოყენებას, რომელიც სათანადოა შეტევის შესაკავებლად.

მიუხედავად ამისა, ერთი შეხედვით მარტივი პრინციპი შეიძლება გაურკვეველი იყოს. ხშირ შემთხვევაში შეცდომაა იმაზე საუბარი, რომ თავდაცვითი მოქმედება არ შეიძლება აღემატებოდეს თავდასხმის მასშტაბს.²⁴³ ასეთ სტანდარტს შეუძლია, სახელმწიფოს წაართვას შესაძლებლობა, ეფექტურად დაიცვას თავი და გამოიყენოს უფრო მეტი ოდენობის ძალა, ვიდრე მოწინააღმდეგემ, თუ ამის საჭიროება არსებობს.²⁴⁴ მეორე მხრივ, შეიძლება სახელმწიფოს ნაკლები ძალის გამოყენება დასჭირდეს. ამის მაგალითია 1981 წელს ისრაელის საჰაერო დარტყმა ერაყის ბირთვულ რეაქტორზე ბაღდადის მახლობლად. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება საკამათო იყოს ამ აქტის თავდაცვის უფლების სხვა კრიტერიუმებთან შესაბამისობა, ამ შემთხვევაში პროპორციულობა დაცულია. ისრაელის საჰაერო ძალებმა განახორციელეს განსაზღვრული საჰაერო ოპერაცია უმოკლეს პერიოდში, შეიჭრნენ ერაყის საჰაერო სივრცეში²⁴⁵ და დაბომბეს მთავარი სამიზნე – ერაყის ბირთვული ბომბის წარმოების ცდების ცენტრი - OSIRAQ.²⁴⁶

თავდაცვის მიზნით სათანადო რეაგირებისას შეიძლება პირდაპირი სამიზნე არ იყოს ის ძალები, რომლებიც ახორციელებენ თავდასხმას. შესაძლოა, უფრო ეფექტური იყოს გარკვეული დარტყმების განხორციელება იმ ობიექტების წინააღმდეგ, რომელთა არსებობა აუცილებელია თავდამსხმელის მიერ სამხედრო მოქმედებების განსახორციელებლად. საპასუხო შეტევა შეიძლება გულისხმობდეს არა უშუალოდ თავდასხმის პროცესში ჩართვას, არამედ შესაბამისი დარტყმის განხორციელებას განსაზღვრულ სამიზნეებზე.²⁴⁷

თავდაცვითი მოქმედების არსი არ განისაზღვრება თავდასხმის ხასიათით. გათვალისწინება ისეთი ფაქტორებისა, როგორებიცაა: მოქმედების მასშტაბი, შედეგები და პირველადი დარტყმის სამიზნე, არ არის გადამწყვეტი პროპორციულობის პრინციპის შესაფასებლად. ნაცვლად ამისა, პროპორციულობის პრინციპთან შესაბამისობა განისაზღვრება მხოლოდ იმ ძალით, რომლის გამოყენება აუცილებელი

²⁴¹ Green James, Docking the Caroline: Understanding the Relevance of the Formula in Contemporary Customary International Law Concerning Self-Defense, *Cardozo Journal of International and Comparative Law*, Volume 14, 2006, p.459.

²⁴² Schmitt Michael, Preemptive Strategies in International Law, *Michigan Journal of International Law*, Volume 24, 2002-2003, p.532.

²⁴³ იქვე.

²⁴⁴ იქვე.

²⁴⁵ იქვე, გვ. 532-533.

²⁴⁶ Vandembroucke L.S., The Israeli Strike Against OSIRAQ, *Air University Review*, *Air&Space Power Chronicles*, September – October, 1984, <http://www.airpower.au.af.mil/airchronicles/aureview/1984/sep-oct/vanden.html> (ნახვის: 25.05.2010).

²⁴⁷ Schmitt Michael, Preemptive Strategies in International Law, *Michigan Journal of International Law*, Volume 24, 2002-2003, p.533.

იყო იმ თავდასხმის მოსაგერიებლად, რომელიც წარმოშობს თავდაცვის უფლებას.²⁴⁸

2.3. დროულობა

მესამე კრიტერიუმი ვებსტერის ფორმულიდან მომდინარეობს და ნიშნავს დაუყოვნებლივ, ყოველგვარი ფიქრისა და ყოყმანის გარეშე თავდასხმის შეჩერების მიზნით, აქტიურ მოქმედებაზე გადასვლას.²⁴⁹ ამასთანავე, აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლობითი პალატის რიგით მე-15 სპიკერის ენდრიუ სტივენსონის წერილი ლორდ პალმერსტონისადმი, სადაც ის საუბრობს დროულობის, როგორც თავდაცვის უფლების, ერთ-ერთი კრიტერიუმის არსებობის აუცილებლობაზე. რასაკვირველია, სტივენსონის წერილი არ მიიჩნევა სახელმწიფოების ან სწავლულების მიერ თანამედროვე საერთაშორისო ჩვეულებით სამართლად, მაგრამ ეს ამყარებს ამერიკის შეერთებული შტატების სამართლებრივ პოზიციას „კაროლინის“ საქმესთან დაკავშირებით და მიუთითებს დროებითი თავდაცვის მნიშვნელობაზე.²⁵⁰

ვებსტერი და სტივენსონი აღნიშნავენ, რომ დროებითი კავშირის არსებობა აუცილებელია თავდასხმის საფრთხესა და საპასუხო რეაგირებას შორის. საფრთხე უნდა იყოს რეალური.²⁵¹

სახელმწიფოთა თანამედროვე პრაქტიკა რეალურ ქმედებასა და საპასუხო რეაგირებას შორის დროებით კავშირზე მიანიშნებს. მიუხედავად ამისა, ეს შეზღუდვა დამოკიდებულია კონკრეტულ ვითარებაზე. ფოლკლენდის კონფლიქტის დროს, კუნძულთა გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, საპასუხო რეაგირებისათვის საჭირო გახდა 23-დღიანი პერიოდი, რათა შეეჩერებინათ არგენტინის შემოჭრა.²⁵²

როგორც ჰიგინსმა სამართლიანად აღნიშნა, გეოგრაფიული მდებარეობა გავლენას ახდენს იმაზე, თუ რამდენად სწრაფად შეძლებს სახელმწიფო, განახორციელოს საპასუხო რეაგირება.²⁵³

საპასუხო რეაგირება უნდა განხორციელდეს გონივრულ ვადაში კონკრეტული ვითარების ყველა გარემოების გათვალისწინებით, მათ შორის მტკიცებულებათა შეგროვების სირთულეების, საკუთარი ძალების მობილიზებისა და მოლაპარაკების დაწყების მცდელობის ჩათვლით.²⁵⁴

²⁴⁸ იქვე.

²⁴⁹ Schmitt Michael, *International Law and the Use of Force: The Jus Ad Bellum*, Volume II, September 2003, p. 93.

²⁵⁰ Green James, *Docking the Caroline: Understanding the Relevance of the Formula in Contemporary Customary International Law Concerning Self-Defense*, *Cardozo Journal of International and Comparative Law*, Volume 14, 2006, p.464.

²⁵¹ იქვე.

²⁵² იქვე, გვ. 470.

²⁵³ Higgins Rosalyn, *Problems and Process: International Law and How We Use It*, Oxford: Clarendon Press, 1994, p. 241.

²⁵⁴ Green James, *Docking the Caroline: Understanding the Relevance of the Formula in Contemporary Customary International Law Concerning Self-Defense*, *Cardozo Journal of International and Comparative Law*, Volume 14, 2006, pp.471-472.

დროულობა, მეორე მხრივ, გამოხატავს თავდაცვის დროებით ხასიათს. ტრადიციულად თავდაცვითი მოქმედების კანონიერებისთვის აუცილებელია, საპასუხო რეაგირება უშუალოდ მოსდევდეს აგრესორის მოქმედებას.²⁵⁵

დროულობის მოთხოვნა გულისხმობს, რომ ძალის გამოყენებისთვის საჭირო დრო ვერ აიტანს რაიმე დაბრკოლებას, შეფერხებას, თავის დაცვისას კი ხანგრძლივი ლოდინი შეუძლებელია.²⁵⁶ კანონიერი თავდაცვა არ უნდა იყოს არც ნაადრევი და არც დაგვიანებული.²⁵⁷

დროულობის კრიტერიუმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საფრთხის, საპასუხო რეაგირების, ქმედითი ალტერნატიული საშუალებებისა და თავის დამცველის რეალური განზრახვის შეფასების თვალსაზრისით.²⁵⁸ შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო სამართლის თანახმად, წინასწარ რაიმე დარტყმის განხორციელება იმ დროს, როდესაც ნათლად არ არის გამოხატული აგრესია, მიიჩნევა უკანონოდ, რადგან მსგავსი მოქმედება ეფუძნება მხოლოდ ვარაუდს იმისას, თუ როგორ მოიქცევა მტერი მომავალში.²⁵⁹

თუმცა თავდაცვითი ომი, როგორც წესი, არ იწყება პირველი თავდასხმიდან რამდენიმე წუთში ან რამდენიმე დღეში.²⁶⁰ დაზარალებული ქვეყნის სასახდვრო ოფიცრებმა უნდა შეატყობინონ ზემდგომებს, რათა მათგან მიიღონ შესაბამისი ინსტრუქციები. მთავრობა რთავს ნებას შეიარაღებულ ძალებს, განახორციელონ სამხედრო მოქმედებები.²⁶¹

ჯესაპი აღნიშნავდა, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, როდესაც ოფიცერსა და მის ხელმძღვანელებს შორის სატელეგრაფო ან რადიოსაშუალებებით ხორციელდებოდა კომუნიკაცია, ოფიცერი მხოლოდ საპასუხო რეაგირებაზე ფიქრობდა.²⁶²

სპარსეთის ყურეში ომის პირველმა ეტაპმა აჩვენა, რომ თავდაცვის მიზნით ძალის გამოყენება შეიძლება თავდასხმიდან თითქმის ნახევარი წლის შემდეგ. ამ შემთხვევაში დროულობის კრიტერიუმი არ დარღვეულა, რადგან ამ ხნის განმავლობაში იყო კონფლიქტის მოგვარების მცდელობა, თუმცა საბოლოოდ გაირკვა, რომ ეს პერიოდი უშედეგო აღმოჩნდა ერაყთან რაიმე ტიპის შეთანხმების მისაღწევად.²⁶³

ამასთანავე, შეიძლება დაისვას კითხვა: დროულობის კრიტერიუმი ცალკეულ შემთხვევაში შესაძლოა თუ არა, ფართოდ განიმარტოს? იგი ვიწროდ იყო განმარტებული გასული ათწლეულების განმავლობაში.²⁶⁴

²⁵⁵ Bakircioglu Onder, The Right to Self-defence in National and International Law: The Role of the Imminence Requirement, *Indiana International & Comparative Law Review*, Volume, p.9, 2009.

²⁵⁶ იქვე.

²⁵⁷ Fletcher George, *Basic Concepts of Criminal Law*, Oxford University Press, 1998, pp. 133-134.

²⁵⁸ Nourse V. F., *Self-Defense and Subjectivity*, *University of Chicago Law Review*, Volume 68, 2001, pp. 1235-1244.

²⁵⁹ Fletcher George, *Basic Concepts of Criminal Law*, Oxford University Press, 1998, p.134.

²⁶⁰ Dinstein Yoram, *War, Aggression and Self-Defence*, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.242.

²⁶¹ იქვე, გვ. 243.

²⁶² Jessup P. C., *A Modern Law of Nations*, Toronto: Macmillan Company of Canada, 1948, p. 164.

²⁶³ Yoxall Thomas, *Iraq and Article 51: A Correct Use of Limited Authority*, *International Lawyer*, Volume 25, 1991, pp. 967-985.

²⁶⁴ Schacter Oscar, *The Right of States to Use Armed Force*, *Michigan Law Review*, Volume 82, 1983-1984, pp. 1634-1635 .

ეს კი გულისხმობს საპასუხო რეაგირების განხორციელებას თავდასხმის დაწყებიდან.

თანამედროვე პერიოდში კი, როდესაც ტერორისტები ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე თავს ესხმიან მშვიდობიან მოსახლეობას, როგორც ეს მოხდა 2001 წლის 11 სექტემბრის შემთხვევაში, ან, დაეუშვათ, მათთვის მასობრივი იარაღის გამოსაყენებლად გადაცემისას, ქვეყანამ საფრთხის არსებობისას დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს „საბოლოო შესაძლებლობას“ და გამოიყენოს ძალა. თუმცა ამ შესაძლებლობით რეალურად ვერ ისარგებლებს მანამ, სანამ თავდასხმა არ დაიწყება. მაგრამ, თუ თავდასხმის დაწყებას დაელოდება, სახელმწიფო ვერ გადარჩება. შესაბამისად, დროულობის კრიტერიუმში, რომელიც მოითხოვს თავდასხმის დაწყებას, წინააღმდეგობაში მოდის 21-ე საუკუნის გამოწვევებთან.²⁶⁵ ამდენად, დროულობის კრიტერიუმში შესაძლებელია, ცალკეულ შემთხვევაში ფართოდ განიმარტოს.

3. შეიარაღებული თავდასხმის დეფინიცია:

51-ე მუხლი მიუთითებს, რომ თავდაცვის უფლება გამოიყენება შეიარაღებული თავდასხმის არსებობისას. შესაბამისად, ზუსტად უნდა განისაზღვროს ტერმინი „შეიარაღებული თავდასხმა“.

როგორც გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ *ნიკარაგუის* საქმის შესახებ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, „საერთაშორისო საზღვრის მეორე მხარეს სამხედრო შენაერთების ქმედება“ არის შეიარაღებული თავდასხმის ფორმა, თუ უფრო დიდი მასშტაბისაა, ვიდრე უბრალო სასაზღვრო ინციდენტი“.²⁶⁶

სხვადასხვა ინგლისურენოვანი ლექსიკონი განმარტავს, რომ თავდასხმა არის რეალური ქმედება და არა საფრთხე. გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი. ის კრძალავს როგორც ძალის გამოყენებას, ასევე ასეთი საფრთხის შექმნას. შესაბამისად, რთულია იმის წარმოდგენა, რომ გაეროს წესდების ავტორებს 51-ე მუხლში გამორჩათ ფრაზა „ან საფრთხის არსებობისას“²⁶⁷ მით უფრო, როდესაც წესდების 51-ე მუხლიდან ზემოაღნიშნული ფრაზის გამორიცხვა შეესაბამება გაეროს მთავარ მიზანს, შეაკავოს ძალის ცალმხრივი გამოყენება. ამდენად, მკვლევართა უმრავლესობა შეიარაღებულ თავდასხმად მიიჩნევს აქტიურ თავდასხმას, რომელიც მოხდა, და არა თავდასხმის საფრთხეს.²⁶⁸

²⁶⁵ Schmitt Michael, *International Law and the Use of Force: The Jus Ad Bellum*, Volume II, September 2003, p. 93.

²⁶⁶ Case Concerning Military and Paramilitary Activities (Nicaragua . v. U.S.), International Court of Justice, Report 14, June 27, 1986, paragraph 195, p.84; იხილეთ: გაეროს გენერალური ასამბლეის 1974 წლის 14 დეკემბრის „აგრესიის დეფინიციის შესახებ“ რეზოლუციის მესამე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი (Resoluitiion on the Definition of Aggression, №3314, adopted by General Assembly on 14 December 1974, <http://www.un.org/ga/about/background.shtml> (ნანახია: 25.02.2010).

²⁶⁷ Bothe Michael, *Terrorism and the Legality of Pre-emptive Force*, European Journal of International Law, Volume 14, 2003, p. 229.

²⁶⁸ Dinstein Yoram, *War, Aggression and Self-defence*, Third Edition, Cambridge University Press, 2001, pp. 165-169.

2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ დაიწყო მსჯელობა იმაზე, მოიცავს თუ არა წესდების 51-ე მუხლით გათვალისწინებული შეიარაღებული თავდასხმა ტერორისტულ თავდასხმას. 51-ე მუხლი არ მიუთითებს, რომ შეიარაღებული თავდასხმა მომდინარეობს სახელმწიფოსგან, თუმცა ეს პირობა შეიძლება იყოს ბუნდოვანი. თავდაცვის უფლება არის გამონაკლისი ძალის გამოყენების ზოგადი აკრძალვიდან და მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი გამოხატავს აკრძალვას სახელმწიფოებთან მიმართებით.

მიუხედავად ამისა, თუ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მომზადდა თავდასხმა არასახელმწიფოებრივი ერთეულის მიერ, მიიჩნევა, რომ მან შეიძლება გამოიწვიოს იგივე შედეგი, რასაც გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული თავდასხმა. ამასთანავე, შესაძლებელია, არგუმენტად გამოიყენონ გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია „აგრესიის დეფინიციის“ შესახებ, რომელიც განსაზღვრავს, რომ შეიარაღებული ბანდების, ჯგუფების, არალეგალური და დაქირავებული ძალების მიერ განხორციელებული თავდასხმა სახელმწიფოს წინააღმდეგ არის ისეთივე სიმძიმის, როგორც რეგულარული ან სხვა მუდმივ საწყისებზე მყოფი ძალებისა.²⁶⁹ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ განმარტა ეს დებულება როგორც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმა, თუმცა გენერალური ასამბლეის რეზოლუცია თავისთავად არ იწვევს სამართლებრივი ვალდებულების წარმოშობას.²⁷⁰

ასეთ ვითარებას, სამართლებრივად, შესაძლოა, უწოდონ კონსტრუქციული შეიარაღებული თავდასხმა ან შეიარაღებული თავდასხმის ეკვივალენტური სიტუაცია.²⁷¹ ამდენად, არასახელმწიფოებრივი შეიარაღებული თავდასხმა შეიძლება გახდეს თავდაცვის უფლების გამოყენების საფუძველი, თუ ასეთი თავდასხმა საკმარისი სიმძიმისაა და მომდინარეობს უცხო ქვეყნის ტერიტორიიდან.

კონსტრუქციული თავდასხმა სრულად როდია მოკლებული საერთაშორისო სამართლებრივ საფუძველს. იგი თავდაცვის უფლების ფართო კონცეფციაზე მიაჩნებებს და აჩვენებს, რომ შეიარაღებული თავდასხმისთვის არ არის აუცილებელი, ეს ქმედება სახელმწიფოსგან მომდინარეობდეს. დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, ამგვარ საფრთხეს, წამოსულს არასახელმწიფოებრივი ერთეულისგან, ალბათ, ტერორისტი უნდა ვუწოდოთ.²⁷²

11 სექტემბრის მოვლენებზე საერთაშორისო რეაქცია ადასტურებს, რომ შეიარაღებული თავდასხმის კონცეფცია არ არის შეზღუდული სახელმწიფოს ქმედებებით. უშიშროების საბჭომ ცნო თავდაცვის

²⁶⁹ Resoluition on the Definition of Aggression, №3314, adopted by General Assembly on 14 December 1974, <http://www.un.org/ga/about/background.shtml> (ნანახია: 25.02.2010).

²⁷⁰ Case Concerning Military and Paramilitary Activities (Nicaragua . v. U.S.), International Court of Justice, Report 14, June 27, 1986, paragraph 203, p.87.

²⁷¹ Bothe Michael, Terrorism and the Legality of Pre-emptive Force, European Journal of International Law, Volume 14, 2003, p. 230.

²⁷² Greenwood Christopher, International Law and the Pre-emptive Use of Force: Afghanistan, Al-Qaida and Iraq, San Diego International Law Journal, Volume 4, 2003, p. 17.

უფლება თავის ორ რეზოლუციაში, რომლებიც დაუყოვნებლივ მიიღეს ტერორისტული თავდასხმის შემდეგ.²⁷³

რეზოლუციები ზუსტად არ განსაზღვრავს, რომ ტერორისტული აქტი თანაბარია შეიარაღებული თავდასხმისა, მაგრამ თავდაცვის უფლების აღიარებისას უშიშროების საბჭოს მოუწია გაეთვალისწინებინა ეს ტერორისტული თავდასხმა, როგორც შეიარაღებული თავდასხმა, 51-ე მუხლის მიზნიდან გამომდინარე. მით უფრო, როდესაც იმ დროისთვის უკვე ცნობილი იყო, რომ იგი გახლდათ ტერორისტული ორგანიზაციის მიერ განხორციელებული. უშიშროების საბჭოს მსგავსი პოზიცია ჰქონდათ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს. მაგალითად, ჩრდილოატლანტიკურ საბჭოში (ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატოში) გადაწყვეტილებების მიმღები უმაღლესი ორგანო) შეთანხმდნენ: თავდასხმა პირდაპირ მომდინარეობდა საზღვარგარეთიდან შეერთებული შტატების წინააღმდეგ, რაც მიიჩნეეს ქმედებად, რომელზეც ვრცელდება ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლი. ამ მუხლის მიხედვით, შეიარაღებული თავდასხმა ალიანსის ერთ ან მეტ წევრზე ვეროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში განიხილება თავდასხმად ყველას წინააღმდეგ.²⁷⁴

ხემალიანიშნულიდან გამომდინარე, შეიარაღებული თავდასხმა შეიძლება განხორციელოს როგორც სახელმწიფომ, ისე არასახელმწიფოებრივმა ერთეულმა უცხო ქვეყნის ტერიტორიიდან.²⁷⁵

4. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა

როგორც უკვე აღინიშნა, თავდაცვის უფლების გამოყენებისთვის აუცილებელია შეიარაღებული თავდასხმის არსებობა. შეიარაღებული თავდასხმა შეიძლება განხორციელოს როგორც სახელმწიფომ, ისე არასახელმწიფოებრივმა ერთეულმა უცხო ქვეყნის ტერიტორიიდან.²⁷⁶

ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმის გაანალიზებისას, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა მომენტიდან იწყება თავდასხმა. ამ თვალსაზრისით, ყველაზე გავრცელებული მიდგომაა იმის გარკვევა, თუ რომელმა სახელმწიფომ გახსნა ცეცხლი პირველად.²⁷⁷

ქვეყანას, რომელმაც გახსნა ცეცხლი პირველად, ეკისრება მტკიცების ტვირთი, მაგრამ ეს არ ართმევს მას უფლებას, დაამტკიცოს,

²⁷³ Security Council Resolutions about Threats to International Peace and Security caused by terrorist acts (N1368, N1373, adopted on September 12 and September 28, 2001), <http://www.un.org/Docs/scres/2001/sc2001.htm> (ნანახია: 10.02.2010).

²⁷⁴ North Atlantic Treaty, Washington D.C., April 4, 1949, http://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_17120.htm?selectedLocale=en (ნანახია: 20.07.2010).

²⁷⁵ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.187.

²⁷⁶ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.187.

²⁷⁷ იქვე, გვ. 188.

რომ ის მოქმედებდა მოწინააღმდეგის მიერ განხორციელებული ქმედების საპასუხოდ.²⁷⁸

ხშირად ცეცხლის გახსნა არის არასაიმედო საზომი, რათა დადგინდეს პასუხისმგებლობის საკითხი შეიარაღებული თავდასხმისათვის. უმეტესობა მაგალითებისა აჩვენებს, რომ ერთი ქვეყნის შეჭრა მეორე ქვეყანაში ურთიერდაკავშირებულია. გაეროს გენერალური ასამბლეის „აგრესიის დეფინიციის შესახებ“ რეზოლუციის თანახმად, ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შეჭრა მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე არის აგრესიის აქტი.²⁷⁹

ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოში შეჭრისას შეიძლება ერთი სახელმწიფოს სამხედრო ძალებმა გადაკვეთონ მეორე სახელმწიფოს საზღვარი და შემდგომ შეაფერხონ სტრატეგიული პუნქტების ფუნქციონირება მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში, რისი მაგალითიცაა 1999 წელს პაკისტანის ჯარების გადაადგილება ინდოეთის ტერიტორიაზე.²⁸⁰

ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ფორმირებების გაგზავნა საერთაშორისო საზღვარზე, ადგილობრივი მთავრობის თანხმობის გრეშე, მიიხნევა შეიარაღებულ თავდასხმად, ხოლო ცეცხლის გახსნა მეორე სახელმწიფოს მხრიდან უტოლდება თავდაცვის უფლების კანონიერ გამოყენებას.²⁸¹

თავდაცვის უფლების განხორციელება არ შეიძლება ვარაუდის, მოლოდინისა და შიშის საფუძველზე. ნათელი უნდა იყოს, რომ მეორე მხარე ჩართულია შეიარაღებული თავდასხმის განხორციელების პროცესში.²⁸²

რაც შეეხება პირველ გასროლას, იგი შეიძლება იყოს როგორც პრევენციული (სახელდობრ უკანონო), ისე შემხვედრი (მაშინ, როდესაც ლეგიტიმურად ხორციელდება თავდაცვა). 1967 წლის იენისის 6-დღიან ომში ისრაელმა გახსნა პირველად ცეცხლი. მიუხედავად ამისა, სამხედრო მოქმედების დაწყებისას მიმდინარე მოვლენების საფუძველიანად გაანალიზების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ისრაელის მოქმედება უტოლდებოდა შემხვედრ თავდაცვას ეგვიპტის დამწყები შეიარაღებული თავდასხმის საპასუხოდ. ეგვიპტის მოქმედებები, განსაკუთრებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო ძალების გაძევება ღაზის სექტორიდან და სინის ნახევარკუნძულიდან, შეიარაღებული ძალების უპრეცედენტო გამაგრება ისრაელის საზღვრებთან, მუდმივი მუქარა ბრძოლის დაწყების შესახებ ყოველგვარი ეჭვის გარეშე მიანიშნებდა ომის დაწყებაზე, მხოლოდ დრო იყო გასარკვევი.²⁸³

თავდაცვის უფლების განხორციელებისას სახელმწიფომ უნდა გააანალიზოს მისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია და შეძლოს მისი გონივრული ინტერპრეტაცია სათანადო მოქმედების შესრულების

²⁷⁸ იქვე.

²⁷⁹ Resoluition on the Definition of Aggression, №3314, adopted by General Assembly on 14 December 1974, <http://www.un.org/ga/about/background.shtml> (ნანახია: 25.05.2010).

²⁸⁰ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.188.

²⁸¹ იქვე, გვ.189.

²⁸² იქვე, გვ.191-92.

²⁸³ იქვე, გვ.192.

მომენტში. 1967 წლის ზემოაღნიშნული გარემოებების შესწავლის შედეგად ისრაელს არ შეეძლო დალოდებოდა გამანადგურებელ დარტყმას და გამოიყენა თავდაცვის უფლება, როგორც კი შეძლო.²⁸⁴

წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი გაეროს წევრებს მოუწოდებს, თავი შეიკავონ ძალით დამუქრების ან მისი გამოყენებისაგან. წესდების 51-ე მუხლი კი ნებას რთავს სახელმწიფოს, თავდაცვითი ღონისძიებები გამოიყენოს მხოლოდ შეიარაღებული თავდასხმის წინააღმდეგ. აშკარაა, რომ ორივე დებულება განსხვავებულია.²⁸⁵ ერთმა სახელმწიფომ შეიძლება გამოიყენოს არაკანონიერი ძალა მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ, შეიარაღებული თავდასხმის სრულად განხორციელების გარეშე. შესაძლებელია, ერთმა სახელმწიფომ დიდი ზიანის მიყენების გარეშე ხელყოს მეორე სახელმწიფოს დიპლომატიური ტვირთი, ან დაიკავოს მისი გემი საერთაშორისო სამართლის წესების დარღვევით. მიუხედავად ამისა, თუ სახეზე არ არის შეიარაღებული თავდასხმა, დაზარალებულ სახელმწიფოს არ შეუძლია, გამოიყენოს თავდაცვის უფლება.²⁸⁶

ფაქტია, რომ შეიარაღებული თავდასხმა ამართლებს თავდაცვის უფლებას. თუმცა ეს არ გულისხმობს თავდაცვის უფლების გამოყენებას მხოლოდ ფართო მასშტაბის სამხედრო ოპერაციის განხორციელებისას. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ *ნიკარაგუის* საქმის განხილვისას მიუთითა, რომ ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიარაღებული დაჯგუფებების გაგზავნა შეიძლება უტოლდებოდეს შეიარაღებულ თავდასხმას.²⁸⁷ ხოლო *ნავთობის პლატფორმის* საქმეზე მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ შენიშნა, რომ არ არის გამორიცხული, მხოლოდ სამხედრო ხომალდის დანადგვა იყოს საკმარისი თავდაცვის ხელშეუვალი უფლების გამოსაყენებლად.²⁸⁸

არსებითი მნიშვნელობა არ აქვს იმას, თავდამსხმელი სახელმწიფო თუ რა ტიპის იარაღს გამოიყენებს. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ერთ-ერთ სარეკომენდაციო დასკვნაში შენიშნა, რომ გაეროს წესდების 51-ე მუხლი არ მიუთითებს სპეციალურ იარაღზე, ეს კი მოიცავს ნებისმიერ შეიარაღებულ თავდასხმას²⁸⁹, ანუ თავდასხმა შეიძლება იყოს განხორციელებული როგორც ჩვეულებრივი, ისე სხვა სახის იარაღით.²⁹⁰

საზღვრის გადაკვეთა შეიძლება წინ უსწრებდეს შეიარაღებულ თავდასხმას, რომელიც იწყება სამიზნე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ერთი სახელმწიფოს ჯარები შეიძლება იმყოფებოდეს მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე ამ უკანასკნელის ნებართვით, შესაბამისი შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე. თუ

²⁸⁴ Randelzhofer A., “Article 51”, the Charter of the United Nations - A Commentary, Volume I, Editor: Bruno Simma, 2nd edition, Oxford: Oxford University Press, 2002, p.790.

²⁸⁵ იქვე.

²⁸⁶ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.195.

²⁸⁷ Case Concerning Military and Paramilitary Activities (Nicaragua . v. U.S.), International Court of Justice, Report 14, June 27, 1986, paragraph 195, p.84.

²⁸⁸ Case Concerning Oil Platforms, 2003, International Legal Materials, Volume 42, 2003, p. 1360.

²⁸⁹ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.196.

²⁹⁰ იქვე.

უცხოეთის სამხედრო ძალები მასპინძელი ქვეყნის ფარგლებში დაარღვევენ შეთანხმებულ წესებს და გამოიყენებენ ძალას, ეს, „აგრესიის დეფინიციის შესახებ“ გენერალური ასამბლეის რეზოლუციის თანახმად, აგრესიის აქტად მიიჩნევა.²⁹¹

როდესაც ერთი სახელმწიფო ახორციელებს შეიარაღებულ თავდასხმას მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ, შეიძლება იგი მოიცავდეს მესამე ქვეყნის ტერიტორიას. მაგალითად, ერთი სახელმწიფოს ტერიტორია დაიბომბა მეორე სახელმწიფოს ვერტმფრენით, რომელიც მანევრირებდა მესამე ქვეყნის ტერიტორიიდან. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს აგრესორი სახელმწიფოს მოკავშირე ან მის მიერ ოკუპირებული.²⁹²

გარდა ამისა, შეიძლება, ერთმა სახელმწიფომ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე ხელყოს სხვა ქვეყნის საელჩო. ეს შემთხვევა მიიჩნევა ორივე ქვეყნის წინააღმდეგ განხორციელებულ შეიარაღებულ თავდასხმად (იგულისხმება სახელმწიფო, სადაც ეს საელჩო მდებარეობს და, ასევე, სახელმწიფო, რომლის საელჩო დაარბიეს). ამდენად, 1998 წელს კენიასა და ტანზანიაში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოების დაბომბვა უცხოელი დამნაშავეების მიერ განიხილება შეიარაღებულ თავდასხმად, რომელიც წარმოშობს თავდაცვის უფლებას.²⁹³

შეიარაღებული თავდასხმის არსებობისას სახელმწიფოს შეუძლია, თავდაცვითი ღონისძიებები განახორციელოს აგრესორი სახელმწიფოს წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, გეოგრაფიული მდებარეობის თვალსაზრისით თუ სად არის თავდასხმა განხორციელებული.²⁹⁴

ერთი სახელმწიფოს მიერ მის ტერიტორიაზე კანონიერად განლაგებული სხვა ქვეყნის სამხედრო ბაზის წინააღმდეგ ძალის გამოყენება არის შეიარაღებული თავდასხმა და დაზარალებულ სახელმწიფოს აქვს უფლება, გამოიყენოს თავდაცვითი ღონისძიებები.²⁹⁵

1980 წელს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ *თეირანის* საქმის განხილვისას გამოიყენა ფრაზა „შეიარაღებული თავდასხმა“. საქმე ეხებოდა ირანელი მეომრების მიერ 1979 წლის ნოემბერში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში შეჭრას და საელჩოს თანამშრომლების მძევლად აყვანას.²⁹⁶ შეიარაღებული თავდასხმის სამიზნეა უცხო ქვეყნის ტერიტორია და ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა, ასევე, ნებისმიერი ტიპის საკუთრება. შეიარაღებული თავდასხმის სამიზნე შეიძლება იყოს სამხედრო შენაერთი, რომელიც ეკუთვნის დაზარალებული ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს და განლაგებულია მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. დაზარალებული ქვეყნის როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო

²⁹¹ Resoluitiun on the Definition of Aggression, N3314, General Assembly, December 14, 1974, <http://www.un.org/ga/about/background.shtml> (განახმდ: 25.05.2010).

²⁹² Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press 2005, p.197.

²⁹³ Wedgwood Ruth, Responding to Terrorism: The Strikes against Bin Laden, Yale Journal of International Law, Volume 24, 1999, pp. 559, 564.

²⁹⁴ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.197.

²⁹⁵ Schachter O., International Law in the Hostage Crisis: Implications for Future Cases, American Hostages in Iran, Editor: W. Christopher, Yale University Press, 1985, pp. 325, 328.

²⁹⁶ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.197.

ობიექტების წინააღმდეგ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელებული იძულებითი ღონისძიებები შეიძლება ჩაითვალოს შეიარაღებულ თავდასხმად.²⁹⁷

შეიძლება თუ არა, ერთი სახელმწიფოს მიერ თავის ტერიტორიაზე მეორე სახელმწიფოში რეგისტრირებული კერძო გემის ან საჰაერო ხომალდის წინააღმდეგ ძალის გამოყენება ჩაითვალოს შეიარაღებულ თავდასხმად მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ?²⁹⁸ „აგრესიის დეფინიციის შესახებ“ გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის მე-3 მუხლის თანახმად, შეიარაღებული თავდასხმის სამიზნე შეიძლება გახდეს სხვა სახელმწიფოს საზღვაო და საჰაერო ფლოტი.²⁹⁹ სიტყვა „ფლოტი“ გამორიცხავს, რომ ამ მუხლის სფეროს განეკუთვნება ერთ სახელმწიფოში რეგისტრირებული კომერციული დანიშნულების ხომალდის წინააღმდეგ ძალის გამოყენება მეორე სახელმწიფოს მიერ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ამ უკანასკნელის იურისდიქციის ფარგლებში იმყოფება ზემოაღნიშნული ობიექტები.³⁰⁰

შეიძლება დაისვას კითხვა: თუ ერთი სახელმწიფო თავის ტერიტორიაზე განახორციელებს თავდასხმას მეორე სახელმწიფოს მოქალაქეების წინააღმდეგ, ჩაითვლება თუ არა ეს ქმედება შეიარაღებულ თავდასხმად მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ და რამდენად გამართლებული იქნება მის მიერ თავდაცვითი ღონისძიების გამოყენება,³⁰¹ მით უფრო, თუ დაზარალებული მეორე სახელმწიფოს მოქალაქეები დიპლომატები ან საპატიო სტუმრები არიან. უფრო რთულია ზემოაღნიშნული საკითხის გარკვევა მაშინ, როდესაც საქმე ეხება ჩვეულებრივ მოქალაქეებს.³⁰² ბოვეტი თვლის, რომ მოქალაქეების დაცვა საზღვარგარეთ შეიძლება იყოს განხილული, როგორც სახელმწიფოს დაცვა.³⁰³ სწავლულთა უმრავლესობა არ ეთანხმება ბოვეტის ამ მოსაზრებას,³⁰⁴ თუმცა ნაწილი იზიარებს.³⁰⁵ დინსტეინი ეთანხმება ბოვეტს, მაგრამ თვლის, რომ ზემოაღნიშნული საკითხი უმეტესწილად დამოკიდებულია თავდასხმის გარემოებებზე.³⁰⁶

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მოვალეობაა საკუთარი მოქალაქეების დაცვა და ეს ერთმნიშვნელოვნად მისი უპირატესი

²⁹⁷ იქვე, გვ. 200.

²⁹⁸ იქვე.

²⁹⁹ Resoluition on the Definition of Agression, N3314, General Assembly, December 14, 1974, <http://www.un.org/ga/about/background.shtml> (განახობა: 25.02.2010).

³⁰⁰ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.200.

³⁰¹ იქვე.

³⁰² იქვე.

³⁰³ Bowett D. W., Self-Defence in International Law, New York, 1958, pp. 91–94.

³⁰⁴ Schweisfurth T., Operations to Rescue Nationals in Third States Involving the Use of Force in Relation to the Protection of Human Rights, German Yearbook of International Law, Volume 23, 1980, pp. 159, 162–165.

³⁰⁵ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.201.

³⁰⁶ იქვე.

ვალდებულება,³⁰⁷ პრეცედენტული სამართალი მიუთითებს, რომ ასეთი ქმედება არ არის თავდაცვის ზომა.³⁰⁸

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიღებამდე ძალის გამოყენება უცხო ქვეყანაში მცხოვრები მოქალაქეებისა და ქონების დაცვის მიზნით კანონიერი იყო.³⁰⁹ წესდების მიღების შემდეგ ეს პოზიცია შეიცვალა. ამჟამად ასეთი ქმედება პირდაპირ არღვევს სახელმწიფოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას.³¹⁰

გრემი საზღვარგარეთ მყოფ მოქალაქეთა დაცვის კონტექსტში შეისწავლა სახელმწიფოთა პრაქტიკა და შენიშნა, რომ მხოლოდ ქვეყნების მცირე ნაწილი უჭერს მხარს მოქალაქეთა დაცვას სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე.³¹¹ იან ბროუნლიც ამ პოზიციის მომხრეა.³¹²

ზოგიერთი მეცნიერი კი ეთანხმება მოსაზრებას, რომლის თანახმად, ქვეყნის მოქალაქეებზე თავდასხმა ამ სახელმწიფოს ტერიტორიის ეკვივალენტური ან ანალოგიურია და, შესაბამისად, ნიშნავს ამ ქვეყანაზე თავდასხმას. თუმცა არ არსებობს ამ პოზიციის მხარდამჭერი სახელმწიფოთა პრაქტიკა.³¹³

გრემი აღნიშნავს, რომ მოქალაქეთა დაცვა ხშირად საბაბია, რათა მთავრობის შეცვლის რეალური მიზანი შენიღბონ.³¹⁴

საზღვარგარეთ მოქალაქეთა დაცვის მიზნით სადავო უფლების გამოყენების თაობაზე ორი ყველაზე გახმაურებული შემთხვევა არსებობს: 1976 წელს უგანდაში, ენტებეს აეროპორტში და 1983 წელს გრენადაში მომხდარი შემთხვევები, როდესაც ისრაელისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ძალის გამოყენებას ფართო საერთაშორისო საზოგადოებამ მხარი არ დაუჭირა. გრენადის შემთხვევაში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დაგმო ძალის გამოყენება და უშიშროების საბჭოს მიერ მსგავსი რეზოლუციის მიღებას ამერიკის შეერთებული შტატების ვეტომ ხელი შეუშალა.³¹⁵

5. არასახელმწიფოებრივი ერთეულის მიერ განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა

მკვლევართა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ თავდაცვითი უფლება პირობითად გულისხმობს კონფლიქტის არსებობას სახელმწიფოებს შორის და შეუფერებელია ტერორისტულ აქტებთან

³⁰⁷ Rothgeb John, *Defining Power: Influence and Force in the Contemporary International System*, New York: St Martin's Press, 1993, p. 62.

³⁰⁸ Higgins Rosalyn, *Intervention and International Law*, Editor: Hedley Bull, *Intervention in World Politics*, Oxford, Clarendon Press, 1984, p. 38.

³⁰⁹ Brownlie Ian, *International Law and the Use of Force by States*, Oxford: Clarendon Press, 1963, p. 289.

³¹⁰ Shaw M., *International Law*, Cambridge University Press, 5th edition, 2003, p. 1143.

³¹¹ Gray Christine, *International Law and the Use of Force*, Second Edition, Oxford University Press, 2004, p.127.

³¹² Brownlie Ian, *Principles of Public International Law*, Sixth edition, Oxford University Press, 2003, p.705.

³¹³ Triggs Gillian, *International Law: Contemporary Principles and Practices*, Sydney, 2006, p. 588.

³¹⁴ Gray Christine, *International Law and the Use of Force*, Second Edition, Oxford University Press, 2004, p.127.

³¹⁵ Akehurst Michael, *The Use of Force to Protect Nationals abroad*, London, 1977, p.3.

მიმართებით.³¹⁶ მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია, საპასუხო რეაგირება განახორციელოს ტერორიზმის წინააღმდეგ, თუმცა შესაბამისი იძულებითი ღონისძიებები განისაზღვრება შიდა და საერთაშორისო სამართლით დადგენილი წესების გათვალისწინებით.³¹⁷

II სექტემბერმა ნათლად აჩვენა, რომ სახელმწიფოთა პრაქტიკიდან გამომდინარე, შეიძლება თავდაცვის უფლების გამოყენება ტერორისტულ აქტებთან მიმართებით. უშიშროების საბჭომ 2001 წელს ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტიდან მომდევნო დღეს მიიღო №1368 რეზოლუცია, რომელშიც მიუთითა, რომ საერთაშორისო ტერორიზმის ნებისმიერი აქტი საშიშია საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის. ამასთანავე, რეზოლუციით დადასტურდა გაეროს წესდების თანახმად ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვის ხელშეუვალი უფლების არსებობა.³¹⁸ ორი კვირის შემდეგ უშიშროების საბჭომ №1373 რეზოლუციაში კვლავ მიუთითა თავდაცვის უფლებაზე.³¹⁹ უნდა აღინიშნოს, რეზოლუციების მიღების დროს არავინ ფიქრობდა, რომ ეს ქმედება განხორციელებული იყო რომელიმე სახელმწიფოს მიერ. ამდენად, უშიშროების საბჭო გაეროს წესდების 51-ე მუხლში მოიაზრებდა ისეთ მოქმედებასაც, რომელიც ხორციელდება ტერორისტების მიერ.³²⁰

II სექტემბრის ტერორისტული აქტი გახდა საფუძველი ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციისათვის, რათა გამოეყენებინა ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი, რომელიც ასახავს კოლექტიური თავდაცვის პრინციპს.³²¹ ხუთი დღის შემდეგ ნატოს წევრმა ორმა ქვეყანამ – ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და გაერთიანებულმა სამეფომ – განახორციელა საჰაერო შეტევა „აღ-ქაიდას“ წინააღმდეგ. ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა თავდაცვის უფლება მიიჩნია ძალის გამოყენების აკრძალვიდან გამონაკლისად, რომელიც შეიძლება იყოს გამოყენებული ტერორისტებთან მიმართებით.³²²

რაც შეეხება სხვა ორგანიზაციებს, „ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციამაც“ გამოიყენა კოლექტიური თავდაცვის დებულებები. 2001 წლის სექტემბერში ამავე ორგანიზაციის ქვეყნების საგარეო საქმეთა

³¹⁶ Cassese Antonio, Terrorism is Also Disrupting Some Crucial Legal Categories of International Law, 2001, European Journal of International Law Discussion Forum - The Attack on the World Trade Center: Legal Responses, http://www.ejil.org/forum_WTC/nycassese.html (ნანახის: 17.09.2009); Giorgio Gaja, In What Sense Was There an “Armed Attack”?, 2001, European Journal of International Law Discussion Forum - The Attack on the World Trade Center: Legal Responses, http://www.ejil.org/forum_WTC/ny-gaja.html (ნანახის: 17.09.2009).

³¹⁷ Schmitt Michael, Preemptive Strategies in International Law, Michigan Journal of International Law, Volume 24, 2002-2003, p.536.

³¹⁸ Security Council Resolution N1368, September 12, 2001, <http://www.un.org/Docs/scres/2001/sc2001.htm> (ნანახის: 17.09.2009).

³¹⁹ Security Council Resolution N1373, September 28, 2001, <http://www.un.org/Docs/scres/2001/sc2001.htm> (ნანახის: 17.09.2009).

³²⁰ Schmitt Michael, Preemptive Strategies in International Law, Michigan Journal of International Law, Volume 24, 2002-2003, p.537.

³²¹ North Atlantic Treaty, Washington D.C., April 4, 1949, Article 5, http://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_17120.htm?selectedLocale=en (ნანახის: 20.07.2010).

³²² Schmitt Michael, Preemptive Strategies in International Law, Michigan Journal of International Law, Volume 24, 2002-2003, p.537.

მინისტრებმა სპეციალურ შეხვედრაზე განაცხადეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტი იყო თავდასხმა ყველა ამერიკული სახელმწიფოს წინააღმდეგ.³²³

„ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის“ წევრები ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან სამხედრო თავდასხმის შემთხვევაში ურთიერთდახმარების ხელშეკრულებით, რომელიც 1947 წელს რიო-დე-ჟანეიროში იქნა ხელმოწერილი. ხელშეკრულების თანახმად, თავდასხმა ნებისმიერ ამერიკულ სახელმწიფოზე განიხილება ორგანიზაციის დანარჩენ წევრებზე თავდასხმად. ხელშემკვერელი მხარეები იღებენ პასუხისმგებლობად, დაეხმარონ დაზარალებულ სახელმწიფოს და მიმართონ გაეროს წესდების 51-ე მუხლით დადგენილ ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის უფლებას.³²⁴

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არა მარტო საერთაშორისო ორგანიზაციების დონეზე მიიღო მხარდაჭერა, არამედ ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში - ცალკეული ქვეყნებიდან.³²⁵

11 სექტემბრის თავდასხმის შედეგად ნაგულისხმევი თავდაცვის უფლების გამოყენების საფუძველზე ნათელი იყო კამპანიის დაწყება „ალ-ქაიდასა“ და „თალიბანის“ წინააღმდეგ. 2001 წლის 14 ნოემბერს მიღებულ №1378 რეზოლუციაში უშიშროების საბჭომ მხარი დაუჭირა ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო ძალისხმევას.³²⁶ მოგვიანებით მიღებულ №1386 რეზოლუციაშიც უშიშროების საბჭომ მიუთითა ანტიტერორისტული ოპერაციების განხორციელების მნიშვნელობაზე.³²⁷

ევროპულმა საბჭომაც დაუჭირა მხარი სამხედრო ოპერაციის განხორციელებას, რომელიც კანონიერი იყო, გაეროს წესდებით დადგენილი პირობებიდან გამომდინარე.³²⁸

გაერთიანებულმა სამეფომ, ამერიკის შეერთებული შტატების ძალებთან ერთად, პირველი დარტყმა განახორციელა; სხვა ქვეყნებმა, მათ შორის; საქართველომ, პაკისტანმა, ფილიპინებმა, საუდის არაბეთმა, ტაჯიკეთმა, თურქეთმა და უზბეკეთმა უზრუნველყვეს თავიანთი საჰაერო სივრცის გამოყენება; ჩინეთმა და ეგვიპტემ საჯაროდ მხარი დაუჭირეს შესაბამისი შეტევის განხორციელებას ტერორისტების წინააღმდეგ;³²⁹ ავსტრალიამ, კანადამ, ჩეხეთმა, გერმანიამ, იტალიამ, იაპონიამ, ნიდერლანდების სამეფომ, ახალმა ზელანდიამ, თურქეთმა და

³²³ Organization of American States (OAS): on Terrorist Threat to the Americas, 2001, International Legal Materials, Volume 40, 2001, p. 1273.

³²⁴ Inter-American Treaty of Reciprocal Assistance (Rio Treaty), adopted at: Rio De Janeiro, Brazil, Date: 09/02/47, Article 3, paragraph 1, <http://www.oas.org/juridico/english/treaties/b-29.html> (ნანახია: 25.07.2010).

³²⁵ Schmitt Michael, Preemptive Strategies in International Law, Michigan Journal of International Law, Volume 24, 2002-2003, p.537.

³²⁶ Security Council Resolution N1378, November 2001, <http://www.un.org/Docs/scres/2001/sc2001.htm> (ნანახია: 25.08.2010).

³²⁷ Security Council Resolution N1386, December 20, 2001, <http://www.un.org/Docs/scres/2001/sc2001.htm> (ნანახია: 25.08.2010).

³²⁸ Schmitt Michael, Preemptive Strategies in International Law, Michigan Journal of International Law, Volume 24, 2002-2003, p.539.

³²⁹ Murphy Sean D., Contemporary Practice of the United States Relating to International Law, American Journal of International Law, Volume 96, 2002, pp. 237, 248.

გაერთიანებულმა სამეფომ სახმელეთო ჯარები შესთავაზეს;³³⁰ სამხრეთ კორეამ კი – სამედიცინო პერსონალი გამოყო.³³¹

უდავოა, რომ სახელმწიფოები თავდაცვის უფლებას იყენებენ იმ შემთხვევაშიც, როდესაც თავდასხმა განხორციელებულია არასახელმწიფოებრივი ერთეულის მიერ. ასეთი ინტერპრეტაცია შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ტექსტს. მიუხედავად იმისა, რომ გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი უთითებს სახელმწიფოების მიერ ძალის გამოყენების აკრძალვაზე, 51-ე მუხლში არ არის მინიშნებული, თუ ვის მიერ უნდა განხორციელდეს შეიარაღებული თავდასხმა. თუმცა, ნეგატიური თვალთახედვით, შეიძლება ჩაითვალოს, რომ, შეიარაღებული თავდასხმის წყაროს მიუხედავად, 51-ე მუხლი მხოლოდ სახელმწიფოებს ეხება, როგორც ეს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტშია. მით უფრო, თუ გაავითვალისწინებთ იმას, რომ არასახელმწიფოებრივი ერთეულების მიერ ჩადენილი ძალადობრივი ქმედებები დანაშაულია შიდა და საერთაშორისო სისხლის სამართლის მიხედვით და მსგავსი აკრძალვის დაწესების გამეორება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ფარგლებში აუცილებელი არ იყო. თუმცა, 11 სექტემბრის მოვლენებმა აჩვენა, რომ შიდა და საერთაშორისო სამართლებრივი იძულებითი ზომები არ არის საკმარისი საშუალება არასახელმწიფოებრივი ერთეულების წინააღმდეგ საბრძოლველად, მით უფრო, როდესაც საუბარია ტერორიზმზე.³³²

რასაკვირველია, როგორც სახელმწიფოს, ისე არასახელმწიფოებრივი ერთეულის მიერ განხორციელებული ნებისმიერი თავდასხმა არ არის თავდაცვითი უფლების გამოყენების საფუძველი. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ *ნიკარაგუის* საქმის განხილვისას აღნიშნა, რომ ძალის გამოყენების ყველა შემთხვევა არ უტოლდება შეიარაღებულ თავდასხმას, რომელიც აუცილებელია თავდაცვის უფლების წარმოშობისათვის. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია მოქმედების მასშტაბი და შედეგები. მაგალითად, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ „შეიარაღებული თავდასხმის“ ცნებიდან გამორიცხა უბრალო სასახლვრო ინციდენტი. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ გაითვალისწინა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით დადგენილი წესები და შენიშნა, რომ შეიარაღებული თავდასხმის აკრძალვა შეიძლება მოიცავდეს ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული დაჯგუფებების გაგზავნას მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, თუ ასეთი მოქმედება თავისი მასშტაბითა და შედეგებით უთანაბრდება შეიარაღებულ თავდასხმას და არ არის მხოლოდ სასახლვრო ინციდენტი.³³³

შეიარაღებული თავდასხმის არარსებობის შემთხვევაში, სახელმწიფოს არ შეუძლია ძალის გამოყენება თავდაცვითი მიზნით. ეს პირობა გასაგებია საერთაშორისო სამართალში. რაც შეეხება ტერორისტულ აქტებს, თუ თავდასხმა მასშტაბურია და

³³⁰ იქვე, გვ. 248.

³³¹ Schmitt Michael, Preemptive Strategies in International Law, Michigan Journal of International Law, Volume 24, 2002-2003, p.539.

³³² იქვე.

³³³ იქვე.

განხორციელებულია ან უცხო ქვეყნის სახელით ან ტრანსნაციონალური ან უცხოური ტერორისტული დაჯგუფების მიერ საზღვარგარეთიდან, ეს შეიძლება მიხნეულ იქნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 51-ე მუხლით გათვალისწინებულ შეიარაღებულ თავდასხმად.³³⁴

გაეროს წესდების 51-ე მუხლის ტექსტიდან გამომდინარე, არ არის აუცილებელი, შეიარაღებული თავდასხმა დაიწყოს სხვა სახელმწიფომ.³³⁵ 51-ე მუხლი შეზღუდვას აწესებს მხოლოდ შეიარაღებული თავდასხმის მსხვერპლთან მიმართებით, რომელიც მხოლოდ სახელმწიფოა.³³⁶ თავდაცვის უფლება არის ძალის გამოყენება შეიარაღებული თავდასხმის მოსაგერიებლად. შესაბამისად, მის განხორციელებას სახელმწიფო თუ არასახელმწიფოებრივი ერთეულის მიერ არსებითი მნიშვნელობა არ აქვს თავდაცვის უფლებისათვის.³³⁷

როგორც მოსამართლე კოიჯმანსმა აღნიშნა, არაგონივრულია, სახელმწიფომ, რომელზეც განხორციელდა თავდასხმა, უარი თქვას თავდაცვის უფლების გამოყენებაზე მხოლოდ იმიტომ, რომ თავდამსხმელი სახელმწიფო არ არის. მით უფრო, როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება ამას არ მოითხოვს.³³⁸

თუ სახელმწიფო არის შეიარაღებული თავდასხმის მსხვერპლი, მას შეუძლია, გამოიყენოს ძალა თავის დასაცავად და არ აქვს მნიშვნელობა, თუ ვის მიერ ხორციელდება თავდასხმა. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა უნდა დაეხმაროს სახელმწიფოებს, რათა მათ თავი დაიცვან ასეთი თავდასხმებისაგან. თუმცა ხშირად აღნიშნული დანაპირები არ სრულდება. ამდენად, არასამართლიანი და არარეალურია სახელმწიფოსგან იმის მოთხოვნა, რომ არ გამოიყენოს ძალა, თუ შეიარაღებულ თავდასხმას არასახელმწიფოებრივი ერთეული ახორციელებს.³³⁹

ტერმინი „არასახელმწიფოებრივი ერთეული“ საკმაოდ ფართო ცნებაა და შეიძლება გულისხმობდეს არარეგულარულ ძალებს, შეიარაღებულ დაჯგუფებებს, სეპარატისტულ ძალებს, პარტიზანულ რაზმებს და ა.შ.³⁴⁰ ზემოაღნიშნული ტერმინი შეიძლება მოიცავდეს ტერორისტებსაც.³⁴¹

მოსამართლე სიმა მიუთითებს, რომ სახელმწიფოთა პრაქტიკა და *opinio juris* უშვებს ქვეყნის მიერ თავდაცვის უფლების გამოყენებას

³³⁴ იქვე, გვ. 540.

³³⁵ Wilmshurst Elizabeth, The Chatham House Principles of International Law on the Use of Force in Self-Defence, International and Comparative Law Quarterly, Volume 55, 2006, pp. 963, 969-970.

³³⁶ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.204.

³³⁷ Wilmshurst Elizabeth, The Chatham House Principles of International Law on the Use of Force in Self-Defence, International and Comparative Law Quarterly, Volume 55, 2006, p. 969.

³³⁸ იქვე, გვ. 971.

³³⁹ Maogoto Jackson Nyamuya, Battling Terrorism: Legal Perspectives on the Use of Force and the War on Terror, Ashgate Publishing Company, 2005, pp. 170-171.

³⁴⁰ Klare Michael, The Deadly Connection: Paramilitary Bands, Small Arms Diffusion and State Failure, in When States Fail: Causes and Consequences, Editor: Rotberg Robert, Princeton: Princeton University Press, 2004, pp.116-117.

³⁴¹ Maogoto Jackson Nyamuya, Battling Terrorism: Legal Perspectives on the Use of Force and the War on Terror, Ashgate Publishing Company, 2005, pp. 52-53.

არასახელმწიფოებრივი ერთეულის მიერ შეიარაღებული თავდასხმის განხორციელების საპასუხოდ.³⁴²

არასახელმწიფოებრივი ერთეულებიდან საფრთხეს, უმეტესწილად, ქმნიან ტერორისტული ორგანიზაციები და სეცესიის მომხრე მოძრაობები, როგორც გლობალურ, ისე რეგიონალურ და ლოკალურ დონეზე. უშიშროების საბჭოს უნარობის ფონზე კი ამჟამინდელი კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა ვერ უზრუნველყოფს არასახელმწიფოებრივი ერთეულის მიერ განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმის მოგერიებას ან შეჩერებას.³⁴³ შეიარაღებული დაჯგუფებების, არარეგულარული ან დაქირავებული ძალების გაგზავნა, რომლებიც ახორციელებენ შეიარაღებული ძალების მოქმედებას, სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოყენების მიზნით უტოლდება აგრესიის აქტს.³⁴⁴

უნდა აღინიშნოს, რომ ცალმხრივად ძალის გამოყენება არასახელმწიფოებრივი ერთეულების წინააღმდეგ 1980-იან წლებში არაერთხელ დაგმეს.³⁴⁵ თუმცა ამჟამად, ამ შემთხვევაში, კითხვა ისმის არა იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა ძალის გამოყენება დასაშვები, არამედ აინტერესებთ, თუ რამდენადაა დაცული მისი გამოყენებისას პროპორციულობის კრიტერიუმი.³⁴⁶

მკვლევართა გარკვეული ნაწილის აზრით, შეიარაღებული თავდასხმის კონცეფცია არ მოითხოვს, რომ თავდასხმა უნდა მომდინარეობდეს სახელმწიფოსგან. მაგალითად, დინსტეინი განმარტავს, რომ, თუ სახელმწიფო სუსტია, რათა თავისი საზღვრებიდან განდევნოს ტერორისტები, დაზარალებული ქვეყანა ამ შემთხვევაშიც ვერ იქნება უმოქმედო მდგომარეობაში და მას შეუძლია, შეძლებისამებრ, დაიცვას თავისი საზღვრები;³⁴⁷ დანიელ ჯეინსი ეთანხმება თავდაცვის უფლების გამოყენებას ტერორიზმის წინააღმდეგ;³⁴⁸ კრისტოფერ გრინფუდიც ამართლებს თავდაცვის უფლების გამოყენებას იმ შემთხვევაში, როდესაც საფრთხე ტერორისტებისგან მომდინარეობს და მიუთითებს 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ განხორციელებულ ტერორისტულ აქტზე.³⁴⁹

³⁴² Case Concerning Armed Activities on the Territory of the Congo (Democratic Republic Congo v. Uganda), International Court of Justice, December 19, 2005, Separate opinion of Judge Simma, paragraph 11, p.173.

³⁴³ Stone Julius, Hopes and Loopholes in the 1974 Definition of Aggression, American Journal of International Law, Volume 71, 1977, p.238.

³⁴⁴ General Assembly Resolution on the Definition of Aggression №3314, December 14, 1974, <http://www.un.org/ga/about/background.shtml> (ნანახის: 25.05.2010).

³⁴⁵ Security Council Resolution on Israel-Tunisia, October 4, 1985, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/489/10/IMG/NR048910.pdf?OpenElement> (ნანახის: 10.10.2010); General Assembly Resolution on the United States-Libya, November 20, 1986, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/495/46/IMG/NR049546.pdf?OpenElement> (ნანახის: 11.10.2010).

³⁴⁶ Tams Christian, The Use of Force Against Terrorists, European Journal of International Law, Volume 20, 2009, p. 379.

³⁴⁷ Dinstein Yoram, The International Legal Response to Terrorism, in 2 International Law at the Time of Its Codification: Essays in Honour of Robert Ago, Editor: P. L. Zanardi, Milan, 1987, pp. 139, 146.

³⁴⁸ Janse Daniel, International Terrorism and Self-Defence, Israel Yearbook on Human Rights, Volume 36, 2006, pp. 149, 170-71.

³⁴⁹ Greenwood Christopher, International Law and the Pre-emptive Use of Force: Afghanistan, Al-Qaida and Iraq, San Diego International Law Journal, Volume 4, 2003, pp.16-18.

ზემოაღნიშნული ინტერპრეტაცია მისაღები აღმოჩნდა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ზოგიერთი მოსამართლისათვისაც.³⁵⁰

ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ 11 სექტემბრამდე თავდაცვის უფლების ცნების გაგება შეიარაღებული თავდასხმის წინააღმდეგ არსებითად შეზღუდული იყო სახელმწიფოთა ქმედებით.³⁵¹ 11 სექტემბერმა აჩვენა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტი თავისი მასშტაბითა და შედეგებით შეიარაღებულ თავდასხმას უტოლდებოდა.³⁵²

2004 წელს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მშენებლობათა სამართლებრივი შედეგების განხილვის საქმესთან დაკავშირებულ სარეკომენდაციო დასკვნაში მიუთითა, რომ გაეროს წესდების 51-ე მუხლი აღიარებს თავდაცვის უფლებას, როდესაც ერთი სახელმწიფო შეიარაღებულ თავდასხმას ახორციელებს მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ.³⁵³

მიუხედავად ამისა, გაეროს წესდების 51-ე მუხლში არ არსებობს რაიმე მითითება იმის თაობაზე, რომ თავდაცვის უფლების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეიარაღებულ თავდასხმას სახელმწიფო ახორციელებს.³⁵⁴

ფაქტია, ტერორისტული აქტი კვალიფიცირდება როგორც შეიარაღებული თავდასხმა, რაც იმას ნიშნავს, რომ მის მიმართ შეიძლება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლის გამოყენება.³⁵⁵

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ, აგრესიის დეფინიციაზე დაყრდნობით, *ნიკარაგუის* საქმის განხილვისას აღნიშნა, რომ შეიარაღებული თავდასხმა გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ან მისი სახელით მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიარაღებული ბანდების, არარეგულარული და დაქირავებული დაჯგუფებების გაგზავნას, თუ ასეთი ოპერაცია თავისი მასშტაბითა და შედეგებით ჩაითვლება რეგულარული შეიარაღებული ძალების მიერ განხორციელებულ შეიარაღებულ თავდასხმად.³⁵⁶

³⁵⁰ Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory, Advisory Opinion, International Court of Justice, July 9, 2004, Separate Opinion of Judge Kooijmans, paragraph 35, p.86; Case Concerning Armed Activities on the Territory of the Congo (Democratic Republic Congo v. Uganda), International Court of Justice, December 19, 2005, Separate Opinion of Judge Simma, paragraph 11, p.173.

³⁵¹ Cassese Antonio, Terrorism is also Disrupting Some Crucial Legal Categories of International Law, 2001, European Journal of International Law Discussion Forum, http://www.ejil.org/forum_WTC/ny.cassese.html (ნანახია: 25.05.2010); Gaja Giorgio, In What Sense Was There an Armed Attack?, 2001, European Journal of International Law Discussion Forum, http://www.ejil.org/forum_WTC/ny.gaja.html.M (ნანახია: 25.05.2010).

³⁵² Schmitt Michael, Counter-Terrorism and the Use of Force in International Law, The Marshall Center Papers, November, 2002, p.25.

³⁵³ Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory, Advisory Opinion, International Court of Justice, July 9, 2004, p.56.

³⁵⁴ იქვე, გვ. 73-74.

³⁵⁵ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Cambridge University Press 2005, Fourth Edition, p.208.

³⁵⁶ Gray Christine, International Law and the Use of Force, Oxford University Press, the Third Edition, p. 130.

ამასთანავე, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ მიუთითა, რომ აჯანყებულთა მხარდაჭერა, იქნება ეს იარაღის მიწოდება თუ რაიმე სხვა სახის დახმარების აღმოჩენა, არ არის შეიარაღებული თავდასხმა.³⁵⁷

დღეს სახელმწიფოები აღარ ეწინააღმდეგებიან იმ აზრს, რომ არარეგულარული ძალების მიერ ჩადენილი ქმედებები შეიძლება ჩაითვალოს შეიარაღებულ თავდასხმად. წინააღმდეგობრიობა კონცენტრირებულია სახელმწიფოს ჩარევის დონეზე, რაც საჭიროა იმისთვის, რომ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელი იყოს ქმედების სახელმწიფოსთან დაკავშირება და თავდაცვის გამართლება. შეიარაღებული თავდასხმის კონცეფცია, რომელიც შეიარაღებული ბანდების შემადგენლობასაც მოიცავს, სახელმწიფოს ჩართულობის მნიშვნელოვან ხარისხს საჭიროებს, მაგრამ 2001 წლის 11 სექტემბერს მსოფლიო სავაჭრო ცენტრსა და პენტაგონზე განხორციელებულმა ტერორისტულმა შეტევებმა საკამათოდ გააფართოვა შეიარაღებული თავდასხმის ცნება და მოიცვა ტერორისტული ორგანიზაციების მიერ განხორციელებული თავდასხმებიც. უშიშროების საბჭომ ტერორისტული თავდასხმები დაახასიათა არა როგორც „შეიარაღებული თავდასხმები“, არამედ როგორც „მშვიდობისათვის საშიში“, მაგრამ, ამავდროულად, 1358-ე და 1373-ე რეზოლუციათა პრეამბულაში უშიშროების საბჭომ თავდაცვის უფლება დაადასტურა. ეს იმას ნიშნავს, რომ მოხდა ნაგულისხმევად დათანხმება ფაქტზე, რომლის მიხედვით, ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტები შეიარაღებულ თავდასხმებს უტოლდებოდა.³⁵⁸

6. შეიარაღებული თავდასხმა კიბერსივრცეში

კიბერსივრცე ადამიანის მიერ შექმნილი სისტემაა, რომლის მეშვეობით ხორციელდება მონაცემებისა და ინფორმაციის გადაცემა, რაც მისი მთავარი მახასიათებელი ნიშანია.³⁵⁹ კიბერსივრცე აერთიანებს როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ საკუთრებას და ტექნიკური წესების გამოყენებით უზრუნველყოფს ინფორმაციის გაგრძელებას.³⁶⁰

არ არსებობს ერთიანი განმარტება კიბერსივრცეში განხორციელებული თავდასხმების შესახებ.³⁶¹ ინფორმაცია კიბერსივრცის არსებობის საფუძველია, მაგრამ იგი არსებითად განსხვავდება ომის წარმოების ტრადიციული საშუალებებისაგან.³⁶²

რაც შეეხება კიბერუსაფრთხოებას, იგი მონაცემთა ბაზების, ინფორმაციის გადამცემი არსებისა და ასევე ინტერნეტის საშუალებით ნებისმიერი სახის ფინანსური გარიგების დაცულობას გულისხმობს.

³⁵⁷ Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua (Nicaragua v. United States of America, (merits - International Court of Justice, Reports), 1986, paragraph 195, p.84.

³⁵⁸ ზ. სანიკიძე, თავდაცვის, როგორც ძალის გამოყენების კანონიერი უფლების, განმარტების პრობლემები, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, №2, 2010, გვ. 38.

³⁵⁹ Major Todd Graham H., Cyberlaw Edition: Armed Attack in Cyberspace: Detering Asymmetric Warfare Within An Asymmetric Definition, Air Force Law Review, Volume 64, 2009, p.68.

³⁶⁰ იქვე.

³⁶¹ იქვე.

³⁶² იქვე.

სხვადასხვა ფინანსური გარიგების აღსრულების დროს ეს მოიცავს ინტერნეტში საბანკო ინფორმაციის გაცვლაზე დაკვირვებას, ასევე მათ დაცვას არაერთი გარეშე თავდასხმისგან. ჰაკერების მეშვეობით შესაძლებელია საიდუმლო ინფორმაციის ან დიდი ოდენობის ფულის ჩაგდება. კიბერთავდასხმები, სხვა, ჩვეულებრივი თავდასხმისგან განსხვავებით, შესაძლოა არა ომიანობის დროს, არამედ მშვიდობის პერიოდშიც განხორციელდეს. „დასამალი არ არის, რომ ისინი ყოველ დღე ხდება“ – ამბობს ნიუ-იორკში არსებული, გავლენიანი საგარეო ურთიერთობების საბჭოს თავდაცვის საკითხების ექსპერტი სტივენ ბილლი.³⁶³

მაიკლ შმიტი აღნიშნავს, რომ კიბერსივრციდან მომდინარე საფრთხე ტრადიციული საფრთხეებისაგან განსხვავდება. კერძოდ, შეიძლება გამოეყოთ შემდეგი განმასხვავებელი ნიშნები: 1) კომპიუტერული ქსელები არის ახალი კატეგორია, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს იგივე შედეგი, რასაც იწვევს ტრადიციული სამიზნის წინააღმდეგ ძალის გამოყენება; 2) თავდასხმა გულისხმობს არა იარაღის მეშვეობით მიზნის მიღწევას, არამედ ნიშნავს ერთი კომპიუტერული სისტემიდან მეორეში შეჭრას; 3) სისტემაში შეღწევის მიზანი კი არის მისი დაზიანება, განადგურება ან მონაცემებით მანიპულირება; 4) კიბერსივრციდან მომდინარე საფრთხე არ არის შეზღუდული პოლიტიკური ან გეოგრაფიული საზღვრებით.³⁶⁴

მკვლევართა უმრავლესობა თავდასხმას კიბერსივრცეში იყენებს ორაზროვნად. ამ შემთხვევაში მთავარი კითხვაა, მოიცავს თუ არა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტში მოცემული ტერმინი „ძალის გამოყენება“ ან ამავე წესდების 51-ე მუხლში მითითებული „შეიარაღებული თავდასხმა“ კიბერსივრცეში განხორციელებულ თავდასხმას.³⁶⁵

გრეი შარფი მიიჩნევს, რომ ძალის გამოყენება კიბერსივრცეში შეიძლება იყოს შეიარაღებული თავდასხმის ზღურბლთან, თუმცა ეს დამოკიდებულია კონკრეტულ ვითარებასა და გარემოებებზე. ამ დროს გასათვალისწინებელია მოქმედების მასშტაბი, ხანგრძლივობა და ინტენსივობა.³⁶⁶

საერთაშორისოსამართლებრივი დოკუმენტებიდან მხოლოდ ევროკავშირის კონვენცია „კიბერდანაშაულთა შესახებ“ ეხება კიბერსივრცეში განხორციელებულ შეტევებს.³⁶⁷ თუმცა ეს კონვენცია კიბერსივრცეში მომხდარ დარღვევებს განიხილავს სისხლის სამართლის კონტექსტში და ის არ არის ორიენტირებული, გაანალიზოს

³⁶³ ინტერვიუ სტივენ ბილლთან: რამდენად მნიშვნელოვანია კიბერუსაფრთხოება? ანა კალანდაძე, 2009 წლის 24 დეკემბერი, <http://www.voanews.com/georgian/news/a-54-2009-12-24-voa17-93135159.html> (ნანახია: 25.09.2010).

³⁶⁴ Schmitt Michael, Computer Network Attack and the Use of Force in International Law: Thoughts on a Normative Framework, Columbia Journal of Transnational Law, Volume 37, 1998-1999, p.888.

³⁶⁵ იქვე, გვ. 885.

³⁶⁶ Sharp Walter Gary, Cyberspace and the Use of Force, Aegis Research Corporation, 1999, p. 69.

³⁶⁷ Convention on Cybercrime, November 23, 2001, <http://conventions.coe.int/Treaty/en/Treaties/Html/185.htm> (ნანახია: 25.05.2010).

კიბერშეტევითი მოქმედებები, როგორც ომის წარმოების ერთ-ერთი ფორმა.³⁶⁸

ჟენევის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის 49-ე მუხლი თავდასხმას განმარტავს როგორც მოწინააღმდეგისკენ მიმართულ ძალადობრივ აქტს.³⁶⁹ ამ დამატების ოფიციალურ კომენტარებში მითითებულია, რომ ეს დეფინიცია გულისხმობს სამხედრო ოპერაციისთვის შეიარაღებული ძალის გამოყენებას.³⁷⁰ შესაბამისად, არასამხედრო ოპერაციის შედეგად მიყენებული ეკონომიკური ზიანი არ შეიძლება იყოს თავდასხმა, რაც ზღუდავს თავდასხმის დეფინიციას.³⁷¹

1974 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ №3314 რეზოლუციაში ფართოდაა ჩამოთვლილი სხვადასხვა ტიპის მოქმედებები, რომლებიც აგრესიად მიიჩნევა. მათ შორისაა: სამხედრო ოკუპაცია, განსაზღვრული ტერიტორიის დაბომბვა ან ნებისმიერი იარაღის გამოყენება სახელმწიფოს წინააღმდეგ, ბლოკადაში მოქცევა, თავდასხმა სახმელეთო, საჰაერო ან საზღვაო ძალებზე, შეიარაღებული ბანდების, არარეგულარული და დაქირავებული დაჯგუფებების გაგზავნა ნებისმიერი წინარე მოქმედების დასამთავრებლად.³⁷²

მიუხედავად იმისა, რომ გაეროს გენერალური ასამბლეის ზემოაღნიშნული რეზოლუცია მოიცავს მოქმედებათა ფართო წრეს, რომელიც თავდაცვის უფლების გამოყენების საფუძველია, მაინც ბუნდოვანია, თუ რამდენად შესაძლებელია კიბერშეტევითი თავდასხმების მოაზრება ამ ჩამონათვალში.³⁷³

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტმა განმარტა, რომ კომპიუტერულ ქსელზე თავდასხმა ნიშნავს კომპიუტერული ქსელების გამოყენებით კომპიუტერში ან კომპიუტერებში არსებული ინფორმაციის ხელყოფას, მათ შორის, მის განადგურებას, შეცვლას.³⁷⁴

საერთაშორისო თანამეგობრობას ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტია, რამდენად მიიჩნიოს კიბერტექნიკური საშუალებები ომის წარმოების ფორმად და კიბერშეტევები შეიარაღებული კონფლიქტის შემადგენელ ნაწილად, თუმცა 2007 წელს ესტონეთსა და 2008 წელს საქართველოზე განხორციელებული კიბერთავდასხმა აჩვენებს, რომ იგი ომის წარმოების თანამედროვე ფორმაა. შააპი იყენებს სპეციალურ ტერმინს, - „კიბერომის ოპერაციები“, - რომელიც მოიცავს კიბერსივრცეში განხორციელებულ ყველა სამხედრო ოპერაციას და გულისხმობს ერთი სახელმწიფოს მიერ კომპიუტერული ქსელების შესაძლებლობათა გამოყენებას მეორე

³⁶⁸ Major Todd Graham H., Cyberlaw Edition: Armed Attack in Cyberspace: Detering Asymmetric Warfare Within An Asymmetric Definition, Air Force Law Review, Volume 64, 2009, p.81.

³⁶⁹ Protocol Additional to the Geneva Conventions of 12 August 1949, and relating to the Protection of Victims of International Armed Conflicts (Protocol I), June 8, 1977, <http://www.icrc.org/ihl.nsf/FULL/470?OpenDocument> (ნანახის: 25.05.2010).

³⁷⁰ Commentary for Protocol Additional to the Geneva Conventions of 12 August 1949, and relating to the Protection of Victims of International Armed Conflicts (Protocol I), June 8, 1977, Article 49, <http://www.icrc.org/ihl.nsf/WebList?ReadForm&id=470&t=com> (ნანახის: 25.05.2010).

³⁷¹ Major Todd Graham H., Cyberlaw Edition: Armed Attack in Cyberspace: Detering Asymmetric Warfare Within An Asymmetric Definition, Air Force Law Review, Volume 64, 2009, p. 73.

³⁷² იქვე, გვ. 75-76.

³⁷³ იქვე, გვ. 76.

³⁷⁴ იქვე, გვ. 82.

სახელმწიფოს კომპიუტერში ან კომპიუტერებში არსებული ინფორმაციის გასანადგურებლად, შესაცვლელად ან სხვაგვარი მანიპულაციების შესასრულებლად.³⁷⁵

2003 წლის თებერვალში თეთრმა სახლმა გამოაქვეყნა ეროვნული სტრატეგია კიბერსივრცის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ. დოკუმენტის თანახმად, კიბერსივრცის უსაფრთხოება ამერიკის შეერთებული შტატების უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილია. ამასთანავე, დოკუმენტი ხაზს უსვამს ამერიკის მთავრობის უფლებას, გამოიყენოს შესაბამისი ზომები კიბერშეტევის წინააღმდეგ.³⁷⁶

ამასთანავე, 2003 წელს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ინფორმაციული ოპერაციების გზამკვლევი, რომელშიც თავდაცვის მდივანმა მიუთითა სამხედრო შესაძლებლობების ტრანსფორმაციასა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფად განვითარებაზე. პუბლიკაციაში აღინიშნა, რომ ქსელები ოპერაციათა განხორციელების ცენტრია.³⁷⁷

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება არ განმარტავს ძალის გამოყენებას და შეიარაღებულ თავდასხმას. გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია „აგრესიის დეფინიციის შესახებ“ ეხება ძალის გამოყენების ან შეიარაღებული თავდასხმის განხორციელების შემთხვევებს. რეზოლუციის მე-3 მუხლში ჩამოთვლილია შვიდი სხვადასხვა მოქმედება, რომლებიც აგრესიად კვალიფიცირდება; ხოლო მე-4 მუხლში მითითებულია, რომ ეს ჩამონათვალი ამომწურავი არ არის.³⁷⁸

შეიძლება თუ არა, ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებული კიბერშეტევა, რომელმაც გამოიწვია ვებსაიტებისა და ქსელების ხელმისაწვდომობის შეფერხება/ბლოკირება, ჩაითვალოს ძალის არაკანონიერ გამოყენებად?³⁷⁹

2007 წლის აპრილში ესტონეთის მნიშვნელოვან ვებსაიტებზე, მათ შორის პრეზიდენტის, პარლამენტის, სამინისტროების, პოლიტიკური პარტიების, ტელევიზიებისა და ესტონეთის 2 მთავარი ბანკის ვებსაიტზე განხორციელდა კიბერთავდასხმა. კიბერშეტევები ივნისის შუა რიცხვებამდე გრძელდებოდა,³⁸⁰ რაც რუსული სერვერებიდან მოდიოდა.³⁸¹ ესტონეთმა დასახმარებლად მიმართა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასა და ევროკავშირს.³⁸²

³⁷⁵ Major Arie J. Schaap, *Cyberlaw Edition: Cyber Warfare Operations: Development and Use Under International Law*, *The Air Force Law Review*, Volume 64, 2009, pp.126-127.

³⁷⁶ Lieutenant Colonel Berg Paul, *Air Force Works to Defend Cyberspace*, June 30, 2008, available at <http://www.afcyber.af.mil/news/commentaries/story.asp?id=123104768>; *National Strategy to Secure Cyberspace*, February, 2003, http://www.dhs.gov/xlibrary/assets/National_Cyberspace_Strategy.pdf (ნანახია: 25.05.2010).

³⁷⁷ United States Department of Defense, *Information Operations Roadmap*, October 30, 2003, http://www.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB177/info_ops_roadmap.pdf (ნანახია: 25.05.2010).

³⁷⁸ Major Schaap Arie, *Cyberlaw Edition: Cyber Warfare Operations: Development and Use Under International Law*, *The Air Force Law Review*, Volume 64, 2009, p.143.

³⁷⁹ იქვე.

³⁸⁰ Johnny Ryan, *Growing Dangers: Emerging and Developing Security Threats*, *NATO Review*, Winter, 2007, <http://www.nato.int/docu/review/2007/issue4/english/analysis2.html> (ნანახია: 25.05.2010).

³⁸¹ Myers Steven Lee, *Estonia Accuses Russia of Computer Attacks*, *New York Times*, May 18, 2007, <http://www.nytimes.com/2007/05/18/world/europe/18cnd-russia.html?h> (ნანახია: 25.05.2010).

³⁸² Ruiz Maricelle, *Internet Law - Should We Go to War Over a Massive Cyber-Attack?*, *Internet Business Law Services*, May 23, 2007,

კიბერთავდასხმასთან დაკავშირებული საკითხების გაანალიზებისას ისმის შემდეგი კითხვები: როდის ჩაითვლება კიბერშეტევა, გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ძალის გამოყენებად?³⁸³ როდის მიიჩნევა კიბერთავდასხმა, გაეროს წესდების თანახმად, შეიარაღებულ თავდასხმად?³⁸⁴ როდის შეიძლება სახელმწიფომ გამოიყენოს თავდაცვის უფლება კიბერშეტევისას და ამ დროს პროპორციულობის კრიტერიუმი როგორ უნდა იყოს დაცული?³⁸⁵

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა აუცილებელია, რათა განისაზღვროს კიბერშეტევებზე სახელმწიფოთა რეაგირებისა და კიბეროპერაციების განხორციელების წესი. სამწუხაროდ, ზემოაღნიშნულ კითხვებთან მიმართებით ერთიანი პოზიცია არ არსებობს.³⁸⁶ ზოგიერთი ფიქრობს, რომ კიბერშეტევასთან ერთად უნდა განხორციელდეს სამხედრო თავდასხმა. მკვლევართა ნაწილი ყურადღებას ამახვილებს კიბერშეტევის შედეგად მიყენებულ ფართომასშტაბიან ზიანზე.³⁸⁷

ინტერნეტუსაფრთხოებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური საგამომიებო ბიუროს დირექტორმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ აშშ-ის კომპიუტერულ ქსელებს საფრთხეს უცხო ქვეყნის ჰაკერები, საერთაშორისო კრიმინალური სინდიკატები და ტერორისტები უქმნიან. ტერორისტული დაჯგუფებები, მაგალითად „ალ-ქაიდა“, ინტერნეტქსელს უკვე არა მხოლოდ ახალი წევრების მოსაძებნად და ტერაქტების დასაგეგმად, არამედ კონკრეტული კიბერშეტევების განსახორციელებლად იყენებენ.³⁸⁸

მიუღერის განცხადებით, აშშ-ის უსაფრთხოებას ემუქრება რამდენიმე უცხო ქვეყნის მთავრობაც, რომლებიც ინტერნეტშიონაჟისათვის თავიანთი რესურსების გაფართოებას ცდილობენ. კონკრეტულად თუ რომელ ქვეყნებზე იყო საუბარი, ამერიკის ფედერალური საგამომიებო ბიუროს დირექტორმა არ დააკონკრეტა.³⁸⁹

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გაახმაურა რამდენიმე ინიციატივა, რომლებიც პრეზიდენტ ბუშის მმართველობის პერიოდში დაიგეგმა. იგი გულისხმობს უწყებათაშორისი კიბერკონტრაზვერვის სამსახურის შექმნას, სამთავრობო კომპიუტერული ქსელების უსაფრთხოების დონის ამაღლებას, სამთავრობო საინფორმაციო სისტემებში თავდასხმის აღმოჩენას,

http://www.ibls.com/internet_law_news_portal_view.aspx?s=latestnews&id=1762 (ნანახია: 25.05.2010).

³⁸³ Lieutenant Colonel Franzese Patrick, Cyberlaw Edition: Sovereignty in Cyberspace: Can It Exist? The Air Force Law Review, Volume 64, 2009, p.5.

³⁸⁴ იქვე.

³⁸⁵ იქვე.

³⁸⁶ იქვე გვ. 6.

³⁸⁷ Marching Off to Cyberwar, Economist, December 4, 2008, http://www.economist.com/sciencetechnology/tq/displaystory.cfm?stoty_id=12673385 (ნანახია: 25.05.2010).

³⁸⁸ ტერორისტებმა შეიძლება ბომბები კიბერშეტევებით შეცვალონ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი, 2010 წლის 9 მარტი, <http://ictgov.wordpress.com/category/> (ნანახია: 25.05.2010).

³⁸⁹ იქვე.

აღკვეთას და საინფორმაციო უსაფრთხოების სფეროში კვლევების ჩატარებას.³⁹⁰

ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური საგამოძიებო ბიუროს კიბერსამმართველოს დირექტორის თანაშემწემ განაცხადა, რომ კომპიუტერული თავდასხმები არანაკლებ საშიშია ეროვნული უსაფრთხოებისათვის, ვიდრე მასობრივი განადგურების იარაღი;³⁹¹ კიბერტერორიზმი და კიბერშეტევა ისევე საშიშია ეროვნული უსაფრთხოებისათვის, როგორც სარაკეტო თავდასხმა.³⁹²

ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა განაცხადა, რომ აუცილებელია კიბერსაფრთხეების წინააღმდეგ თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარება; ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური საგამოძიებო ბიუროს დირექტორმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ კიბერშეტევას შეუძლია გამოიწვიოს ბომბის მსგავსი შედეგი.³⁹³

კიბერშეტევის ერთ-ერთი გავრცელებული სახეა შემთხვევა, როდესაც ინფორმაციული ნაკადის განუზომელი ოდენობით მიწოდების გამო შეუძლებელია რომელიმე საიტის ფუნქციონირება; მეორე ტიპის შეტევა გულისხმობს ინფორმაციის შეცვლას.³⁹⁴

2008 წლის აგვისტოს ომის დროს გატეხეს მრავალი ქართული ვებგვერდი, მათ შორის: საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის, უზენაესი სასამართლოს, საგარეო საქმეთა და განათლების სამინისტროების საიტები და დაამახინჯეს მათზე განთავსებული ინფორმაცია; ასევე, იყო საქართველოსკენ მომავალი ინფორმაციული ნაკადების რუსეთისკენ გადამისამართების მცდელობები.³⁹⁵

„პირველი შემთხვევაა ისტორიაში, როდესაც შეიარაღებულ კონფლიქტს ორ ქვეყანას შორის წინ უძღოდა ინტენსიური კიბერმოძრაობა“, - ასეთი შეფასება მისცა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ რუსეთ-საქართველოს შორის განვითარებული საომარი მოქმედებების პარალელურად განხორციელებულ მასობრივ კიბერთავდასხმებს.³⁹⁶

კვინ კოლემანი კიბერომს განმარტავს როგორც კონფლიქტს და მიუთითებს, რომ ამ დროს არაღვალური გზებით ხორციელდება თავდასხმა კომპიუტერულ ქსელებზე, რათა კონკრეტული

³⁹⁰ იქვე.

³⁹¹ Cyber Attacks Ranked 3rd Danger Behind Nuclear War, ARY One World, January 8, 2009, <http://www.thearynews.com/english/newsdetail.asp?nid=19868> (ნანახია: 25.05.2010).

³⁹² Coleman Kevin, Cyber Weapons and E-Bombs, March 13, 2008, http://www.defensetech.org/archives/cat_cyberwarfare.html (ნანახია: 25.05.2010).

³⁹³ Coleman Kevin, Cyber threats worsen every second, stronger measures necessary to address more frequent and sophisticated attacks, April 22, 2010, <http://www.defensesystems.com/Articles/2010/04/26/Digital-Conflict-Cyber-Defense.aspx> (ნანახია: 24.06.2010).

³⁹⁴ ნატო-ანტივირუსი: ინტერვიუ საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენას“ აღმასრულებელ დირექტორ რამაზ ქვათაძესთან, გაზეთ „24 საათის“ დამატება „ნატო საქართველოში“, №16, 2009 წლის 1 ივლისი, გვ.2.

³⁹⁵ იქვე.

³⁹⁶ Markoff J. Before the Gunfire Cyberattacks, New York Times, August 12, 2008, http://www.nytimes.com/2008/08/13/technology/13cyber.html?_r=1&em (ნანახია: 24.06.2010).

ინფრასტრუქტურის დაზიანების შედეგად გამოიწვიონ ეკონომიკური ზარალი ან ხელყონ თავდაცვის საშუალებები.³⁹⁷

თავი III. კოლექტიური თავდაცვა

1. კოლექტიური თავდაცვის მნიშვნელობა

გაეროს წესდების 51-ე მუხლში გამოყენებული ფრაზა „ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვა“ მარტივად გასაგები როდია. პრაქტიკაში განასხვავებენ თავდაცვის ოთხ კატეგორიას, ესენია: ა)ინდივიდუალური თავდაცვა, განხორციელებული ინდივიდუალურად; ბ)ინდივიდუალური თავდაცვა, განხორციელებული კოლექტიურად; გ)კოლექტიური თავდაცვა, განხორციელებული ინდივიდუალურად; დ)კოლექტიური თავდაცვა, განხორციელებული კოლექტიურად. პირველი კატეგორია გულისხმობს თავდაცვის უფლების უშუალოდ გამოყენებას. თუ ერთი სახელმწიფო თავს ესხმის მეორეს, თავდასხმის ობიექტი სახელმწიფო თავად რეაგირებს შეტევაზე; მეორე კატეგორიის შემთხვევაში, აგრესორი ახორციელებს თავდასხმას რამდენიმე სახელმწიფოზე ერთდროულად ან თანმიმდევრულად, თავდასხმის ობიექტი ქვეყნები კი უფლებამოსილნი არიან, მიმართონ თავდაცვით ღონისძიებებს; მესამე კატეგორიის დროს თავდასხმას ინდივიდუალურად შეიძლება უპასუხოს იმ სახელმწიფომ, რომელზეც არ განხორციელებულა შეტევა, მაგრამ ის თავდასხმის შეკავების მიზნით ეხმარება დაზარალებულ ქვეყანას.³⁹⁸ გაეროს წესდების თანახმად, ნებისმიერ წევრ ქვეყანას შეუძლია, დაეხმაროს მეორე სახელმწიფოს, თუ იგი თავდასხმის მსხვერპლია;³⁹⁹ მეოთხე კატეგორიის შემთხვევაში კოლექტიური თავდაცვა ხორციელდება კოლექტიურად, ანუ ორი ან მეტი სახელმწიფო ერთობლივად ეხმარება დაზარალებულ ქვეყანას.⁴⁰⁰

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო *ნიკარაგუის* საქმეში მიუთითებს, რომ სახელმწიფოებს კოლექტიური თავდაცვის უფლება აქვთ არა მარტო გაეროს წესდების 51-ე მუხლიდან გამომდინარე, არამედ აღიარებულია საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მიხედვით.⁴⁰¹

რამდენადაც არაეფექტურია კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში, იმდენად კოლექტიური თავდაცვა ერთადერთი ეფექტური მექანიზმია შეიარაღებული თავდასხმის წინააღმდეგ.⁴⁰²

³⁹⁷ Coleman Kevin, *The Cyber Arms Race Has Begun*, January 28, 2008, <http://www2.csoonline.com/exclusives/column.html?CID=33496> (ნანახის: 24.06.2010).

³⁹⁸ Dinstein Yoram, *War, Aggression and Self-Defence*, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.252-253.

³⁹⁹ Kelsen H., *Collective Security and Collective Self- defense under the Charter of the United States*, *American Journal of International Law*, Volume 42, 1948, pp.783- 792.

⁴⁰⁰ Dinstein Yoram, *War, Aggression and Self-Defence*, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.254.

⁴⁰¹ იქვე, გვ. 256.

⁴⁰² იქვე, გვ. 255.

კოლექტიური თავდაცვა შეიძლება განხორციელდეს როგორც წინასწარ განსაზღვრული შეთანხმების საფუძველზე, ისე სპონტანურად, რაც გულისხმობს აღნიშნული შეთანხმების გარეშე გაუთვალისწინებელი შეიარაღებული თავდასხმის წინააღმდეგ შესაბამისი ზომების გამოყენებას.⁴⁰³

უდავოა, რომ კოლექტიური თავდაცვა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის განუყოფელი ნაწილია.⁴⁰⁴

კოლექტიური თავდაცვა არის ერთი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმის საპასუხოდ განხორციელებული კოლექტიური ქმედება, იმ დამატებითი კრიტერიუმით, რომ „მსხვერპლმა სახელმწიფომ“ უფლებამოსილი წარმომადგენლების მეშვეობით ოფიციალურად უნდა მოითხოვოს დახმარება.⁴⁰⁵

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია – ნატო ეფუძნება კოლექტიური თავდაცვის პრინციპს. ამ პრინციპის თანახმად, ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებული თავდასხმა აღიქმება თავდასხმად ყველა წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგ.⁴⁰⁶

კოლექტიური თავდაცვა უფრო მეტია, ვიდრე ინდივიდუალური თავდაცვის უფლება, რადგან კოლექტიური თავდაცვის უფლების გამოყენების მეშვეობით ერთობლივად შესაძლებელია წინააღმდეგობის საბოლოოდ დაძლევა.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ *ნიკარაგუის* საქმის განხილვისას მიუთითა, რომ სახელმწიფომ, რომლის წინააღმდეგ განხორციელდა შეიარაღებული თავდასხმა, საკუთარი თავი უნდა გამოაცხადოს მსხვერპლ სახელმწიფოდ და სთხოვოს დახმარება მეორე სახელმწიფოს. ამასთანავე, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო დამატებით ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ერთ სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს ძალა მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ, თუ მის მიერ განხორციელებული ქმედება სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ არის უკანონო, მაგრამ ეს უკანონო აქტი უნდა იყოს შეიარაღებული თავდასხმა.⁴⁰⁷ ამდენად, კოლექტიური თავდაცვის უფლების გამოყენება შეიძლება მხოლოდ შეიარაღებული თავდასხმის საპასუხოდ, რაც განსაზღვრულია გაეროს წესდების 51-ე მუხლით. ამ მუხლის მიხედვით, როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური თავდაცვის უფლების განხორციელების სამართლებრივი საფუძველია შეიარაღებული თავდასხმა. მაგალითად, 1990 წლის 2 აგვისტოს ერაყის შეჭრა ქუვეითში გახდა კოალიციის მოკავშირეებისთვის კოლექტიური თავდაცვის უფლების გამოყენების საფუძველი.⁴⁰⁸

⁴⁰³ Martin Andrew, *Collective Security*, New York: Columbia University Press, 1952, p. 170.

⁴⁰⁴ Alexandrov S. A., *Self-Defense against the Use of Force in International Law*, Kluwer Law International: the Hague, 1996, p. 103.

⁴⁰⁵ ზ. სანიკიძე, თავდაცვის, როგორც ძალის გამოყენების კანონიერი უფლების, განმარტების პრობლემები, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, №2, 2010, გვ. 43-44.

⁴⁰⁶ ბურკაძე ხათუნა, კორეპანოვი ანატოლი, ეს ნატოა, თბილისი, 2010 წელი, გვ.13.

⁴⁰⁷ Case Concerning Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua (Nicaragua v. United States of America, International Court of Justice, 1986, pp.84-85.

⁴⁰⁸ Shaw Malcolm, *International Law*, Cambridge University Press, 5th edition, 2003, p.1135.

საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში არ არსებობს ნორმა, რომელიც სახელმწიფოს მიერ შექმნილი ვითარების შეფასების საფუძველზე დაუშვებდა კოლექტიური თავდაცვის უფლების განხორციელებას.⁴⁰⁹

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო განმარტავს, რომ არ არსებობს წესი, რომელიც სახელმწიფოს მისცემდა კოლექტიური თავდაცვის უფლების გამოყენების შესაძლებლობას მსხვერპლი სახელმწიფოს მოთხოვნის გარეშე. გარდა ამისა, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო უთითებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, სახელმწიფომ უნდა შეატყობინოს უშიშროების საბჭოს კოლექტიური თავდაცვითი ზომების განხორციელების თაობაზე.⁴¹⁰ ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ კოლექტიური თავდაცვის ბევრ ხელშეკრულებაში ეს დებულება გათვალისწინებულია.⁴¹¹

ხანგრძლივი დებატების შედეგად გადაწყდა, რომ კოლექტიური თავდაცვის უფლების მუხლი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მე-7 თავში ჩაედოთ, ნაცვლად მე-8 თავისა, რომელიც რეგიონალურ შეთანხმებებს ეხება.⁴¹²

ნიკარაგუის საქმის განხილვისას რამდენიმე მოსამართლემ აღნიშნა, რომ კოლექტიური თავდაცვის უფლება იყო ინოვაცია. მაგალითად, მოსამართლე ოდას აზრით, ტერმინი კოლექტიური თავდაცვა უცნობი იყო 1945 წლამდე.⁴¹³ მოსამართლე ჯენინგსიც დაეთანხმა ამ მოსაზრებას და მიუთითა, რომ კოლექტიური თავდაცვა ახალი კონცეფცია იყო.⁴¹⁴

მიუხედავად იმისა, იყო თუ არა კოლექტიური თავდაცვის უფლება სიახლე, ფაქტია, რომ სწორედ 1945 წლის შემდგომმა პრაქტიკამ განაპირობა ამ კონცეფციის განვითარება.⁴¹⁵

კოლექტიური თავდაცვითი მოქმედებების განხორციელებისას მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, აქვს თუ არა სახელმწიფოს უფლება, მიმართოს კოლექტიურ თავდაცვას, თუ არ არსებობს ქვეყნებს შორის წინასწარ დადებული შეთანხმება. ზოგიერთი მიიხნევს, რომ კოლექტიური თავდაცვისათვის აუცილებელია ასეთი შეთანხმების მოქმედება.⁴¹⁶ თუმცა სხვა მკვლევარები თვლიან, რომ გადამწყვეტია საერთო ინტერესები და არა წინასწარ განსაზღვრული ხელშეკრულება.⁴¹⁷

⁴⁰⁹ Christine Gray, *International Law and the Use of Force*, Second Edition, Oxford University Press, 2004, p.140.

⁴¹⁰ იქვე.

⁴¹¹ იქვე, გვ. 156.

⁴¹² Thomas Franck, *Recourse to Force*, Cambridge University Press, 2002, p. 48.

⁴¹³ Case Concerning Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua, (*Nicaragua v. the United States of America*), International Court of Justice, 1986, Dissenting Opinion of Judge Oda, p. 215.

⁴¹⁴ Case Concerning Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua, (*Nicaragua v. the United States of America*), International Court of Justice, 1986, Dissenting Opinion of Judge Sir Robert Jennings, pp.456-458.

⁴¹⁵ Gray Christine, *International Law and the Use of Force*, Second Edition, Oxford University Press, 2004, p.138.

⁴¹⁶ იქვე.

⁴¹⁷ Bowett D. W., *Self-Defence in International Law*, New York, 1958, p. 216.

მოსამართლე ჯენინგსმა გააკრიტიკა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მოთხოვნა, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური თავდაცვის უფლების განხორციელებისათვის მსხვერპლი სახელმწიფოს მიერ დახმარების მოთხოვნის აუცილებლობას. მისი პოზიცია ზოგიერთმა მკვლევარმა გაიზიარა. ისინი თვლიან, რომ კოლექტიური თავდაცვა მნიშვნელოვანი უფლებაა მხარისთვის, რათა მან აღმოუჩინოს დახმარება მსხვერპლ სახელმწიფოს. ამ უფლების გამოყენებისთვის აუცილებელია შეიარაღებული თავდასხმის არსებობა და არა დამატებითი მოთხოვნების დაწესება.⁴¹⁸

ცალკეული საქმეების გაანალიზების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კოლექტიური თავდაცვის უფლების განხორციელება პრაქტიკაში ხდება მსხვერპლ სახელმწიფოსთან წინასწარ დადებული ხელშეკრულების გარეშე. მაგალითად, აშშ-ლიბანის (1958), გაერთიანებული სამეფო-იორდანის (1958), კუბა-ანგოლის (1975 წლიდან), ამერიკის შეერთებული შტატებისა და გაერთიანებული სამეფო-ქუვეითის (1990) შემთხვევებში.⁴¹⁹

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, არსებობს სხვა შემთხვევებიც, რომელთა დროსაც კოლექტიური თავდაცვის უფლება წინასწარ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გამოიყენეს (გაერთიანებული სამეფო და სამხრეთ არაბეთის ფედერაცია, ელ-სალვადორი, კოსტა-რიკა, ჰონდურასი და ამერიკის შეერთებული შტატები, ჩადი და საფრანგეთი). შეიძლება ძალის გამოყენებამდე ცოტა ხნით ადრე დაიდოს შეთანხმება ქვეყნებს შორის დახმარების თაობაზე. რაც შეეხება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს, მისი დამფუძნებელი დოკუმენტი – ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლი, მიღებული 1949 წლის 4 აპრილს, – ასახავს ორგანიზაციის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს – კოლექტიურ თავდაცვას. ნატოს ისტორიაში იგი პირველად გამოიყენეს 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტების საპასუხოდ.⁴²⁰

მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ აუცილებელია შესაბამისი მოთხოვნების დაწესება კოლექტიური თავდაცვის უფლების განხორციელებისას, რათა არ მოხდეს სამოქალაქო კონფლიქტების ინტერნაციონალიზაცია და არ გაიზარდოს სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტები.⁴²¹

მკვლევართა ნაწილი კი არ ეთანხმება მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს შეზღუდვებს კოლექტიური თავდაცვის უფლებასთან მიმართებით და თვლის, რომ იგი სასიცოცხლო მნიშვნელობის მექანიზმია პატარა, დაუცველი ქვეყნებისთვის.⁴²² მეტიც,

⁴¹⁸ Macdonald Ronald St. John, *The Nicaragua Case: New Answers to Old Questions*, Canadian Yearbook of International Law, Volume 24, University of British Columbia Press, 1986-1988, p.151.

⁴¹⁹ Gray Christine, *International Law and the Use of Force*, Second Edition, Oxford University Press, 2004, p.155.

⁴²⁰ იქვე.

⁴²¹ Farer Tom, *Drawing the Right Line*, American Journal of International Law, Volume 81, 1987, pp. 112-113.

⁴²² Macdonald Ronald St. John, *The Nicaragua Case: New Answers to Old Questions*, Canadian Yearbook of International Law, Volume 24, University of British Columbia Press, 1986-1988, p.151.

ზოგიერთი მათგანი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ თავდაცვა უნდა იყოს კოლექტიური.⁴²³

2. კოლექტიური თავდაცვის ხელშეკრულებები:

გაეროს წესდების 52-ე მუხლის თანახმად, დასაშვებია რეგიონალურ შეთანხმებათა ან ორგანოთა არსებობა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული ისეთი საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც შესაფერისია რეგიონალური მოქმედებისათვის, იმ პირობით, რომ ასეთი შეთანხმებები ან ორგანოები და მათი საქმიანობა შეესაბამება ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებს. ორგანიზაციის წევრებმა, რომლებმაც ასეთი შეთანხმებები დადეს ან ასეთი ორგანოები შექმნეს, ყოველი ღონე უნდა იხმარონ ადგილობრივი დავის მშვიდობიანი გადაწყვეტის მისაღწევად ასეთ რეგიონალურ შეთანხმებათა ან ასეთი რეგიონალური ორგანოების დახმარებით, ვიდრე ეს დავა გაეროს უშიშროების საბჭოს გადაეცემა. უშიშროების საბჭომ დაინტერესებულ სახელმწიფოთა ინიციატივით ან თავად უნდა წაახალისოს ასეთ რეგიონალურ შეთანხმებათა ან ასეთი რეგიონალური ორგანოების დახმარებით ადგილობრივი დავის მშვიდობიანი გადაწყვეტა.⁴²⁴ 52-ე მუხლში გამოყენებული სიტყვა „რეგიონი“ ქვეყნების მხოლოდ გეოგრაფიული სიახლოვის გათვალისწინებით არ უნდა განიმარტოს. იგი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს სახელმწიფოთა გაერთიანებას მათი ინტერესებიდან და კავშირებიდან გამომდინარე.⁴²⁵ ერთნაირი ფასეულობების მქონე სახელმწიფოების თითოეულ ჯგუფს აქვს საერთო ინტერესები და ერთობლივად უზრუნველყოფენ საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას.⁴²⁶ რეგიონალური შეთანხმებები ორ ან მეტ ქვეყანას ეხება.⁴²⁷ კოლექტიური თავდაცვის ხელშეკრულება არის ინსტრუმენტი, რომლის საფუძველზე ხელშემკვრელი მხარეები აცხადებენ, რომ შეიარაღებული თავდასხმა თითოეულ მათგანზე განიხილება თავდასხმად ყველა მათგანზე და ამ შემთხვევაში თითოეული მხარე იღებს პასუხისმგებლობას, დაეხმაროს დანარჩენებს.

ზემოაღნიშნული დახმარების ხელშეკრულებები შეიძლება იყოს ორმხრივი და მრავალმხრივი. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სამხრეთ კორეას შორის 1953 წელს დადებული

⁴²³ Mcdougal Myres and Feliciano Florentino, *Law and Minimum World Public Order*, Yale University Press, 1961, pp.232-241.

⁴²⁴ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, თბ., გამომცემელი: “ბონა კაუზა”, 2008, გვ.22.

⁴²⁵ Thomas Ann Van Wynen and Thomas Aaron Joshua, *Non-Intervention: The Law and Its Import in the Americas*, Dallas: Southern Methodist University Press, 1956, p.178.

⁴²⁶ Kelsen Hans, *The Law of the United Nations: A Critical Analysis of Its Fundamental Problems*, London, 1951, p. 920.

⁴²⁷ Akehurst M., *Enforcement Action by Regional Agencies, with Special Reference to the Organization of American States*, *British Year Book of International Law*, 1967, pp.175-177.

შეთანხმება ორმხრივი ხელშეკრულების მაგალითია.⁴²⁸ მრავალმხრივი ხელშეკრულება კი იღება ორზე მეტ სახელმწიფოს შორის და იგი კოლექტიური თავდაცვის კოლექტიური მოვალეობაა.⁴²⁹ ურთიერთდახმარების ხელშეკრულებათა უპირატესობა ისაა, რომ ხელშემკვრელი მხარეები გამოხატავენ საერთო პოლიტიკურ ინტერესებს და მათ შორის დადებული შეთანხმება ხელს უწყობს პოტენციური საფრთხეების შემცირებას.⁴³⁰ ამდენად, კოლექტიური თავდაცვის ხელშეკრულებებს შეუძლიათ, შეაკავონ მოწინააღმდეგეები და მხარეებს შორის ორმხრივი პოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყონ სამხედრო მხარდაჭერის გაძლიერება.

კოლექტიური თავდაცვის მრავალმხრივი ხელშეკრულება შეიძლება მოითხოვდეს ხელშემკვრელი მხარეების მიერ საერთო გადაწყვეტილების მიღებას კოლექტიური თავდაცვითი ზომების განხორციელების შესახებ. რომელიმე ხელშემკვრელი მხარის განსხვავებულმა პოზიციამ ან ხანგრძლივმა დებატებმა ქვეყნებს შორის შესაძლოა შეაფერხოს მსხვერპლი სახელმწიფოსათვის დახმარების დროულად გაწევის პროცესი. მიუხედავად ამისა, ურთიერთდახმარების მრავალმხრივი ხელშეკრულებები არ ამცირებს კოლექტიური თავდაცვის უფლების ინდივიდუალურად გამოყენების შესაძლებლობას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად. ეს უფლება შეიძლება განხორციელოს ნებისმიერმა ქვეყანამ, მათ შორის ხელშემკვრელმა მხარემ, რომელსაც არ სურს, დაელოდოს შეიარაღებული თავდასხმის მსხვერპლი სახელმწიფოს განადგურებას.⁴³¹

კოლექტიური თავდაცვის მრავალმხრივი ხელშეკრულების მაგალითია 1947 წლის რიო-დე-ჟანეიროს ხელშეკრულება სამხედრო თავდასხმის შემთხვევაში ურთიერთდახმარების შესახებ. ამ ხელშეკრულების მესამე მუხლის მიხედვით, მხარეები თანხმდებიან, რომ შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში ერთმანეთს დაეხმარებიან. აღნიშნული მუხლი უშვებს ურთიერთდახმარების ორ შესაძლებლობას: პირველ შემთხვევაში, მსხვერპლი სახელმწიფოს თხოვნის საფუძველზე თითოეული ხელშემკვრელი მხარე დაუყოვნებლივ ინდივიდუალურად მიმართავს შესაბამის ზომას, ხოლო მეორე შემთხვევაში, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის (რიო-დე-ჟანეიროს ხელშეკრულება ამ ორგანიზაციის წევრებს ეხება) მთავარი საკონსულტაციო ორგანო იღებს გადაწყვეტილებას კოლექტიური ხასიათის საერთო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე.⁴³²

ამდენად, განსხვავება ინდივიდუალურად განხორციელებულ კოლექტიურ თავდაცვასა (ზემოაღნიშნული პირველი შემთხვევა) და

⁴²⁸ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.258.

⁴²⁹ Moore John Norton, The Secret War in Central America and the Future of World Order, American Journal of International Law, Volume 80, 1986, pp. 104–105.

⁴³⁰ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.258.

⁴³¹ იქვე.

⁴³² იქვე, გვ. 260.

კოლექტიურად განხორციელებულ კოლექტიურ თავდაცვას (ზემოაღნიშნული მეორე შემთხვევა) შორის ნათელია.⁴³³ ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ორივე შემთხვევაში კოლექტიური თავდაცვის უფლების განხორციელება დამოკიდებულია თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფოს ნებაზე. 1947 წლის რიო-დე-ჟანეიროს ხელშეკრულების მე-17 მუხლის თანახმად, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში ურთიერთდახმარების შესახებ რეზოლუციას იღებს ხმათა ორი მესამედით;⁴³⁴ ხოლო ამავე ხელშეკრულების მე-20 მუხლი მიუთითებს, რომ მხარეებს არ მოეთხოვებათ შეიარაღებული ძალის გამოყენება სხვა ხელშემკვრელი მხარის დასახმარებლად, მათი თანხმობის გარეშე.⁴³⁵ ამდენად, ურთიერთდახმარება არ გულისხმობს ავტომატურ რეჟიმში დახმარების გაწევას.⁴³⁶

კოლექტიური თავდაცვის მრავალმხრივი ხელშეკრულებაა 1948 წლის დასავლეთ ევროპის კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების მიხედვით, თუ რომელიმე ხელშემკვრელი მხარე ევროპაში გახდება შეიარაღებული თავდასხმის მსხვერპლი, დანარჩენი ქვეყნები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად, მსხვერპლ სახელმწიფოს დაეხმარებიან.⁴³⁷ ამასთანავე, ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ მხარეთა მიერ შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების საკითხი დასავლეთ ევროპის კავშირის საბჭოზე გადაწყდება, რასაც უშიშროების საბჭოს შეატყობინებენ.⁴³⁸ ამჟამად ზემოაღნიშნული ხელშეკრულების თავდაცვითი მუხლები ლისაბონის ხელშეკრულებაშია (ეს დოკუმენტი ევროკავშირის მმართველი სტრუქტურების გარდაქმნას ითვალისწინებს, მას ევროკავშირის ქვეყნებმა ხელი მოაწერეს 2007 წლის 13 დეკემბერს და ძალაში შევიდა 2009 წლის 1 დეკემბერს) ასახული და შედეგად 2010 წლის 31 მარტს მისი მოქმედება შეწყდა.

თანამედროვე პერიოდში კოლექტიური თავდაცვის მრავალმხრივი ხელშეკრულების უმნიშვნელოვანეს მაგალითად რჩება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სადამფუძნებლო დოკუმენტი, კერძოდ, ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლის თანახმად, ალიანსის ყოველი წევრი სახელმწიფოს უსაფრთხოება განუყოფელია: შეიარაღებული თავდასხმა ერთ-ერთ ან რამდენიმე მათგანზე ევროპაში ან ჩრდილოეთ ამერიკაში განხილდება თავდასხმად ყველა მათგანზე, ანუ, შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში, ყოველი მათგანი, გაეროს წესდების 51-ე მუხლით აღიარებული ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის უფლების თანახმად, დაუყოვნებლივ დახმარებას გაუწევს წევრ ქვეყანას, რომელზეც განხორციელდება თავდასხმა და, აუცილებლობის შემთხვევაში, შეიარაღებულ ძალასაც გამოიყენებს.⁴³⁹

⁴³³ Kunz Josef, The Inter-American Treaty of Reciprocal Assistance, American Journal of International Law, Volume 42, 1948, pp. 111, 120.

⁴³⁴ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.260.

⁴³⁵ იქვე.

⁴³⁶ იქვე.

⁴³⁷ Treaty of Economic, Social and Cultural Collaboration and Collective Self-Defense, March 17, 1948, Article 4, http://avalon.law.yale.edu/20th_century/we001.asp (ნანახია: 10.01.2010).

⁴³⁸ იქვე, მე-5 მუხლი.

⁴³⁹ ბურკაძე ხათუნა, კორეპანოვი ანატოლი, ეს ნატო, თბილისი, 2010 წელი, გვ.61-62.

ამავე ხელშეკრულების მე-7 მუხლში კი მითითებულია, რომ იგი არანაირად არ შეეხება გაეროს წესდებით გათვალისწინებულ უფლებამოვალეობებს ან უშიშროების საბჭოს ძირითად პასუხისმგებლობას საერთაშორისო მშვიდობის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში.⁴⁴⁰

გარდა ამისა, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მონაწილე მხარეები თანხმდებიან, რომ მუდმივად გამართავენ ერთმანეთს შორის კონსულტაციებს, თუკი, რომელიმე მათგანის აზრით, ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე მხარის ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ დამოუკიდებლობას თუ მშვიდობას საფრთხე დაემუქრა.⁴⁴¹

1950 წელს არაბთა ლიგამ მოაწერა ხელი ერთობლივი თავდაცვის ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლის თანახმად, ხელშემკვრელი მხარეები თანხმდებიან, რომ შეიარაღებული თავდასხმა ერთ-ერთ მათგანზე განიხილება როგორც თავდასხმა ყველა წევრ სახელმწიფოზე. ამდენად, თითოეულ ხელშემკვრელ მხარეს ენიჭება უფლება, როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად გააწიოს დახმარება მსხვერპლ ქვეყანას, მოიგერიოს აგრესიული მოქმედება და ხელი შეუწყოს მშვიდობის აღდგენას და უსაფრთხოების განმტკიცებას.⁴⁴² ამასთანავე, ხელშეკრულება ითვალისწინებს უშიშროების საბჭოს ინფორმირების ვალდებულებას. თუმცა არ უთითებს გაეროს წესდების 51-ე მუხლზე. მიუხედავად ამისა, ხელშეკრულება ვერ დაარღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლით განსაზღვრული ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვის უფლებას; ამავე დროს, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად, ნებისმიერი წევრი ქვეყნის ინიციატივით შეიძლება ხელშემკვრელ მხარეებს შორის გაიმართოს კონსულტაციები, თუ რომელიმე მათგანის ტერიტორიულ მთლიანობას, დამოუკიდებლობასა და მშვიდობას საფრთხე დაემუქრა.⁴⁴³

1951 წელს ავსტრალიამ, ახალმა ზელანდიამ და შეერთებულმა შტატებმა ხელი მოაწერეს სპეციალურ პაქტს, რომელიც ითვალისწინებს საერთო საფრთხეების ერთობლივად დაძლევის შესაძლებლობას. თუმცა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, ამ პაქტში არ არის ჩადებული შემდეგი დებულება: რომელიმე ხელშემკვრელი მხარის წინააღმდეგ განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა ნიშნავს თავდასხმას ყველა მათგანზე.⁴⁴⁴

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლის მთავარი მიზანია, უზრუნველყოს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვა.⁴⁴⁵ კოლექტიური თავდაცვის უფლების განხორციელებისას დაცული უნდა იყოს იგივე მოთხოვნები, რომლებიც ეხება ინდივიდუალური თავდაცვის უფლებას, მათ შორის

⁴⁴⁰ იქვე, გვ.62.

⁴⁴¹ იქვე, გვ.61.

⁴⁴² Treaty of Joint Defense and Economic Co-operation Between the States of the Arab League, June 17, 1950, Article 2, http://avalon.law.yale.edu/20th_century/arabjoin.asp (განახობა: 10.09.2009).

⁴⁴³ იქვე, მე-3 მუხლი.

⁴⁴⁴ The ANZUS Treaty – Security Treaty Between Australia, New Zealand and the United States of America, September 1, 1951, <http://australianpolitics.com/foreign/anzus/anzus-treaty.shtml> (განახობა: 11.10.2009).

⁴⁴⁵ Goodrich Leland, Charter of the United Nations, Columbia University Press, 1969, pp. 25-26.

პროპორციულობისა და აუცილებლობის კრიტერიუმები.⁴⁴⁶ ამდენად, კოლექტიური თავდაცვა ინდივიდუალური თავდაცვის უფლების მომიჯნავე უფლებაა.⁴⁴⁷

1947 წლის რიო-დე-ჟანეიროს ხელშეკრულებამ, 1948 წლის დასავლეთ ევროპის კავშირის ხელშეკრულებამ, 1949 წლის ჩრდილოატლანტიკურმა ხელშეკრულებამ, 1950 წლის არაბთა ლიგის ერთობლივი თავდაცვის ხელშეკრულებამ და სხვა მსგავსმა დოკუმენტებმა გაითვალისწინეს ხელშემკერებელ მხარეებს შორის კონსულტაციების გამართვის აუცილებლობა აგრესიისა და სხვა საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით.⁴⁴⁸

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლის ჩასმა წესდების მე-7 თავში ნიშნავს იმას, რომ კოლექტიური თავდაცვის უფლება დამოკიდებული არ არის რეგიონალური შეთანხმების არსებობაზე.⁴⁴⁹ ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ, გაეროს წესდების თანახმად, ნებისმიერი სახელმწიფო უფლებამოსილია, დაეხმაროს შეიარაღებული თავდასხმის მსხვერპლ ქვეყანას, მიუხედავად იმისა, დაიდო თუ არა მათ შორის წინასწარ შესაბამისი შეთანხმება.⁴⁵⁰ ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ გასათვალისწინებელია იმ სახელმწიფოს ინტერესებიც, რომელიც ეხმარება თავდასხმის მსხვერპლ ქვეყანას.⁴⁵¹

3. სამხედრო ალიანსები

სამხედრო ალიანსები იქმნება სახელმწიფოთა ინტეგრაციის საფუძველზე და მიზნად ისახავს წევრ ქვეყნებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ საკითხებზე. იგი ხელს უწყობს სოლიდარული პასუხისმგებლობის წარმოშობას გაერთიანების წევრებს შორის. ალიანსის შეთანხმებას, დაეხმაროს წევრ ქვეყანას, რომელიც თავდასხმის ობიექტია, ასრულებს თითოეული მოკავშირე ქვეყნის მთავრობა.⁴⁵²

როგორც წესი, სამხედრო ალიანსების საქმიანობის ძირითადი პრინციპია მისი თითოეული წევრი სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვა. მაგალითად, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (დაფუძნდა 1949 წლის 4 აპრილს) უმთავრესი მიზანია, თავისი წევრების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა პოლიტიკური და სამხედრო საშუალებებით, გაეროს წესდების პრინციპების შესაბამისად. ალიანსის შიგნით სოლიდარობა და ერთიანობა ყოველდღიური

⁴⁴⁶ Walker George, Anticipatory Collective Self-Defense in the Charter Era: What the Treaties Have Said, Cornell International Law Journal, Volume 31, 1998, p.344.

⁴⁴⁷ იქვე.

⁴⁴⁸ იქვე.

⁴⁴⁹ იქვე, გვ. 353.

⁴⁵⁰ Kelsen Hans, The Law of the United Nations: A Critical Analysis of Its Fundamental Problems, London, 1951, p.796.

⁴⁵¹ Bowett D.W., Collective Self-Defense under the Charter of the United Nations, British Yearbook of International Law, 1955, pp. 136-40, 159-60.

⁴⁵² Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press 2005, pp. 260-261.

თანამშრომლობის მეშვეობით ხელს უწყობს ერთობლივი ძალებით უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევების დაძლევას.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სადამფუძნებლო დოკუმენტის – ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლის ფორმირების პროცესში ამერიკის შეერთებული შტატები მიზნად ისახავდა, შეექმნა თავდაცვის ისეთი სისტემა, რომელიც ევროპაში ნებისმიერ აგრესიას წინ აღუდგებოდა და მისი ამოქმედების შემთხვევაში სამხედრო ვალდებულების წარმოშობას ითვალისწინებდა. ხელშეკრულების ავტორებმა წინარე ხელშეკრულებების მაგალითებს არ მიბაძეს, რადგან მათ სურდათ ეჩვენებინათ, რომ ძლიერი ძალა შეძლებს, გაუმკლავდეს ნებისმიერი სახის თავდასხმას.⁴⁵³

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციამ „ცივი ომის“ პერიოდში შეძლო თავისი წევრების დაცვა და თავიდან აიცილა ომი ევროპაში. პოლიტიკური დიალოგის მეშვეობით ნატომ გადაამწყვეტი როლი შეასრულა აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირების მშვიდობიან დასასრულამდე მიყვანის საქმეში.⁴⁵⁴

„ცივი ომის“ დასრულების შემდგომ პერიოდში აუცილებელი იყო ტრანსატლანტიკური უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაგრძელება. ამასთანავე, ნატოს წევრი ქვეყნები აცნობიერებდნენ არსებულ საფრთხეებს, რომლებიც განსხვავდებოდა იმ გამოწვევებისაგან, რომლებმაც ნატოს შექმნა განაპირობა.⁴⁵⁵

1990 წლის დასაწყისში ალიანსმა ახალი მისიები წამოიწყო, კერძოდ, კრიზისების მოგვარება და სამშვიდობო მისიები, რომლებიც „მე-5 მუხლით არგათვალისწინებული მისიების“ სახელითაა ცნობილი. ისინი მიზნად ისახავენ კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფას.⁴⁵⁶

ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი (კოლექტიური თავდაცვა) განსაკუთრებით აქტუალური გახდა 11 სექტემბრის შემდეგ. 2001 წლის 11 სექტემბერს ტერორისტებმა გაიტაცეს აღმოსავლეთ ზღვისპირას მდებარე სამი აეროპორტიდან კალიფორნიისკენ მიმავალი 4 სამგზავრო თვითმფრინავი, რასაც მსოფლიოში ყველაზე საზარელი ტერორისტული აქტი მოჰყვა.⁴⁵⁷ 2001 წლის 12 სექტემბერს ჩრდილოატლანტიკური საბჭო ამ ტერორისტული აქტის შესაფასებლად შეიკრიბა. 2 ოქტომბერს გამართულ დახურულ ბრიფინგზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მოხელეებმა ნატოს წარუდგინეს მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ ოსამა ბინ ლადენი და მისი ცნობილი ტერორისტული ორგანიზაცია „ალ-ჯაიდა“ იყო პასუხისმგებელი 11 სექტემბრის ტერაქტზე. შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე ალიანსმა გადაწყვიტა, რომ ტერორისტული აქტი ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ განხორციელდა გარეშე ძალების მიერ და პირველად ჩრდილოატლანტიკური ალიანსის არსებობის 52-წლიანი ისტორიის განმავლობაში ხელშეკრულების მე-5 მუხლი ამოქმედა.⁴⁵⁸

⁴⁵³ ბურკაძე ხათუნა, მე-5 მუხლი – კოლექტიური თავდაცვა, გაზეთ „24 საათის“ დამატება – „ნატო საქართველოში“, 2008 წლის 6 ივნისი, გვ. 5.

⁴⁵⁴ იქვე.

⁴⁵⁵ იქვე.

⁴⁵⁶ იქვე.

⁴⁵⁷ იქვე.

⁴⁵⁸ იქვე.

მე-5 მუხლის ამოქმედება განპირობებული იყო ორი მიზეზით: ალიანსმა ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ პოლიტიკური მხარდაჭერა და სოლიდარობა გამოხატა. ამასთანავე, ნატოს მაშინდელმა გენერალურმა მდივანმა ჯორჯ რობერტსონმა ტერორისტებს აცნობა: „ჩვენ მზად ვართ, ერთობლივად დაგიპირისპირდეთ“, როგორც ეს 2001 წლის 24 ოქტომბერს მოხდა, როცა ბრიტანეთი აქტიურად მონაწილეობდა დაბომბვით მისიებში და შეერთებულ შტატებს საკუთარ ჯარებს სთავაზობდა. ბრიტანეთის მსგავსად, საფრანგეთი და გერმანია მზად იყვნენ, შესაბამის ოპერაციებში მონაწილეობა მიეღოთ.⁴⁵⁹

ჩრდილოატლანტიკური საბჭო ნატოს სამხედრო პრიორიტეტებსა და მიმართულებებს განსაზღვრავს და შეუძლია, ხელშეკრულებას ისეთი ინტერპრეტაცია მისცეს, როგორსაც საჭიროდ ჩათვლის. მიუხედავად ამისა, წევრ ქვეყნებს ნატოს ორმაგი ფუნქციის გამიჯვნა მოუწევთ, კერძოდ, იგულისხმება კოლექტიური უსაფრთხოებისა და კოლექტიური თავდაცვის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ჩრდილოატლანტიკურმა ხელშეკრულებამ კოლექტიური თავდაცვის ფუნქცია უნდა შეინარჩუნოს და განსაკუთრებულად უნდა განსაზღვროს წევრი ქვეყნების როლი მე-5 მუხლის ამოქმედების შემთხვევაში. ამასთანავე, ნატო დაეხმარება არა მარტო წევრ, არამედ პარტნიორ სახელმწიფოს, გაუმკლავდეს ტერორისტულ აქტებს, მათ შედეგებს და შეეჭიდოს ახალ ამოცანებს, რაც განსხვავდება იმ მიზნებისაგან, რომლებიც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს ჰქონდა ათწლეულების განმავლობაში.⁴⁶⁰

სამხედრო ალიანსი შეიძლება თანაბრად ეყრდნობოდეს როგორც ძლიერ, ისე პატარა სახელმწიფოებს, როგორც ეს არსებობს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის შემთხვევაში. ნატოში ყველა წევრი სახელმწიფო, განურჩევლად ტერიტორიული სიდიდისა, მოსახლეობის რაოდენობისა, ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებისა, პოლიტიკური და სამხედრო ძლიერებისა, თანაბრად მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მაგალითად, პატარა და მცირერიცხოვან ლუქსემბურგს ალიანსში ზუსტად ისევე შეუძლია დააყენოს ან დაბლოკოს საკითხი, როგორც დიდ და ძლიერ შეერთებულ შტატებს.⁴⁶¹

სამხედრო ალიანსების ფარგლებში წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ერთობლივად, ურთიერთთანადგომის გზით, განავითარონ თავიანთ ინდივიდუალური და კოლექტიური შესაძლებლობები.

სამხედრო ალიანსი არის ურთიერთდახმარების ხელშეკრულებების ბუნებრივი გაგრძელება.⁴⁶²

სამხედრო ალიანსში გაწევრიანებულ ქვეყნებს შორის შესაძლოა არსებობდნენ ისეთი სახელმწიფოებიც, რომლებსაც არ აქვთ ერთმანეთთან კარგი ორმხრივი ურთიერთობები. ამის მაგალითია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში თურქეთი და საბერძნეთი, რომლებიც პერიოდულად, კვიპროსის საკითხის გამო, იქცევიან უფრო როგორც მტრები, ვიდრე მოკავშირეები.⁴⁶³

⁴⁵⁹ იქვე.

⁴⁶⁰ იქვე.

⁴⁶¹ ბურკადე ხათუნა, კორეპანოვი ანატოლი, ეს ნატოა, თბ., 2008, გვ. 8.

⁴⁶² Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.260.

⁴⁶³ იქვე, გვ. 262.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან დასაპირისპირებლად შეიქმნა სამხედრო ალიანსი – ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია.⁴⁶⁴ იგი 1955 წლის 14 მაისს დააფუძნეს და აერთიანებდა საბჭოთა კავშირს, მის სატელიტ სახელმწიფოებს: ბულგარეთს, პოლონეთს, რუმინეთს, უნგრეთს, ჩეხოსლოვაკიას. აღნიშნული სოციალისტური ქვეყნების სამხედრო ბლოკი „ცივი ომის“ პერიოდში უპირისპირდებოდა ნატოს.⁴⁶⁵ ვარშავის პაქტი ოფიციალურად 1991 წლის 1 ივლისს დაიშალა. დღეს ბულგარეთი, რუმინეთი, პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, საბჭოთა კავშირში შეშავალი ბალტიისპირეთის სახელმწიფოები: ლიტვა, ლატვია, ესტონეთი ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრები არიან.

4. კოლექტიური თავდაცვის სამართლებრივი შეზღუდვები

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ *ნიკარაგუის* საქმის განხილვისას მიუთითა, რომ, როგორც გაეროს წესდების, ისე საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის თანახმად, სახელმწიფოს არ აქვს კოლექტიური თავდაცვის გამოყენების უფლება, გარდა შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევისა.⁴⁶⁶ ერთ სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს ძალა მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ კოლექტიური თავდაცვის მიზნით, თუ მეორე სახელმწიფოს ინიციატივით განხორციელდა შეიარაღებული თავდასხმა მსხვერპლ ქვეყანაზე.⁴⁶⁷

თუ არ არსებობს მსხვერპლი ქვეყნის თხოვნა დახმარების აღმოჩენის თაობაზე, გამორიცხულია სხვა სახელმწიფოს მიერ კოლექტიური თავდაცვის უფლების გამოყენება.⁴⁶⁸ 2003 წელს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ *ნავთობის პლატფორმის* საქმის განხილვისას კვლავ დაადასტურა, რომ აუცილებელია, მსხვერპლმა ქვეყანამ მიმართოს დახმარებისთვის სხვა სახელმწიფოს, რათა მან შეიარაღებული თავდასხმის წინააღმდეგ განახორციელოს კოლექტიური თავდაცვითი ზომები.⁴⁶⁹

ნიკარაგუის საქმის განხილვისას მოსამართლე ჯენინგსმა გამოხატა განსხვავებული მოსაზრება მსხვერპლი სახელმწიფოს მიერ დახმარების თხოვნის აუცილებლობასთან დაკავშირებით. მისი აზრით, შესაძლებელია, მსგავსი პირობის დაწესება არ იყოს რეალური ყველა შემთხვევის მიმართ.⁴⁷⁰ ამასთანავე, უდავოა, რომ სამხედრო დახმარებას ერთი სახელმწიფო (განსაკუთრებით ჯარების საომარ ზონაში გაგზავნის

⁴⁶⁴ იქვე.

⁴⁶⁵ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი, რედაქტორი: ალექსიძე ლევან, თბ., 2003, გვ. 133.

⁴⁶⁶ Case Concerning Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua (Merits), 1986, International Court of Justice, p.90.

⁴⁶⁷ იქვე.

⁴⁶⁸ იქვე, გვ. 85.

⁴⁶⁹ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, pp. 268-269.

⁴⁷⁰ The Dissenting Opinion of Judge Jennings in Case Concerning Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua (Merits), 1986, International Court of Justice, pp.469-470.

შემთხვევაში) ვერ აღმოუჩენს მეორე სახელმწიფოს ამ უკანასკნელის ნების საწინააღმდეგოდ.⁴⁷¹

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ კოლექტიური თავდაცვის მიზანი მხოლოდ მსხვერპლი სახელმწიფოს დახმარება უნდა იყოს.⁴⁷²

როდესაც „არკადია“ იწყებს შეიარაღებულ თავდასხმას და „უტოპია“ არის თავდასხმის პირდაპირი მსხვერპლი, „რურიტანიას“ შეუძლია, გამოიყენოს საწინააღმდეგო ძალა, თუკი ზემოაღნიშნული თავდასხმა საფრთხეს უქმნის მის სიმშვიდეს. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ „უტოპია“ კატეგორიულად უარყოფს იმას, რომ იგი იყო შეიარაღებული თავდასხმის სამიზნე „არკადიის“ მხრიდან, „რურიტანიის“ მიერ განხორციელებული ნებისმიერი კოლექტიური თავდაცვითი ზომა არკადიის წინააღმდეგ უტოპიის საზღვართან ეჭვის ქვეშ დგება.⁴⁷³

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო *ნიკარაგუის* საქმის განხილვისას მიუთითებს, რომ კოლექტიური თავდაცვის უფლების განხორციელებისას დაცული უნდა იყოს პროპორციულობის, აუცილებლობისა და დროულობის კრიტერიუმები, როგორც ინდივიდუალური თავდაცვის უფლების გამოყენების შემთხვევებში.⁴⁷⁴

თითოეულმა სახელმწიფომ უნდა აცნობოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს თავდაცვითი ღონისძიებების გამოყენების შესახებ.⁴⁷⁵ ამდენად, საკმარისი არ არის, მხოლოდ მსხვერპლმა სახელმწიფომ შეატყობინოს უშიშროების საბჭოს იძულებითი ზომების განხორციელების თაობაზე. სახელმწიფოს, რომელიც იყენებს კოლექტიური თავდაცვის უფლებას მსხვერპლი ქვეყნის დასახმარებლად, მოუწევს აღნიშნულის შესახებ უშიშროების საბჭოს ცალკე მოახსენოს.⁴⁷⁶

გარდა ამისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 54-ე მუხლის თანახმად, უშიშროების საბჭო ყოველთვის უნდა იყოს ინფორმირებული საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დასაცავად რეგიონალურ შეთანხმებათა ან რეგიონალური ორგანიზაციების მიერ წამოწყებული ან დასახული მოქმედების შესახებ.⁴⁷⁷

⁴⁷¹ იქვე.

⁴⁷² იქვე, გვ. 84-85.

⁴⁷³ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.270.

⁴⁷⁴ Case Concerning Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua (Merits), International Court of Justice, 1986, pp. 101-102.

⁴⁷⁵ იქვე, გვ. 100-101.

⁴⁷⁶ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.271.

⁴⁷⁷ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, თბ., გამომცემელი: “ბონა კაუზა”, 2008, გვ.23.

თავი IV. ჰუმანიტარული ინტერვენცია

1. ძალის გამოყენება ჰუმანიტარული საფუძვლებით

მე-19 საუკუნეში ჰუმანიტარული ინტერვენციის მაგალითია 1860-1861 წლებში საფრანგეთის ინტერვენცია სირიაში, რომელიც მიზნად ისახავდა ქრისტიანთა ხოცვა-ჟლეტის შეჩერებას.⁴⁷⁸ ასევე, 1827-1830 წლებში ბრიტანეთისა და საფრანგეთის ინტერვენცია საბერძნეთში.⁴⁷⁹ მე-20 საუკუნის დასაწყისში ჰუმანიტარულ ინტერვენციად მიჩნეულ იქნა საბერძნეთის, ბულგარეთისა და სერბეთის შეჭრა მაკედონიაში.⁴⁸⁰

ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ ჰუმანიტარული ინტერვენციის გამართლება შესაძლებელია მხოლოდ მორალური საფუძვლებიდან გამომდინარე.⁴⁸¹

ინტერვენციის დაუშვებლობისა და სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დეკლარაციის თანახმად, სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ სხვა სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის წინააღმდეგ მიმართული შეიარაღებული ინტერვენციისაგან, სამხედრო ოკუპაციისაგან ან ინტერვენციისა და ჩარევის რომელიმე სხვა ფორმისაგან, ან სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში სამხედრო, პოლიტიკური ან ეკონომიკური ჩარევის ყოველგვარი აქტისგან.⁴⁸²

ზემოაღნიშნული დეკლარაციის მიხედვით, სახელმწიფოები ვალდებული არიან, თავი შეიკავონ ადამიანის უფლებათა საკითხების, როგორც სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევის საშუალების, გამოყენების ან დამახინჯებისაგან, სხვა სახელმწიფოებზე ზეწოლის ან უნდობლობის ატმოსფეროსა და არეულობის შექმნისაგან.⁴⁸³

ინტერვენციის დამცველები კი მიუთითებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება ხაზს უსვამს ადამიანის უფლებების მნიშვნელობას და მოითხოვს წევრი ქვეყნებისგან ადამიანის უფლებების დაცვის შესაბამისი სტანდარტების უზრუნველყოფას.⁴⁸⁴

ინტერვენცია უნდა იყოს შემოფარგლული მხოლოდ იმ მიზნით, რაც შეესაბამება ჰუმანიტარულ განზრახვას.⁴⁸⁵

ტრადიციულად, ტერმინი „ჰუმანიტარული ინტერვენცია“ გულისხმობს ძალით დამუქრებას ან მის გამოყენებას სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ, რათა აიძულონ სხვა სახელმწიფო,

⁴⁷⁸ Brownlie Ian, *International Law and the Use of Force by States*, Oxford: Clarendon Press, 1963, p.340.

⁴⁷⁹ იქვე.

⁴⁸⁰ Scheffer David, *Toward a Modern Doctrine of Humanitarian Intervention*, University of Toledo Law Review, Volume 23, 1991-1992, pp. 254-55.

⁴⁸¹ Hall W.E., *A Treatise on International Law*, 4th ed., London, 1895, p. 309.

⁴⁸² Declaration on the Inadmissibility of Intervention and Interference in the Internal Affairs of States, 91st plenary meeting, December 9, 1981, General Assembly, <http://www.un.org/documents/ga/res/36/a36r103.htm> (ნანახია: 10.09.2010).

⁴⁸³ იქვე.

⁴⁸⁴ Merriam John, *Kosovo and the Law of Humanitarian Intervention*, The Case Western Reserve Journal of International Law, Volume 33, 2001, p.121.

⁴⁸⁵ Benjamin Barry, *Unilateral Humanitarian Intervention: Legalizing the Use of Force to Prevent Human Rights Atrocities*, Fordham International Law Journal, Volume 16, 1992-1993, p. 156.

პატივი სცეს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს თავისი სუვერენული უფლებამოსილების განხორციელებისას.⁴⁸⁶ კლასიკური განმარტების თანახმად, სიტყვა „ჰუმანიტარული“ მიანიშნებს, რომ ინტერვენციის მიზანია ადამიანის უფლებების დარღვევის თავიდან აცილება ან შეჩერება.⁴⁸⁷ ზოგიერთი სწავლული მიიჩნევს, რომ ჰუმანიტარული დახმარების ზუსტ დეფინიციას ასახავს სომალიში არსებული მსგავსი სიტუაციები, როდესაც ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენა აუცილებელია ადამიანთა მასობრივი შიმშილისგან გადასარჩენად ან სიცოცხლისთვის სხვა უშუალო საფრთხეების თავიდან ასაცილებლად.⁴⁸⁸

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიღებამდე საერთაშორისო სამხედრო მისიების ჰუმანიტარული მიზნებით განხორციელების მაგალითებიც არსებობს.⁴⁸⁹ როგორც უკვე აღინიშნა, 1860-1861 წლებში 6 000 ფრანგი ჯარისკაცი სირიაში შეიჭრა ქრისტიანთა ხოცვა-ჟლეტის შესახებ.⁴⁹⁰

1945 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიღებით მკაცრად შეიზღუდა სამხედრო მოქმედებების ცალმხრივად განხორციელების შესაძლებლობა.⁴⁹¹ გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი თავს იკავებს ძალით მუქარის ან მისი გამოყენებისაგან, როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ასევე გაერთიანებული ერების მიზნებთან შეუთავსებელი რაიმე სხვა სახით.⁴⁹² თუმცა გაეროს წესდების მე-7 თავი უშვებს ძალის გამოყენებას მშვიდობისათვის საფრთხის შექმნისას, მისი ხელყოფისას ან თავდაცვის მიზნით. რაც შეეხება ჰუმანიტარულ ინტერვენციას, მისი გამართლება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნათელია, რომ ის მიზნად ისახავს საერთაშორისო მშვიდობის დაცვას.⁴⁹³ ამასთანავე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება გამორიცხავს ინტერვენციის ცალმხრივად ან შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭების გარეშე განხორციელების შესაძლებლობას.⁴⁹⁴

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებამ მაინც ვერ შეაჩერა სახელმწიფოების მიერ ჰუმანიტარული ინტერვენციის

⁴⁸⁶ Scheffer David, *Toward a Modern Doctrine of Humanitarian Intervention*, University of Toledo Law Review, Volume 23, 1991-1992, p.264.

⁴⁸⁷ Farer Tom, *Human Rights in Law's Empire: The Jurisprudence War*, American Journal of International Law, Volume 85, 1991, p. 122.

⁴⁸⁸ Gordon Ruth, *Humanitarian Intervention by the United Nations: Iraq, Somalia, and Haiti*, Texas International Law Journal, Volume 31, 1996, pp. 44-45.

⁴⁸⁹ Karsten Nowrot and Emily W. Schabacker, *The Use of Force to Restore Democracy: International Legal Implications of the ECOWAS Intervention in Sierra Leone*, American University International Law Review, Volume 14, 1998-1999, p.372.

⁴⁹⁰ Scheffer David J., *Toward a Modern Doctrine of Humanitarian Intervention*, University of Toledo Law Review, Volume 23, 1991-1992, p.254.

⁴⁹¹ Nowrot Karsten and Schabacker Emily, *The Use of Force to Restore Democracy: International Legal Implications of the ECOWAS Intervention in Sierra Leone*, American University International Law Review, Volume 14, 1998-1999, p.373.

⁴⁹² გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, თბ., გამომცემელი: “ბონა კაუზა”, 2008, გვ.7.

⁴⁹³ Nowrot Karsten and Schabacker Emily, *The Use of Force to Restore Democracy: International Legal Implications of the ECOWAS Intervention in Sierra Leone*, American University International Law Review, Volume 14, 1998-1999, p.373.

⁴⁹⁴ იქვე.

ცალმხრივად განხორციელება. ჰუმანიტარული ინტერვენციის ცალმხრივად განხორციელების მაგალითებია 1979 წელს ტანზანიის შეჭრა უგანდაში⁴⁹⁵ და 1971 წელს ინდოეთის შესვლა აღმოსავლეთ პაკისტანში.⁴⁹⁶ მიუხედავად იმისა, რომ, რეგიონალური არასტაბილურობიდან გამომდინარე, საერთაშორისო მშვიდობას საფრთხე შეექმნა, გენერალურმა ასამბლეამ ორივე ზემოაღნიშნულ შემთხვევასთან მიმართებით გამოხატა უარყოფითი დამოკიდებულება და მიიჩნია, რომ ცალმხრივი ინტერვენციის განხორციელებით დაირღვა შესაბამის სახელმწიფოთა სუვერენიტეტი.⁴⁹⁷

მიუხედავად ზოგიერთი სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენების გამართლების მიზნით „ჰუმანიტარული ინტერვენციის“ მოშველიებისა,⁴⁹⁸ საზოგადოების უმრავლესობა ნაკლებად უჭერს მხარს ამგვარ ინტერვენციებს და უფრო გმობს, ვიდრე იწონებს მათ.⁴⁹⁹

ჰუმანიტარული ინტერვენცია არასდროს ყოფილა ინკორპორირებული რაიმე უნივერსალურ საერთაშორისო ხელშეკრულებაში; ჰუმანიტარული ინტერვენციის დოქტრინას მხოლოდ უმნიშვნელო მხარდაჭერა ჰქონდა სახელმწიფოთა პრაქტიკაში; გარდა ამისა, ის ეწინააღმდეგება არსებულ *jus cogens*-ის (საერთაშორისო სამართლის იმპერატიულ) ნორმებს, რომლებითაც ძალის გამოყენება იკრძალება. *Jus cogens*-ის ნორმების ხასიათიდან გამომდინარე, მათი შეცვლისთვის აუცილებელია ამგვარი ახალი სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მიღებული და აღიარებული ნორმის შემუშავება.⁵⁰⁰

პროფესორი ბროუნლი უთითებს, რომ ჰუმანიტარული ინტერვენციის დოქტრინის მომხრეები ან უგულვებელყოფენ ჩვეულებითი სამართლის ახალი პრინციპების ჩამოყალიბებისათვის აუცილებელ წინაპირობებს, ან, დროგამოშვებით, გამოდიან *opinio juris* მოთხოვნის შესუსტების წინადადებით.⁵⁰¹

პროფესორი სიმა ინტერვენციას უკანონოდ მიიჩნევს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამგვარი ქმედება მორალურად ან პოლიტიკურად გამართლებულია.⁵⁰² ინტერვენციის კანონიერება, ნებისმიერ შემთხვევაში, ეფუძნება ინტერვენციის მრავალმხრივ ბუნებასა და კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მინიჭებულ უფლებამოსილებას და

⁴⁹⁵ Ramsbotham Oliver and Woodhouse Tom, *Humanitarian Intervention in Contemporary Crisis*, Cambridge: Polity Press, 1996, p. 4.

⁴⁹⁶ Scheffer David J., *Toward a Modern Doctrine of Humanitarian Intervention*, University of Toledo Law Review, Volume 23, 1991-1992, p.254.

⁴⁹⁷ Bazylar Michael, *Re-examining the Doctrine of Humanitarian Intervention in Light of the Atrocities in Kampuchea and Ethiopia*, *Stanford Journal of International Law*, Volume 23, 1987, p.589.

⁴⁹⁸ Gray Christine, *International Law and the Use of Force*, 2nd ed. Oxford University Press, 2004, p.35.

⁴⁹⁹ Ministerial Declaration of the 23rd Annual Meeting of the Ministers for Foreign Affairs of the Group of 77, September 24, 1999, <http://www.g77.org/doc/Decl1999.html> (ნანახის: 23.05.2010).

⁵⁰⁰ Charney Jonathan, *NATO's Kosovo Intervention: Anticipatory Humanitarian Intervention in Kosovo*, *American Journal of International Law*, Volume 93, 1999, pp. 836-837.

⁵⁰¹ Brownlie Ian, *Principles of Public International Law*, Sixth edition, Oxford University Press, 2003, p. 712.

⁵⁰² Simma Bruno, *NATO, the UN and the Use of Force: Legal Aspects*, *European Journal of International Law*, Volume 10, 1999, p.1.

არა რაიმე განცალკევებულად მდგომ ჰუმანიტარული ინტერვენციის უფლებას.⁵⁰³

გრინუდის მოსაზრებით, აღარ შეიძლება იმის მტკიცება, რომ, როცა მთავრობა აწყობს თავისი ხალხის ხოცვა-ჟლეტას ან სახელმწიფოს უძღურება გადადის ანარქიაში, საერთაშორისო სამართლით აკრძალული იყოს ინტერვენცია.⁵⁰⁴

ტრადიციულად, „ჰუმანიტარულ ინტერვენციად“ მიხნეულია ერთი სახელმწიფოს მიერ სამხედრო ძალის ნებისმიერი ფორმის გამოყენება მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ აიძულოს ეს უკანასკნელი, შეწყვიტოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების უხეში დარღვევა.⁵⁰⁵ სხვა მოსაზრების მიხედვით, „ჰუმანიტარული ინტერვენციის“ ოფიციალური განმარტება არ არსებობს, მაგრამ გარეშე ძალებს აქვთ უფლება და, ზოგიერთი გარემოების გათვალისწინებით, ვალდებულდება, ჩაერიონ კონფლიქტში, რათა დაიცვან სხვა ქვეყნის მოსახლეობა, რომელიც კონფლიქტის მსხვერპლად ქცეულა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს კონფლიქტი ერთი ქვეყნის შიგნით მიმდინარეობს. თუკი კლასიკური ჩარევა პოლიტიკურია თავისი ხასიათით, როცა ერთი სახელმწიფო საკუთარ ნებას ძალის გამოყენებით თავს ახვევს მეორეს, ჰუმანიტარული ინტერვენცია არ ითვალისწინებს პოლიტიკური მიზანშეწონილობის საკითხს. იმ სახელმწიფოსთვის, რომელიც ჰუმანიტარულ ინტერვენციას ახორციელებს, ძირითადია ის ფაქტი, თუ რა გავლენა აქვს ამ კონფლიქტს მოქალაქეებზე. ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით, სახელმწიფო სუვერენიტეტზე მაღლა დგას პიროვნებისა და ხალხის დაცვის საკითხი, რაც უფრო პოპულარულია და დისკუსიების საფუძველი ხდება.⁵⁰⁶

გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა (გაეროს რიგით მეშვიდე გენერალური მდივანი 1997-2006 წლებში) დააყენა საკითხი იმის თაობაზე, რომ უშიშროების საბჭომ განიხილოს იძულებითი ხასიათის ჩარევის შესაძლებლობა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: 1) ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევა; 2) სამშვიდობო ხასიათის ძალისხმევათა უგულებელყოფა; 3) ადგილობრივი ხელისუფლების უუნარობა, დაიცვას წესრიგი ან მათი თანამონაწილეობა დარღვევებში; 4) სამხედრო ძალის შეზღუდული და პროპორციული გამოყენება, რომელიც მინიმალურად იმოქმედებს ადგილობრივ მოსახლეობაზე.⁵⁰⁷

2000 წლის მარტში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისადმი მიძღვნილ მე-9 ყოველწლიურ სემინარზე ჟენევაში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი ჟაკ ფორსტერი თავის საპროგრამო სიტყვაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ჰუმანიტარული ქმედებისა და სამხედრო ინტერვენციის შეუთავსებლობის საკითხს. ფორსტერის აზრით, არსებობს ნათელი

⁵⁰³ Simpson Gerry, *Great Powers and Outlaw States: Unequal Sovereign in the International Legal Order*, Cambridge University Press, 2004, Chapter Seven.

⁵⁰⁴ Greenwood C., *Is there a right of humanitarian intervention? The World Today*, Volume 49, February, 1993, p.40.

⁵⁰⁵ *Encyclopaedia of Public International Law*, Edited by R. Bernhardt, Volume 1, New York, 1992, p.926.

⁵⁰⁶ Rieff David, *Humanitarian Intervention, Crimes of War*, New York, 1999, p.181.

⁵⁰⁷ Helton A.C., Devecchi R. P., *Human Rights, Humanitarian Intervention and Sanctions*, New York: Council on Foreign Relations, 2000, p.1.

ზღვარი ჰუმანიტარული მოქმედების შედეგსა და გადაჭარბებულ სამხედრო მოქმედებას შორის. ჰუმანიტარული მოქმედება მიზნად ისახავს კონფლიქტის შეჩერებას, სხვა სიტყვებით, ის არ არის გამიზნული კონფლიქტის გადასაჭრელად, მისი მიზანია, დაიცვას ადამიანთა შელახული ღირსება და მათ შეუნარჩუნოს სიცოცხლე. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის შეხედულებით, ჰუმანიტარულმა ქმედებამ არ შეიძლება შეცვალოს პოლიტიკური ქმედება. ეს ორი სფერო მკაფიოდ უნდა ემიჯნებოდეს ერთმანეთს. ამასთანავე, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის აზრით, ჰუმანიტარული ქმედება არ შეიძლება იყოს იძულებითი ხასიათის. გამოცდილება აჩვენებს, რომ ამ დროს ჰუმანიტარიზმი ჩათრეულია პოლიტიკურ ან სამხედრო ქმედებაში, რომელიც კონფლიქტის გაღვივებას უფრო უწყობს ხელს, ვიდრე მის შეჩერებას. ჰუმანიტარული ქმედება წარმატებულია მხოლოდ იქ, სადაც აღნიშნული ქმედების მონაწილეები მოქმედებენ თავიანთი წესდების შესაბამისად. ასეთ გარემოს „ჰუმანიტარულ სივრცეს“ უწოდებენ. სამხედრო ინტერვენცია აუცილებელია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაცვისა და ჰუმანიტარული ქმედებისათვის სათანადო გარემოს შექმნის მიზნით. ჰუმანიტარული ინტერვენცია არ უნდა იყოს სამხედრო ინტერვენციის მიზანი.⁵⁰⁸

ფორსტერი თვლის, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ სამხედრო ძალის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ გაეროს წესდების ფარგლებში. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი არ შეიძლება მოშველიებულ იქნეს სამხედრო ინტერვენციის გასამართლებლად, რადგან მას საერთო არაფერი აქვს ძალის გამოყენებასთან. მისი როლი მკვეთრად განსაზღვრულია და ზღუდავს შეიარაღებული ძალის გამოყენების ლეგიტიმურობას. ჰუმანიტარული მოქმედების განხორციელებისას დაცული უნდა იყოს ნეიტრალიტეტისა და დამოუკიდებლობის პრინციპი, რაც აუცილებელია ყველა კონფლიქტური მხარის ნდობის მოსაპოვებლად. მხოლოდ მანდატის ფარგლებში მოქმედებითაა შესაძლებელი მშვიდობის დამყარება.⁵⁰⁹

ჰუმანიტარული ინტერვენციის საერთაშორისო სამართლებრივ აქტად დასაშვებობას აბრკოლებს როგორც ძალის გამოყენებისა და ძალით დამუქრების აკრძალვის პრინციპი, ისე სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობისა და სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები.⁵¹⁰ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ორგანიზაცია ემყარება ყველა მისი წევრის სუვერენული თანასწორობის პრინციპს; მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით კი, ეს წესდება სრულებითაც არ აძლევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას უფლებას, ჩაერიოს ისეთ საქმეებში, რომლებიც არსებითად ნებისმიერი სახელმწიფოს შინაგან კომპეტენციას მიეკუთვნება და არ მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებისაგან, წარმოადგინონ ასეთი საკითხები ამ

⁵⁰⁸ Humanitarian Intervention and International Humanitarian Law, Keynote address by Jacques Forster, Vice President of the Red Cross, presented at the Ninth Annual Seminar on International Humanitarian Law for Diplomats accredited to the United Nations, Geneva, 8-9 March 2000, pp.2-3.

⁵⁰⁹ იქვე.

⁵¹⁰ Zacklin R., Beyond Kosovo: The United Nations and Humanitarian Intervention, Virginia Journal of International Law Association, Volume 41, 2001, p. 931.

წესდების მიხედვით განსახილველად.⁵¹¹ ამ წესიდან არსებობს გამონაკლისი, როდესაც თავად სახელმწიფო მიმართავს სხვა სახელმწიფოს თხოვნით, დაეხმაროს შიდა კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის მოგვარებას ან გადაწყვეტაში.⁵¹²

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს წინააღმდეგობრივი მომენტები საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებსა და ჰუმანიტარულ ინტერვენციას შორის, შეიმჩნევა აღნიშნული პრინციპებისა და ჰუმანიტარული ინტერვენციის ურთიერთთავსებად ინსტიტუტებად წარმოჩენის ტენდენცია, რამაც გამოიწვია დისკუსია ჰუმანიტარული ინტერვენციის ჩვეულებითსამართლებრივ ნორმად განვითარების შესახებ.⁵¹³

2. ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელების წინაპირობები და კრიტერიუმები

ჰუმანიტარული ინტერვენციის დოქტრინის თანახმად, ინტერვენციული აქტი უნდა განხორციელდეს შესაბამისი წინაპირობების არსებობისას და იგი უნდა შეესაბამებოდეს გარკვეულ კრიტერიუმებს.⁵¹⁴

ჰუმანიტარული ინტერვენციის ყველაზე გავრცელებული წინაპირობებია: ა) ადამიანის უფლებების მასობრივი და უხეში დარღვევების არსებობა; ბ) საერთაშორისო სამართლით დავის მოგვარების ყველა დასაშვები საშუალების ამოწურვა.⁵¹⁵

ჰუმანიტარული ინტერვენცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: ა) ინტერვენცია უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ ჰუმანიტარული მიზნებისათვის; ბ) ინტერვენცია უნდა იყოს მრავალმხრივი; გ) ინტერვენცია უნდა იყოს პროპორციული.⁵¹⁶

ლეგიტიმური ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელების მთავარი მოთხოვნაა ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების არსებობა ან მათთვის საფრთხის შექმნა.⁵¹⁷ მიუხედავად ამისა, ჰუმანიტარული ინტერვენციის დოქტრინის კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული საფუძვლით შეიძლება ინტერვენცია განხორციელდეს სხვა მიზნებისთვის.⁵¹⁸

ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების არსებობისას ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელება შეიძლება, თუ

⁵¹¹ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, თბ., გამომცემელი: “ბონა კაუზა”, 2008, გვ.8.

⁵¹² ალექსიძე ლევან, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 2006, გვ. 44.

⁵¹³ Alston Ph. and Macdonald E., Sovereignty, Human Rights, Security: Armed Intervention and the Foundational Problems of International Law in Human Rights, Intervention and the Use of Force, Oxford University Press, 2008, p. 2.

⁵¹⁴ Merriam John, Kosovo and the Law of Humanitarian Intervention, The Case Western Reserve Journal of International Law, Volume 33, 2001, p.126.

⁵¹⁵ რუხაძე ნ., ჰუმანიტარული ინტერვენცია თანამედროვე საერთაშორისო სამართალში, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, №1, 2009, გვ. 48-49.

⁵¹⁶ იქვე.

⁵¹⁷ Benjamin Barry, Unilateral Humanitarian Intervention: Legalizing the Use of Force to Prevent Human Rights Atrocities, Fordham International Law Journal, Volume 16, 1992, pp.153-154.

⁵¹⁸ Merriam John, Kosovo and the Law of Humanitarian Intervention, The Case Western Reserve Journal of International Law, Volume 33, 2001, p.127.

დარღვეულია ადამიანის უმნიშვნელოვანესი უფლებები, როგორებიცაა: სიცოცხლის უფლება ან ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება, და სახეზეა ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევა.⁵¹⁹

ტერმინი „ადამიანის უფლებები“ მოიცავს პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ უფლებათა ფართო წრეს, რომლებიც ასახულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში.⁵²⁰ მიუხედავად ამისა, ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელება შეიძლება მხოლოდ ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევისას, მაგალითად, წარმოუდგენელია სამხედრო ძალის გამოყენების გამართლება ქორწინების უფლების დაცვის მიზნით.⁵²¹ ამდენად, საუბარია ადამიანის უფლებების ისეთ უკიდურესად მძიმე დარღვევებზე, რომლებსაც შეუძლია კაცობრიობის ცნობიერების შოკირება.⁵²²

ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევების ფაქტები აუცილებლად უნდა იყოს დადასტურებული სარწმუნო მტკიცებულებებით. სარწმუნო მტკიცებულება გულისხმობს საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ მისი სანდოობისა და უტყუარობის აღიარებას. როგორც წესი, ასეთი მტკიცებულება მოპოვებული უნდა იყოს დამოუკიდებელი მხარის მიერ, რომელიც კრიზისის შედეგებით დაინტერესებული არ არის.⁵²³ ინფორმაციის სარწმუნო წყარო, უპირველეს ყოვლისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაა. გარდა ამისა, სანდოობის მაღალი ხარისხით სარგებლობენ ისეთი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორებიცაა: „ექიმები საზღვრებს გარეშე“, „წითელი ჯვარი“, „Human Rights Watch“ და სხვა.⁵²⁴

ჰუმანიტარულ კატასტროფასთან ერთად აუცილებელია, რომ სახეზე იყოს იმ სახელმწიფოს უმოქმედობა ან მოქმედების შეუძლებლობა, რომლის ტერიტორიაზეც ხდება ადამიანის უფლებების მასობრივი და სასტიკი დარღვევები, ან სახელმწიფო უნდა ახორციელებდეს თავის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა უფლებების უხეშ ხელყოფას. კონკრეტულად რა იგულისხმება ადამიანის უფლებების მასობრივ დარღვევებში, დადგენილი არ არის.⁵²⁵ მაგალითად, გენოციდის შესახებ კონვენცია არ განსაზღვრავს, თუ რა მასშტაბებს უნდა მიაღწიოს კონკრეტულად ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური თუ სხვა ჯგუფის წარმომადგენელთა მსხვერპლმა, რომ მოხდეს გენოციდის ფაქტის აღიარება. ამდენად, როგორც ჩანს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოხდეს ამ საკითხის ინდივიდუალურად გადაწყვეტა.⁵²⁶

⁵¹⁹ იქვე, გვ. 129.

⁵²⁰ Merriam John, Kosovo and the Law of Humanitarian Intervention, The Case Western Reserve Journal of International Law, Volume 33, 2001, p.130.

⁵²¹ იქვე.

⁵²² Oppenheim L., International Law: A Treatise, Editor: H. Lauterpacht, 8th ed., New York, 1955, p. 312.

⁵²³ Merriam John, Kosovo and the Law of Humanitarian Intervention, The Case Western Reserve Journal of International Law, Volume 33, 2001, pp.128-129.

⁵²⁴ იქვე, გვ. 129.

⁵²⁵ რუსაძე ნ., ჰუმანიტარული ინტერვენცია თანამედროვე საერთაშორისო სამართალში, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, №1, 2009, გვ. 49.

⁵²⁶ იქვე.

ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელების მეორე წინაპირობაა საერთაშორისო სამართლით დაშვებული დავის მოგვარების ყველა საშუალების ამოწურვა, რაც ნიშნავს იმას, რომ არაიდულებითი მექანიზმების ამოწურვის შემდეგ ძალის გამოყენება კრიზის დაძლევის ერთადერთ საშუალებად რჩება.⁵²⁷ არაიდულებით მექანიზმებში იგულისხმება დავის მოგვარების ისეთი მშვიდობიანი საშუალებები, როგორებიცაა: გაფრთხილება, პრევენციული დიპლომატია და სხვა.⁵²⁸

ამასთანავე, ჰუმანიტარული კრიზისის არსებობისას სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს შეუძლია განახორციელოს ცალმხრივი ჩარევა იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს უმოქმედობა.⁵²⁹ მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოებმა ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით უნდა მიმართონ უშიშროების საბჭოს და დააყენონ საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მე-7 თავის ამოქმედების შესახებ.⁵³⁰ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უშიშროების საბჭოში აღნიშნულ საკითხზე კონსენსუსს ვერ მიაღწევენ, ჰუმანიტარული ინტერვენციის დოქტრინის თანახმად, სახელმწიფოებმა შესაძლოა განახორციელონ ჰუმანიტარული ინტერვენცია.⁵³¹

ჰუმანიტარული ინტერვენცია შემოფარგლული უნდა იყოს კონკრეტული ამოცანით, რაც გულისხმობს კრიზის დაძლევას ან მის თავიდან აცილებას. ჰუმანიტარული ინტერვენცია მიზნად არ უნდა ისახავდეს ტერიტორიის დაპყრობას, დანაწევრებას ან ხელისუფლების დამხობას.⁵³²

სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენება უნდა ემსახურებოდეს ადამიანის უფლებების დაცვას, როდესაც მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ემუქრება საფრთხე.⁵³³ ამდენად, ჰუმანიტარული ინტერვენციის დოქტრინის თანახმად, ინტერვენციის ლეგიტიმურობისთვის აუცილებელია, რომ იგი ხორციელდებოდეს ჰუმანიტარული მიზნებისთვის.⁵³⁴ ინტერვენცია არ უნდა ისახავდეს მიზნად სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის ძირის გამოთხრას და არ უნდა ხორციელდებოდეს ინტერვენტი სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ინტერესებიდან გამომდინარე.⁵³⁵

⁵²⁷ Merriam John, Kosovo and the Law of Humanitarian Intervention, The Case Western Reserve Journal of International Law, Volume 33, 2001, p.131.

⁵²⁸ Zacklin R., Beyond Kosovo: The United Nations and Humanitarian Intervention, Virginia Journal of International Law Association, Volume 41, 2001, p. 938.

⁵²⁹ Scheffer David, Toward a Modern Doctrine of Humanitarian Intervention, University of Toledo Law Review, Volume 23, 1991-1992, pp.290-291.

⁵³⁰ Geissler L., The Law of Humanitarian Intervention and the Kosovo Crisis, Hamline Law Review, Volume 23, 1999-2000, p.334.

⁵³¹ Zacklin R., Beyond Kosovo: The United Nations and Humanitarian Intervention, Virginia Journal of International Law Association, Volume 41, 2001, p. 931.

⁵³² Merriam John, Kosovo and the Law of Humanitarian Intervention, The Case Western Reserve Journal of International Law, Volume 33, 2001, p.133.

⁵³³ რუსაძე ნ., ჰუმანიტარული ინტერვენცია თანამედროვე საერთაშორისო სამართალში, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, №1, 2009, გვ. 53-54.

⁵³⁴ იქვე, გვ. 53.

⁵³⁵ Schachter Oscar, International Law in Theory and Practice : General Course in Public International Law, Hague Academy of International Law, 1982, p.145.

ჰუმანიტარული ინტერვენცია უნდა იყოს მრავალმხრივი. ინტერვენციის მრავალმხრივობა არ ნიშნავს იმას, რომ იგი უნდა განახორციელოს რამდენიმე სახელმწიფომ.⁵³⁶ მრავალმხრივობა გულისხმობს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ინტერვენციული აქტის აშკარად ან გაუმჟღავნებლად მოწონებას;⁵³⁷ ჰუმანიტარული ინტერვენციის მრავალმხრივობის მეორე განმარტების თანახმად კი, თუ ინტერვენციის განხორციელება ვერ ხერხდება გაეროს სისტემის მეშვეობით, მაშინ სახელმწიფოებმა უნდა იმოქმედონ რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით, გაერთიანებული ძალებით.⁵³⁸ თუმცა, საბოლოო ჯამში, ამ უკანასკნელი მიდგომის არსი ისაა, რომ: უნდა არსებობდეს ინტერვენციული აქტის მხარდაჭერა საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან.⁵³⁹

ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელებისას დაცული უნდა იყოს პროპორციულობის კრიტერიუმი. ჰუმანიტარულ ინტერვენციას უნდა მოჰყვეს სიტუაციის გაუმჯობესება, ანუ ინტერვენციამ არ უნდა გამოიწვიოს იმაზე უფრო მძიმე შედეგი, ვიდრე დადგებოდა ჰუმანიტარული ინტერვენციის განუხორციელებლობის შემთხვევაში.⁵⁴⁰ ჰუმანიტარული ინტერვენციის ლეგიტიმურობისთვის აუცილებელია, ის იყოს პროპორციული ძალადობის იმ ხარისხისა, რომელიც გამოიჩინა მეორე მხარემ.⁵⁴¹ ამასთანავე, სამხედრო ძალა უნდა გამოიყენონ მხოლოდ იმ დოზით, რაც აუცილებელია ადამიანის უფლებების დარღვევების აღსაკვეთად.⁵⁴²

3. ნატოს ჰუმანიტარული ინტერვენცია კოსოვოში

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში ჰუმანიტარული ინტერვენცია განახორციელა ყოფილი იუგოსლავიის ერთ-ერთ პროვინციაში – კოსოვოში. ძირითადად ალბანელებით დასახლებული კოსოვო, რომელშიც ისინი არც ისე დიდი ხნის წინათ შემოვიდნენ მეზობელი ალბანეთიდან, მრავალი წლის განმავლობაში ავტონომიით სარგებლობდა. 1989 წელს ეს სტატუსი გაუქმდა, რამაც კოსოვოელი ალბანელების წინააღმდეგობა გამოიწვია და მათი შეიარაღებული აჯანყება მოჰყვა. ამის საპასუხოდ ცენტრალურმა ხელისუფლებამ მათ მიმართ უფრო მკაცრი და სისხლისმღვრელი ზომები გამოიყენა. კერძოდ, გააძლიერა ეთნიკური წმენდა (რომელიც ავტონომიის გაუქმებისას დაიწყო), რის შედეგადაც ასიათასობით

⁵³⁶ Benjamin Barry, *Unilateral Humanitarian Intervention: Legalizing the Use of Force to Prevent Human Rights Atrocities*, *Fordham International Law Journal*, Volume 16, 1992-1993, pp. 152-54.

⁵³⁷ Merriam John, *Kosovo and the Law of Humanitarian Intervention*, *The Case Western Reserve Journal of International Law*, Volume 33, 2001, p.136.

⁵³⁸ რუსაძე ნ., *ჰუმანიტარული ინტერვენცია თანამედროვე საერთაშორისო სამართალში*, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, №1, 2009, გვ. 56.

⁵³⁹ იქვე.

⁵⁴⁰ იქვე.

⁵⁴¹ იქვე.

⁵⁴² Bazylar Michael, *Re-examining the Doctrine of Humanitarian Intervention in Light of the Atrocities in Kampuchea and Ethiopia*, *Stanford Journal of International Law*, Volume 23, 1987, p. 601.

ლტოლვილმა მეზობელ სახელმწიფოებში ეკონომიკური სიძნელები შექმნა.⁵⁴³

გაეროს, ეუთოსა და ნატოს მშვიდობიანი ღონისძიებები არავითარ შედეგს არ იძლეოდა. საკითხის სწრაფი მოგვარების მიზნით ნატოს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, დაეწყო კოსოვოში განლაგებული ცენტრალური ხელისუფლების ძალოვანი სტრუქტურების ტექნიკისა და ცოცხალი ძალების დაბომბვა, რათა იძულებული გაეხადათ ისინი, დაეტოვებინათ რეგიონი. ამ საშიშროებამ აიძულა იუგოსლავიის პრეზიდენტი მილოშევიჩი, 1998 წელს დათანხმებულიყო კოსოვოში ეუთოს მეთვალყურეთა მისიისა და სხვა მაკონტროლებელი სტრუქტურების დაბინავებაზე. მაგრამ ვერც ამან შეახერხა სისხლისმღვრელი წინააღმდეგობა, რომლის მსხვერპლიც მშვიდობიანი მოსახლეობა ხდებოდა. საბოლოოდ, იუგოსლავიამ უარი თქვა, ხელი მოეწერა შეთანხმებისათვის, რომელიც კოსოვოს ავტონომიის აღდგენას ითვალისწინებდა.⁵⁴⁴

1999 წლის მარტში დაიწყო ჯერ კოსოვოს, ხოლო მოგვიანებით მთელი სერბეთის ტერიტორიაზე განლაგებული ობიექტების დაბომბვა, რაც 78 დღეს გაგრძელდა.⁵⁴⁵ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ საჰაერო შეტევის განხორციელება მიზნად ისახავდა ლტოლვილების უპირობო, უსაფრთხო დაბრუნებას და ჰუმანიტარული კატასტროფის თავიდან აცილებას.⁵⁴⁶

ჰუმანიტარული ინტერვენციის დოქტრინის მომხრეები ინტერვენციას კოსოვოში ამართლებენ ჰუმანიტარული მიზნებიდან გამომდინარე.⁵⁴⁷ ჰუმანიტარული ინტერვენციის მოწინააღმდეგეები კი მიიჩნევენ, რომ ძალის გამოყენება სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ არღვევს საერთაშორისო სამართლის იმპერატიულ ნორმებს. აღნიშნულ დილემასთან მიმართებით საინტერესოა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იმჟამინდელი გენერალური მდივნის მოსაზრება. მან მიუთითა, რომ არსებობს ორი მთავარი კითხვა: ერთი მხრივ, რამდენად ლეგიტიმურია ძალის გამოყენება რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გაეროს მანდატის გარეშე, და, მეორე მხრივ, გასაანალიზებელია ის, თუ რამდენად დასაშვებია ადამიანის უფლებების მასობრივი და სისტემატური დარღვევა.⁵⁴⁸

საერთაშორისო სამართლის თანახმად, ყველა სახელმწიფო არის სუვერენული და საკუთარი საზღვრების ფარგლებში აქვს თავისუფლად მოქმედების უფლება.⁵⁴⁹ როდესაც აღნიშნული პრინციპი ირღვევა, ეს იწვევს ქაოსს საერთაშორისო ურთიერთობებში და ძლიერი სახელმწიფოების დომინირებას სუსტ სახელმწიფოებზე.⁵⁵⁰

⁵⁴³ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი, რედაქტორი: ალექსიძე ლევან, თბ., 2003, გვ. 415.

⁵⁴⁴ იქვე, გვ. 416.

⁵⁴⁵ Grant Rebecca, Airpower Made it Work, Air Force Magazine, November, 1999, pp. 30, 37.

⁵⁴⁶ Merriam John, Kosovo and the Law of Humanitarian Intervention, The Case Western Reserve Journal of International Law, Volume 33, 2001, p.112.

⁵⁴⁷ იქვე, გვ. 113.

⁵⁴⁸ იქვე.

⁵⁴⁹ იქვე, გვ. 116.

⁵⁵⁰ იქვე.

„ცივი ომის“ შემდგომ პერიოდშიც სუვერენიტეტი რჩება მნიშვნელოვან უფლებად. თუმცა მისი მნიშვნელობა შეიძლება შემცირდეს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან მიმართებით.⁵⁵¹

ჰუმანიტარული კრიზისი თავისთავად არის საფრთხე სახელმწიფო სუვერენიტეტისათვის. კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ზიანს აყენებს სახელმწიფოთა ინტერესებს. აღნიშნული დანაშაულისთვის დაუსჯელობა კი იწვევს არასტაბილური გარემოს შექმნას, შეიარაღებული კონფლიქტებისა და ლტოლვილთა ნაკადის გაზრდას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ფართომასშტაბიანი ომი. ამდენად, სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ, რათა თავიდან აიცილონ მსგავსი საფრთხეები.⁵⁵²

კოსოვოში ჰუმანიტარული კრიზისის განვითარებას წინ უსწრებდა წლების განმავლობაში კონფლიქტი სერბეთის სამხედრო ძალებსა და კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის მემბოხეებს შორის. ეს უკანასკნელნი ცდილობდნენ, დაეცვათ კოსოვოს ავტონომია.⁵⁵³ 1998 წელს, ლტოლვილთა საკითხებში გაეროს უმაღლესი კომისრის შეფასებით, აღნიშნული კონფლიქტის შედეგად 230 000-ზე მეტმა ადამიანმა დატოვა საკუთარი ადგილსამყოფელი. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ საჰაერო შეტევების განხორციელებამდე ორი კვირით ადრე ეს მაჩვენებელი 400 000-ამდე გაიზარდა.⁵⁵⁴

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს №1199 რეზოლუციის თანახმად, 50 000 ლტოლვილი თავშესაფრის გარეშე იყო დარჩენილი.⁵⁵⁵ ხოლო ლტოლვილთა საკითხებში გაეროს უმაღლესი კომისრის მოხსენება სიცივისგან ბავშვების გარდაცვალების ფაქტებზე მიუთითებდა.⁵⁵⁶

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ეუთო, ნატო, ამერიკის შეერთებული შტატები და ბალკანეთის საკონტაქტო ჯგუფი ცდილობდნენ, დიპლომატიური საშუალებებით შეეჩერებინათ ძალადობა და მიეღწიათ საერთო პოლიტიკური გადაწყვეტილებისთვის.⁵⁵⁷

1998 წლის სექტემბერში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ სერბეთის სამხედრო ძალებს საომარი მოქმედებების შეწყვეტა მოსთხოვა. გაეროს უშიშროების საბჭოს №1199 რეზოლუცია მხარეებს ცეცხლის შეწყვეტისაკენ მოუწოდებდა და მოითხოვდა დიალოგის დაწყებას იუგოსლავიის ფედერალურ რესპუბლიკასა და კოსოვოს ალბანურ ხელმძღვანელობას შორის, რაც შეამცირებდა ჰუმანიტარული კატასტროფის რისკებს.⁵⁵⁸

⁵⁵¹ Scheffer David J., *Toward a Modern Doctrine of Humanitarian Intervention*, University of Toledo Law Review, Volume 23, 1991-1992, p.259.

⁵⁵² Merriam John, *Kosovo and the Law of Humanitarian Intervention*, The Case Western Reserve Journal of International Law, Volume 33, 2001, pp.117-118.

⁵⁵³ U.S. Department of State, *Erasing History: Ethnic Cleansing in Kosovo*, 2000, <http://www.state.gov/www/regions/eur/rpt9905ethinicksvo2.html> (ნანახია: 25.05.2009).

⁵⁵⁴ Merriam John, *Kosovo and the Law of Humanitarian Intervention*, The Case Western Reserve Journal of International Law, Volume 33, 2001, p.137.

⁵⁵⁵ იქვე, გვ. 141.

⁵⁵⁶ იქვე.

⁵⁵⁷ იქვე, გვ. 142-143.

⁵⁵⁸ Security Council Resolution, N1199, September 23, 1998, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N98/279/96/PDF/N9827996.pdf?OpenElement> (ნანახია: 05.05.2009).

დიპლომატიური საშუალებებით კონფლიქტის მოგვარებამ კულმინაციას 1999 წლის თებერვალში მიაღწია, როდესაც საკონტაქტო ჯგუფი (ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იტალია) კვლავ შეეცადა კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას რამბუიეში (საფრანგეთი, პარიზის შემოგარენი) სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერით, რაც უშედეგო აღმოჩნდა. რამბუიეს შეთანხმებას ხელს აწერდნენ კოსოვოელი ალბანელები. შეთანხმება ითვალისწინებდა კოსოვოსთვის პოლიტიკური ავტონომიის უზრუნველყოფას, რასაც იუგოსლავიის მთავრობამ ხელი არ მოაწერა.⁵⁵⁹

1999 წლის მარტში ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. ჰუმანიტარული კრიზისიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შესაბამისი ზომების მიღება, თუმცა გაეროს უშიშროების საბჭო უუნარო აღმოჩნდა. ამასთანავე, ნატო ითვალისწინებდა იმ ფაქტსაც, რომ გაერომ ვერ შეძლო ბოსნიაში კრიზისის თავიდან აცილება. ამდენად, ალიანსმა გადაწყვიტა, ძალის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება ცალმხრივად მიეღო.⁵⁶⁰

ნატოს მიერ კოსოვოში ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელების მოწინააღმდეგეები თვლიან, რომ არ არის სწორი უშიშროების საბჭოს უუნარობაზე საუბარი მაშინ, როდესაც უშიშროების საბჭოში ოფიციალურად კენჭისყრა არ ჩატარებულა აღნიშნული საკითხის თაობაზე. თუმცა ნათელი იყო, რომ უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრებიდან ორი მუდმივი წევრი ქვეყანა – რუსეთი და ჩინეთი – გამოიყენებდა ვეტოს უფლებას და გაეროს მიერ შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელი იქნებოდა. გარდა ამისა, კენჭისყრის ჩატარება კიდევ უფრო გაართულებდა მდგომარეობას, რადგან ვეტოს შედეგად ცხადი გახდებოდა ინტერვენციის ცალმხრივად გამოყენების დაუშვებლობა.⁵⁶¹

მიუხედავად იმისა, რომ კენჭისყრა ოფიციალურად არ ჩატარებულა, ნათელი იყო გაეროს უშიშროების საბჭოს არაეფექტურობა, რასაც ამყარებს სომალიში, რუანდასა და ბოსნიაში მიმდინარე კრიზისების დროს მის მიერ გამოვლენილი უუნარობა.⁵⁶²

კოსოვოს ხელმძღვანელობა და ეთნიკური ალბანელები მიესალმნენ ნატოს ინტერვენციას.⁵⁶³ 1999 წლის 2 იანვარს ალბანელმა პოლიტიკოსმა, იბრაჰიმ რუგოვამ, ნატოს ჩარევისა და მშვიდობის უზრუნველყოფისკენ მოუწოდა. რუგოვამ აღნიშნა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი შეძლებდა კრიზისის შეჩერებას კოსოვოში.⁵⁶⁴

შეიძლება ითქვას, რომ ალიანსის ინტერვენცია კოსოვოში შეესაბამება ჰუმანიტარული ინტერვენციის ერთ-ერთ მოთხოვნას, რომელიც გულისხმობს თავად ადამიანის უფლებების დარღვევების

⁵⁵⁹ Rambouillet Interim Agreement, <http://www.state.gov/www/regions/eur/ksvorambouillettext.html> (ნანახია: 01.15.2009).

⁵⁶⁰ Merriam John, Kosovo and the Law of Humanitarian Intervention, The Case Western Reserve Journal of International Law, Volume 33, 2001, p.144.

⁵⁶¹ იქვე.

⁵⁶² იქვე, გვ. 144-145.

⁵⁶³ იქვე, გვ. 146.

⁵⁶⁴ იქვე.

შედეგად გამოვლენილ მსხვერპლთა მიერ ინტერვენციის დადებითად შეფასებას.⁵⁶⁵

ნატოს ჰუმანიტარულ ინტერვენციას კოსოვოში ჰქონდა განსაზღვრული მიზანი, კერძოდ, ძალადობის შეჩერება, სერბეთის სამხედრო ძალების გაყვანა, საერთაშორისო ძალების განლაგება და ლტოლვილების მშვიდობიანი, უპირობო დაბრუნება.⁵⁶⁶

რაც შეეხება ინტერვენციის მრავალმხრივობას, სახელმწიფოების მიერ განხორციელებული ინტერვენცია უფრო ეფექტური და ლეგიტიმურია, ვიდრე ინტერვენცია, რომელსაც ერთი ქვეყანა ახორციელებს. კოსოვოში ჰუმანიტარული კატასტროფის შეჩერებისას ნატო ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის 19 სუვერენულ სახელმწიფოს აერთიანებდა.⁵⁶⁷

უდავოა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის, როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით, არ იყო ადვილი მსგავსი ოპერაციის განხორციელება კოსოვოში. თუმცა გაეროს არაეფექტურობის ფონზე უფრო ქმედითი აღმოჩნდა რეგიონალური ორგანიზაციის მიერ ჰუმანიტარული კრიზისის დროს საომარი მოქმედებების შეჩერება.⁵⁶⁸

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ნატოს ჰუმანიტარულ ინტერვენციას კოსოვოში არ ჰქონდა სრული საერთაშორისო მხარდაჭერა, ვინაიდან იგი არ იყო გაეროს ოპერაცია. მიუხედავად ამისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას საჯაროდ არასდროს გამოუხატავს, რომ ალიანსის მოქმედება იყო არაკანონიერი.⁵⁶⁹ მეტიც, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დააფინანსა ნატო-იუგოსლავიის მშვიდობიანი მოლაპარაკებების პროცესი, რომელიც 1999 წლის 10 ივნისს შეთანხმების ხელმოწერით დასრულდა. გარდა ამისა, ამჟამად კოსოვოში განლაგებული ნატოს ძალები მოქმედებენ გაეროს ეგიდით.⁵⁷⁰ როგორც ზოგიერთი მკვლევარი თვლის, ნატოსა და გაეროს ეს კავშირი ადასტურებს იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო ნატოს ინტერვენცია კოსოვოში.⁵⁷¹

1998 წლის 31 მარტს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო №1160 რეზოლუცია, რომელიც, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 41-ე მუხლის თანახმად, იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკას ემბარგოს უწესებდა იარაღზე და ყველა სახელმწიფოსგან მკაცრად მოითხოვდა მოქმედებას რეზოლუციის შესაბამისად. ამდენად, უშიშროების საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება მიუთითებდა, რომ არსებული ვითარება საფრთხე იყო საერთაშორისო მშვიდობისთვის.⁵⁷²

1998 წლის 24 ოქტომბერს გაეროს უშიშროების საბჭომ კვლავ მიიღო №1203 რეზოლუცია, რომელიც ორივე მხარეს – კოსოვოს

⁵⁶⁵ იქვე.

⁵⁶⁶ იქვე, გვ. 147.

⁵⁶⁷ იქვე, გვ. 150-151.

⁵⁶⁸ იქვე, გვ.151.

⁵⁶⁹ Houston Simon, War is Over; Surrender: Milosevic Agrees to Pull Out of Kosovo, Scottish Daily Record, June 10, 1999, p. 1.

⁵⁷⁰ Whitney Craig, Hands Off: The No Man's Land in the Fight for Human Rights, New York Times, December 12, 1999, p. 1.

⁵⁷¹ Merriam John, Kosovo and the Law of Humanitarian Intervention, The Case Western Reserve Journal of International Law, Volume 33, 2001, pp.151-152.

⁵⁷² Chinkin Christine, The Legality of NATO's Action in the Former Republic of Yugoslavia under International Law, The International and Comparative Law Quarterly, Voume 49, 2000, p. 911.

აღბანურ ხელმძღვანელობასა და იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკას – უწესებდა კონკრეტულ ვალდებულებებს, კერძოდ: კოსოვოს აღბანურ ხელმძღვანელობას ევალებოდა პრობლემის მშვიდობიანი გზით მოწესრიგება, ხოლო იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას უნდა შეესრულებინა მასა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს შორის 1998 წლის 15 ოქტომბერს დადებული შეთანხმება, გარდა ამისა, უნდა ეზრუნა დიპლომატიური პერსონალის უსაფრთხოებასა და ლტოლვილების, იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნებაზე.⁵⁷³

პროფესორი ვედგუდი თვლის, რომ ნატოს მიერ საჰაერო ოპერაციების დაწყებამდე უშიშროების საბჭოში კენჭისყრის ჩაუტარებლობა შეიძლება მიხნეულ იქნეს გაეროს ჩუმ თანხმობად.⁵⁷⁴

მიუხედავად იმისა, რომ მოკავშირეთა მიერ განხორციელებული ოპერაცია არ ეფუძნება გაეროს წესდებას, ის შეიძლება მისაღები იყოს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლიდან გამომდინარე.⁵⁷⁵

გაეროს უშიშროების საბჭოში გაერთიანებული სამეფოს მუდმივი წარმომადგენელი თვლიდა, რომ ძალის გამოყენება იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ აუცილებელი იყო ჰუმანიტარული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. მსგავსი განცხადება ნატოს წევრი ბევრი ქვეყნის ლიდერმა გააკეთა.⁵⁷⁶

კოსოვოში ჰუმანიტარული ინტერვენციის სამართლებრივი და მორალური ასპექტების ურთიერთშეუსაბამობამ პოლიტიკოსთა და საერთაშორისო სამართლის ექსპერტთა წინაშე დასვა მწვავე საკითხი: რამდენად დასაშვებია, რომ ნებისმიერმა რეგიონალურმა საერთაშორისო ორგანიზაციამ გაეროს ნებართვის გარეშე გამოიყენოს სამხედრო ძალა სუვერენული სახელმწიფოს მიმართ ამ სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის, თუნდაც კატასტროფულის, აღსაკვეთად?⁵⁷⁷

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ კოსოვოში განხორციელებული ჰუმანიტარული ინტერვენცია გაეროს წესდებით დაშვებულ ძალის გამოყენების გამონაკლის შემთხვევებს არ განეკუთვნება. იგი არც ინდივიდუალური და არც კოლექტიური თავდაცვის უფლებაა. გარდა ამისა, ეს ოპერაცია არ განხორციელებულა უშიშროების საბჭოს მიერ გაეროს წესდების მე-7 თავის (39-ე და 42-ე მუხლები) ან მე-8 თავის (53-ე მუხლი) შესაბამისად მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე. ჰუმანიტარული ინტერვენციის ცალმხრივად განხორციელება, უშიშროების საბჭოს ნებართვის გარეშე, კვლავ რჩება სადავო თემად საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში.⁵⁷⁸

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, თუ სახეზეა ადამიანის უფლებათა მასობრივი და სისტემატური დარღვევები, ხოლო სახელმწიფო უუნაროა, შეაჩეროს კრიზისი და გაეროც არაქმედითია, ინტერვენცია შეიძლება

⁵⁷³ იქვე.

⁵⁷⁴ Wedgwood Ruth, NATO's Campaign in Yugoslavia, American Journal of International Law, Volume 93, 1999, p. 828.

⁵⁷⁵ Chinkin Christine, The Legality of NATO's Action in the Former Republic of Yugoslavia under International Law, The International and Comparative Law Quarterly, Volume 49, 2000, p. 916.

⁵⁷⁶ იქვე.

⁵⁷⁷ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი, რედაქტორი: ლევან ალექსიძე, თბ., 2003, გვ. 417.

⁵⁷⁸ Chinkin Christine, The Legality of NATO's Action in the Former Republic of Yugoslavia under International Law, The International and Comparative Law Quarterly, Volume 49, 2000, p. 916.

განხორციელდეს მხოლოდ ჰუმანიტარული მიზნებიდან გამომდინარე და ჩარევა უნდა იყოს პროპორციული ჰუმანიტარული კრიზისის შედეგად მისაღწევ ამოცანებთან.⁵⁷⁹

ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევებისას ჰუმანიტარული ინტერვენცია შესაძლოა გამოიყენონ უკიდურეს შემთხვევაში. 1990 წლის ზაფხულში დასავლეთ აფრიკის ქვეყნების კავშირის ეკონომიკურმა გაერთიანებამ განახორციელა ინტერვენცია ლიბერიის რესპუბლიკაში, რათა შეეჩერებინა ადამიანის უფლებათა უხეში, სისტემატური დარღვევები, რაც სამოქალაქო ომმა განაპირობა. დასავლეთ აფრიკის ქვეყნების კავშირის ეკონომიკური გაერთიანება არ მოქმედებდა გაეროს უშიშროების საბჭოს მანდატით, მხოლოდ ორი წლის შემდეგ მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციისგან ოფიციალური მხარდაჭერა.⁵⁸⁰

საერთაშორისო სამართლის თანახმად, გაეროს უშიშროების საბჭოა პასუხისმგებელი, უზრუნველყოს საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება. მაგრამ ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით, ეს არ ნიშნავს იმას, რომ, თუ უშიშროების საბჭო უუნაროა, მიიღოს გადაწყვეტილება მუდმივი წევრის მიერ ვეტოს უფლების გამოყენების გამო, დაუშვებელია რაიმე მოქმედების განხორციელება. სახელმწიფოებმა მიმართეს ინტერვენციას ჰუმანიტარული მიზნებიდან გამომდინარე,⁵⁸¹ თუმცა ამით დაირღვა გაეროს წესდების მოთხოვნები. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ამ შემთხვევაში საუბარია ისეთ ვითარებაზე, რომლის დროსაც ჰუმანიტარული კრიზისის დაძლევის სხვა ალტერნატიული საშუალება არ არსებობს.

⁵⁷⁹ იქვე.

⁵⁸⁰ Greenwood Christopher, International Law and the NATO Intervention in Kosovo, The International and Comparative Law Quarterly, Volume 49, 2000, p. 929.

⁵⁸¹ იქვე, 929-930.

თავი V. კოლექტიური უსაფრთხოება

1. კოლექტიური უსაფრთხოების დეფინიცია

კოლექტიური უსაფრთხოება მოითხოვს ძალის გამოყენების კანონიერების ინსტიტუციონალიზაციას საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ.⁵⁸²

კოლექტიური უსაფრთხოება, კოლექტიური თავდაცვის მსგავსად, იზიარებს ფუნდამენტურ წინაპირობას, რომელიც გულისხმობს ძალის გამოყენებას აგრესიის წინააღმდეგ იმ ქვეყნების მიერ, რომლებიც შეიძლება არ არიან უშუალო და პირდაპირ მსხვერპლნი. თუმცა როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური თავდაცვა გამოიყენება კონკრეტული სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ნება-სურვილიდან გამომდინარე, მაშინ, როდესაც კოლექტიური უსაფრთხოება ხორციელდება საერთაშორისო თანამეგობრობის შესაბამისი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.⁵⁸³

კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა სათავეს იღებს ერთა ლიგიდან. ერთა ლიგის პაქტის მე-10 მუხლის თანახმად, საბჭოს შექმლო, წევრი სახელმწიფოებისთვის ერჩია, თუ რა საშუალებები გამოეყენებინა ქვეყანას აგრესიის ან მისი საფრთხის არსებობისას.⁵⁸⁴

ერთა ლიგის პაქტის მე-11 მუხლი მიუთითებდა, რომ ერთა ლიგის ნებისმიერ ქვეყანას მოუწევდა, მონაწილეობა მიეღო მშვიდობის უზრუნველყოფის პროცესში, მიუხედავად იმისა, თუ უშუალოდ რა გავლენა ექნებოდა ომს ამ სახელმწიფოზე.⁵⁸⁵ ერთა ლიგის პაქტი ითვალისწინებდა აღნიშნულ სახელმწიფოსთან სავაჭრო და ფინანსური ურთიერთობების შეწყვეტას და საბჭოს ანიჭებდა უფლებამოსილებას, რეკომენდაცია გაეწია თავისი წევრებისთვის ძალის გამოყენების თაობაზე, რათა დაეცვა პაქტით განსაზღვრული ვალდებულებები.⁵⁸⁶

ერთა ლიგის პაქტი ერთმანეთისგან მიჯნავდა ეკონომიკურ სანქციებს და სამხედრო მოქმედებებს. მისი წევრები ვალდებული იყვნენ, გამოეყენებინათ კომერციული და ფინანსური სანქციები აგრესორი ქვეყნის წინააღმდეგ, ხოლო სამხედრო მოქმედების განხორციელების შესახებ ერთა ლიგის საბჭო იღებდა მხოლოდ რეკომენდაციებს, რომლებიც სავალდებულო ხასიათის არ იყო.⁵⁸⁷

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, რამდენადაც საერთაშორისო თანამეგობრობას არ შეუძლია, დაავალოს წევრ ქვეყანას სამხედრო მოქმედების განხორციელება, ეს „შეუძლებელია“ მიუთითებს კოლექტიური უსაფრთხოების მართებულ სისტემაზე.⁵⁸⁸

⁵⁸² Schwarzenberger Georg and Brown E. D., A Manual of International Law, Milton, 1976, p.153.

⁵⁸³ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.278.

⁵⁸⁴ იქვე.

⁵⁸⁵ იქვე, გვ. 278-279.

⁵⁸⁶ იქვე, გვ. 279.

⁵⁸⁷ Williams J. F., Some Aspects of the Covenant of the League of Nations, Oxford University Press, London, 1934, pp. 156-157.

⁵⁸⁸ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.279.

ტერმინი კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა გულისხმობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრების მიერ დახმარების გაწევას იმ წევრი ქვეყნისთვის, რომლის წინააღმდეგ განხორციელდა შეიარაღებული თავდასხმა, ან არსებობს ასეთი საფრთხე.⁵⁸⁹

თუმცა კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის კრიტიკოსები თვლიან, რომ ამ სისტემას არ შეუძლია საფრთხეებზე დროული რეაგირება.⁵⁹⁰

აგრესიის შემთხვევაში საერთაშორისო თანამეგობრობა ეხმარება დაზარალებულ ქვეყანას, რაც ნიშნავს არა მარტო მსხვერპლი სახელმწიფოს დაცვას, არამედ თავისთავად საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველყოფას.⁵⁹¹

მეარშემიერის მოსაზრებით, კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა პარადიგმატულად ეფუძნება სამ მთავარ წინაპირობას: 1) სახელმწიფოებმა არ უნდა გამოიყენონ სამხედრო ძალა არსებული ვითარების შესაცვლელად. მათ არ უნდა განახორციელონ აგრესიული მოქმედება. ისინი უნდა შეთანხმდნენ, რომ ყველა დავას გადაწყვეტენ მშვიდობიანი საშუალებებით; 2) სახელმწიფოები უნდა თვლიდნენ, რომ მათი ეროვნული ინტერესები დაკავშირებულია სხვა სახელმწიფოების ეროვნულ ინტერესებთან. ამდენად, თავდასხმა ერთ-ერთ მათგანზე განიხილება თავდასხმად ყველა მათგანზე. მათ კოლექტიურად უნდა შეძლონ აგრესიის შეჩერება. ყოველივე ეს მიზნად ისახავს ისეთი კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნას, რომელიც წარმოშობს დაზარალებული ქვეყნისთვის ავტომატურად დახმარების აღმოჩენის ვალდებულებას; 3) სახელმწიფოები ერთმანეთს უნდა ენდობოდნენ. ისინი უნდა მოქმედებდნენ ზემოაღნიშნული წესების შესაბამისად და უნდა ფიქრობდნენ, რომ სხვა ქვეყნებიც მსგავსად მოიქცევიან.⁵⁹²

გაეროს წესდების საფუძველზე შექმნილი კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა შეიძლება შევადაროთ მეარშემიერის სისტემას. გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი თავის საერთაშორისო დავას წყვეტს მშვიდობიანი საშუალებებით და იმგვარად, რომ საფრთხე არ შეუქმნას საერთაშორისო მშვიდობას, უსაფრთხოებასა და სამართლიანობას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი თავს იკავებს საერთაშორისო ურთიერთობებში ძალით მუქარისა ან მისი გამოყენებისაგან, როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ასევე გაერთიანებული ერების მიზნებთან შეუთავსებელი რაიმე სხვა სახით. წესდება უშიშროების საბჭოს ანიჭებს უფლებამოსილებას, განსაზღვროს მშვიდობისათვის საფრთხის შექმნის, მშვიდობის ხელყოფისა და აგრესიის არსებობის ფაქტები და მიმართოს შესაბამის ზომებს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების

⁵⁸⁹ Spaid Brian, *Collective Security v. Constitutional Sovereignty: Can the President Commit U.S. Troops Under the Sanction of the United Nations Security Council Without Congressional Approval?* University of Dayton Law Review, Volume 17, 1991-1992, p.1057.

⁵⁹⁰ Downs George, *Collective Security beyond the Cold War*, the University of Michigan Press, 1994, p.25.

⁵⁹¹ Luard Evan, *A History of the United Nations: The Years of Western Domination (1945-1955)*, London: Macmillan, 1982, p. 4.

⁵⁹² Mearsheimer John, *The False Promise of International Institutions*, in *Theories of War and Peace*, Editor: Michael E. Brown, Cambridge, 1998, pp. 329, 357-359.

დასაცავად. გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად კი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი ყოველმხრივ ეხმარება მას ამ წესდების შესაბამისად განსახორციელებელ ნებისმიერ მოქმედებაში და თავს იკავებს ნებისმიერი სახელმწიფოსათვის დახმარებისაგან, რომლის წინააღმდეგაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია პრევენციული ან იძულებითი ხასიათის მოქმედებას ახორციელებს. თუმცა გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების მიერ იძულებითი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას ვეტოს უფლების გამოყენების შესაძლებლობა ნიშნავს იმას, რომ შესაბამისი პასუხისმგებლობის ავტომატურად წარმოშობა პრაქტიკულად შეუძლებელია. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ, როგორც გაეროს წესდების ავტორებმა მიიჩნიეს, დიდი ქვეყნები არ დასთანხმდებოდნენ წესდების ხელმოწერას, თუ მათ, წესდების მიხედვით, არ ექნებოდათ გადაწყვეტილებების დაბლოკვის შესაძლებლობა. გაეროს წესდების შემქმნელებს არ სურდათ ერთა ლიგის მარცხის განმეორება, რომელშიც რამდენიმე დიდი სახელმწიფო არ შედიოდა.⁵⁹³

კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის წარმატებულად ფუნქციონირებისთვის აუცილებელია წევრ ქვეყნებს შორის თანამშრომლობა და ერთმანეთის ნდობა.⁵⁹⁴

2. კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა „ცივი ომის“ პერიოდში

მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რამდენად შეძლო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ კონფლიქტებსა და კრიზისებზე შესაბამისი რეაგირება. როგორც „ცივი ომის“ პერიოდში, ისე მის შემდგომ ეს საკითხი კვლავ დამოკიდებულია დიდი ქვეყნების ინტერესებსა და მათ შორის არსებულ ურთიერთობათა დინამიკაზე.⁵⁹⁵

„ცივი ომის“ პერიოდში გაეროს უშიშროების საბჭომ დაადგინა მშვიდობის ხელყოფის ფაქტები შემდეგ შემთხვევებში: კორეის ომი (82-ე რეზოლუცია, 1950 წელი),⁵⁹⁶ ფოლკლენდის კუნძულების ომი (502-ე

⁵⁹³ Delahunty Robert, Symposium on Reexamining the law of War: Paper Charter: Self-Defense and the Failure of the United Nations Collective Security System, Catholic University Law Review, Volume 56, 2006-2007, pp. 890-891.

⁵⁹⁴ იქვე, გვ. 891-892.

⁵⁹⁵ Stromseth Jane, Future Implication of the Iraq Conflict: Law and Force after Iraq: A Transitional Moment, American Journal of International Law, Volume 97, 2003, p.640.

⁵⁹⁶ Security Council Resolution 82, June 25, 1950, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/064/95/IMG/NR006495.pdf?OpenElement> (ნანახია: 27.07.2010).

რეზოლუცია, 1982 წელი)⁵⁹⁷ და ირან-ერაყის ომი (598-ე რეზოლუცია, 1987 წელი).⁵⁹⁸

გაეროს უშიშროების საბჭო რეკომენდაციას უწევდა წევრ სახელმწიფოებს, დახმარება აღმოეჩინათ კორეის რესპუბლიკისთვის, რათა შეეჩერებინათ ჩრდილოეთ კორეის შეიარაღებული თავდასხმა.⁵⁹⁹ უშიშროების საბჭო უშვებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროშის ქვეშ კოალიციის მიერ ძალის გამოყენებას, რომელსაც ნებაყოფლობით ამერიკის შეერთებული შტატები უხელმძღვანელებდა.⁶⁰⁰

ფოლკლენდის კუნძულების ომის შემთხვევაში გაეროს უშიშროების საბჭომ მხოლოდ მშვიდობის ხელყოფის ფაქტზე მიუთითა და საომარი მოქმედებების შეწყვეტისა და კუნძულებიდან არგენტინის შეიარაღებული ძალების გაყვანის მოთხოვნით შემოიფარგლა.⁶⁰¹

ირან-ერაყის ომის შემთხვევაში კი, უშიშროების საბჭომ 7-წლიანი საომარი მოქმედებების შემდეგ დაადგინა, რომ კონფლიქტმა აღნიშნულ ორ სახელმწიფოს შორის ხელყო მშვიდობა და დაუყოვნებლივ მოითხოვა ცეცხლის შეწყვეტა.⁶⁰²

გარდა ამისა, 1984 წელს გაეროს უშიშროების საბჭომ დაგმო სამხრეთ აფრიკის მიერ ანგოლის წინააღმდეგ განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა, დაადასტურა ანგოლის უფლება, გამოეყენებინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლი და წევრ ქვეყნებს მოუწოდა, დახმარება აღმოეჩინათ დაზარალებული ქვეყნისთვის.⁶⁰³

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ ოფიციალურად მიუთითა მშვიდობისათვის საფრთხის შექმნის შემთხვევებზეც. 1948 წელს მიღებულ 54-ე რეზოლუციაში უშიშროების საბჭო აღნიშნავდა, რომ პალესტინაში არსებული ვითარება საფრთხეს უქმნიდა საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას.⁶⁰⁴ ანალოგიურ საფრთხეზე საუბრობდა უშიშროების საბჭო 1966 წლის 232-ე

⁵⁹⁷ Security Council Resolution 502, April 3, 1982, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/435/26/IMG/NR043526.pdf?OpenElement> (ნანახია: 27.07.2010).

⁵⁹⁸ Security Council Resolution 598, July 20, 1987, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/524/70/IMG/NR052470.pdf?OpenElement> (ნანახია: 27.07.2010).

⁵⁹⁹ Security Council Resolution 83, June 27, 1950, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/064/96/IMG/NR006496.pdf?OpenElement> (ნანახია: 27.07.2010).

⁶⁰⁰ Security Council Resolution 84, July 7, 1950, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/064/97/IMG/NR006497.pdf?OpenElement> (ნანახია: 27.07.2010).

⁶⁰¹ Security Council Resolution 502, April 3, 1982, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/435/26/IMG/NR043526.pdf?OpenElement> (ნანახია: 27.07.2010).

⁶⁰² Security Council Resolution 598, July 20, 1987, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/524/70/IMG/NR052470.pdf?OpenElement> (ნანახია: 27.07.2010).

⁶⁰³ Security Council Resolution 546, January 6, 1984, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/487/76/IMG/NR048776.pdf?OpenElement> (ნანახია: 27.07.2010).

⁶⁰⁴ Security Council Resolution 54, July 15, 1948, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/047/79/IMG/NR004779.pdf?OpenElement> (ნანახია: 2.08.2010).

რეზოლუციაში, რომელიც სამხრეთ როდეზიას ეხებოდა.⁶⁰⁵ ხოლო 1977 წლის 418-ე რეზოლუციაში მიანიშნებდა, რომ იარაღის შექმნა სამხრეთ აფრიკის მიერ საფრთხის შემცველი იყო.⁶⁰⁶

რამდენიმე სხვა შემთხვევაშიც უშიშროების საბჭომ გამოიყენა ფრაზა „საფრთხე მშვიდობისთვის“. მაგალითად, 1974 წელს მიღებულ 353-ე რეზოლუციაში საბჭო მიუთითებდა, რომ კვიპროსში არსებული ვითარება სერიოზული საფრთხე იყო მშვიდობისთვის.⁶⁰⁷ მსგავსი ტექსტია გამოყენებული უშიშროების საბჭოს მიერ კონგოსთან მიმართებით.⁶⁰⁸

ორ შემთხვევაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ დააწესა სავალდებულო სანქციები. უშიშროების საბჭომ 1966 წელს მიღებულ 232-ე რეზოლუციაში გაეროს წესდების 39-ე და 41-ე მუხლების თანახმად, სამხრეთ როდეზიაზე სავაჭრო ემბარგოს დაწესების აუცილებლობაზე მიუთითა, ხოლო 1977 წლის 418-ე რეზოლუციაში, წესდების მე-7 თავის შესაბამისად, სამხრეთ აფრიკაზე იარაღის ემბარგო დააწესა.⁶⁰⁹

„ცივი ომის“ დასასრულს ქუვეითის დაპყრობას ერაყის მიერ და შემდგომ მის გათავისუფლებას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა უშიშროების საბჭოს ისტორიისთვის. ერთსულოვნებამ უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს შორის განაპირობა, გაეროს წესდების მე-7 თავის შესაბამისად, მიღება რეზოლუციათა მთელი რიგისა, რომლებიც ითვალისწინებდნენ ქმედითი ზომების განხორციელებას ერაყის წინააღმდეგ.⁶¹⁰

1990 წლის 2 აგვისტოს (ქუვეითზე თავდასხმის დღეს) მიღებულ 660-ე რეზოლუციაში უშიშროების საბჭომ მიუთითა, რომ ქუვეითში შეჭრა იყო საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების ხელყოფა და მოითხოვდა ერაყის შეიარაღებული ძალების უპირობო გაყვანას ქუვეითის ტერიტორიიდან.⁶¹¹

რამდენიმე დღის შემდეგ გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო 661-ე რეზოლუცია, რომელიც აწესებდა სავალდებულო ეკონომიკურ სანქციებს ერაყის წინააღმდეგ. უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით, გაეროს ყველა წევრ ქვეყანას თავი უნდა შეეკავებინა იმპორტ-ექსპორტის განხორციელებისაგან როგორც ერაყის, ისე ქუვეითის ოკუპირებულ

⁶⁰⁵ Security Council Resolution 232, December 16, 1966, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/227/55/IMG/NR022755.pdf?OpenElement> (ნანახია: 2.08.2010).

⁶⁰⁶ Security Council Resolution 418, November 4, 1977, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/297/01/IMG/NR029701.pdf?OpenElement> (ნანახია: 2.08.2010).

⁶⁰⁷ Security Council Resolution 353, July 20, 1974, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/289/72/IMG/NR028972.pdf?OpenElement> (ნანახია: 2.08.2010).

⁶⁰⁸ Security Council Resolution 161, February 21, 1961, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/171/68/IMG/NR017168.pdf?OpenElement> (ნანახია: 2.08.2010).

⁶⁰⁹ Yoram Dinstein, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press 2005, p.294.

⁶¹⁰ იქვე.

⁶¹¹ იქვე.

ტერიტორიაზე, გარდა მედიკამენტებისა და სხვა იმ საშუალებებისა, რომლებიც აუცილებელი იყო ჰუმანიტარული მიზნებისათვის.⁶¹²

უშიშროების საბჭოს 665-ე რეზოლუცია ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ ეკონომიკური სანქციები საბჭომ დააწესა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მე-7 თავის შესაბამისად და მოუწოდებდა გაეროს წევრ ქვეყნებს, ეთანამშრომლათ 661-ე რეზოლუციის შესრულების მიზნით.⁶¹³

უშიშროების საბჭოს 678-ე რეზოლუცია კი წევრ ქვეყნებს ანიჭებდა უფლებამოსილებას, ქუვეითის მთავრობასთან თანამშრომლობით გამოეყენებინათ ყველა საჭირო საშუალება 660-ე რეზოლუციის განსახორციელებლად, რომელიც მოუწოდებდა ერაყს, დაეტოვებინა ქუვეითის ტერიტორია.⁶¹⁴ რეზოლუციის ეს ფორმულირება გულისხმობდა ძალის გამოყენებასაც. თუმცა უშიშროების საბჭოს იმ რეზოლუციებისგან განსხვავებით, რომლებიც კორეას ეხებოდა, 678-ე რეზოლუცია უთითებდა მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მე-7 თავზე და არა ამ თავის კონკრეტულ მუხლზე. გარდა ამისა, კოალიციური ძალები არ მოქმედებდნენ გაეროს დროშისა და სარდლობის ქვეშ – მათ შეეძლოთ მოქმედება ერაყის წინააღმდეგ უშიშროების საბჭოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე. ზოგიერთი თვლის, რომ ეს იყო გაეროს წესდების 42-ე მუხლის საფუძველზე განხორციელებული მოქმედება. სხვა მკვლევარები კი ამ ოპერაციას მიიჩნევენ როგორც კოლექტიურ თავდაცვას, ნებადართულს უშიშროების საბჭოს მიერ.⁶¹⁵

გაეროს გენერალურ მდივანს თავის მოხსენებაში „დღის წესრიგი მშვიდობისთვის“ არ აღუნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული კოალიციური ძალების ოპერაცია 42-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება იყო, არამედ მიუთითა უშიშროების საბჭოს მიერ წევრი ქვეყნებისთვის ძალის გამოყენების უფლებამოსილების მინიჭებაზე.⁶¹⁶

თუმცა არსებობს აზრთა სხვადასხვაობა აღნიშნულ ოპერაციასთან მიმართებით, შეიძლება ითქვას, რომ ამ ოპერაციით დაიწყო ახალი ერა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისთვის და, გარკვეულწილად, 678-ე რეზოლუცია გახდა შემდგომში წევრი ქვეყნებისთვის ძალის გამოყენების უფლებამოსილების მინიჭების მოდეალი.⁶¹⁷ ეს რეზოლუცია ანიჭებდა სპეციალურ მანდატს კოალიციის ძალებს, წესდების 51-ე მუხლიდან გამომდინარე, განხორციელებინათ კოლექტიური თავდაცვა.⁶¹⁸ ხოლო

⁶¹² Security Council Resolution 661, August 6, 1990, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/575/11/IMG/NR057511.pdf?OpenElement> (ნანახია: 2.08.2010).

⁶¹³ Security Council Resolution 665, August 25, 1990, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/575/15/IMG/NR057515.pdf?OpenElement> (ნანახია: 2.08.2010).

⁶¹⁴ Security Council Resolution 678, November 29, 1990, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/575/28/IMG/NR057528.pdf?OpenElement> (ნანახია: 2.08.2010).

⁶¹⁵ Gray Christine, *International Law and the Use of Force*, Second Edition, Oxford University Press, 2004, pp.204-205.

⁶¹⁶ იქვე, გვ. 205.

⁶¹⁷ იქვე.

⁶¹⁸ Schachter O., *United Nations Law in the Gulf Conflict*, *American Journal of International Law*, Volume 85, 199, pp. 459-460.

ზოგიერთის მოსაზრება, რომ კოალიციური ძალების ოპერაცია იყო 42-ე მუხლით გათვალისწინებულ მოქმედება, შეუსაბამოა.⁶¹⁹

უშიშროების საბჭოს მიერ 1991 წელს მიღებული 687-ე რეზოლუცია განსაზღვრავდა მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტის პირობებს. რეზოლუცია ერაცს მოუწოდებდა საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისკენ.⁶²⁰

3. კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა „ცივი ომის“ შემდგომ

1990 წლის აგვისტოდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს არ განუსაზღვრავს მშვიდობის ხელყოფის ფაქტი. დაახლოებით 25 განსაკუთრებულ შემთხვევაში უშიშროების საბჭომ მიუთითა, რომ არსებობდა საფრთხე საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის.⁶²¹ მშვიდობისთვის საფრთხის შექმნაზე საუბარი იყო: 1992 წელს მიღებულ 733-ე რეზოლუციაში, რომელიც სომალიში არსებულ ვითარებას ეხებოდა⁶²²; იმავე წელს მიღებულ 757-ე რეზოლუციაში, რომელიც იუგოსლავიაში, განსაკუთრებით ბოსნია-ჰერცეგოვინაში, მიმდინარე ვითარებაზე ამახვილებდა ყურადღებას⁶²³; ასევე, 788-ე რეზოლუციაში ლიბერიის რესპუბლიკის თაობაზე⁶²⁴; ხორვატიაში ცეცხლის შეწყვეტის ვალდებულებების დარღვევასთან დაკავშირებულ 1993 წელს მიღებულ 807-ე რეზოლუციაში⁶²⁵; 841-ე რეზოლუციაში ჰაიტისთან მიმართებით⁶²⁶; რუანდის შესახებ 1994 წელს მიღებულ 918-ე რეზოლუციაში⁶²⁷; 1997 წელს მიღებულ 1101-ე⁶²⁸ და 1125-ე⁶²⁹ რეზოლუციებში, რომლებიც ალბანეთსა და სამხრეთ აფრიკის

⁶¹⁹ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.296.

⁶²⁰ Security Council Resolution 687, April 3, 1991, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/596/23/IMG/NR059623.pdf?OpenElement> (ნანახია: 10.08.2010).

⁶²¹ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, pp.300-301.

⁶²² Security Council Resolution 733, January 23, 1992, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/010/92/IMG/NR001092.pdf?OpenElement> (ნანახია: 10.08.2010).

⁶²³ Security Council Resolution 757, May 30, 1992, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/011/16/IMG/NR001116.pdf?OpenElement> (ნანახია: 10.08.2010).

⁶²⁴ Security Council Resolution 788, November 19, 1992, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N93/010/46/IMG/N9301046.pdf?OpenElement> (ნანახია: 10.08.2010).

⁶²⁵ Security Council Resolution 807, February 19, 1993, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N93/095/42/IMG/N9309542.pdf?OpenElement> (ნანახია: 10.08.2010).

⁶²⁶ Security Council Resolution 841, June 16, 1993, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N93/354/58/IMG/N9335458.pdf?OpenElement> (ნანახია: 10.08.2010).

⁶²⁷ Security Council Resolution 918, May 17, 1994, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N94/218/36/PDF/N9421836.pdf?OpenElement> (ნანახია: 10.08.2010).

⁶²⁸ Security Council Resolution 1101, March 28, 1997, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N97/084/37/PDF/N9708437.pdf?OpenElement> (ნანახია: 10.08.2010).

⁶²⁹ Security Council Resolution 1125, August 6, 1997, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N97/211/81/PDF/N9721181.pdf?OpenElement> (ნანახია: 10.08.2010).

რესპუბლიკას ეხებოდა; ამასთანავე, 1127-ე⁶³⁰ და 1132-ე⁶³¹ რეზოლუციებში ანგოლასა და სიერა-ლეონესთან მიმართებით; 1998 წელს მიღებულ 1199-ე რეზოლუციაში კოსოვოს შესახებ⁶³²; 1999 წელს მიღებულ 1264-ე რეზოლუციაში, რომელიც აღმოსავლეთ ტიმორს ეხებოდა⁶³³; თალიბებისგან მომდინარე საფრთხესთან დაკავშირებით მიღებულ 1267-ე რეზოლუციაში, რადგან ეს უკანასკნელი ავღანეთში უზრუნველყოფდნენ თავშესაფარს ტერორისტ ოსამა ბინ ლადენისთვის⁶³⁴; 2001 წელს მიღებულ 1343-ე რეზოლუციაში, რომელიც ეხებოდა ლიბერიელების მიერ მემბოხეთა მხარდაჭერას სიერა-ლეონეში⁶³⁵; 2001 წელს მიღებულ 1363-ე რეზოლუციაში, რომელიც პოსტთალიბურ ავღანეთს ეხებოდა⁶³⁶; 2004 წელს მიღებულ 1529-ე რეზოლუციაში ჰაიტიში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით⁶³⁷; 2004 წელს მიღებულ 1556-ე რეზოლუციაში დარფურის რეგიონის, კერძოდ სუდანის კრიზის შესახებ⁶³⁸.

სულ ცოტა, 19 შემთხვევაში (თუ არ ჩავთვლით ვრაცს) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, მიემართა შესაბამისი სანქციებისთვის.⁶³⁹ 1992 წელს მიღებული 713-ე რეზოლუციის საფუძველზე გაეროს უშიშროების საბჭომ იუგოსლავიას იარაღის ემბარგო დაუწესა⁶⁴⁰; 1992 წელს კი 733-ე რეზოლუციით მან მსგავსი სანქცია დააწესა სომალის მიმართ⁶⁴¹; იმავე წელს, 748-ე რეზოლუციის თანახმად, სხვადასხვა სანქცია დაუწესდა ლიბიას⁶⁴²; 757-ე რეზოლუცია უწესებდა ეკონომიკურ სანქციებს

⁶³⁰ Security Council Resolution 1127, August 28, 1997, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N97/226/93/PDF/N9722693.pdf?OpenElement> (ნანახია: 10.08.2010).

⁶³¹ Security Council Resolution 1132, October 8, 1997, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N97/267/13/PDF/N9726713.pdf?OpenElement> (ნანახია: 10.08.2010).

⁶³² Security Council Resolution 1199, September 23, 1998, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N98/279/96/PDF/N9827996.pdf?OpenElement> (ნანახია: 10.08.2010).

⁶³³ Security Council Resolution 1264, September 15, 1999, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N99/264/81/PDF/N9926481.pdf?OpenElement> (ნანახია: 15.08.2010).

⁶³⁴ Security Council Resolution 1267, October 15, 1999, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N99/300/44/PDF/N9930044.pdf?OpenElement> (ნანახია: 15.08.2010).

⁶³⁵ Security Council Resolution 1343, March 7, 2001, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N01/276/08/PDF/N0127608.pdf?OpenElement> (ნანახია: 15.08.2010).

⁶³⁶ Security Council Resolution 1363, July 30, 2001, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N01/473/97/PDF/N0147397.pdf?OpenElement> (ნანახია: 15.08.2010).

⁶³⁷ Security Council Resolution 1529, February 29, 2004, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N04/254/10/PDF/N0425410.pdf?OpenElement> (ნანახია: 15.08.2010).

⁶³⁸ Security Council Resolution 1556, July 30, 2004, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N04/446/02/PDF/N0444602.pdf?OpenElement> (ნანახია: 15.08.2010).

⁶³⁹ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press 2005, p.302.

⁶⁴⁰ Security Council Resolution 713, September 25, 1991, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/596/49/IMG/NR059649.pdf?OpenElement> (ნანახია: 15.08.2010).

⁶⁴¹ Security Council Resolution 733, January 23, 1992, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/010/92/IMG/NR001092.pdf?OpenElement> (ნანახია: 15.08.2010).

⁶⁴² Security Council Resolution 748, March 31, 1992, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/011/07/IMG/NR001107.pdf?OpenElement> (ნანახია: 15.08.2010).

სერბეთსა და მონტენეგროს⁶⁴³; ხოლო 781-ე რეზოლუცია აღგენდა შებლუდებს ბოსნია-ჰერცეგოვინის საჰაერო სივრცეში სამხედრო ფრენებზე⁶⁴⁴; 788-ე რეზოლუციით უშიშროების საბჭომ დააწესა იარაღის ემბარგო ლიბერიაზე⁶⁴⁵; 1993 წელს 841-ე რეზოლუციით კი სავაჭრო ემბარგო დაწესდა კაიტიზე⁶⁴⁶; 1994 წელს მიღებული 918-ე რეზოლუცია ითვალისწინებდა იარაღის ემბარგოს დაწესებას რუანდისთვის⁶⁴⁷; იმავე წელს მიღებული 942-ე რეზოლუცია უწესებდა ეკონომიკურ სანქციებს ბოსნიელ სერბებს⁶⁴⁸; 1997 წელს მიღებული 1132-ე რეზოლუცია ითვალისწინებდა იარაღის ემბარგოს დაწესებას სიერა ლეონეზე⁶⁴⁹; 1998 წელს მიღებული 1160-ე რეზოლუციით უშიშროების საბჭო იუგოსლავიას ხელახლა უწესებდა იარაღის ემბარგოს კოსოვოს კრიზისთან დაკავშირებით⁶⁵⁰; 1999 წელს მიღებული 1267-ე რეზოლუცია კი ითვალისწინებდა როგორც საჰაერო ემბარგოს დაწესებას ავღანეთზე, ისე თალიბების კონტროლის ქვეშ არსებული ფინანსური სახსრების გაყინვას.⁶⁵¹

ცხრა შემთხვევაში (თუ კვლავ არ ჩავთვლით ერაყს), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ წევრ ქვეყნებს ნება დართო, გამოეყენებინათ ყველა საჭირო საშუალება ან ღონისძიება მიზნის მისაღწევად.⁶⁵² მაგალითად: 1992 წელს მიღებული 794-ე რეზოლუციის საფუძველზე გაეროს წევრ სახელმწიფოებს შეეძლოთ, განეხორციელებინათ ყველა აუცილებელი ღონისძიება სომალში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად⁶⁵³; 1993 წელს მიღებული 816-ე რეზოლუცია კი ბოსნია-ჰერცეგოვინის საჰაერო სივრცეში ყველა საჭირო საშუალების გამოყენებას ითვალისწინებდა⁶⁵⁴; მსგავსი შინაარსის რეზოლუციები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ მიიღო 1994 წელს. ისინი ეხებოდა რუანდის

⁶⁴³ Security Council Resolution 757, May 30, 1992, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/011/16/IMG/NR001116.pdf?OpenElement> (ნანახია: 20.08.2010).

⁶⁴⁴ Security Council Resolution 781, October 9, 1992, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N92/491/64/IMG/N9249164.pdf?OpenElement> (ნანახია: 20.08.2010).

⁶⁴⁵ Security Council Resolution 788, November 19, 1992, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N93/010/46/IMG/N9301046.pdf?OpenElement> (ნანახია: 20.08.2010).

⁶⁴⁶ Security Council Resolution 841, June 16, 1993, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N93/354/58/IMG/N9335458.pdf?OpenElement> (ნანახია: 20.08.2010).

⁶⁴⁷ Security Council Resolution 918, May 17, 1994, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N94/218/36/PDF/N9421836.pdf?OpenElement> (ნანახია: 20.08.2010).

⁶⁴⁸ Security Council Resolution 942, September 23, 1994, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N94/372/72/PDF/N9437272.pdf?OpenElement> (ნანახია: 20.08.2010).

⁶⁴⁹ Security Council Resolution 1132, October 8, 1997, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N97/267/13/PDF/N9726713.pdf?OpenElement> (ნანახია: 10.08.2010).

⁶⁵⁰ Security Council Resolution 1160, March 31, 1998, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N98/090/23/PDF/N9809023.pdf?OpenElement> (ნანახია: 20.08.2010).

⁶⁵¹ Security Council Resolution 1267, October 15, 1999, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N99/300/44/PDF/N9930044.pdf?OpenElement> (ნანახია: 20.08.2010).

⁶⁵² Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press 2005, p.303.

⁶⁵³ Security Council Resolution 794, December 3, 1992, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N92/772/11/PDF/N9277211.pdf?OpenElement> (ნანახია: 25.08.2010).

⁶⁵⁴ Security Council Resolution 816, March 31, 1993, <http://www.un.org/Docs/scres/1993/scres93.htm> (ნანახია: 29.08.2010).

კრიზისის დროს მოქალაქეების დაცვას⁶⁵⁵ და ჰაიტიში კანონიერი მთავრობის აღდგენას⁶⁵⁶; 2001 წელს უშიშროების საბჭომ მიიღო 1386-ე რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებდა საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების შექმნას, რათა მათ უზრუნველყოთ ქაბულისა და მისი შემოგარენის უსაფრთხოება, და მასში მონაწილე წევრ ქვეყნებს ანიჭებდა უფლებას, გამოეყენებინათ ყველა აუცილებელი ღონისძიება მანდატის შესასრულებლად⁶⁵⁷; ხოლო 2003 წლის ოქტომბერში უშიშროების საბჭომ მიიღო 1510-ე რეზოლუცია, რომლის საფუძველზე საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების მოქმედების არეალი გაფართოვდა და იგი მოიცავდა როგორც ქაბულსა და მის შემოგარენს, ისე მის ფარგლებს გარეთ არსებულ ტერიტორიას.⁶⁵⁸

რაც შეეხება ერაყს, 2003 წლის 20 მარტს კოალიციის ძალებმა ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით დაიწყეს სამხედრო მოქმედებების განხორციელება ერაყის წინააღმდეგ.⁶⁵⁹ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის განცხადებით, იმ დროისთვის ერაყი იყო ტერორიზმთან ბრძოლის წინა ხაზი.⁶⁶⁰ 2003 წლის მაისში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ მიიღო 1483-ე რეზოლუცია, რომელშიც აღინიშნა, რომ ერაყში არსებული ვითარება საფრთხეს უქმნიდა საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას.⁶⁶¹ ამავე წლის ოქტომბერში საბჭომ კვლავ მიიღო ახალი 1511-ე რეზოლუცია ერაყთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზე მრავალეროვნული ძალები ერთიანი სარდლობის ქვეშ განახორციელებდნენ ყველა აუცილებელ ღონისძიებას ერაყში სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და თავიანთი საქმიანობის შესახებ შეატყობინებდნენ უშიშროების საბჭოს.⁶⁶² თუმცა აღნიშნული რეზოლუციის მიღებამდე საბჭოს წევრებს შორის მოლაპარაკებების პროცესი საკმაოდ რთულად წარიმართა. მაგალითად, პაკისტანი მიიჩნევდა, რომ მრავალეროვნული ძალები განსხვავებული უნდა ყოფილიყო კოალიციის ძალებისგან და ისინი უნდა გაეგზავნათ ერაყელი ხალხის მიწვევის საფუძველზე.⁶⁶³ 2004 წლის ივნისში უშიშროების საბჭომ მიიღო 1546-ე რეზოლუცია, რომელიც ადასტურებდა დროებითი მთავრობისთვის სრული პასუხისმგებლობისა და

⁶⁵⁵ Security Council Resolution 929, June 22, 1994, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N94/260/27/PDF/N9426027.pdf?OpenElement> (ნანახია: 30.08.2010).

⁶⁵⁶ Security Council Resolution 940, July 31, 1994, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N94/312/22/PDF/N9431222.pdf?OpenElement> (ნანახია: 30.08.2010).

⁶⁵⁷ Security Council Resolution 1386, December 20, 2001, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N01/708/55/PDF/N0170855.pdf?OpenElement> (ნანახია: 30.08.2010).

⁶⁵⁸ Security Council Resolution 1510, 13 October, 2003, http://www.un.org/Docs/sc/unsc_resolutions03.html (ნანახია: 1.09.2010).

⁶⁵⁹ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.300.

⁶⁶⁰ Gray Christine, International Law and the Use of Force, Second Edition, Oxford University Press, 2004, p. 263.

⁶⁶¹ Security Council Resolution 1483, May 22, 2003, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N03/368/53/PDF/N0336853.pdf?OpenElement> (ნანახია: 5.09.2010).

⁶⁶² Security Council Resolution 1511, October 16, 2003, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N03/563/91/PDF/N0356391.pdf?OpenElement> (ნანახია: 5.09.2010).

⁶⁶³ Christine Gray, International Law and the Use of Force, Second Edition, Oxford University Press, 2004, pp. 263-264.

ძალაუფლების გადაცემას, ხოლო მრავალეროვნული (კოალიციური) ძალები დარჩებოდნენ მანამ, სანამ ამას დროებითი მთავრობა მოითხოვდა.⁶⁶⁴

მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო მიუთითებდა გაეროს წესდების მე-7 თავზე, საბჭოს არ უცდია, აემოქმედებინა კოლექტიური უსაფრთხოების მთავარი 42-ე მუხლი. 1992 წელს გაეროს გენერალურმა მდივანმა ბუტროს ბუტროს გალიმ უშიშროების საბჭოს სპეციალურ შეხვედრაზე, სადაც მას უნდა წარედგინა რეკომენდაციები კოლექტიური უსაფრთხოების განმტკიცების შესახებ, განაცხადა, რომ 42-ე მუხლის არგამოყენება არის არსებითი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, როგორც საერთაშორისო უსაფრთხოების გარანტორის, სანდოობისთვის.⁶⁶⁵ ხოლო წინაპირობად სპეციალური შეთანხმებების დადება, რომელსაც მოითხოვს გაეროს წესდების 43-ე მუხლი, გენერალური მდივნის მოსაზრებით, ქმნიდა ორგანიზაციის წევრებთან მოლაპარაკებების დაწყების საფუძველს.⁶⁶⁶ მაგრამ პრაქტიკაში მსგავსი შეთანხმებები (რომელთა თანახმად, გაეროს ყველა წევრი ვალდებულია, უშიშროების საბჭოს განკარგულებაში გადასცეს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დასაცავად აუცილებელი შეიარაღებული ძალები, დახმარება და მომსახურების სათანადო საშუალებები) არ დადებულა.

თუმცა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო სარეკომენდაციო დასკვნაში გაეროს ცალკეული ხარჯების შესახებ უთითებს: არ შეიძლება ითქვას, რომ წესდებამ უშიშროების საბჭო უუნარო გახადა საგანგებო სიტუაციების დროს, როდესაც 43-ე მუხლით გათვალისწინებული შეთანხმებები არ არის დადებული.⁶⁶⁷

გაეროს ძალების უმეტესობა ჩამოყალიბდა (ძირითადად, უშიშროების საბჭოს მიერ, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში – გენერალური ასამბლეის მიერ) „სამშვიდობო“ მიზნებისათვის.⁶⁶⁸ გაეროს სამშვიდობო ძალების მთავარი მახასიათებელია ის, რომ ისინი იქმნება სპეციალურად განსაზღვრული მიზნებიდან გამომდინარე საგანგებო სიტუაციების დროს და წევრ ქვეყნებს სურვილისამებრ შეაქვთ თავიანთი წვლილი სამხედრო კონტინგენტის ჩამოყალიბებაში.⁶⁶⁹

4. კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის მარცხი და უშიშროების საბჭოს რეფორმირება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების საფუძველზე შექმნილმა კოლექტიური უსაფრთხოების სისტემამ მარცხი განიცადა.⁶⁷⁰ თომას ფრანკი თვლის, რომ გაეროს წესდების მთავარი დანაპირები,

⁶⁶⁴ Security Council Resolution 1546, June 8, 2004, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N04/381/16/PDF/N0438116.pdf?OpenElement> (ნანახია: 5.09.2010).

⁶⁶⁵ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.304.

⁶⁶⁶ იქვე.

⁶⁶⁷ იქვე, გვ. 306-307.

⁶⁶⁸ იქვე.

⁶⁶⁹ იქვე.

⁶⁷⁰ Delahunty Robert, Symposium on Reexamining the law of War: Paper Charter: Self-Defense and the Failure of the United Nations Collective Security System, Catholic University Law Review, Volume 56, 2006-2007, p.926.

უზრუნველყო ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც სახელმწიფოებს დაიცავდა მშვიდობის ხელმყოფთაგან, ვერ შესრულდა.⁶⁷¹ მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული სისტემა ჯერ კიდევ რჩება ერთადერთ ქმედით სისტემად, რადგან არ არსებობს გაეროს უშიშროების საბჭოს ან გენერალური ასამბლეის სხვა ალტერნატივა.⁶⁷²

ლუის ჰენკინი თვლიდა, რომ, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრაქტიკამ აჩვენა, გაეროს უშიშროების საბჭომ ვერ შეძლო წესდების პრინციპების ეფექტურად განხორციელება;⁶⁷³ ხოლო მაიკლ გლენონის მოსაზრებით, წესდება „გარდაიცვალა“.⁶⁷⁴

მაიკლ გლენონი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ 1945 წლიდან 1999 წლამდე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრების ორი მესამედი, კერძოდ 189 ქვეყნიდან 126 სახელმწიფო, მონაწილეობდა 291 სახელმწიფოთაშორის კონფლიქტში, რომელთა შედეგად 22 მილიონზე მეტი ადამიანი დაიღუპა.⁶⁷⁵

გაეროს წესდების საფუძველზე შექმნილი კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა აღმოჩნდა არაეფექტური არა მარტო ომის თავიდან აცილების, არამედ მისი პროცენტული მაჩვენებლის შემცირების თვალსაზრისითაც. 1816 წლიდან 1945 წლამდე 56 სახელმწიფოთაშორისი ომი მოხდა, რომლის პროცენტული მაჩვენებელი თითოეულ წელზე იყო 0,43%, ხოლო 1945 წლიდან 1997 წლამდე – 0,44%; სხვადასხვა კვლევის შედეგად, 1715 წლიდან 1814 წლამდე 36 სახელმწიფოთაშორისი ომი მოხდა, 1815-1914 წლებში – 29 ომი, 1918-1941 წლებში – 25 ომი, ხოლო 1945 წლიდან 1995 წლამდე – 38 ომი. აღნიშნული მონაცემების მიხედვით, სახელმწიფოთაშორისი ომების პროცენტული მაჩვენებელი რჩებოდა თითქმის იგივე, ან იზრდებოდა ერთა ლიგის არსებობის პირობებში და გაეროს წესდების ამოქმედების შემდგომ.⁶⁷⁶ თუმცა მხოლოდ სტატისტიკური მონაცემები არ არის საკმარისი იმისთვის, რომ კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის არაქმედითობა ნათელი იყოს.⁶⁷⁷

კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის უუნარობა, შეეჩერებინა მშვიდობის ხელმოყვანი, გამოვლინდა სხვადასხვა შემთხვევაში. მათ შორის: 1961 წელს ინდოეთის მიერ გოაში შეჭრის დროს და 1971 წელს ინდოეთის მიერ დასავლეთ და აღმოსავლეთ პაკისტანს შორის მიმდინარე სამოქალაქო ომში ჩარევისას, რის შედეგად შეიქმნა ბანგლადეშის სახელმწიფო.⁶⁷⁸

1961 წელს ინდოეთმა გადაწყვიტა, შეჭრილიყო გოაში, რომელიც 450 წლის განმავლობაში პორტუგალიის შემადგენლობაში იმყოფებოდა.

⁶⁷¹ Thomas M. Franck, When, If Ever, May States Deploy Military Force Without Prior Security Council Authorization?, Washington University Journal of Law and Policy, Volume 5, 2001, pp. 51-52.

⁶⁷² იქვე, გვ. 68.

⁶⁷³ Delahunty Robert, Symposium on Reexamining the law of War: Paper Charter: Self-Defense and the Failure of the United Nations Collective Security System, Catholic University Law Review, Volume 56, 2006-2007, p.882.

⁶⁷⁴ იქვე, გვ. 883.

⁶⁷⁵ Glennon Michael, The Fog of Law: Self-Defense, Inherence, and Incoherence in Article 51 of the United Nations Charter, Harvard Journal of Law and Public Policy, Volume 25, 2002, p. 540.

⁶⁷⁶ Delahunty Robert, Symposium on Reexamining the law of War: Paper Charter: Self-Defense and the Failure of the United Nations Collective Security System, Catholic University Law Review, Volume 56, 2006-2007, p. 928.

⁶⁷⁷ იქვე.

⁶⁷⁸ იქვე, გვ.933.

პორტუგალიამ უშიშროების საბჭოს მიმართა. გენერალურმა მდივანმა მისწერა ინდოეთის პრემიერ-მინისტრს და მოითხოვა ძალის გამოყენების არდაშვება.⁶⁷⁹ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა სტივენსონმა უშიშროების საბჭოში მიმდინარე დებატებისას დაგმო ინდოეთის მოქმედება და მიუთითა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შექმნილი სისტემის გადასარჩენად აუცილებელი იყო, მსგავსი შემთხვევა არ დარჩენილიყო შესაბამისი რეაგირების გარეშე, რათა არ მიეღოთ ერთა ლიგის მსგავსი შედეგი. ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მომზადებულ რეზოლუციას, რომელიც ითვალისწინებდა საომარი მოქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტასა და ინდოეთის შეიარაღებული ძალების გაყვანას, საბჭოთა კავშირმა ვეტო დაადო. უშიშროების საბჭომ ვერ განახორციელა სათანადო ღონისძიებები.⁶⁸⁰

უშიშროების საბჭოს უუნარობა კვლავ გამოვლინდა ათი წლის შემდეგაც, კერძოდ, 1971 წელს, როდესაც ინდოეთი ჩაერია დასავლეთ და აღმოსავლეთ პაკისტანს შორის მიმდინარე სამოქალაქო ომში, რათა დაესუსტებინა იგი. მიუხედავად რამდენიმე მცდელობისა, უშიშროების საბჭომ ვერ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება. ხოლო გენერალური ასამბლეის რეზოლუცია, რომელიც ინდოეთსა და პაკისტანს მოუწოდებდა, დაბრუნებოდნენ წინანდელ საზღვრებს, მხარეებმა არ გაითვალისწინეს.⁶⁸¹

რიჩარდ ფოლკი თვლის, რომ წევრმა ქვეყნებმა სერიოზულად უნდა გააცნობიერონ საკუთარი ვალდებულებები და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ რეზოლუციას „ერთობა მშვიდობისათვის“, რომელიც გარკვეულ პასუხისმგებლობას ანიჭებს გენერალურ ასამბლეას, როდესაც უშიშროების საბჭო აღმოჩნდება უუნარო, განახორციელოს შესაბამისი მოქმედება.⁶⁸² თუმცა ფოლკი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეასრულონ წევრმა სახელმწიფოებმა გაეროს წესდებით გათვალისწინებული ვალდებულებები და რას გულისხმობს ამ ვალდებულებათა სერიოზულად განხორციელება, რატომ არის 1950 წელს მიღებული რეზოლუცია „ერთობა მშვიდობისთვის“ ათეული წლების შემდგომ ეფექტური, ან რის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ გენერალური ასამბლეა იქნება საერთაშორისო მშვიდობის უკეთესი დამცველი, ვიდრე უშიშროების საბჭოა.⁶⁸³

რაც შეეხება უშიშროების საბჭოს რეფორმირებას, იგი მოიცავს შემდეგ მთავარ საკითხებს: უნდა გაიზარდოს თუ არა უშიშროების საბჭოში როგორც არამუდმივი, ისე მუდმივი წევრების რაოდენობა; რამდენად შესაძლებელია ვეტოს უფლების გაუქმება, შეზღუდვა თუ სხვაგვარად მოდიფიცირება; არამუდმივ წევრებს უნდა მიეცეთ თუ არა

⁶⁷⁹ Thomas M. Franck, *Nation Against Nation*, Oxford University Press, 1985, p. 54.

⁶⁸⁰ Delahunty Robert, *Symposium on Reexamining the law of War: Paper Charter: Self-Defense and the Failure of the United Nations Collective Security System*, *Catholic University Law Review*, Volume 56, 2006-2007, pp.933-934.

⁶⁸¹ იქვე.

⁶⁸² Falk Richard, *Assessing the United Nations After the Lebanon War of 2006*, *Nuclear Age Peace Found*, August 16, 2006, http://www.wagingpeace.org/articles/2006/08/16_falk_after-lebanon.htm (ნანახია: 24.04.2009).

⁶⁸³ Delahunty Robert, *Symposium on Reexamining the law of War: Paper Charter: Self-Defense and the Failure of the United Nations Collective Security System*, *Catholic University Law Review*, Volume 56, 2006-2007, p. 944.

შესაძლებლობა, მიიღონ უფრო ინტენსიური მონაწილეობა უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებების მიღებისას; უნდა იყოს თუ არა უშიშროების საბჭოში საკითხის განხილვის პროცესი უფრო გამჭვირვალე. ვეტოს უფლების გამოყენებით მუდმივი წევრი აკონტროლებს ყველა საკითხს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მასში ჩართული. მეტწილად უშიშროების საბჭოს მთავარი გასაკრიტიკებელი მხარეა მუდმივი წევრების მიერ ვეტოს უფლების გამოყენების საკითხი: რუსეთმა ვეტოს უფლება 120-ჯერ გამოიყენა, გაერთიანებულმა სამეფომ – 32-ჯერ, საფრანგეთმა – 18-ჯერ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა – 72-ჯერ, ხოლო ჩინეთმა მხოლოდ – 5-ჯერ. ყველაზე იდეალური გამოსავალი ვეტოს გაუქმებაა.⁶⁸⁴

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი და საერთაშორისო თანამეგობრობა თანხმდება, რომ საჭიროა უშიშროების საბჭოს რეფორმირება, რათა ის პასუხობდეს თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებებსა და წარმოადგენდეს ყველა წევრ სახელმწიფოს თანასწორობისა და სამართლიანობის საფუძველზე.⁶⁸⁵

თანასწორობისა და წარმომადგენლობის პრინციპის საწინააღმდეგოდ უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები უპირატესობით სარგებლობენ.

უშიშროების საბჭოს ეფექტურად მუშაობის ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია საბჭოს წევრთა პირადი ინტერესები. უშიშროების საბჭოს წევრები, ძირითადად, მოქმედებენ ან არ მოქმედებენ საკუთარი ინტერესების მიხედვით.⁶⁸⁶

უშიშროების საბჭოს წევრები მუდმივად ცდილობენ, განახორციელონ თავიანთი მიზნები, რისთვისაც ისინი იყენებენ პოლიტიკურ და ეკონომიკურ საშუალებებს, რათა გავლენა მოახდინონ საბჭოში გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე.⁶⁸⁷

ამასთანავე, მუდმივ წევრებს არ უნდებოთ სურვილი, თავი შეიკავონ კენჭისყრაში მონაწილეობისაგან, როდესაც ისინი თავად წარმოადგენენ დავის მხარეს. თუმცა, გაეროს წესდების თანახმად, ეს არ ვრცელდება მე-6 თავისა (რომელიც ეხება დავის მშვიდობიან გადაწყვეტას) და 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ამ შემთხვევაში ქვეყანას, რომელიც დავის მხარეა, არ აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში.⁶⁸⁸ რაც შეეხება 52-ე მუხლის მე-3 პუნქტს, იგი ეხება უშიშროების საბჭოს მიერ დაინტერესებულ სახელმწიფოთა ან საკუთარი ინიციატივით ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც რეგიონალური შეთანხმების ან რეგიონალური ორგანოების დახმარებით ხელს შეუწყობს ადგილობრივი დავის მშვიდობიან გადაწყვეტას.⁶⁸⁹

გარდა ამისა, უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებები არ გადაისინჯება გაეროს ნებისმიერი სხვა ორგანოს მიერ.⁶⁹⁰

⁶⁸⁴ Fitzgerald Amber, Security Council Reform: Creating A More Representative Body of the Entire U.N. Membership, Pace International Law Review, Volume 12, 2000, p.333.

⁶⁸⁵ იქვე, გვ.322.

⁶⁸⁶ იქვე.

⁶⁸⁷ იქვე, გვ.331.

⁶⁸⁸ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, თბ., გამომცემელი: “ბონა კაუზა”, 2008, გვ.15.

⁶⁸⁹ იქვე, გვ.22.

⁶⁹⁰ Bedjaoui Mohammed, The New World Order And The Security Council: Testing The Legality of Its Acts, Boston, 1994, p. 35.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს შეუძლია, მიიღოს სარეკომენდაციო დასკვნები, ხოლო გენერალურ ასამბლეას, იმავდროულად, შეუძლია, გამოხატოს თავისი პოზიცია. მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის მავალდებულებელი ან საწინააღმდეგო ძალის მქონე.⁶⁹¹

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, უშიშროების საბჭოს ეფექტურად მუშაობის ყველაზე შემაფერებელი ფაქტორია მუდმივი წევრების მიერ ვეტოს უფლების გამოყენების შესაძლებლობა. „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ შემცირდა ვეტოს გამოყენება. 1946 წლიდან 1990 წლამდე უშიშროების საბჭოს მუდმივმა წევრებმა 194-ჯერ მიმართეს ვეტოს, ხოლო ბოლო ათწლეულის განმავლობაში მხოლოდ ცხრაჯერ გამოიყენეს.⁶⁹² მიუხედავად მისი რაოდენობის შემცირებისა, გაეროს წევრების უმეტესობა ეწინააღმდეგება ვეტოს უფლების გამოყენებას.⁶⁹³

თუ რომელიმე მუდმივი წევრი ვეტოს დაადებს განსახილველ წინადადებას, უშიშროების საბჭო, პრაქტიკულად, უმოქმედო ხდება.

ამასთანავე, როგორც უკვე აღინიშნა, თუ უშიშროების საბჭო განიხილავს რაიმე პრობლემას, გარდა არასავალდებულო რეზოლუციებთან დაკავშირებული საკითხებისა, გენერალურ ასამბლეას არ შეუძლია, ჩაერიოს. ამდენად, თუ გენერალური ასამბლეა შეეცდება, განიხილოს მუდმივი წევრის მიერ გამოწვეული პრობლემა, ეს უკანასკნელი მარტივად ჩასვამს ამ საკითხს უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში და გენერალური ასამბლეა არ იქნება უფლებამოსილი, მიიღოს რაიმე ქმედითი ზომა. მუდმივ წევრებს შეუძლიათ მოკავშირე წევრი ქვეყნებისთვისაც იგივე ტაქტიკა გამოიყენონ.⁶⁹⁴

გაეროს წევრი ქვეყნები არ მონაწილეობენ უშიშროების საბჭოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.⁶⁹⁵

გაეროს წესდებისა და უშიშროების საბჭოს დროებითი საპროცედურო წესების თანახმად, უზრუნველყოფილია გაეროს წევრი ქვეყნების მონაწილეობა უშიშროების საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როდესაც ამას გავლენა აქვს მათზე ან ისინი დაინტერესებულნი არიან უშიშროების საბჭოს მიერ შესაბამისი ზომის მიღებით. უფრო კონკრეტულად, წესდების სამი მუხლი ეხება უშიშროების საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში გაეროს წევრების მონაწილეობის საკითხს.⁶⁹⁶

წესდების 31-ე მუხლის თანახმად, ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს, რომელიც არ არის უშიშროების საბჭოს წევრი, შეუძლია, ხმის უფლების გარეშე, მონაწილეობა მიიღოს უშიშროების საბჭოში შეტანილი ნებისმიერი საკითხის განხილვაში ყველა იმ შემთხვევისას, როცა უშიშროების საბჭო მიიხნევს, რომ ორგანიზაციის ამ წევრის უფლებებს სპეციალურად შეეხნენ.⁶⁹⁷ წესდების 32-ე მუხლის მიხედვით

⁶⁹¹ Fitzgerald Amber, Security Council Reform: Creating A More Representative Body of the Entire U.N. Membership, Pace International Law Review, Volume 12, 2000, p.360.

⁶⁹² Fitzgerald Amber, Security Council Reform: Creating A More Representative Body of the Entire U.N. Membership, Pace International Law Review, Volume 12, 2000, p.333.

⁶⁹³ იქვე.

⁶⁹⁴ იქვე, გვ.334.

⁶⁹⁵ იქვე, გვ.335.

⁶⁹⁶ იქვე.

⁶⁹⁷ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, თბ., გამომცემელი: “ბონა კაუზა”, 2008, გვ.16.

კი, ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს, თუ იგი არ არის უშიშროების საბჭოს წევრი, ან ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც არ არის ორგანიზაციის წევრი, თუ ისინი უშიშროების საბჭოს მიერ განსახილველი დავის მონაწილე მხარეები არიან, ამ დავის განხილვაზე იწვევენ ხმის უფლების გარეშე.⁶⁹⁸

წესდების 50-ე მუხლის თანახმად კი, თუ უშიშროების საბჭო რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ პრევენციულ ან იძულების ღონისძიებებს ახორციელებს, ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი ორგანიზაციის წევრი, რომლის წინაშეც განსაკუთრებული ეკონომიკური პრობლემები წამოიჭრება ზემოხსენებულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად, უფლება აქვს, კონსულტაციები მოაწიფოს უშიშროების საბჭოსთან ასეთი პრობლემის გადასაჭრელად.⁶⁹⁹

უშიშროების საბჭოს დროებითი საპროცედურო წესების თანახმად, გაეროს ნებისმიერმა წევრმა, რომელიც არ არის უშიშროების საბჭოს წევრი, შესაძლებელია, უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების შედეგად, მონაწილეობა მიიღოს ხმის უფლების გარეშე საბჭოს მიერ ნებისმიერი საკითხის განხილვაში იმ შემთხვევისას, როდესაც იგი საბჭოს წესდების 35-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე აცნობს წესდების 34-ე მუხლში გათვალისწინებული ნებისმიერი დავისა თუ სიტუაციის შესახებ.⁷⁰⁰ წესდების 34-ე მუხლის თანახმად კი, უშიშროების საბჭო უფლებამოსილია, გამოიძიოს ნებისმიერი დავა ან ნებისმიერი სიტუაცია, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს საერთაშორისო უთანხმოება ან დავა, იმის განსასაზღვრავად, ამ დავის ან სიტუაციის გაგრძელება ხომ არ დაემუქრება საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვას.⁷⁰¹

მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში რეზოლუციები ხშირად მიიღება უშიშროების საბჭოს არაწევრი ქვეყნების მონაწილეობისა და მათი მოსახრების მოსმენის გარეშე.⁷⁰²

თუმცა, როდესაც უშიშროების საბჭო ისმენს გაეროს წევრი ქვეყნების არგუმენტებს, მას შეუძლია, არ დაეყრდნოს მათ და არ გაითვალისწინოს ისინი რეზოლუციის მიღებისას. ფაქტობრივად კი, შესაძლებელია, საკითხი გადაწყდეს არაფორმალური კონსულტაციების დროს.⁷⁰³

გაეროს წევრი ქვეყნების არმონაწილეობა უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებში წარმოშობს უშიშროების საბჭოს შეხვედრების გამჭვირვალობის პრობლემას. უშიშროების საბჭოს დროებითი საპროცედურო წესების თანახმად, სანამ საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას, იგი საჯაროდ უნდა შეიკრიბოს.⁷⁰⁴

⁶⁹⁸ იქვე.

⁶⁹⁹ იქვე, გვ.21

⁷⁰⁰ იქვე, გვ.16-17.

⁷⁰¹ იქვე.

⁷⁰² Aust Anthony, *The Procedure and Practice of the Security Council Today, in Peace Keeping And Peace-Building: The Development of The Role Of The Security Council*, Editor: Rene-Jean Dupuy, Boston, 1993, p. 366.

⁷⁰³ იქვე, გვ. 336.

⁷⁰⁴ იქვე.

სამწუხაროდ, დღეს უშიშროების საბჭოში ნორმად იქცა არაფორმალური კონსულტაციების გამართვა,⁷⁰⁵ რომელშიც, როგორც წესი, გაეროს დაინტერესებული წევრი ქვეყნები არ მონაწილეობენ და კონსულტაციები იმართება მხოლოდ უშიშროების საბჭოს წევრებს შორის.⁷⁰⁶ მაგალითად, ბოსნია-ჰერცეგოვინასა და ლიბიაში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებული საკითხები უშიშროების საბჭომ თითქმის მთლიანად არაფორმალურ სხდომებზე გადაწყვიტა;⁷⁰⁷ აგრეთვე, საბჭომ რეზოლუცია სომალის საკითხზე მიიღო ყოველგვარი საჯარო დებატების გარეშე.⁷⁰⁸

უშიშროების საბჭოს დახურული კონსულტაციები იმართება საბჭოს მხოლოდ გარკვეულ წევრებს შორისაც, მაგალითად, ხუთი მუდმივი წევრის შესხვედრა.⁷⁰⁹

უშიშროების საბჭოს რეფორმა იქნებოდა წარმატებული, თუ სრულად ასახავდა წევრი ქვეყნების თანაბარუფლებიანობის პრინციპს. განვითარებადი სახელმწიფოები სათანადოდ უნდა იყვნენ წარმოდგენილნი. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ უშიშროების საბჭოს უფლებამოსილების ფარგლებში განხილული საკითხები მეტწილად სწორედ მათ ეხებოდა, რასაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიოს განვითარებისათვის.⁷¹⁰

უშიშროების საბჭოს რეფორმამ შეიძლება გამოიწვიოს გაეროს სიღრმისეული გარდაქმნა და იგი გახადოს რეალურად ეფექტური ორგანიზაცია საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში.⁷¹¹

ბუტროს ბუტროს გალიმ (გაეროს გენერალური მდივანი 1992 წლის პირველი იანვრიდან 1996 წლის 31 დეკემბრამდე) განაცხადა: „წევრი ქვეყნები თანხმდებიან, რომ საბჭოს ამჟამინდელ წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა არ ასახავს პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებებით გამოწვეულ რეალობას და მთლიანად არაწარმომადგენლობითია.“⁷¹²

უშიშროების საბჭოს რეფორმირების რამდენიმე მოდელი გულისხმობს მუდმივი წევრების შემადგენლობისა და არამუდმივი წევრების სტრუქტურის შეცვლას.⁷¹³

⁷⁰⁵ Aust Anthony, *The Procedure and Practice of the Security Council Today*, in *Peace Keeping And Peace-Building: The Development of The Role Of The Security Council*, Editor: Rene-Jean Dupuy, Boston, 1993, p. 366.

⁷⁰⁶ იქვე, გვ.237.

⁷⁰⁷ Kirgis Frederic, *The Security Council's First Fifty Years*, *American Journal of International Law*, Volume 89, 1995, p. 519.

⁷⁰⁸ Ruth Gordan, *United Nations Intervention in Internal Conflicts: Iraq, Somalia, and Beyond*, *Michigan Journal of International Law*, Volume 15, 1994, p.554.

⁷⁰⁹ Kirgis Frederic, *The Security Council's First Fifty Years*, *American Journal of International Law*, Volume 89, 1995, p. 519.

⁷¹⁰ Fitzgerald Amber, *Security Council Reform: Creating A More Representative Body of the Entire U.N. Membership*, *Pace International Law Review*, Volume 12, 2000, p.364.

⁷¹¹ Hammer Craig, *Reforming the U.N. Security Council: Open Letter to U.N. Secretary General Kofi Annan*, *Florida Journal of International Law*, Volume 15, 2002-2003, p.262.

⁷¹² Press Release, United Nations, Secretary-General Speaks of Security Council Reform in Lecture at Foreign Ministry of Mexico, March 4, 1996, <http://www.un.org/News/Press/docs/1996/19960304.sgsm5906.html> (ნახვისა: 7.05. 2009).

⁷¹³ Kelly Michael, *U.N. Security Council Permanent Membership: A New Proposal for a Twenty-First Century Council*, *Seton Hall Law Review*, Volume 31, 2000-2001, p. 328.

უშიშროების საბჭოს რეფორმირება, ძირითადად, მოიცავს ხუთ მთავარ საკითხს: წევრთა შემადგენლობა, ვეტოს უფლება, რეგიონალური წარმომადგენლობა, საბჭოს გაფართოება და მისი საქმიანობის წესი. წევრმა ქვეყნებმა, რეგიონალურმა ჯგუფებმა შეიმუშავეს სხვადასხვა წინადადება აღნიშნული საკითხების შესახებ.⁷¹⁴

2005 წლის 26 ივლისს გაეროს ხუთმა წევრმა ქვეყანამ: არგენტინამ, იტალიამ, კანადამ, კოლუმბიამ და პაკისტანმა გენერალური ასამბლეის წინაშე წარადგინეს წინადადება საბჭოს რეფორმირებასთან დაკავშირებით.⁷¹⁵

შეთავაზებული მოდელის თანახმად, უშიშროების საბჭო უნდა შედგებოდეს 25 წევრისგან; საფრანგეთი, ჩინეთი, რუსეთი, გაერთიანებული სამეფო და ამერიკის შეერთებული შტატები შეინარჩუნებენ მუდმივი წევრების სტატუსს. გენერალური ასამბლეა აირჩევს უშიშროების საბჭოს 20 არამუდმივ წევრს, თანაბარი გეოგრაფიული გადანაწილების საფუძველზე. მათ 2 წლის ვადით აირჩევენ შემდეგი სქემის საფუძველზე: 6 – აფრიკის სახელმწიფოებიდან, 5 – აზიის ქვეყნებიდან, 4 – ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის სახელმწიფოებიდან, 3 – დასავლეთ ევროპისა და სხვა ქვეყნებიდან, 2 – აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებიდან.⁷¹⁶

2005 წლის მარტში იმჟამინდელმა გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა მოუწოდა გაეროს წევრებს, მიეღწიათ კონსენსუსისთვის უშიშროების საბჭოს გაფართოებასთან დაკავშირებით.⁷¹⁷ მან წარმოადგინა გეგმა „ა“ და გეგმა „ბ“. პირველი გეგმის თანახმად, იზრდება საბჭოს მუდმივი წევრების რაოდენობა და 5 მუდმივ წევრს ემატება 6 წევრი, ხოლო 10 არამუდმივ წევრს ემატება 3 წევრი, მთლიანობაში კი საბჭოს წევრთა რაოდენობა აღწევს 24-ს; გეგმა „ბ“ კი გულისხმობს ახალი 8 წევრის შეყვანას უშიშროების საბჭოს შემადგენლობაში 4 წლის ვადით, ასევე, არამუდმივ წევრებს ემატება ერთი წევრი. გეგმა „ბ“-ს მიხედვით, გეგმა „ა“-ს მსგავსად, საბოლოოდ, უშიშროების საბჭოში 24 წევრია.⁷¹⁸

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ უშიშროების საბჭოში წევრთა რაოდენობის გაფართოება არ შეიძლება გახდეს საბჭოს წარმატებული რეფორმირების საფუძველი. ეს პროცესი მოითხოვს შემდეგი მნიშვნელოვანი ასპექტების გათვალისწინებას: ვეტოს უფლებისგან თავის შეკავებას ან საუკეთესო შემთხვევაში, მის გაუქმებას; უშიშროების საბჭოს მიერ ისეთი საპროცედურო წესების შემუშავებას, რომლებიც უფრო გამჭვირვალეს გახდის მის საქმიანობას; უშიშროების საბჭოს არაწევრი ქვეყნებისთვის რეალური

⁷¹⁴Letter from the Chairman, Zahir Tanin, of the intergovernmental negotiations on the question of equitable representation and increase in the membership of the Security Council and other matters related to the Council, <http://www.reformtheun.org/index.php?module=uploads&func=download&fileId=4097>, (ნანახია: 7.05. 2009).

⁷¹⁵“Uniting for Consensus”, Press Release, July 26, 2005, General Assembly, <http://www.un.org/News/Press/docs/2005/ga10371.doc.htm> (ნანახია: 7.05. 2009).

⁷¹⁶იქვე.

⁷¹⁷Statement of the Secretary General to the General Assembly, March 21, 2005, <http://www.un.org/largerfreedom/sg-statement.html> (ნანახია: 7.05. 2009).

⁷¹⁸United Nations, Security Council Reform: Plan A or Plan B, 2005, <http://stephenspillane.blogspot.com/2005/03/united-nations-security-council-reform.html> (ნანახია: 7.05. 2009).

შესაძლებლობის მიცემას, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

5. რეგიონალური ორგანიზაციების როლი კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში

1990 წელს უშიშროების საბჭომ პრაგმატული გზა აღმოაჩინა. 43-ე მუხლიდან გამომდინარე, სპეციალური შეთანხმების არარსებობისას საბჭო ჯერ კიდევ თავს იკავებდა, წევრი ქვეყნისთვის დაევალებინა, სამხედრო ღონისძიებისთვის მიემართა. ნაცვლად ამისა, წევრმა ქვეყანამ შეიძლება უშიშროების საბჭოს სანქციის საფუძველზე იმოქმედოს ან ინდივიდუალურად, ან რეგიონალური ორგანიზაციების ფარგლებში, და გამოიყენოს ძალა, განსაზღვრულ სიტუაციაში ნებაყოფლობითობის საფუძველზე.⁷¹⁹ რამდენიმე მკვლევარი ერთგული რჩება იმ მოსაზრებისა, რომ, უბრალოდ, რეკომენდაცია არ არის საკმარისი 42-ე მუხლის ამოქმედებისთვის – წევრი ქვეყნისთვის რწმუნებულების მინიჭება სამხედრო მოქმედების განხორციელებისათვის კი შედის ამ მუხლის სფეროს ფარგლებში.⁷²⁰ ეს მოსაზრება საფუძველს მოკლებულია. საბოლოო ანალიზიდან გამომდინარე, არ არსებობს განსხვავება სანქცირებულ სამხედრო მოქმედებასა და რეკომენდაციას შორის. სანქცირება ისევე ნიშნავს ნების დართვას, როგორც რეკომენდაცია.⁷²¹ ორივე მათგანს აქვს არასავალდებულო ხასიათი და, ამდენად, არც ერთი არ მოიაზრება 42-ე მუხლის სათაურის ქვეშ. ამ მუხლის მიხედვით, იძულებითი ღონისძიებები უნდა ეფუძნებოდეს უშიშროების საბჭოს სავალდებულო გადაწყვეტილებას. ნებადართული იძულებითი მოქმედება, გაცხადებული უშიშროების საბჭოს რეკომენდაციის ან სანქცირების საფუძველზე, კანონიერია არა 42-ე მუხლიდან გამომდინარე, არამედ 39-ე მუხლის საფუძველზე.⁷²²

უშიშროების საბჭოს მიერ ძალის გამოყენების სანქცირების პოლიტიკის ყველაზე საინტერესო და დამაინტრიგებელი ასპექტი არის ის, რომ ნებაყოფლობითი იძულებითი ზომის განხორციელება რეგიონალური ორგანიზაციების მიერ ძალის გამოყენების ხელშეკრულების ელემენტია.⁷²³

სწორედ წესდების მე-8 თავი ეხება ზემოაღნიშნულ საკითხს და უშვებს რეგიონალური შეთანხმებებისა და სააგენტოების არსებობას, რათა მათი მეშვეობით განისაზღვროს საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები და შესაბამისი რეგიონალური ღონისძიებები. ასეთი შეთანხმებები და სააგენტოები უნდა შეესაბამებოდეს გაეროს მიზნებსა და პრინციპებს.⁷²⁴

⁷¹⁹ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.310.

⁷²⁰ იქვე.

⁷²¹ Rostow Eugene, Until What? Enforcement Action or Collective Self-Defense?, American Journal of International Law, Volume 85, 1991, pp. 506- 509.

⁷²² Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.310.

⁷²³ იქვე.

⁷²⁴ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, თბ., გამომცემელი: “ბონა კაუზა”, 2008, გვ. 22-23.

წესდების 53-ე მუხლის თანახმად, უშიშროების საბჭო გამოიყენებს, სადაც ეს მართებული იქნება, რეგიონალურ შეთანხმებებს ან ორგანოებს იძულებით ღონისძიებათა განსახორციელებლად თავისი ხელმძღვანელობით. მაგრამ არავითარი იძულებითი ღონისძიება არ განხორციელდება ამ რეგიონალურ შეთანხმებათა ძალით ან რეგიონალური ორგანოების მიერ, თუ ამის უფლებამოსილება არ გასცა უშიშროების საბჭომ.⁷²⁵

1964 წელს უშიშროების საბჭომ 199-ე რეზოლუციაში აღნიშნა, რომ აფრიკის კავშირის ორგანიზაცია, წესდების 52-ე მუხლიდან გამომდინარე, უნდა დახმარებოდა კონგოს პრობლემის მშვიდობიან მოწესრიგებაში.⁷²⁶ უშიშროების საბჭომ მსგავსი რეზოლუცია (№217) მიიღო 1965 წელს სამხრეთ როდეზიასთან დაკავშირებით და იმავე ორგანიზაციას მოუწოდა, ემოქმედა წესდების მე-8 თავიდან გამომდინარე.⁷²⁷

კონტექსტუალური ინტერპრეტაციიდან გამომდინარე, 53-ე მუხლის პირველი პუნქტის გამოყენება შეიძლება, თუ სახელმწიფო, სადაც უნდა განხორციელდეს შესაბამისი ქმედება, არის იმ რეგიონალური ორგანიზაციის წევრი, რომელსაც უშიშროების საბჭომ მისცა ამის უფლებამოსილება.⁷²⁸ მიუხედავად ამისა, საბჭოს შეუძლია, რეგიონალური ორგანიზაცია იძულებითი ღონისძიების განსახორციელებლად გამოიყენოს რეგიონის საზღვრებს მიღმა,⁷²⁹ რისი მაგალითიცაა ნატოს მიერ სამხედრო ოპერაციის ხელმძღვანელობა ლიბიაში. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციამ გაეროს №1973-ე (მიღებული 2011 წლის 17 მარტს) რეზოლუციის საფუძველზე უზრუნველყო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვა აღნიშნულ რეგიონში. გაეროს ამ რეზოლუციამ წევრ ქვეყნებს მიანიჭა უფლება, რეგიონალური ორგანიზაციების მეშვეობით გამოეყენებინათ ყველა საჭირო ზომა, რათა დაეცვათ ადგილობრივი მოსახლეობა თავდასხმებისგან ლიბიის არაბულ ჯამაჰირიაში, მათ შორის ბენგაზში.⁷³⁰ აღნიშნული რეზოლუციის მიღებამდე გაერომ მიიღო №1970 რეზოლუცია შემდეგი სახელწოდებით: „მშვიდობა და უსაფრთხოება აფრიკაში“. რეზოლუცია მოუწოდებდა ლიბიის ხელისუფლებას ძალადობის შეწყვეტისა და ადამიანის უფლებების, საერთაშორისო კუმანიტარული სამართლის დაცვისკენ. ამასთანავე, აწესებდა იარაღის ემბარგოს ლიბიაში.⁷³¹

⁷²⁵ იქვე.

⁷²⁶ Security Council Resolution 199, December 30, 1964, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/211/57/IMG/NR021157.pdf?OpenElement> (ნანახია: 23.07.2010).

⁷²⁷ Security Council Resolution 217, November 20, 1965, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/222/88/IMG/NR022288.pdf?OpenElement> (ნანახია: 23.07.2010).

⁷²⁸ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press 2005, p.311.

⁷²⁹ იქვე.

⁷³⁰ Security Council Resolution N1973, March 17, 2011, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N11/268/39/PDF/N1126839.pdf?OpenElement> (ნანახია: 20.04.2011).

⁷³¹ Security Council Resolution 1970, February 26, 2011, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N11/245/58/PDF/N1124558.pdf?OpenElement> (ნანახია: 20.04.2011).

2011 წლის 27 მარტს ნატომ მიიღო გადაწყვეტილება, ლიბიაში კოალიციური ძალების მიერ დაგეგმილი სამხედრო ოპერაციის ხელმძღვანელობა საკუთარ თავზე აეღო. ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა გაეროს რეზოლუციის ყველა პუნქტის შესრულება დაუყოვნებლივ დაიწყო.⁷³²

რეგიონალური ორგანიზაციის ფუნქციონირება არ ცვლის ძალების გამოყენების ფუნდამენტურ წესებს. სახელმწიფოთა რეგიონალური ჯგუფის პოზიცია არსებითად არ განსხვავდება ინდივიდუალური სახელმწიფოს პოზიციისგან.⁷³³

წესდების მე-8 თავი დაკავშირებულია წესდების მე-7 თავთან და, შესაბამისად, შენარჩუნებულია უშიშროების საბჭოს მონოპოლია კოლექტიური უსაფრთხოების სფეროზე. 53-ე მუხლის ფორმულირება ნათელია: რეგიონალური იძულებითი ღონისძიებების კანონიერება მთლიანად დამოკიდებულია უშიშროების საბჭოზე.⁷³⁴

მიუხედავად ამისა, საინტერესოა ზემოაღნიშნული საკითხის სხვა ასპექტში განხილვაც. შეიძლება ითქვას, რომ შეიარაღებული თავდასხმისას სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს, წესდებიდან გამომდინარე, უშუალოდ წარმოეშობა კოლექტიური თავდაცვის უფლება. ამდენად, არ არსებობს უშიშროების საბჭოსგან წინასწარ უფლებამოსილების მინიჭების საჭიროება. თუმცა თავდაცვითი უფლების განხორციელების ნებისმიერ შემთხვევაში, საბოლოოდ, უშიშროების საბჭო შეისწავლის. საბჭოს შეუძლია, კოლექტიური თავდაცვის ღონისძიება შეიარაღებული თავდასხმის წინააღმდეგ მოიწონოს (როგორც ეს მოხდა სპარსეთის ყურის ომის პირველ პერიოდში).⁷³⁵ მაგრამ, ასევე, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ განხორციელებული იძულებითი ღონისძიება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს გაეროს წესდებით დადგენილ წესებს და უნდა იყოს მასთან შესაბამისობაში. თუ არ არსებობს შეიარაღებული თავდასხმა, რეგიონალურ ორგანიზაციას, ინდივიდუალური სახელმწიფოს მსგავსად, არ შეუძლია გამოიყენოს ძალა.⁷³⁶

⁷³²NATO and Libya - Operation Unified Protector, 2011, http://www.nato.int/cps/en/natolive/topics_71652.htm? (ნანახია: 5.05.2011).

⁷³³ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.311.

⁷³⁴ იქვე.

⁷³⁵ იქვე, გვ.312

⁷³⁶ იქვე.

თავი VI. რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის სამართლებრივი ანალიზი

1. სამშვიდობო ფორმატის კრიზისი, შეიარაღებული პროვოკაციები და სამხედრო აგრესიის მომზადება

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საბჭოთა იმპერიის სამართალმემკვიდრემ – რუსეთის ფედერაციამ – განაგრძო შეიარაღებული კონფლიქტების ინსპირირება საქართველოს ტერიტორიაზე, სახელდობრ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე. რუსეთის ხელისუფლება სისტემატურად აიარაღებდა სეპარატისტებს, უწევდა მათ სამხედრო, ფინანსურ და პოლიტიკურ მხარდაჭერას.

XX საუკუნის 90-იან წლებში რუსეთმა რეგულარული ჯარისა და დაქირავებული პირების მეშვეობით განახორციელა ქართველების ეთნიკური წმენდა.

პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც იმთავითვე გამოეხმაურა აფხაზეთში მიმდინარე ტრაგიკულ ამბებს, იყო ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო). 1994 წელს ბუდაპეშტის სამიტზე მონაწილე სახელმწიფოებმა გამოთქვეს დრმა შემფოთება აფხაზეთში „ეთნიკური წმენდის, მოსახლეობის, განსაკუთრებით ქართველთა, თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან მასობრივი განდევნისა და უდანაშაულო მოქალაქეთა დიდი რაოდენობით დაღუპვის გამო“. ხოლო ლისაბონის სამიტის დეკლარაციაში (1996 წლის 3 დეკემბერი) აღნიშნულია: „ჩვენ (ეუთოს მონაწილე სახელმწიფოები) ვგმობთ „ეთნიკურ წმენდას“, რომელიც გამოიხატება აფხაზეთში ძირითადად ქართველი მოსახლეობის მასობრივი განადგურებითა და იძულებითი გაძევებით“.⁷³⁷

ლისაბონში დეკლარაციის ზემოაღნიშნული ფორმულირების განხილვისას რუსეთის დელეგაციამ კატეგორიული უარი განაცხადა მის მიღებაზე, რადგანაც მასში ნახსენები ტერმინი „გამოიხატება“ აწყო დროში იყო გამოყენებული. რუსეთის მტკიცებით, 1994 წლიდან ენგურზე მათი სამშვიდობო ძალები იდგა და არანაირი ეთნიკური წმენდა იქ აღარ ყოფილა. ამიტომ, მათი აზრით, ტერმინი „გამოიხატება“ უნდა შეცვლილიყო ტერმინით „გამოიხატა“. მათი პოზიცია შეიცვალა, როდესაც გააცნეს ეუთოს მისიის შესაბამისი მოხსენება, რომელშიც მითითებული იყო 1000-ზე მეტი პირის სახელი, რომლებიც დახოცეს სამშვიდობოების გალში ყოფნის დროს.⁷³⁸

1999 წლის ნოემბერში სტამბოლში მოწვეულ ეუთოს სამიტზე მიღებულ დეკლარაციაში სახელმწიფოებმა „კვლავ განაცხადეს“, რომ

⁷³⁷ ალექსიძე ლევან, “აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდის საერთაშორისო დაგმობის საქმეში ეუთოს გადამწყვეტი როლის შესახებ”, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, №1, 2008 წელი, გვ.34-35.

⁷³⁸ იქვე, გვ.35.

„გადაჭრით გამობენ „ეთნიკურ წმენდას“, როგორც ეს ფორმულირებულია ბუდაპეშტისა და ლისაბონის უმაღლესი დონის შეხვედრებზე, რამაც გამოიწვია აფხაზეთში, საქართველო, ძირითადად, ქართული მოსახლეობის განადგურება და იძულებითი გაძევება, და ძალადობის აქტებს, რომლებიც აღინიშნა გალის რაიონში 1998 წლის მაისში იქ დაბრუნებულ პირებთან დაკავშირებით, რაც მიზნად ისახავდა დაბრუნების სურვილის მქონე ადამიანებში შიშის დანერგვას. ამასთანავე, დეკლარაცია ითვალისწინებდა მომდევნო წლის დასაწყისში გალის რაიონში ფაქტების დამდგენი მისიის გაგზავნას, ეუთოსა და გაეროს მონაწილეობით, მათ შორის მიმდინარე „ეთნიკური წმენდის“ შემთხვევების შესახებ ცნობების შესაფასებლად“. სამწუხაროდ, ასეთი კომისია არ შექმნილა, მაგრამ ეუთოს დეკლარაციაში აფხაზეთში არსებული კონფლიქტისათვის ასეთი დიდი ყურადღების დათმობა და „ეთნიკური წმენდის“, სეპარატისტების საშინელ დანაშაულთა კიდევ ერთხელ დაგმობას უადრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების მობილიზაციისათვის.⁷³⁹

ამასთანავე, საგულისხმოა გაეროს უშიშროების საბჭოს პოზიცია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ორგანოში გადაწყვეტილებათა მიღება ხდება ხმათა უმრავლესობით (15-იდან 9 ხმა უნდა იყოს დადებითი), ყველა მუდმივი წევრის დადებითი ხმის ჩათვლით, ხოლო რუსეთის მიერ ვეტოს უფლების გამოყენების საშიშროება ყოველთვის სუფევდა და სუფევს, საბჭოს მიერ დავეების მშვიდობიანი დარეგულირების შესახებ თავისა (გაეროს წესდების მე-6 თავი) და, განსაკუთრებით, აგრესიის აღკვეთისა და მშვიდობის დაცვის მიზნით იძულებითი ღონისძიების გატარების საშუალებების (გაეროს წესდების მე-7 თავი) ჩარჩოებში მოქმედებისას, ვერა და ვერ ხერხდება უშიშროების საბჭოს მიერ აფხაზეთში „ეროვნული წმენდის“ პირდაპირი დაფიქსირება. მაგრამ ეუთოს მიერ მიღებული შეფასებები იმდენად ძლიერი იყო და არის, რომ საბჭო 1995 წლიდან დაწყებული 2006 წლის ჩათვლით ყველა მიღებულ რეზოლუციაში „იმოწმებს“ ეუთოს ჯერ ბუდაპეშტის გადაწყვეტილებებს, ხოლო შემდგომ ლისაბონისა და სტამბოლის სამიტების დასკვნებს, და მიუღებლად მიიჩნია აფხაზეთში კონფლიქტის შედეგად დემოგრაფიული ცვლილებები.⁷⁴⁰

აღსანიშნავია, რომ 2006 წლამდე ყველა რეზოლუცია შეიცავდა მითითებას ლისაბონისა და სტამბოლის სამიტთა გადაწყვეტილებებზე, მაგალითად, 2002 წელს მიღებულ რეზოლუციაში უშიშროების საბჭო „იმოწმებს“ ლისაბონისა და სტამბოლის სამიტთა დასკვნებს აფხაზეთში, საქართველო, მდგომარეობის შესახებ.⁷⁴¹

თუმცა 2006 წლის შემდგომ საბჭო აღარ იყენებს ამ ფორმულას, მაგრამ სისტემატიურად ადასტურებს იმ რეზოლუციებს, რომლებიც შეიცავენ ამ ფორმულას.⁷⁴²

ბოლო წლებში გაეროს უშიშროების საბჭო პასიურობს აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარებაში, უპასუხოდ ტოვებს სეპარატისტთა საბოტაჟს და კატეგორიულ უარს აცხადებს, განიხილონ ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაციის ან საქართველოს მიერ

⁷³⁹ იქვე.

⁷⁴⁰ იქვე, გვ.35-36.

⁷⁴¹ იქვე, გვ.36.

⁷⁴² იქვე.

წამოყენებული წინადადებები (ერთ-ერთი მათგანი გავრცელდა საქართველოს მიერ, როგორც უშიშროების საბჭოს დოკუმენტი 1999 წელს), რადგან მათში ფიქსირდება აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში არსებობა და აღიარებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ხელშეუხებლობა.⁷⁴³

მიუხედავად ამისა, 2008 წლის 29 მაისს გაეროს გენერალური ასამბლეის 62-ე სესიამ მიიღო ისტორიული მნიშვნელობის რეზოლუცია – „აფხაზეთიდან, საქართველო, ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“, რომელშიც გაეროს პრაქტიკაში პირველად დაფიქსირდა აფხაზეთში ქართველების ეთნიკური წმენდის ფაქტი. რეზოლუცია მხედველობაში იღებს ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) ბუდაპეშტის (1994), ლისაბონისა (1996) და სტამბოლის (1999) სამიტების დასკვნებს, კერძოდ, მოხსენებებს აფხაზეთში, საქართველო, „ეთნიკური წმენდისა“ და საერთაშორისო კუმანიტარული სამართლის სხვა სერიოზული დარღვევების შესახებ. იგი ხაზს უსვამს იმ მნიშვნელობას, რომელიც აქვს აფხაზეთიდან, საქართველო, ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა საკუთრების დაცვას, „ეთნიკური წმენდის“ მსხვერპლთა ჩათვლით, და მოუწოდებს ყველა წევრ სახელმწიფოს, არ დაუშვან მათს იურისდიქციაში მყოფი პირების მიერ აფხაზეთის, საქართველო, ტერიტორიაზე საკუთრების შექმნა, რეპატრიანტების უფლებათა დარღვევით“.⁷⁴⁴

გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციამ, რომელიც მიიღეს რუსეთის მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად, სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობას კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ, როდესაც ნებისმიერ რეგიონში (როგორი პატარა და მცირერიცხოვანიც არ უნდა იყოს იგი) სეპარატისტების ზრახვებს ეწირება ასიათასობით უდანაშაულო ადამიანი, საერთაშორისო ორგანიზაციები არ შეიძლება პასიურობდნენ, საჭიროა ენერგიული ბრძოლა ადამიანის ღირებულ უფლებათა დასაცავად.⁷⁴⁵

რუსეთის ფედერაცია კვლავ აწყობდა პროვოკაციებს და ამწვავებდა კონფლიქტებს საკუთარი სურვილის შესაბამისად ე.წ. სამშვიდობო ძალების მეშვეობით.

2008 წლის 17 თებერვალს კოსოვო დამოუკიდებლობას აცხადებს, რასაც მოსდევს მისი აღიარება სხვადასხვა სახელმწიფოს მიერ. ამ ფაქტს რუსეთი საქართველოს კონფლიქტურ ზონებში თავისი ქმედებების გააქტიურების საბაზად იყენებს. რუსები ვერ ახერხებენ, დამალონ თავიანთი განზრახვა, რომ, კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შემთხვევაში, ისინი იდენტურ პოლიტიკას განახორციელებდნენ სეპარატისტული რეგიონების მიმართ. რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი აცხადებს, რომ მათ აქვთ წინასწარ მომზადებული სამოქმედო გეგმები, რაც კოსოვოს ცნობის გადაწყვეტილებაზე ფაქტობრივი პასუხი იქნება.⁷⁴⁶

⁷⁴³ იქვე.

⁷⁴⁴ იქვე, გვ.33.

⁷⁴⁵ იქვე, გვ.36.

⁷⁴⁶ საქართველოს მთავრობის ანგარიში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სრულმასშტაბიან აგრესიასთან დაკავშირებით, თბილისი, 2009 წელი, გვ. 40.

2008 წლის 6 მარტს რუსეთი გამოდის დსთ-ის სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს მიერ აფხაზეთისთვის დაწესებული ემბარგოდან, რომელიც, ძირითადად, სეპარატისტული რეჟიმისათვის შეიარაღების მიწოდებას და, საერთოდ, აფხაზეთის მილიტარიზაციის შესაძლებლობას ზღუდავდა. რუსები ამ ნაბიჯს აფხაზეთში დარჩენილი მოსახლეობის ჰუმანიტარული ინტერესების დაცვით ხსნიან. 2008 წლის 16 აპრილს ვლადიმერ პუტინი გამოსცემს დეკრეტს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან პირდაპირი სამართლებრივი და დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ. 20 აპრილს რუსული სამხედრო თვითმფრინავი, გაეროს წესდების პრინციპების უხეში დარღვევით, გალის რაიონის სოფელ გაგიდის თავზე ანადგურებს ქართულ უპილოტო საფრენ აპარატ „ჰერმეს-450“-ს, რაც მოგვიანებით დასტურდება გაეროს საგანგებო გამოძიების შედეგად. 29 აპრილს, რუსეთის თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრების განცხადებით, კონფლიქტის ზონაში იწყება რუსული სამშვიდობო ძალების კონტინგენტის გაზრდა. მნიშვნელოვანია, რომ ეს ხდება ხელშეკრულების დარღვევით და ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად. სამშვიდობოების ეგიდით რუსეთს შემოჰყავს სადესანტო ძალები მძიმე ტექნიკითა და აღჭურვილობით. არც ჯარის სახეობა, არც შეიარაღება არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფორმატს. რუსი „სამშვიდობოები“ მძიმე საარტილერიო დანადგარებს ისე განაღებებენ, რომ მათ არეალში ხვდება კოდორის ხეობის სტრატეგიული მონაკვეთები. პარალელურად დე ფაქტო ხელისუფლების მხრიდან საჯაროდ გაისმის მუქარა კოდორის მიმართულებით შესაძლო „დეოკუპაციის“ ოპერაციის განხორციელების შესახებ.⁷⁴⁷

აშკარა ხდება რუსეთის მცდელობა, შექმნას სეპარატისტების ერთიანი „ფრონტი“ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში. სეპარატისტების პოზიციები შეთანხმებული და იდენტურია; იწყება მოსკოვში შემუშავებული მოთხოვნების გაცხადება. შეიმჩნევა რუსული დამატებითი სამხედრო ფორმირებებისა და ტექნიკის შემოდინება, სტრატეგიული პუნქტების გამაგრება, ხშირდება შეიარაღებული პროვოკაციები.⁷⁴⁸

მოსკოვი წნეხის გაძლიერებას სხვა მიმართულებითაც აპირებდა: მაისის დასაწყისში ბრიუსელში ნატო-რუსეთის მიმდინარე კონსულტაციების ფარგლებში შედგა შეხვედრა ნატოსა და რუსეთის სამხედრო უწყებების ხელმძღვანელთა შორის; არმიის გენერალმა იური ბალუევსკიმ სახტად დატოვა ნატოელი კოლეგები, როცა გააფრთხილა – ამ ზაფხულს საქართველოში შეიძლება ომი ატყდეს, თუ კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად სათანადო ნაბიჯები არ გადაიდგმებაო – და ნატოს წევრ ქვეყნებს მოსთხოვა, საქართველოში დაგეგმილი ერთობლივი წვრთნები გადაეღოთ, თუ არ სურდათ, ამ კონფლიქტში თავისდაუნებურად აღმოჩენილიყვნენ ჩათრეულნი.⁷⁴⁹

საერთაშორისო ორგანიზაციები შეშფოთებას გამოხატავენ რუსეთის ქმედებების გამო. იწყება საკითხების განხილვა ყველა შესაძლო საერთაშორისო ფორუმის ფარგლებში. დასავლეთის ლიდერები და

⁷⁴⁷ იქვე.

⁷⁴⁸ იქვე, გვ.41.

⁷⁴⁹ ასმუხი რონალდ, მცირე ომი, რომელმაც მოსოფლიო შეძრა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010 წელი, გვ.164.

მაღალი რანგის დიპლომატები რუსებს მოუწოდებენ, უარი თქვას პროვოკაციულ მოქმედებაზე. საქართველოში არსებული სიტუაცია დიდი რვიანისა და რუსეთ-ევროკავშირის სამიტების ფორმალური და არაფორმალური განხილვის თემა ხდება.⁷⁵⁰

2008 წლის 9 ივლისს თბილისში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი ჩამოდის. მისი თვითმფრინავის აეროპორტში დაშვებისთანავე ოთხი რუსული ავიაგამანადგურებელი ერთხელ კიდევ არღვევს საქართველოს საჰაერო სივრცეს. ამერიკის სახელმწიფო მდივანი ხაზგასმით ადასტურებს ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი.⁷⁵¹

13 ივლისს, თვითმხილველთა მონაცემებით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე რუსეთიდან შემოდის 100 ერთეულამდე რუსული არმიის ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. 15 ივლისიდან 2 აგვისტოს ჩათვლით რუსეთი საქართველოს ჩრდილოეთ საზღვართან ატარებს ფართომასშტაბიან წვრთნებს „კავკასია – 2008“.⁷⁵²

ეუთო და ევროკავშირი ცდილობენ, ქართულ-ოსური შეხვედრის ორგანიზებას ბრიუსელში ივლისის ბოლოს, მაგრამ, ისევე როგორც სხვა ინიციატივების შემთხვევაში, სეპარატისტები უარს აცხადებენ დიალოგზე.⁷⁵³

2008 წლის 29 ივლისს ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულმა ძალებმა ქართველი სამშვიდობოების პოზიციებისა და ქართული სოფლების მიმართულებით რამდენჯერმე გახსნეს ცეცხლი. ერთი კვირის შემდეგ რუსეთი და საქართველო უკვე ომის ზღვარზე იდგნენ.⁷⁵⁴

2. საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია

2007-2008 წლებში საქართველოსა და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, რომლებიც მიზნად ისახავდა ე.წ. გაყინული კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობისა და სამშვიდობო პროცესის ინტერნაციონალიზაციისათვის რეალური პირობების შექმნას, რაც დასტურდება გაეროს უშიშროების საბჭოს 2007

⁷⁵⁰ საქართველოს მთავრობის ანგარიში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სრულმასშტაბიან აგრესიასთან დაკავშირებით, თბილისი, 2009 წელი, გვ.42.

⁷⁵¹ ასმუსი რონალდ, მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010 წელი, გვ.178-179.

⁷⁵² საქართველოს მთავრობის ანგარიში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სრულმასშტაბიან აგრესიასთან დაკავშირებით, თბილისი, 2009 წელი, გვ.44.

⁷⁵³ იქვე, გვ. 45.

⁷⁵⁴ ასმუსი რონალდ, მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010 წელი, გვ.183.

წლის 1781-ე და 1752-ე რეზოლუციებით,⁷⁵⁵ რუსეთის ფედერაციამ სამხედრო აგრესიით უპასუხა.⁷⁵⁶

მიუხედავად საქართველოს სამშვიდობო მცდელობებისა, 2008 წლის 7 აგვისტოს რუსეთის ფედერაცია ღიად ჩაება კონფლიქტში ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე და განახორციელა მასობრივი სამხედრო ინტერვენცია საქართველოს ტერიტორიაზე. რუსეთის რეგულარულმა სამხედრო ნაწილებმა იერიში მიიტანეს არა მხოლოდ საქართველოს შეიარაღებულ ძალებზე, არამედ ასევე სამოქალაქო ობიექტებსა და მშვიდობიან მოსახლეობაზე, რის შედეგადაც პრაქტიკულად სრულად იქნა განადგურებული კონფლიქტის ზონაში არსებული დასახლებული პუნქტები. იქვე. პარალელურად, რუსეთის სამხედრო ნაწილებმა განახორციელეს თავდასხმა ზემო აფხაზეთის ტერიტორიაზე და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებისა და საერთაშორისო შეთანხმებების დარღვევით დაიკავეს იგი. ამასთანავე, დაბომბვები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა.⁷⁵⁷ ამჟამად საქართველოს ტერიტორიების 20% ოკუპირებულია.

შეიარაღებული კონფლიქტის პროვოკაცია რუსეთის მხრიდან აშკარა იყო, რასაც მოჰყვა წუთების განმავლობაში ათასობით ჯარისკაცისა და ტანკის, ასობით თვითმფრინავის მიერ საქართველოზე ფართომასშტაბიანი შეტევის განხორციელება, რომლის დროსაც ანადგურებდნენ და წვაენდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის სახლებს სოფლებსა თუ ქალაქებში, ფიზიკურად უსწორდებოდნენ და ხოცავდნენ მშვიდობიან ქართველებს, რისი დამამტკიცებელი მასალა მოიპოვა ორგანიზაცია *Human Right Watch*-მა თანამგზავრიდან მიღებული ფოტოების საფუძველზე. მიმდინარეობდა და დღესაც გრძელდება ეთნიკური წმენდა: სეპარატისტულმა რეჟიმებმა, რუსეთის შეიარაღებული ძალების დახმარებით, განდევნეს ქართველები საკუთარი სახლებიდან და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მათ მშობლიურ ადგილებში დაბრუნების ფიზიკური შესაძლებლობა წაართვან.⁷⁵⁸

მოსკოვმა 7-იდან 12 აგვისტომდე დაახლოებით 40 000 ჯარისკაცი გადაისროლა საქართველოში; მათგან 20 000 როკის გვირაბის გავლით შევიდა ე.წ. სამხრეთ ოსეთში, და დამატებით იმდენივე შეიყვანეს აფხაზეთშიც. რუსების ამ რეგიონებში განლაგებული საერთო სამხედრო ძალა სამჯერ აღემატებოდა საქართველოს არმიას. ბაზებისა და რკინიგზის მოდერნიზაცია, რუსული და სეპარატისტული ძალების ინტენსიური აღჭურვა თანამედროვე იარაღით შემოსევიდან რამდენიმე თვით ადრე, შავი ზღვის ფლოტის მომზადება – ყოველივე ეს მიუთითებს, რომ ოპერაცია დიდი ხნით ადრე დაიგეგმა.⁷⁵⁹

⁷⁵⁵ Security Council Resolution N1781, October 15, 2007; Security Council Resolution N1752, April 13, 2007, www.un.org (ნანახია: 27.03.2010).

⁷⁵⁶ საქართველოს პარლამენტის დადგენილება “რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ”, 2008 წლის 29 აგვისტო, www.parliament.ge (ნანახია: 27.03.2010).

⁷⁵⁷ იქვე.

⁷⁵⁸ ალექსიძე ლევან, “საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის შეიარაღებული შემოჭრის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები”, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, №2, 2008 წელი, გვ.7.

⁷⁵⁹ ასმუხი რონალდ, მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010 წელი, გვ.183-184.

საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო დარტყმებს ზედ ერთვოდა ინტერნეტსივრცეში განხორციელებული შეტევებიც: ეს იყო ისტორიაში პირველი შემთხვევა, როდესაც სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ოპერაციები, შეწყვილებული იყო კარგად გათვლილ „კომპიუტერულ“ ომთან, რამაც ზოგიერთ ანალიტიკოსს მოსკოვის ქმედებებთან დაკავშირებით ცნება „მეოთხე ფრონტიც“ კი გამოაყენებინა. თავდაპირველად ეპიზოდური ინტერნეტშეტევების მსხვერპლი საქართველო ივლისის თვეში გახდა: 19 ივლისს განხორციელდა შეტევა ქვეყნის პრეზიდენტის პირად ვებგვერდზე, რაც თითქმის მთელ დღე-ღამეს გაგრძელდა. თუმცა შეტევის ნამდვილი ტალღა 8 აგვისტოს, ნაშუადღევს აგორდა, როცა რუსებმა უკვე სრული სერიოზულობით მოჰკიდეს ხელი ქართული ინტერნეტსივრცის ბლოკირებასა და კონტროლს.⁷⁶⁰

ე.წ. ჰაეროთა განსხვავებული ჯგუფები განსხვავებული ხასიათის შეტევებს ახორციელებდნენ ქართულ ინფრასტრუქტურაზე. მაგალითად, პრეზიდენტის ვებსაიტს სხვა ჯგუფი აკონტროლებდა, ხოლო საბანკო სექტორზე სხვას მიჰქონდა იერიში.⁷⁶¹

ამგვარი შეტევები, როგორც ჩანს, მრავალმიზნობრივი იყო: პრეზიდენტის ვებგვერდზე შესვლა მიზნად ისახავდა იმის ჩვენებას, თუ რამდენად დაუცველი იყო ქვეყნის კიბერსივრცე და ინფრასტრუქტურა; პოლიტიკურ და საინფორმაციო ვებგვერდებზე მიტანილი შეტევები ამცირებდა ხელისუფლების შესაძლებლობას, დაკავშირებოდა გარესამყაროს და გავერცელებინა ინფორმაცია; საბანკო სექტორი, როგორც ჩანს, იმისთვის იყო მიზანში ამოღებული, რომ ეკონომიკური ქაოსი გამოეწვია. პოლონეთმა და ესტონეთმა ინიციატივა გამოიჩინეს და საქართველოს ხელისუფლებას შესაძლებლობა მისცეს, მათი ვებგვერდები გამოეყენებინა როგორც კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალება გარე სამყაროსა და საზოგადოებასთან დასაკავშირებლად.⁷⁶²

ეს კიბერშეტევები მასირებული, კოორდინებული და კარგად გათვლილიც გახლდათ. თუმცა, გარკვეული თვალსაზრისით, ყველაზე საინტერესო და მრავლისმთქმელი მაინც საბანკო და ფინანსურ სექტორებზე მიტანილი იერიში გამოდგა – ისინი მრავალ ქვეყანაში მოქმედი სისტემების ერთობლიობას მოიცავდა (მათ შორის, თურქეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში) – შეტევების პირველადი წარმომავლობის შესანიღბავად. საამისოდ გამოყენებული იქნა უშუალოდ შემსრულებლისა და კომპიუტერული სისტემების სულ სხვა ქსელი, ვიდრე პრეზიდენტის ვებგვერდზე მიტანილი იერიშის დროს. ყველა ეს ოპერაცია ნახევარ-ნახევარი საათის ინტერვალით ხორციელდებოდა.⁷⁶³

ეს არაა რუსული კვალის ერთადერთი მაგალითი. დასავლელი კიბერომის ექსპერტები აღნიშნავენ, რომ რუსი სამხედროები მზარდ ყურადღებას უთმობდნენ კიბერშეტევებს თავიანთ დოქტრინასა და სტრატეგიაში. ამ შეტევათა ერთ-ერთი საკვანძო მონაწილე *Stop Georgia.ru* იმ ტყვიანობაშია ქსელის ნაწილად მოჩანს, რომელიც რუსული დაზვერვის კვალის შესანიღბავად ფიქტიურ კომპანიებს ეყრდნობოდა. უსაფრთხოების გამოყენების ფორმების მონაცემებისა და სხვა

⁷⁶⁰ იქვე, გვ.184.

⁷⁶¹ იქვე.

⁷⁶² იქვე, 185.

⁷⁶³ იქვე.

წყაროების ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ შეტევათა კოორდინატორები ღრმად იყვნენ ჩახედულნი პოლიტიკურ და სამხედრო თავდასხმაშიც. თუ შევადარებთ სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო შეტევის დროსა და მასშტაბს კიბერსივრცეში მიმდინარე პროცესებს, ნათელი გახდება, რომ კიბერშეტევა უფრო დიდი კამპანიის სამხედრო და პოლიტიკური ამოცანების ნაწილი იყო. ამ დონის შეტევებს იმგვარი პროფესიონალიზმი და რესურსი სჭირდება, რისი უზრუნველყოფელი მხოლოდ სახელმწიფო შეიძლება იყოს.⁷⁶⁴

არსებობს იმის უამრავი მტკიცებულება, რომ რუსეთის შეტევა საქართველოზე, ამერიკის შეერთებული შტატების რიგით 66-ე სახელმწიფო მდივნის რაისის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, „მართლაც დიდი ხნით ადრე იყო ჩაფიქრებული“.⁷⁶⁵ იგი დეტალური სამხედრო დაგეგმვითა და სამზადისით დაიწყო და ზემოაღნიშნული კიბერ-შეტევებიც საგულდაგულოდ გახლდათ გათვლილი. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ 2008 წლის გაზაფხულიდან მოსკოვი სულ უფრო და უფრო დაჟინებით მოითხოვდა ისრაელისაგან – შეეზღუდა სამხედრო ვეტერანებისა და უსაფრთხოების ექსპერტების გაგზავნა თბილისში თავდაცვითი სტრუქტურების მოდერნიზაციის უზრუნველსაყოფად და საქართველოსათვის ისრაელის მიერ წარმოებული ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული პროგრამების მიწოდებაც შეეწყვიტა. ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ ბრძოლების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცხინვალში 50-ამდე რუსი ჟურნალისტის მივლინების ფაქტიც.⁷⁶⁶

ეს სურათი საქართველოსთან სამხედრო დაპირისპირებისათვის ხანგრძლივ, მეთოდურ სამზადისზე მიუთითებს. მოსკოვის ამ სამხედრო-პოლიტიკური კამპანიის საბოლოო მიზნების ზუსტი დეტალები სადღაც კრემლის არქივებში იმალება.⁷⁶⁷

პაველ ფელგენჰაუერი, სამხედრო საკითხებში „ნოვია გაზეტას“ კარგად ინფორმირებული კორესპონდენტი, შემდგომში წერდა: „ცხადზე უცხადესია, რომ რუსეთის შეჭრა საქართველოში წინასწარ იყო დაგეგმილი და აგვისტოს ომის დაწყება კრემლს ჯერ კიდევ აპრილში ჰქონდა გადაწყვეტილი“. მისივე თქმით, გეგმა „ოსების მიერ ქართველების პროვოცირებას“ ითვალისწინებდა და შემდეგ „ნებისმიერი პასუხი მასირებული შეტევის საბაბად იქნებოდა გამოცხადებული“.⁷⁶⁸ მერე კი იმასაც ამტკიცებდა, რომ „ომი ნებისმიერ შემთხვევაში გარდაუვალი იყო – არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რას მოიმოქმედებდა თბილისი: ჩათრევას ჩაყოლას ამჯობინებდა თუ არა. მიზანი საქართველოს ხელისუფლების დამხობა, ქართული ჯარის დაშლა-განადგურება და, საბოლოოდ, ნატოში შესვლაზე ოცნების დასამარება გახლდათ.“⁷⁶⁹

II აგვისტოს რუსეთის ჯარები აქტიურად იწყებენ ქართული სოფლების დაკავებას როგორც ცხინვალის რეგიონსა და დასავლეთ

⁷⁶⁴ იქვე, გვ.185-186.

⁷⁶⁵ იქვე, გვ.186.

⁷⁶⁶ იქვე.

⁷⁶⁷ იქვე.

⁷⁶⁸ იქვე, გვ.187.

⁷⁶⁹ იქვე.

საქართველოში, ისე კონფლიქტის ზონის გარეთ.⁷⁷⁰ 12 აგვისტოს რუსეთი კვლავ განაგრძობდა საქართველოს ტერიტორიების დაბომბვას. დაიბომბა ქარელის რაიონი და ქალაქი კასპი, გორი, ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მილი, კასპისა და ხაშურის რაიონები. რუსეთის ვერტმფრენმა გორთან ახლოს გზატკეცილზე დაბომბა სამგზავრო მიკროავტობუსი, რის შედეგადაც დაიღუპა 9 მგზავრი. რუსეთის საავიაციო-სადესანტო დანაყოფებმა და აფხაზი სეპარატისტების შეიარაღებულმა ჯგუფებმა იერიში მიიტანეს ზემო აფხაზეთზე/კოდორის ხეობაზე და მოგვიანებით დაიკავეს სოფლები: ზემო და ქვემო აჟარა. რუსეთის ფლოტი თავს დაესხა საქართველოს და დააზიანა ქართული სანაპირო დაცვის ხომალდები.⁷⁷¹

რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ ბრძანება გასცა საქართველოში სამხედრო ოპერაციის შეწყვეტის შესახებ. თუმცა ამ ბრძანების შემდეგ რუსეთმა კიდევ რამდენჯერმე დაბომბა საქართველოს ტერიტორია. მას შემდეგ, რაც რუსებმა დაიკავეს გორისა და ქარელის რაიონების სოფლები, სეპარატისტების შეიარაღებულმა ბანდებმა და ე.წ. „მოხალისეებმა“ დაიწყეს ამ სოფლების ძარცვა, მაროდღობა და ადგილობრივი მოსახლეობის დაწიოკება.⁷⁷²

12 აგვისტოს საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ იშუამდგომლა საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტებს შორის და მათ 6-პუნქტიანი სამშვიდობო გეგმა შესთავაზა. იმავე დღეს, როდესაც რუსეთის ჯარი ცალმხრივ საომარ მოქმედებებს აგრძელებდა და ქვეყნის ტერიტორიებს იკავებდა, დედაქალაქი რეალური საფრთხის წინაშე იდგა, ათიათასობით ადამიანი, მიუხედავად პოლიტიკური, ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილებისა, ერთსულოვნად გამოვიდა თბილისის ქუჩებში რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ პროტესტის გამოსახატავად. რუსეთის ქმედებების ფონზე საქართველოში ჩამოვიდნენ ლიტვის, პოლონეთის, უკრაინისა და ესტონეთის პრეზიდენტები და ლატვიის პრემიერ-მინისტრი. მათ ქუჩაში გამოსულ ხალხს ერთხმად განუცხადეს, რომ გამოსატავდნენ სოლიდარობას საქართველოს მიმართ, რომ რუსეთს არა აქვს უფლება, ასეთი ხერხებით ებრძოდეს დამოუკიდებელ ქვეყანას და ყველას, ვისაც სჯერა თავისუფლებისა და დემოკრატიისა, დღეს ამბობს, რომ ქართველია.⁷⁷³

13 აგვისტოს თბილისში, ცეცხლის შეწყვეტისა და მშვიდობის დამყარების მიზნით, საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი და საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თანხმდებიან ცეცხლის შეწყვეტის 6-პუნქტიან გეგმაზე. თუმცა რუსეთის ავიაცია კვლავ ბომბავს გორისა და კასპის რაიონის სოფლებს, სეპარატისტების შეიარაღებული ბანდები თავს ესხმიან და აწიოკებენ მოსახლეობას; დამატებითი რუსული ჯარები შეიარაღებითა და აღჭურვილობით შედიან ქ. გორში; მათი ჯარისკაცები ძარცვავენ და ანადგურებენ გორთან არსებულ არტილერიის სამხედრო ბაზას; გრძელდება ქართული სოფლების

⁷⁷⁰ საქართველოს მთავრობის ანგარიში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სრულმასშტაბიან აგრესიასთან დაკავშირებით, თბილისი, 2009 წელი, გვ.53.

⁷⁷¹ იქვე.

⁷⁷² იქვე, გვ.53-54.

⁷⁷³ იქვე, გვ.54.

დაკავება. ქარელის რაიონში შემოსულ რუსულ ჯარს უკან მოჰყვებიან გაურკვეველი წარმოშობის შეიარაღებული დაჯგუფებები, რომლებიც არბევენ და ძარცვავენ სოფელ ატოცს.⁷⁷⁴

იმავედროულად იწყება შემოტევა დასავლეთ საქართველოს მიმართულებით. კერძოდ, რუსი ჯარისკაცები შედიან წალენჯიხის რაიონის სოფელ ფახულანში, ხოლო ქ. ფოთის ნავსადგურთან აფეთქებენ საქართველოს სანაპირო დაცვის სამ გემს. 14 აგვისტოს დამატებითი რუსული ჯარები შეჰყავთ ზუგდიდსა და ფოთში; ზუგდიდში საკონტროლო გამშვები პუნქტების გაძლიერების პარალელურად, ანადგურებენ სენაკში განთავსებულ ქართულ სამხედრო ბაზას.⁷⁷⁵

ძალადობა ხორციელდება არა მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობაზე – რუსული და სეპარატისტული შეიარაღებული შენაერთები ავიწროებენ საქართველოში რუსეთის მიერ წარმოებული ომის გასაშუქებლად ჩამოსულ ჟურნალისტთა კორპუსსაც. ჟურნალისტები არა მარტო თავიანთი პროფესიული მოვალეობის შესრულებას ვერ ახერხებენ, არამედ დაუფარავი აგრესიის მსხვერპლნიც ხდებიან.⁷⁷⁶

გრძელდება დამატებითი რუსული ჯარების შეყვანა ქალაქ გორში. ადგიური სოფლების მაროდირებისთვის დასარბევად გადაცემის შემდგომ რუსული შენაერთები აგრძელებენ მოძრაობას დასავლეთის მიმართულებით, რასაც გზადაგზა თან სდევს ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროება, სახლებში შეჭრა, საკვებისა და ნივთების წართმევა.⁷⁷⁷

16 აგვისტოსთვის რუსული არმიის მძიმე ტექნიკა გამოდის სენაკიდან და შედის ფოთში. სატვირთო მანქანებითა და ჯავშანტექნიკით შეიარაღებული სეპარატისტები კვლავ ძარცვავენ ქარელისა და გორის რაიონების სოფლებს და მოსახლეობას არბევენ. იმავედროულად რუსეთის ავიაცია კასპის რაიონის სოფელ ხანდაკის ტყეებს ცეცხლგამჩენი ჭურვებით ბომბავს და ანადგურებს.⁷⁷⁸

რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი ხელს აწერს საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის მიერ შეთავაზებულ 6-პუნქტიან გეგმას, თუმცა, ამის მიუხედავად, რუსეთი ისევ არ უხსნის საჰაერო სივრცეს თურქეთს და უკრაინელ მეხანძრე ვერტმფრენებს, რათა ჩააქრონ ხანძარი ბორჯომის ტყეპარკში. პირიქით, ცეცხლგამჩენი ჭურვებით იბომბება ტყეები სურამის გარშემო, იქმნება ხანძრის ახალი კერები.⁷⁷⁹

ყველა ამ საკომუნიკაციო ბლოკადას ემატება სოფელ გრაკალთან ახლოს მდებარე ძირითადი სარკინიგზო ხიდის აფეთქება, რის შედეგადაც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შემაერთებელი სარკინიგზო კავშირიც წყდება. ახალგორის შესასვლელთან განთავსებულია დამატებითი ჯავშანტრანსპორტი. საქართველოს ტერიტორიის სამხედრო ოკუპაციის პარალელურად, ცდილობენ, იდეოლოგიურ წინესში მოაქციონ ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილი

⁷⁷⁴ იქვე.

⁷⁷⁵ იქვე.

⁷⁷⁶ იქვე, გვ.55.

⁷⁷⁷ იქვე.

⁷⁷⁸ იქვე, გვ.56.

⁷⁷⁹ იქვე.

საქართველოს მოქალაქეები. ახალგორში ადგილობრივი მოსახლეობისათვის ჩატანილია დიდი რაოდენობით რუსული პასპორტები, რათა მათ გამარტივებული წესით შეძლონ რუსეთის მოქალაქეობის მიღება.⁷⁸⁰

17 აგვისტოსთვის უკვე ნათელი ხდება, რომ რუსეთი 6-პუნქტიანი შეთანხმების სრულ იგნორირებას ახდენს. ამის დასტურია სენაკის სამხედრო ბაზის გამაგრება, სენაკის რაიონის სოფლების დაკავება, ახალგორში ე.წ. სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ფორმირებების შეყვანა, მესტიისკენ მიმავალი გზებისა და კასპთან ახლოს ორი ხიდის დანადგვა, სუფსის ნავთობტერმინალთან სამხედრო ნაწილების განლაგება. გარდა ამისა, როგორც ამ ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს მიერ იყო გაცხადებული, რუსეთს სრული კონტროლი აქვს მოპოვებული ენგურის ჰიდროელექტროსადგურზეც. ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ რუსეთმა ცალსახად მოახდინა საქართველოს ტერიტორიის ოკუპირება, გამაგრდა ამ ტერიტორიაზე და აქაც ჩვეული, ორმაგი სტანდარტების გამოყენებით იმოქმედა.⁷⁸¹

რუსეთის ფედერაციის ჯარები შესული იყვნენ კონფლიქტის ზონის გარეთ სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის ზუგდიდში, სენაკში, ფოთში, გორში, ხაშურში და ა.შ. 18 აგვისტოს, დილით, რუსი სამხედროები განლაგდნენ სოფელ იგოეთთან და გადააკეტეს კასპისკენ მიმავალი გზა. რუსეთის ჯარების მიერ ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალის გადაკეტვის შედეგად თითქმის მთლიანად მოსწყდა ერთმანეთს დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო.⁷⁸²

18 აგვისტოს რუსეთის თავდაცვის სამინისტრო აკეთებს განცხადებას საქართველოს ტერიტორიიდან შეიარაღებული ჯარების გაყვანის თაობაზე, თუმცა რეალურად ეს არ ხდება. შემდგომში რუსული მხარე სპეკულირებს, რომ 18 აგვისტოს გაკეთებულ განცხადებაში დაპარაკი იყო ჯარების არა გაყვანაზე, არამედ „გადაწევაზე“.⁷⁸³

26 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი, ყველა საერთაშორისო ნორმისა და კანონმდებლობის დარღვევით, ხელს აწერს ბრძანებულებას აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ. იმავე დღეს რუსეთის სამხედრო ხომალდები სარაკეტო კრეისერ „მოსკოვის“ მეთაურობით სოხუმის პორტში შედიან.⁷⁸⁴

28 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ რუსეთის მიზანმიმართული ქმედებების საპასუხოდ საქართველოს პარლამენტი რუსეთის სამხედრო ძალებს აცხადებს საოკუპაციო ძალებად, ხოლო აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს/სამხრეთ ოსეთს – ოკუპირებულ ტერიტორიებად. 3 სექტემბერს საქართველო ოფიციალურად წყვეტს დიპლომატიურ კავშირებს რუსეთთან.⁷⁸⁵

რუსეთი არ დააბრკოლა იმან, რომ აფხაზეთის ა/რ-ისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის *de jure* აღიარებამ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან, რომელმაც უარი განაცხადა

⁷⁸⁰ იქვე, გვ.57.

⁷⁸¹ იქვე.

⁷⁸² იქვე, გვ.58.

⁷⁸³ იქვე.

⁷⁸⁴ იქვე, გვ.59.

⁷⁸⁵ იქვე.

ამ რეჟიმების აღიარებაზე, ცალსახა გააკიცხვა გამოიწვია. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრმა სახელმწიფოებმაც კი არ მოახდინეს რეაგირება მოწოდებაზე, ელიარებინათ „საერთაშორისო სამართლის ახალი სუბიექტები“ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის პირობებში.⁷⁸⁶ რუსეთი კიდევ უფრო შორს წავიდა – სეპარატისტულ რეჟიმებთან სამხედრო თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებები გააფორმა და ამ რეგიონების დაჩქარებულ მილიტარიზაციას ახორციელებს, რაც კვლავ ადასტურებს იმას, რომ რუსეთი ომისთვის დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდა, და რომ არა პირველ ეტაპზე ევროკავშირის გადამწყვეტი მოქმედებები, რამაც ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ექვსპუნქტიანი შეთანხმება გამოიღო შედეგად, აგრესიის შედეგები, შესაძლოა, უფრო ტრაგიკულიც ყოფილიყო.⁷⁸⁷

3. საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციის მიერ ძალის გამოყენება, როგორც აგრესიის აქტი

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში სამხედრო ძალის გამოყენების სამართლებრივი რეგულირება ხდება გაეროს წესდებითა და მის ბაზაზე ჩამოყალიბებული ჩვეულებითი სამართლით. რუსეთის ფედერაციას ძალის გამოყენების უფლებამოსილება გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მინიჭებული არ ჰქონდა და აღნიშნული ქმედება არ ითვლება კანონიერი თავდაცვის უფლების გამოყენებად. ამდენად, რუსეთმა განახორციელა შეიარაღებული თავდასხმა საქართველოზე და მისი ოკუპაცია ყოველგვარი საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლის უგულებელყოფით.

საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სრულმასშტაბიან საომარ მოქმედებას რუსეთმა ე.წ. უცხო ქვეყანაში „საკუთარ მოქალაქეთა“ დაცვის უფლებით „ჰუმანიტარული ინტერვენცია“ უწოდა, მაგრამ სინამდვილეში, საერთაშორისო სამართლის თანახმად, რეალურად ტიპური აგრესიული ქმედება იყო. ამასთანავე, ცალკე სამართლებრივ შეფასებას ექვემდებარება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მკვიდრთათვის რუსეთის მოქალაქეთა პასპორტების იძულებით მასობრივი დარიგება იმ ფონზე, როდესაც კონფლიქტურ რეგიონებში რუსეთი ფორმალურად „სამშვიდობო მისიას ასრულებდა“, და ამ გზით საქართველოს მოქალაქეების რუსეთის მოქალაქეებად „გადაწერა“. გარდა ამისა, თეორიულადაც რომ დავუშვათ ასეთი საკითხის რეალურობა, რუსეთს მაინც არ ჰქონდა იურიდიული უფლება, საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარეულიყო სამხედრო ძალის

⁷⁸⁶ ალექსიძე ლევან, “საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის შეიარაღებული შემოჭრის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები”, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, №2, 2008 წელი, გვ.8.

⁷⁸⁷ იქვე.

გამოყენებით. გაეროს გენერალური ასამბლეის 1970 წლის 24 ოქტომბრის დეკლარაციაში საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ აღნიშნულია: „არც ერთ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს არა აქვს უფლება, პირდაპირ თუ ირიბად, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს, ჩაერიოს მეორე სახელმწიფოს საშინაო და საგარეო საქმეებში.“⁷⁸⁸

თანამედროვე საერთაშორისო სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში შემუშავებულია მთელი რიგი წინაპირობებისა და კრიტერიუმებისა, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ინტერვენციული აქტი, რათა მას მიეცეს ჰუმანიტარული ინტერვენციის კვალიფიკაცია (ჰუმანიტარული ინტერვენცია – ადამიანის უფლებათა უხეში და მასობრივი დარღვევების ჩამდენი სახელმწიფოს წინააღმდეგ საერთაშორისო ორგანიზაციის (ორგანიზაციების) მიერ სამხედრო, ეკონომიკური თუ სხვა სახის მოქმედებით ძალის გამოყენება).⁷⁸⁹

პასუხი კითხვაზე – გამოიჩინა თუ არა რუსეთმა ძალისხმევა, მოეგვარებინა პრობლემა საერთაშორისო სამართლით დაშვებული საშუალებების მეშვეობით და ამოწურა თუ არა მან ეს საშუალებები – არის ცალსახა და ერთმნიშვნელოვანი „არა“.⁷⁹⁰

რუსეთს არ აუმოქმედებია საერთაშორისო სამართლით აღიარებული არც ერთი მექანიზმი და ბერკეტი სამხედრო ძალის გამოყენებამდე. როდესაც 2008 წლის ივლისის ბოლოსა და აგვისტოს დასაწყისში კონფლიქტის რეგიონში ვითარება დაიძაბა, ქართულმა მხარემ თხოვნით მიმართა რუსეთს, რათა მას უზრუნველყო მოლაპარაკებების გამართვა ოსი სეპარატისტების ლიდერებთან, შექმნილი სიტუაციის განსამუხტავად. თხოვნის მიუხედავად, რუსულმა მხარემ არავითარ ზომას არ მიმართა, რომ ეს მოლაპარაკებები შემდგარიყო.⁷⁹¹ კერძოდ: 2008 წლის 29 ივლისს სეპარატისტული რეჟიმის შეიარაღებულმა ფორმირებებმა გახსნეს ინტენსიური საარტილერიო ცეცხლი ეთნიკურად ქართული სოფლებისა და ქართული სამშვიდობო ძალების საკონტროლო-გამშვები პუნქტების მიმართულებით. საარტილერიო სროლები გრძელდებოდა რეგულარულად 7 აგვისტომდე. ოსური მხარის მხრიდან საარტილერიო სროლების ფაქტები დაადასტურა კონფლიქტის ზონაში განლაგებული რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელმა.⁷⁹² 2008 წლის 1 აგვისტოს ააფეთქეს ერედვი-ხეითის შემოვლით გზაზე მიმავალი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მანქანა, რის შედეგადაც დაიჭრა პოლიციის 5 ოფიცერი. ქართულ მხარეს ჰქონდა არაერთი მცდელობა, სიტუაციის დასარეგულირებლად და ცეცხლის შესაწყვეტად გაემართა მოლაპარაკებები ოსი სეპარატისტების ლიდერებთან, თუმცა უშედეგოდ. მოლაპარაკებების გამართვას ვერ ახერხებდა ოსი სეპარატისტების ლიდერებთან საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში, ვერ ხერხდებოდა ოსი სეპარატისტების მოლაპარაკებებში

⁷⁸⁸ Resolution of General Assembly N2625, October 24, 1970, www.un.org (ნანახია: 25.04.2010).

⁷⁸⁹ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი, პასუხისმგებელი რედაქტორი ლევან ალექსიძე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003 წელი, გვ. 415.

⁷⁹⁰ რუხაძე ნ., ჰუმანიტარული ინტერვენცია თანამედროვე საერთაშორისო სამართალში, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, №1, 2009, გვ. 53.

⁷⁹¹ იქვე.

⁷⁹² იქვე.

ჩართვა ვერც რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელისა და ვერც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო საქმეთა რწმუნებულის მეშვეობით. რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელის განცხადებით, ის საერთოდ ვერ უკავშირდებოდა ოსი სეპარატისტების ლიდერებს. მოლაპარაკებების გამართვის მოლოდინში გრძელდებოდა ქართული სოფლების მიმართულებით ინტენსიური სროლები.⁷⁹³

რუსეთს არავითარი ზომები არ მიუღია იმისათვის, რათა თავიდან აეცილებინა მდგომარეობის გართულება და კონფლიქტის ესკალაცია. ჩნდება საფუძველიანი ეჭვი, რომ რუსეთს არათუ არ სურდა და არ ცდილობდა, თავიდან აეცილებინა სამხედრო ძალის გამოყენება, არამედ ელოდებოდა მომენტს, რათა მთელი ძალით ამოქმედებინა თავისი სამხედრო მანქანა საქართველოს წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, ზედმეტია საუბარი იმაზე, რომ რუსეთმა ამოწურა კონფლიქტის მოგვარების ყველა სხვა ალტერნატიული საშუალება.⁷⁹⁴

საერთაშორისო თანამეგობრობამ ერთმნიშვნელოვნად მიუთითა, რომ რუსეთის სამხედრო ქმედებები არ აკმაყოფილებს არც ერთ იმ წინაპირობასა და კრიტერიუმს, რომლებიც უნდა იყოს გამოკვეთილი, რათა სამხედრო ქმედებას ჰუმანიტარული ინტერვენციის კვალიფიკაცია მიეცეს. საერთაშორისო სამართლის პროფესორის, აკადემიკოს ლევან ალექსიძის, მოსაზრებით, რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული სამხედრო ინტერვენცია აშკარად გამოკვეთილ „რევანშისტულ“ ხასიათს ატარებდა.⁷⁹⁵ აკადემიკოსი ალექსიძე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ რუსეთის პოლიტიკა, საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდიდან მოყოლებული, მიმართულია იქითკენ, რომ ნებისმიერი გზით შეინარჩუნოს თავისი გავლენა პოსტსაბჭოთა სივრცეში და, შესაბამისად, არ დაუშვას ახალშექმნილი სახელმწიფოების ინტეგრაცია ევროპულ სივრცესა და სტრუქტურებში.⁷⁹⁶ რუსეთის უმთავრესი მიზანი არა „მათი მოქალაქეების დაცვა“, არამედ საქართველოს ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის ჩატარება და საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფა იყო.

რუსეთის ყოფილი პრეზიდენტი და ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი იყო აბსოლუტურად გულწრფელი, როდესაც განაცხადა, რომ, მისი აზრით, „საბჭოთა კავშირის დაშლა მე-20 საუკუნის ყველაზე დიდი უბედურება იყო“. „საქართველო და უკრაინა პუტინის რეჟიმისთვის არიან არა მხოლოდ ისტორიული ანომალიები, არამედ წარმოადგენენ პირდაპირ პოლიტიკურ საფრთხეს“. საქართველოს, როგორც ყველაზე „ურჩი“ სახელმწიფოს, მიმართ, რომელიც დაუფარავად ცდილობს, თავი დაადწიოს რუსეთის გავლენას და დგამს ქმედით ნაბიჯებს ევროპასთან ინტეგრაციის გზაზე, რუსეთის მხრიდან არაერთხელ განხორციელებულა პროვოკაციული და აგრესიული აქტები, რომელთა კულმინაციაც 2008 წლის აგვისტოს ომი გახდა. აგვისტოს ომი უნდა განვიხილოთ რუსეთის პოლიტიკური ლიდერების არაერთგზის გაკეთებული განცხადებების

⁷⁹³ იქვე.

⁷⁹⁴ იქვე.

⁷⁹⁵ Алексидзе Л., И Снова Агрессия, Интервенция и Оккупация Грузии с Целью Ликвидации Суверенитета и Территориальной Целостности Страны, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, №2, 2008, გვ.185.

⁷⁹⁶ იქვე.

კონტექსტში, კერძოდ, რომ „რუსეთი არ დაუშვებს საქართველოს გაწვევრიანებას ნატოში“.⁷⁹⁷

რუსეთის აგრესიულობის გააქტიურება ყოველთვის უკავშირდებოდა საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესის გააქტიურებას. ამდენად, შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ რუსეთის აგრესია ახალი ძალით გამოვლინდა მას შემდეგ, რაც 2008 წლის აპრილში ნატოს ბუქარესტის სამიტზე მიღებულ დეკლარაციაში ჩაიწერა, რომ საქართველო „გახდება ნატოს წევრი ქვეყანა“.⁷⁹⁸

პროფესორი ალექსიძე რუსეთის ქმედებების კიდევ ერთ მნიშვნელოვან მოტივზე მიუთითებს, სახელდობრ: რუსეთმა საქართველოში ინტერვენციით განახორციელა დიდი ხნის წინ ჩაფიქრებული „домашняя заготовка“: აღიარა ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა.⁷⁹⁹

რუსეთის ინტერვენციის პოლიტიკურ სარჩულზე საუბრობენ რუსეთ-საქართველოს სამხედრო კრიზისის შემსწავლელი ევროპის საბჭოს *ad hoc* კომიტეტის წევრებიც. ლუკ ვან დე ბრანდისა და მათიას იორშის მიერ მომზადებულ მოხსენებით მემორანდუმში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ საქართველოსთვის ნატოს წევრობის სამოქმედო გეგმის (ე.წ. MAP-ის) მინიჭების პერსპექტივამ არცთუ ისე მცირე როლი შეასრულა რუსეთის გადაწყვეტილებაში, განეხორციელებინა სამხედრო ინტერვენცია საქართველოს წინააღმდეგ. გარდა ამისა, მემორანდუმში დაფიქსირებულია, რომ რუსეთის სამხედრო ქმედებების აგრესიულობის მაღალი ხარისხისა და საქართველოში რეჟიმის შეცვლის შესახებ რუსული მხარის გამუდმებული საჯარო მოწოდებების გათვალისწინებით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ რუსეთს ამ ქმედებით სურდა, „აღედგინა თავისი პირდაპირი და გადამწყვეტი გავლენა საქართველოზე...“. აქვე ნახსენებია, რომ ინტერვენციის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში უკანასკნელი არ არის აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ფაქტორი.⁸⁰⁰

კომიტეტის კიდევ ერთი წევრი, გორან ლინდბლადი თავის მოხსენებით მემორანდუმში აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ცნობასთან დაკავშირებით წერს: „ის ოპერატიულობა, რომლითაც გამოცხადდა აღიარება, მაფიქრებინებს, რომ სცენარი კარგა ხნით ადრე იყო დაწერილი“. ლინდბლადს მოჰყავს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება იმის შესახებ, რომ „კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და აღიარება აიძულებს რუსეთს, გადახედოს თავის პოლიტიკას აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიმართ, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა არიან რუსეთის მოქალაქეები“.⁸⁰¹

⁷⁹⁷ Brzezinski Z., Staring Down the Russians, Time, August 14, 2008, http://www.time.com/time/specials/packages/article/0,28804,1832294_1832295_1832699,00.html (ნანახია: 07.04.2010).

⁷⁹⁸ რუხაძე ნ., ჰუმანიტარული ინტერვენცია თანამედროვე საერთაშორისო სამართალში, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, №1, 2009, გვ. 54.

⁷⁹⁹ Алексидзе Л., И снова Агрессия, Интервенция и Оккупация Грузии с Целью Ликвидации Суверенитета и Территориальной Целостности Страны, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, 2, 2008, 185.

⁸⁰⁰ რუხაძე ნ., ჰუმანიტარული ინტერვენცია თანამედროვე საერთაშორისო სამართალში, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, №1, 2009, გვ. 54-55.

⁸⁰¹ იქვე, გვ.55.

მემორანდუმში ლინდბლადი წერს, რომ, მისი აზრით, რუსეთმა კონფლიქტის ზონაში საქართველოს ქმედებებს უწოდა გენოციდის მცდელობა მხოლოდ ერთი მიზნით – გამოეყენებინა შესაძლებლობა, „გაეტარებინა თავისი პოლიტიკური ინტერესები“.⁸⁰²

მემორანდუმში ლინდბლადი აღნიშნავს აგრეთვე იმას, რომ თავისი ქმედებით რუსეთი საკუთარ პოლიტიკურ მიზნებს ახორციელებდა არა მხოლოდ საქართველოსთან, არამედ ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან მიმართებითაც. სახელდობრ, მისი აზრით, „...რუსეთსა და საქართველოს შორის ბოლო ომის ერთ-ერთი შედეგი იყო ისიც, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრებმა მიიღეს მკაცრი გაფრთხილება – მათ პატივი უნდა სცენ რუსეთს და მის სტრატეგიულ ინტერესებს“.⁸⁰³

ლინდბლადის მემორანდუმში ხაზგასმულია, რომ საქართველო არის ძირითადი სატრანზიტო ქვეყანა, რომელიც რუსეთის გვერდის ავლით, მსოფლიო ბაზრებზე ახორციელებს კასპიის ნავთობის ტრანსპორტირებას. რუსეთის სამხედრო ქმედებებს შეეძლოთ, სერიოზული ვნება მიეყენებინათ რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოებისთვის, რასაც შესაძლოა გამოეწვია საქართველოს, როგორც სანდო სატრანზიტო ქვეყნის მიმართ ნდობის დაკარგვა, ხოლო რუსეთს უკონკურენტო გარემოს შეუქმნიდა კასპიის ნავთობის ტრანსპორტირებაში.⁸⁰⁴ თუ გავითვალისწინებთ რუსეთის მხრიდან ატეხილ აჟიოტაჟს, როდესაც წყდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გაყვანის საკითხი, და იმ ძალისხმევას, რომელსაც მიმართავდა რუსეთი ამ პროექტის ჩასაშლელად, აგრეთვე იმ ფაქტს, რომ ავვისტოს ომის დროს რუსეთის იერიშის ერთ-ერთი ობიექტი იყო ნავთობსადენი, ჩნდება სამართლიანი ეჭვი, რომ რუსეთის აგრესიის ერთ-ერთი მიზანი იყო საქართველოს, როგორც დასავლეთისათვის სტაბილური და უსაფრთხო ეკონომიკური და სტრატეგიული პარტნიორის, რეპუტაციის შელახვა.⁸⁰⁵

რუსეთმა ჩამოაყალიბა რამდენიმე მიზეზი, რათა გაემართლებინა სამხედრო ინტერვენცია საქართველოში, სადაც აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონები კვლავაც საქართველოს სუვერენიტეტის ქვეშ იმყოფებიან. რუსეთი ცდილობს, დაასაბუთოს, რომ მისი ინტერვენცია მიზნად ისახავდა: 1) შეეჩერებინა საქართველოს აგრესია სამხრეთ ოსების წინააღმდეგ; 2) აღეკვეთა საქართველოს მიერ იქ ჩადენილი ეთნიკური წმენდის, გენოციდისა და ომის დანაშაულები; 3) დაეცვა რუსეთის მოქალაქეები; 4) დაეცვა ე.წ. სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ოსები.⁸⁰⁶

ვერც ერთი აღნიშნული იურიდიული არგუმენტი ვერ უძლებს კრიტიკას. საქართველოს არ დაურღვევია არც ერთი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა. მის ქმედებებში არც გენოციდის, არც ეთნიკური წმენდის ნიშნები არ იკვეთება. ე.წ. სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ოსების

⁸⁰² იქვე.

⁸⁰³ იქვე.

⁸⁰⁴ იქვე.

⁸⁰⁵ იქვე.

⁸⁰⁶ აღექსიძე ლევან, საქართველოში კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი საერთაშორისო დამოუკიდებელი მისიის მოხსენების საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, №2, 2009, №1, 2010, გვ.7-8.

წინააღმდეგ ომის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც კი, შეიარაღებული შეჭრა არ არის გამართლებული. უფრო მეტიც, ე.წ. სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ოსებს აქვთ რუსეთის მოქალაქეობა მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთმა რამდენიმე ხნის წინ ცალმხრივად მიანიჭა მათ თავისი მოქალაქეობა.⁸⁰⁷

გარდა ამისა, რუსეთს არ შეუძლია დაეყრდნოს ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში განლაგებული მშვიდობისმყოფელების დაცვის საფუძველს, რადგან არ არსებობს ძალის გამოყენების ზოგადი უფლება ეროვნული სამშვიდობო კონტინგენტის დასაცავად ან დასახმარებლად. მშვიდობისმყოფელთა სტატუსი და დაცვა, რაც მათ გარანტირებული აქვთ საერთაშორისო სამართლით, ამავე სამართლის თანახმად, მოქმედებს მანამ, სანამ მშვიდობისმყოფელები ნეიტრალურები რჩებიან; საბრძოლო ქმედებებში ჩართვის შემთხვევაში ისინი ავტომატურად კარგავენ სტატუსსა და დაცვას. მშვიდობისმყოფელთა დაცვის მიზნით ძალის გამოყენების არგუმენტს ასუსტებს ის ფაქტი, რომ საქართველომ თავდაცვითი ოპერაცია დაიწყო რუსეთის მიერ სამხედრო თავდასხმის განხორციელებიდან რამდენიმე საათის შემდეგ, მანამდე კი საქართველოს შეიარაღებულ ძალებსა და სამშვიდობო ძალებს შორის რაიმე შეტაკება არ მომხდარა. პირიქით, რუსეთის ფართომასშტაბიან სამხედრო თავდასხმამდე, 7 აგვისტომდე, ერთი კვირის განმავლობაში, გრძელდებოდა თავდასხმა ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში სამოქალაქო მოსახლეობასა და ქართულ სამშვიდობო ძალებზე.⁸⁰⁸

რაც შეეხება აგრესიის განმარტებას, გაეროს გენერალური ასამბლეის 1974 წლის 14 დეკემბრის „აგრესიის დეფინიციის შესახებ“ რეზოლუციის მესამე მუხლის თანახმად, აგრესია არის „ერთი ქვეყნის შეიარაღებული ძალების მიერ მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე შეჭრა ან თავდასხმა, ან სამხედრო ოპერაცია, თუნდაც დროებით, რომელიც ამ შეჭრის ან თავდასხმის შედეგია... ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის დაბომბვა, ან ნებისმიერი იარაღის გამოყენება მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის წინააღმდეგ; საზღვაო პორტებისა და სანაპიროების ბლოკადა სხვა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ“. ამავე რეზოლუციის მე-5 მუხლი მიუთითებს, რომ „არანაირი ნებისმიერი ხასიათის მოსაზრება, იქნება ეს პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო თუ სხვა ხასიათის, არ ამართლებს აგრესიას; აგრესიული ომი არის საერთაშორისო მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, რაც იწვევს საერთაშორისოსამართლებრივ პასუხისმგებლობას“.⁸⁰⁹ რუსეთის ქმედება პასუხობს ყველა იმ ნიშანს, რაც დამახასიათებელია აგრესიული მოქმედებისათვის. რუსეთმა ხელყო საქართველოს სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, დაბომბა საქართველოს ქალაქები, სხვა დასახლებული პუნქტები და საქართველოს ტერიტორია აქცია „ოკუპაციის ობიექტად“. გარდა ამისა, გაეროს გენერალური ასამბლეის

⁸⁰⁷ იქვე, გვ.8.

⁸⁰⁸ საქართველოს მთავრობის ანგარიში რუსეთი ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სრულმასშტაბიან აგრესიასთან დაკავშირებით, თბილისი, 2009 წელი, გვ.105.

⁸⁰⁹ Resolution on the Definition of Aggression, №3314, adopted by General Assembly on 14 December 1974, <http://www.un.org/ga/about/background.shtml> (განახობა: 25.02.2010).

1974 წლის 14 დეკემბრის „აგრესიის დეფინიციის შესახებ“ რეზოლუციის მე-5 მუხლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აგრესიის გამართლება გამორიცხებულია. ამდენად, ოფიციალური მოსკოვის განცხადება, რომ საქართველოში სამხედრო ძალით შეჭრა, ქართული ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების დაბომბვა იძულებითი ღონისძიება იყო და მიზნად მხოლოდ ოსი ხალხის „გადარჩენას“ ისახავდა, არანაირ საერთაშორისოსამართლებრივ ნორმებს არ ეფუძნება. ამასთანავე, რუსეთის სამხედრო ქმედება არ შეესაბამებოდა ძალის გამოყენების აუცილებლობისა და პროპორციულობის კრიტერიუმებს. რუსეთს არც უცდია სამხედრო ძალის გამოყენების ნაცვლად სხვა ალტერნატიული საშუალებებისათვის მიემართა, პირიქით, ის ხელს უშლიდა ნებისმიერი სამშვიდობო ინიციატივის განხორციელებას, გარდა ამისა, მის მიერ გამოყენებული ძალა იყო არათანაზომიერი, არაპროპორციული, რაც დადასტურებულია საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ.⁸¹⁰ რუსეთმა თავდასხმის სამიზნედ გახადა სამოქალაქო თუ სამხედრო დანიშნულების პრაქტიკულად ყველა საკვანძო ობიექტი, ხელოვნურად გააფართოვა საბრძოლო მოქმედებების არეალი და მოიცვა ტერიტორიები, რომლებსაც არავითარი შეხება კონფლიქტის ზონასთან არ ჰქონია. ამდენად, „საკუთარი მოქალაქეების დაცვის“ საბაბით დაწყებული რუსეთის სამხედრო მოქმედებები სადამსჯელო ოპერაციად იქცა, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს მთელი ტერიტორიის ოკუპაციას.

ეს ომი მიმართული იყო არა მხოლოდ საქართველოს, არამედ, ზოგად კონტექსტში, უფრო დასავლეთის წინააღმდეგ. თბილისი იქცა განტევების ვაცად რუსეთის საყვედურებისა და განრისხების გამოსავლენად, რომელიც წლების განმავლობაში გროვებოდა შეერთებული შტატების, ნატოს და იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც, მოსკოვის აზრით, ესმარებოდნენ საქართველოს. ეს დამოკიდებულება გამოვლინდა ყველაფერში, თუნდაც: როგორ გააშუქა რუსულმა მედიამ ომი, როგორ შეაფასეს რუსმა ოფიცრებმა საკუთარი „მისია“ ოკუპაციის პერიოდში. ეს გაღიზიანება, უპირველესად, მიმართული იყო შეერთებული შტატებისა და ნატოს მიმართ, მაგრამ ამით არ დასრულებულა. რუსმა ჯარისკაცებმა ისეთივე სიამოვნებით გაანადგურეს ევროკავშირის დროშები, როგორითაც აშშ-ისა და ნატოს ნებისმიერი სიმბოლო.⁸¹¹

დასავლეთში ბევრმა სცადა, უკან დაეხია, თითქოს რუსეთ-საქართველოს ომი მხოლოდ ადგილობრივი კონფლიქტი იყო, რომლის მონაწილეებიც ისინი არ იყვნენ. მაგრამ მაინც ნაკლებად საეჭვოა, რომ რუსეთისთვის ეს ომი არ იყო ახალი პოლიტიკის დასაწყისი, რომელიც გულისხმობდა დასავლეთის ზეგავლენის დასუსტებას და რუსეთის საზღვრებთან დასავლური ინსტიტუტების მიახლოების ნებისმიერი

⁸¹⁰ Statement of North Atlantic Council at the Level of Foreign Ministers, August 19, 2008, www.nato.int, საქართველოს მთავრობის ანგარიში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სრულმასშტაბიან აგრესიასთან დაკავშირებით, თბილისი, 2009 წელი.

⁸¹¹ აღექსიძე ლევან, საქართველოში კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი საერთაშორისო დამოუკიდებელი მისიის მოხსენების საერთაშორისოსამართლებრივი ასპექტები, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, №2, 2009, №1, 2010, გვ.12.

მცდელობის დარეგულირებას. მოსკოვი აცხადებდა, რომ უკან დახევის პერიოდი დასრულდა. ამგვარად, ის ატყობინებდა მთლიანად დასავლეთს, რომ საქართველო მისი გავლენის ფარგლებში გახლდათ. ეს იყო გზავნილი, რომ რუსეთი ნამდვილად მზად იყო ბრძოლისთვის, რათა არ დაეშვა თავის საზღვრებთან დასავლეთის შემდგომი მიახლოება, განსაკუთრებით კი ნატოს სახით.⁸¹²

დღეს კი რუსეთი გულმოდგინედ ცდილობს, გაამართლოს საკუთარი ქმედებები საერთაშორისო სამართალზე მითითებით, არ დაუშვას აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე ევროკავშირისა და ეუთოს დამკვირვებლები, უარს აცხადებს შეიარაღებული ძალების იმ პუნქტებამდე გადაყვანაზე, სადაც ისინი განლაგებულნი იყვნენ კონფლიქტის დაწყებამდე, ანუ 6 აგვისტომდე.⁸¹³

გაზეთ „გარდიანში“ 2008 წლის 1 სექტემბერს გამოქვეყნებულ სტატიაში – „მგელი, რომელმაც საქართველო შეჭამა“ – საერთაშორისო სამართლის ცნობილი ექსპერტი, ყოფილი იუგოსლავიისათვის შექმნილი საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის პირველი პრეზიდენტი ანტონიო კასესე აღნიშნავს, რომ რუსეთის ყველა მცდელობა, ბრალი დასდოს საქართველოს, კრიტიკას ვერ უძლებს. იგი მიუთითებს, რომ რუსეთმა დაარღვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მე-2 მუხლი, რომლის თანახმად, გაეროს ყველა წევრი თავს იკავებს საერთაშორისო ურთიერთობებში ძალით მუქარისა ან მისი გამოყენებისაგან ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.⁸¹⁴

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა მთელი მსოფლიო შეძრა... ევროპული უსაფრთხოების თვალსაზრისით, ის უდიდეს კრიზისად იქცა მას მერე, რაც სერბმა დიქტატორმა სლობოდან მილოშევიჩმა XX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს თავისი „ნაგაზები“ აუშვა და ეთნიკური წმენდა ჩაატარა ბალკანეთში, რამაც რუსეთი და დასავლეთი ლამის ახალ „ცივ ომამდე“ მიიყვანა. ავღანეთში 1979 წელს, საბჭოთა ჯარების შესვლის შემდეგ პირველად, მოსკოვი არა მარტო ძალით შეიჭრა მეზობელ ქვეყანაში, არამედ „ცივი ომის“ შემდგომი ევროპის უსაფრთხოების უმთავრესი კანონიც არად ჩააგდო, რომლის თანახმადაც, იარაღის ძალით ევროპაში საზღვრები აღარასოდეს უნდა შეცვლილიყო. 2008 წლის აგვისტოში რუსეთმა საკუთარი პოლიტიკის ის მახინჯი, ნეოიმპერიალისტური მხარე წარმოაჩინა, რაც ბევრს ევროპაში საბოლოოდ უარყოფილი ეგონა. ამ კონფლიქტის შემდეგ ვლადიმერ პუტინის რუსეთისათვის, წესით, აღარავის უნდა შეეხედა იმ თვალთ, რა თვალთაც მანამდე უყურებდნენ: უკვე ნათლად გამოჩნდა, რომ მეზობლისთვის საკუთარი ნების თავს მოსახვევად რუსეთი კვლავაც არაფერზე დაიხვედა უკან.⁸¹⁵

⁸¹² იქვე.

⁸¹³ ალექსიძე ლევან, “საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის შეიარაღებული შემოჭრის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები”, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, №2, 2008 წელი, გვ.8.

⁸¹⁴ Cassese Antonio, The Wolf That Ate Georgia, September 1, 2008, <http://www.guardian.co.uk/commentisfree/2008/sep/01/georgia.russia1> (ნანახია: 20.05.2009).

⁸¹⁵ ასმუხი რონალდ, მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010 წელი, გვ.5.

ის, რაც 7 აგვისტოს მოხდა, გაცილებით უფრო ხანგრძლივი და რთულსიუჟეტოანი დრამის მხოლოდ ბოლო მოქმედება იყო. როცა მოსკოვი საბოლოოდ დარწმუნდა – თბილისი არჩეული გზიდან არ გადაუხვევსო, საქართველოს ომი დე ფაქტო ჯერ კიდევ მანამდე გამოუცხადა, ვიდრე 2008 წლის ზაფხულის საომარი მოქმედებები დაიწყებოდა: ომი რუსეთისათვის ძველი კურსისაკენ დაბრუნების უფრო ზოგადი სტრატეგიული ჩანაფიქრის მხოლოდ ნაწილი იყო, იმ სტრატეგიისა, რომელსაც მზარდი ნაციონალიზმი კვებავდა, მისი საბოლოო მიზანი კი მეზობლებზე ხელახალი ბატონობის სურვილი გახლდათ. ყალფზე შემდგარი რუსეთი წუთითაც არ ფიქრობდა საქართველოს „ხელიდან გაშვებას“ და ამიერკავკასიაში საკუთარ პრეტენზიებზე უარის თქმას. ამიტომაც იყო კრემლისთვის მნიშვნელოვანი ის, რაც შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ამ პატარა, სულ რაღაც 4-5-მილიონიან ქვეყანაში მოხდა. ამიტომაც გამოიწვია კრემლის ესოდენი რისხვა თბილისის გულაცრუებამ რუსეთისადმი.⁸¹⁶

4. საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქცია რუსეთის აგრესიაზე

2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა აგრესიამ ფარდა ახადა რუსეთის ე.წ. მშვიდობისმყოფელობასა და მედიატორობას. საერთაშორისო თანამეგობრობისთვის ნათელი გახდა, რომ საქართველოში ხდებოდა არა „შიდა კონფლიქტები“, არამედ ეს იყო რუსეთის ფედერაციის მიერ ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაცია და ანექსია. ევროსაბჭოს №1633 (2008) რეზოლუციაში აღინიშნა, რომ 2008 წლის აგვისტოში მოხდა „რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილების ოკუპირება, ისევე როგორც ქვეყნის ეკონომიკურ და სტრატეგიულ ინფრასტრუქტურაზე თავდასხმა, რაც აღიქმება საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფად და, შესაბამისად, ევროსაბჭოს სტატუსის დარღვევად“.⁸¹⁷

ომის დაწყების დღიდან საქართველოში განვითარებულ მოვლენებს 24 საათის განმავლობაში აშუქებდა საერთაშორისო მედია. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი დემოკრატიული სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირი, რომ არ დაეგმო რუსეთის ქმედებები, არ მოეწოდებინა მისთვის ცეცხლის შეწყვეტისა და ჯარების გაყვანისაკენ. მეტიც, არ წყდებოდა თბილისში ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი თანამდებობის პირების სტუმრობა, რომლებიც საქართველოს მხარდასაჭერად ჩამოდიოდნენ. თბილისს აგრეთვე ეწვივნენ ევროკომისიის პრეზიდენტი ჟოზე მანუელ ბაროზუ და ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელი ჰავიერ სოლანა.⁸¹⁸

⁸¹⁶ იქვე.

⁸¹⁷ საქართველოს მთავრობის ანგარიში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სრულმასშტაბიან აგრესიასთან დაკავშირებით, თბილისი, 2009 წელი, გვ.62.

⁸¹⁸ იქვე.

2008 წლის 19 აგვისტოს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს საგარეო საქმეთა მინისტრიალის საგანგებო სხდომა ჩატარდა, სადაც სხდომის მონაწილეებმა საქართველოში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით შეშფოთება გამოხატეს და განიხილეს მისი საგარეო უსაფრთხოებისათვის.⁸¹⁹

„ჩვენ გამოვხატავთ სინანულს დაღუპულების, უბედური შემთხვევებისა და იმ ზიანის გამო, რომელიც სამოქალაქო ინფრასტრუქტურას კონფლიქტის შედეგად მიაღწია, დაზარალებულებს ჰუმანიტარულ დახმარებას ვუწევთ, ასევე, შევხვდით ეუთოს მოქმედ თავმჯდომარეს, ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, ალექსანდრე სტუბს და განვიხილეთ მთავარი საკითხები, რომელთა განხორციელება აუცილებელია“ – მითითებულია ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების ოფიციალურ განცხადებაში.⁸²⁰

ზემოაღნიშნული დოკუმენტის თანახმად, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ჰუმანიტარული სიტუაციით უკიდურესად შეშფოთებულები იყო. ნატოს წევრი ქვეყნების მთავრობები მუშაობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის სხვა წარმომადგენლებთან, რათა კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობა საჭირო ჰუმანიტარული დახმარებით დაუყოვნებლივ უზრუნველყოთ.⁸²¹

ალიანსის საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ, მხარი დაეჭირათ საქართველოსთვის სხვადასხვა მიმართულებით. დამატებით თანხმდებოდნენ, რომ ჩრდილოატლანტიკური საბჭო სწრაფად უზრუნველყოფდა ნატო-საქართველოს კომისიის ფორმირებას. ეს კომისია ზედამხედველობას გაუწევდა ბუქარესტის სამიტზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, მათ შორის აღნიშნულ შეხვედრაზე შეთანხმებულ მხარდამჭერ ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ საქართველოს, როგორც ნატოს ღირებულები და გრძელვადიანი პარტნიორის, დახმარებას, აგრეთვე, სამხედრო მოქმედებებით გამოწვეული ზიანის შეფასებასა და აუცილებელი სამსახურების აღდგენას, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალისთვისა და ეკონომიკური საქმიანობის სათანადოდ განხორციელებისათვისაა საჭირო.⁸²²

„საქართველოს უსაფრთხოება და სტაბილურობა ალიანსისთვის მნიშვნელოვანია. კონფლიქტი საქართველოსა და რუსეთს შორის რეგიონალური სტაბილურობისა და უსაფრთხოებისათვის შემაშფოთებელია. ჩვენ ღრმა სინანულს გამოვხატავთ საქართველო-რუსეთის კონფლიქტში ძალის გამოყენების გამო. კვლავ ვადასტურებთ, რომ სამხედრო გზით კონფლიქტი არ გადაწყდება. ამ კრიზისულ ვითარებაში რუსეთის მოქმედება გვაშფოთებს. რუსეთს თავის პასუხისმგებლობას ვახსენებთ, რათა უსაფრთხოება და წესრიგი შეინარჩუნოს მის მიერ კონტროლირებად ადგილებში, განსაკუთრებით მაშინ, როცა გამუდმებით იუწყებიან რუსეთის მხრიდან სამოქალაქო

⁸¹⁹ ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების ოფიციალური განცხადება, 2008 წლის 19 აგვისტო, გაზეთ „24 საათის“ დამატება – „ნატო საქართველოში“, №9, 2008 წლის 15 სექტემბერი, გვ. 2.

⁸²⁰ იქვე.

⁸²¹ იქვე.

⁸²² იქვე.

ინფრასტრუქტურის გამიზნულ განადგურებაზე. რუსეთის სამხედრო ქმედება მშვიდობისმყოფელთა როლთან არათანაზომიერი და წინააღმდეგობრივი იყო, ხოლო შეუსაბამო – ჰელსინკის დასკვნით აქტში მოცემულ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგების პრინციპებთან, ნატო-რუსეთის დამფუძნებელ აქტსა და რომის დეკლარაციასთან. ალიანსი სერიოზულად მიიღებს მხედველობაში რუსეთის მიერ განხორციელებულ ქმედებებს ნატო-რუსეთის ურთიერთობების გაგრძელების თვალსაზრისით... ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ არ შეგვიძლია გაავარძელოთ საქმიანობა ჩვეულებრივ“ – აღნიშნულია დოკუმენტში.⁸²³

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები მოუწოდებდნენ რუსეთს, დაუყოვნებლივ განეხორციელებინა რუსეთის ჯარების გაყვანა მხარიდან, რასაც ითვალისწინებდა 6-პუნქტიანი შეთანხმება. ნატო ხელახლა ადასტურებდა თავის ვალდებულებებს იმ გადაწყვეტილებებთან მიმართებით, რომლებიც აიღეს ალიანსის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა ბუქარესტის სამიტზე 2008 წლის აპრილში, მათ შორის საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებთან დაკავშირებით.⁸²⁴

ეუთოს მუდმივმოქმედი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ცხინვალის რეგიონის მიმდებარე “უსაფრთხოების ზონაში” 20 დამკვირვებლის დაუყოვნებლივ გაგზავნის თაობაზე. რუსეთი კვლავ არ დგამს რაიმე ქმედით ნაბიჯებს ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. მეტიც, სენაკსა და ფოთში გამაღებით აწყობენ სანგრებს. ქართველ ხალხს უსაფრთხოების შეგრძნება მხოლოდ მაშინ უნდებოდა, როდესაც 24 აგვისტოს ამერიკის შეერთებული შტატების ჰუმანიტარული ტვირთით დატვირთული ხომალდი “მაკფაული” (USS McFaul) შემოდის ბათუმის ნავსადგურში.⁸²⁵

29 აგვისტოსთვის შავი ზღვის აკვატორიაში უკვე იმყოფება ნატოს ათი გემი: სამი ამერიკული ხომალდი, ესპანური ფრეგატი “ადმირალი ხუან დე ბორბონი”, პოლონური ფრეგატი “გენერალ პულასკი”, გერმანული ფრეგატი “ლიუბეკი” და ოთხი თურქული გემი.⁸²⁶

2008 წლის 1 სექტემბერს ბრიუსელში საგანგებოდ შეიკრიბა ევროკავშირის მინისტრული, რომელმაც მოუწოდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, არ ეცნოთ სეპარატისტული რეგიონები და დაგმო რუსეთის გადაწყვეტილება აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების თაობაზე, ამასთან, რუსეთის ქმედებებს დისპროპორციული უწოდა. გარდა ამისა, ევროკავშირმა ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ეგიდით მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში დამოუკიდებელი სამოქალაქო დამკვირვებლების გამოგზავნის შესახებ.⁸²⁷

⁸²³ იქვე.

⁸²⁴ იქვე.

⁸²⁵ საქართველოს მთავრობის ანგარიში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სრულმასშტაბიან აგრესიასთან დაკავშირებით, თბილისი, 2009 წელი, გვ.64.

⁸²⁶ იქვე.

⁸²⁷ Extraordinary European Council, Brussels, September 1, 2008, Presidency Conclusions, pp.2-3, http://www.report.smr.gov.ge/GoG_WarRep_Ch9/GoG_WarRep_Ch9.Att221.pdf (ნანახია: 20.05.2009).

2008 წლის 3 სექტემბერს საქართველოში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით ბრიუსელში ევროპარლამენტი იღებს რეზოლუციას, რომელშიც დადასტურებული და ხაზგასმულია საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და საერთაშორისო დონეზე აღიარებული საზღვრების ფარგლებში ტერიტორიული მთლიანობის უპირობო მხარდაჭერა. რეზოლუციაში დაგმობილია სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობისთვის რუსული პასპორტების დარიგება, გაძლიერებული სამხედრო აქტივობა ქართველებით დასახლებულ სოფლებში, რუსების სამხედრო მანევრები საქართველოს საზღვრებთან ახლოს; აღნიშნულია 158 000 ადამიანის იძულებით გადაადგილების ფაქტი, ასევე დაგმობილია რუსეთის ფედერაციის მიერ სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის ცნობა.⁸²⁸

2008 წლის 18 სექტემბერს ეუთოს მუდმივმოქმედმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში ეუთოს მისიის სამხედრო მონიტორების რაოდენობის 100-მდე გაზრდის შესახებ. მათი ნაწილი ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა განთავსებულიყო. მონიტორების ფუნქციებში შედიოდა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების სრულად განხორციელების, ჰუმანიტარული დერეფნის უზრუნველყოფისა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა. მაგრამ, რუსეთის ფედერაციამ ვეტოს უფლება გამოიყენა და პროექტი დაბლოკა. ხოლო 2008 წლის 4 დეკემბერს ქალაქ ჰელსინკიში გამართულ ეუთოს მინისტრიალზე რუსეთის ფედერაციამ ვეტოს უფლების გამოყენებით კიდევ ერთხელ დაბლოკა საერთოდ საქართველოში ეუთოს მისიის მანდატის გაგრძელება. რაც შეეხება UNOMIG-ის მანდატს, იგი რუსეთის მიერ ვეტოს გამოყენების შედეგად შეწყვეტილია. 2009 წლის 15 ივნისს რუსეთის ფედერაციამ ვეტოს უფლებით შეაჩერა გაეროს სადამკვირვებლო მისიის 16-წლიანი მუშაობა საქართველოში, რის მიზეზადაც დასახელდა ადგილზე არსებული ახალი რეალობა და ის ფაქტი, რომ თავად აღარ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. საერთაშორისო თანამეგობრობისა და საქართველოსთვის სამწუხაროდ, რეგიონალური სტაბილურობის საზიანოდ, UNOMIG-მა შეწყვიტა ფუნქციონირება.⁸²⁹

ევროკავშირის 2008 წლის 1 სექტემბრის საგანგებო სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ამ ორგანიზაციის დამკვირვებელთა პირველი ნაკადი საქართველოში 24 სექტემბერს ჩამოდის. 1 ოქტომბერს კი 22 წევრი სახელმწიფო 200-ზე მეტ დამკვირვებელს გზავნის.⁸³⁰

2008 წლის დეკემბერში ევროკავშირი „კონფლიქტის დაწყებისა და მიმდინარეობის“ საკითხთა შესწავლის მიზნით ქმნის მისიას, რომლის ხელმძღვანელად ინიშნება შვეიცარიელი დიპლომატი ჰაიდი ტალიაინი.⁸³¹

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ და მიმდებარე ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების ტოტალური დარღვევის ფაქტები ასახულია

⁸²⁸ საქართველოს მთავრობის ანგარიში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სრულმასშტაბიან აგრესიასთან დაკავშირებით, თბილისი, 2009 წელი, გვ.63-64.

⁸²⁹ იქვე, გვ.66-67.

⁸³⁰ იქვე, გვ.67.

⁸³¹ იქვე, გვ.65.

ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის, თომას ჰამერბერგის, მოხსენებებშიც. იგი ხაზს უსვამს ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით რეგიონში საერთაშორისო ძალების ყოფნისა და მონიტორინგის განხორციელების მნიშვნელობას.⁸³²

2009 წლის 4 მარტს ევროპულმა კომისიამ – „დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით (ვენეციის კომისია)“ – დაადასტურა, რომ: „ნებისმიერი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს მკაფიო და ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე, მიხნეულ უნდა იქნეს სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიულ ოკუპაციად“.⁸³³

ეუთოს უმაღლესმა კომისარმა ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში 2009 წლის 14 აპრილს ჰააგაში მწვავე განცხადება გააკეთა. მან მოუწოდა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას, შეწყვიტოს გალის რეგიონში ქართულ მოსახლეობაზე ზეწოლა. კერძოდ, მათი განათლების უფლების შეზღუდვა, იძულებითი “პასპორტიზაცია”, აფხაზურ არმიაში ქართველების იძულებით გაწვევა და თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა”.⁸³⁴

2010 წლის 1 ივნისს ლიტვის რესპუბლიკის სეიმმა მიიღო რეზოლუცია „საქართველოში შექმნილი ვითარების შესახებ“, რომლის თანახმად, ლიტვის პარლამენტი რუსეთის შეიარაღებული ძალების ყოფნას საქართველოს ტერიტორიაზე და მარიონეტული რეჟიმების ქმედებებს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში აფასებს საქართველოს ტერიტორიების ნაწილების უკანონო ოკუპაციად და საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად.⁸³⁵

რეზოლუცია გმობს შეიარაღებულ თავდასხმას და სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეჭრას, სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის დაბომბვას, მის ოკუპაციასა და ანექსიას, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქალაქეობის მასობრივად უკანონო მინიჭებასა და ცრუსახელმწიფოებრივი მარიონეტული წარმონაქმნების შექმნას, ადამიანის უფლებათა მძიმე და სისტემატურ დარღვევებს, ეთნიკური წმენდის ჩათვლით, ადამიანობის წინაშე ჩადენილ სხვა, მათ შორის სამხედრო, დანაშაულებს.⁸³⁶

ზემოაღნიშნული რეზოლუცია ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ერთა თვითგამორკვევის უფლების სუბიექტი არ შეიძლება იყოს გარკვეული ტერიტორიის მოსახლეობა, თუ ამ ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოს ხელშეწყობით ეთნიკური წმენდის შედეგად არსებითად შეცვლილია დემოგრაფიული მდგომარეობა და იქ დარჩენილ მაცხოვრებლებს მასობრივად მიენიჭათ იმ უცხო სახელმწიფოს მოქალაქეობა.⁸³⁷

⁸³² Human Rights in Areas Affected by the South Ossetia Conflict, Thomas Hammarberg, Council of Europe Commissioner for Human Rights, Strasbourg, September 8, 2008, pp.18-19, http://www.report.smr.gov.ge/GoG_WarRep_Ch9/GoG_WarRep_Ch9.Att222.doc (ნანახია: 20.05.2010).

⁸³³ საქართველოს მთავრობის ანგარიში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სრულმასშტაბიან აგრესიასთან დაკავშირებით, თბილისი, 2009 წელი, გვ.67-68.

⁸³⁴ იქვე, გვ.66.

⁸³⁵ ლიტვის რესპუბლიკის სეიმის რეზოლუცია “საქართველოში შექმნილი ვითარების შესახებ”, 2010 წლის 1 ივნისი, www.mfa.gov.ge (ნანახია: 02.06.2010).

⁸³⁶ იქვე.

⁸³⁷ იქვე.

ლიტვის რესპუბლიკის სეიმის რეზოლუციაში მითითებულია, რომ რუსეთის ფედერაცია არ ასრულებს 2008 წლის 12 აგვისტოს სამშვიდობო შეთანხმების ვალდებულებებს, არ გაჰყავს თავისი სამხედრო ძალები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან კონფლიქტამდე არსებულ პოზიციებზე და უკანონოდ აღიარა მის მიერ მხარდაჭერილი მარიონეტული წარმონაქმნები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ასევე დაბლოკა გაერთიანებული ერებისა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციების დამკვირვებელთა მისიების ვადის გაგრძელება და ხელს უშლის ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიის საქმიანობას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე.⁸³⁸

ლიტვის სეიმი პირველი ეროვნული პარლამენტია, რომელმაც საქართველოს ოკუპაცია, როგორც ტერმინი, დააკანონა. მეტიც, სეიმმა ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტსა და მთავრობას მოუწოდა, იხელმძღვანელონ ამ რეზოლუციის პრინციპებით საგარეო პოლიტიკის საკითხების მოგვარებისა და განხორციელებისას.

2010 წლის ნოემბერში ნატოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებულ რეზოლუციაში აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი მოხსენიებულია ოკუპირებულ ტერიტორიებად. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ასამბლეა დრმა შეშფოთებას გამოთქვამს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ჰუმანიტარული სიტუაციის გამო და მოუწოდებს მოსკოვს, ცხინვალსა და სოხუმს, შეცვალონ შედეგი იმისა, რაც საქართველოს კონფლიქტზე ფაქტების დამდგენმა დამოუკიდებელმა საერთაშორისო მისიამ და სხვა საერთაშორისო დოკუმენტებმა აღწერეს როგორც ეთნიკური წმენდა.⁸³⁹ ამდენად, რეზოლუცია იყენებს ტერმინ „ოკუპაცია“ და მიუთითებს ეთნიკური წმენდის არსებობაზე.

2011 წლის 29 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ზედა პალატამ - სენატმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და აფხაზეთს და ე.წ. სამხრეთ ოსეთს რუსეთის მიერ ოკუპირებულ რეგიონებად აღიარებს. რეზოლუცია ადასტურებს, რომ საქართველოს სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვევობისადმი მხარდაჭერა, ასევე აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ საქართველოს რეგიონებად აღიარება შეერთებული შტატების პოლიტიკის ნაწილია.⁸⁴⁰ დოკუმენტი მნიშვნელოვანია სეპარატისტული რეგიონების ხელისუფლებათა მიმართ გამოყენებული ტერმინების თვალსაზრისითაც, რეზოლუციაში გამოყენებულია ტერმინი “მაკონტროლებელი ძალაუფლება”⁸⁴¹ – სწორედ ამ ტერმინით იხსენებს

⁸³⁸ იქვე.

⁸³⁹ NATO Parliamentary Assembly, Resolution N382 on the Situation in Georgia, adopted by the Plenary Assembly on 16 November 2010, Warsaw, Poland, p.1, http://www.parliament.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=63&info_id=29792 (განახილ: 15.01.2011).

⁸⁴⁰ Resolution 175, Expressing the sense of the Senate with respect to ongoing violations of the territorial integrity and sovereignty of Georgia and the importance of a peaceful and just resolution to the conflict within Georgia's internationally recognized borders, the Senate of the United States, 2011, p.5.

⁸⁴¹ იქვე, გვ.6.

სოხუმისა და ცხინვალის ხელისუფლებებს საქართველოს მთავრობის სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ.

2011 წლის 17 ნოემბერს ევროპარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციაში აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებად არის მოხსენებული. ამასთანავე, რეზოლუციაში აღიარებულია საქართველოში განხორციელებული ეთნიკური წმენდა.⁸⁴²

ზემოაღნიშნული დოკუმენტები წარმოადგენენ საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციის მყარ საფუძველს. რუსეთის მიმართ ბრალდებების ნუსხა ყოველისმომცველია, რასაც სერიოზული პოლიტიკური შედეგები უნდა მოყვას.

სამწუხაროდ, ქართულ-რუსული კონფლიქტის შედეგად ნათელი გახდა ის ნაკლოვანებებიც, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციებს ხელს უშლის სიტუაციაზე ეფექტურად და სწრაფად რეაგირებაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კონფლიქტში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედი წევრია ჩარეული. სწორედ ვეტოს უფლების არსებობის პირობებში ვერ მოახერხა გაეროს უშიშროების საბჭომ ადეკვატური ზომების მიღება აგრესიის შესაჩერებლად; ეუთოს კი სწორედ იმ წესმა შეუშალა ხელი მასზე დაკისრებული მისიის განხორციელებაში, რომელიც გადაწყვეტილების კონსენსუსის წესით მიღებას გულისხმობს, რადგან რუსეთმა დაბლოკა გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.⁸⁴³

2008 წლის 12 აგვისტოს საქართველომ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სარეგისტრაციო განყოფილებაში წარადგინა სარჩელი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციის დარღვევებთან დაკავშირებით. საკუთარ სარჩელში საქართველო აცხადებს, რომ: რუსეთის ფედერაცია ცდილობს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების შემადგენლობის შეცვლის კონსოლიდირებას, რომელიც გამოწვეული იყო მისი ქმედებებით, „არ დაუშვას იძულებით გადაადგილებულ ქართველ მოქალაქეთა დაბრუნება ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში და ხელი შეუშალოს საქართველოს, განახორციელოს იურისდიქცია მისი ტერიტორიის ამ ნაწილში“.⁸⁴⁴

ამასთანავე, საქართველო აცხადებს, რომ 2008 წლის 8 აგვისტოს რუსეთის ფედერაციამ „დაიწყო საქართველოში ფართომასშტაბიანი სამხედრო შემოჭრა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ეთნიკური სეპარატისტების მხარდაჭერით“, რის შედეგად „დაიღუპა ასობით მოქალაქე, მოხდა მოქალაქეთა საკუთრების სასტიკი განადგურება და

⁸⁴² European Parliament Resolution of 17 November, 2011, <http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?type=TA&reference=P7-TA-2011-0514&format=XML&language=EN> (გადმოტვირთულია: 18.11.2011).

⁸⁴³ ლ. ალექსიძე, “საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის შეიარაღებული შემოჭრის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები”, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, №2, 2008 წელი, გვ.8.

⁸⁴⁴ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება დროებითი დონისძიებების დაკისრების შესახებ რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის თაობაზე საერთაშორისო კონვენციის გამოყენების საქმესთან დაკავშირებით (საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ), 2008 წლის 15 ოქტომბერი, გვ.2, <http://www.justice.gov.ge/files/Documents/GG-ORDER.doc> (ნანახია: 02.06.2010).

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ეთნიკური ქართული მოსახლეობის ფაქტობრივად მთლიანად გადაადგილება“; და მიუხედავად საქართველოს შეიარაღებული ძალების გაყვანისა და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ცალმხრივი განცხადებისა, რუსეთი აგრძელებდა სამხედრო ოპერაციების განხორციელებას ე.წ. სამხრეთ ოსეთის ფარგლებს გარეთაც, საქართველოს მთავრობის კონტროლის ქვეშ არსებულ ტერიტორიებზე.⁸⁴⁵

საქართველო უთითებს, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთში პირველი ინტერვენციის ფაზა მიმდინარეობდა 1990-1992 წლებში, ხოლო აფხაზეთში 1991-1994 წლებში; სადაც საქართველო ამტკიცებს, რომ ამ პირველი ფაზის განმავლობაში „რუსეთის ფედერაციამ ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სეპარატისტულ ძალებს არსებითი დახმარება გაუწია ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ განხორციელებულ თავდასხმებსა და მათ მასობრივ გაძევებაში“ და, რომ დახმარება რუსეთის ფედერაციის მხრიდან აისახებოდა „იარაღით მომარაგებაში, მეომრების დაქირავებასა და აღჭურვაში, აფხაზეთის შემთხვევაში კი, ასევე რუსული შეიარაღებული ძალების მიერ სეპარატისტების სამხედრო მოქმედებებისათვის პირდაპირ მხარდაჭერაში“.⁸⁴⁶

1992 წლის 24 ივნისს სამხრეთ ოსეთში საომარი მოქმედებები ფორმალურად დასრულდა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების პრინციპების შესახებ შეთანხმებაზე ხელმოწერით საქართველოს, ე.წ. სამხრეთ ოსეთის „სეპარატისტული ძალებისა“ და რუსეთის ფედერაციის მიერ; ხოლო აფხაზეთში 1994 წლის 14 მაისს საქართველომ, აფხაზეთის „სეპარატისტებმა“ და რუსეთის ფედერაციამ ხელი მოაწერეს მოსკოვის შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტისა და ძალების განცალკევების თაობაზე. ორივე შეთანხმება უზრუნველყოფდა ერთობლივი სამშვიდობო ძალების შექმნას, რომელიც, ქართული მხარის სიტყვებით, „მართული იყო მოჩვენებითად ნეიტრალური რუსი მშვიდობისმყოფელების მიერ“.⁸⁴⁷ „მოჩვენებითი მშვიდობისმყოფელის მანდატის გამოყენებით რუსეთის ფედერაციას, ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში რასობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკის იმპლემენტაციით, სურდა, განეხორციელებინა ეთნიკური ქართველებისა და სხვა ჯგუფების იძულებით გადაადგილების კონსოლიდირება, რამაც გამოიწვია „ეთნიკური წმენდა“ 1991-1994 წლებში“.⁸⁴⁸

რუსეთის ფედერაცია სისტემატიურად ცდილობდა, დაერღვია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების გზით. ამ ქმედებებმა საგრძნობლად დაძაბა მდგომარეობა და ხელი შეუწყო კონფლიქტის კიდევ უფრო ფართოდ ესკალაციას.⁸⁴⁹

2011 წლის პირველ აპრილს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს სარჩელის არსებითად განხილვაზე უარი განაცხადა. სასამართლოს წევრები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, დაეყრდნენ „რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის“ კონვენციის 22-ე მუხლს. ამ მუხლის მიხედვით, ქვეყნებს შორის დავას სასამართლო განიხილავს

⁸⁴⁵ იქვე, გვ.11.

⁸⁴⁶ იქვე, გვ.3.

⁸⁴⁷ იქვე, გვ.4.

⁸⁴⁸ იქვე.

⁸⁴⁹ იქვე, გვ.5.

მხოლოდ მაშინ, თუ მხარეებმა მისი გადაჭრა მოლაპარაკებების ან კონვენციით გათვალისწინებული პროცედურების გზით ვერ შეძლეს. ამავე გადაწყვეტილებაში მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად შეუძლია, ეთნიკურ წმენდასთან დაკავშირებით პრეტენზიები წაუყენოს რუსეთს,⁸⁵⁰ შესაბამისად სასამართლომ რუსეთი აღიარა კონფლიქტის მხარედ.

ძალის გამოყენება, ამ ძალის მიმართვა გაეროს წევრი სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის გამოსაყოფად, სეპარატისტული რეჟიმების *de jure* დამოუკიდებლობის აღიარება და მათ მიერ კონტროლირებული ტერიტორიების რუსეთის სამხედრო პლაცდარმებად გადაქცევა აბსოლუტურად ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის მინიმალურ პრინციპებს.⁸⁵¹

ფაქტია, რომ რუსეთი არის მხარე, რაც დადასტურებულია არა მარტო ევროსაბჭოს, ევროკავშირისა და ნატოს ფარგლებში მიღებული დოკუმენტებით, რომლებიც მოითხოვენ, უარი ითქვას საქართველოს რეგიონების უკანონო აღიარებაზე.⁸⁵² არამედ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ. ამდენად, საერთაშორისო თანამეგობრობა აღიარებს რუსეთის როლის ტრანსფორმაციას დეკლარირებული კონფლიქტის მომრიგებელიდან კონფლიქტის მხარედ.

⁸⁵⁰Case Concerning Application of the International Convention on the Elimination of All Forms of Racial Discrimination (Georgia v. Russian Federation), Judgement, April 1, 2011, p.4, <http://www.icj-cij.org/docket/files/140/16398.pdf?PHPSESSID=cc948820e4706ee5373c5b0a8a4e4ff2> (ნანახია: 20.04.2011).

⁸⁵¹ ალექსიძე ლევან, “საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის შეიარაღებული შემოჭრის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები”, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, №2, 2008 წელი, გვ.8.

⁸⁵² Alexidze Levan, The Failure of the UN Security Council in Settlement of the Conflict in Abkhazia, Georgia, Undermines the Fundamentals of the International Legal Order, Journal of International Law, N1, 2009, p. 117.

დასკვნა

ნაშრომში მოცემული საკითხების გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი დასკვნითი დებულებები:

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება არ ითვალისწინებს მუდმივი საერთაშორისო ძალების დაფუძნებას, რომელთა ფორმირებას უშუალოდ თავად გაერო განახორციელებს. ნაცვლად ამისა, გაეროს წესდების 42-ე მუხლი უთითებს, რომ სამხედრო ოპერაცია განხორციელდება უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე წევრი ქვეყნების ძალების მეშვეობით. ხოლო ამავე წესდების 43-ე მუხლის თანახმად, გაეროს წევრი ქვეყანა ვალდებულია, უშიშროების საბჭოს, მისი მოთხოვნით და საგანგებო შეთანხმების შესაბამისად, გადასცეს აუცილებელი შეიარაღებული ძალები საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. სწორედ ასეთი შეთანხმება თუ შეთანხმებები განსაზღვრავენ ჯარების რაოდენობას, მათი მზადყოფნის ხარისხს, დახმარების ხასიათს.⁸⁵³ უშიშროების საბჭო არ მოითხოვს სპეციალური შეთანხმების დადებას გაეროს ყველა წევრთან, არც საბჭოს მუდმივი წევრებისაგან.⁸⁵⁴ მაგრამ საინტერესოა, უშიშროების საბჭოს კონტროლის ქვეშ წევრი ქვეყანა რამდენადაა შეზღუდული, შეცვალოს შეიარაღებული ძალები იძულებითი ღონისძიებების განხორციელებისას, როდესაც არ დადებულია სპეციალური შეთანხმება. არსებობს წესდების ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერპრეტაცია ამ საკითხთან დაკავშირებით. ერთი მიდგომა ასეთია: უშიშროების საბჭომ შეიძლება დაჟინებით მოითხოვოს წევრი ქვეყნის სამხედრო ძალების გაგზავნა, მიუხედავად სპეციალური შეთანხმების არდადებისა;⁸⁵⁵ მეორე ინტერპრეტაციის თანახმად კი, წესდების მიხედვით, წევრი ქვეყნის წვლილი უშიშროების საბჭოს მიერ წარმოებულ კოლექტიური უსაფრთხოების ოპერაციაში არის აბსტრაქტული, განყენებული მანამ, სანამ არ მოხდება მისი კონკრეტიზაცია სპეციალური შეთანხმებით.⁸⁵⁶ წესდების 43-ე მუხლი მიუთითებს, რომ მოლაპარაკებები უშიშროების საბჭოს ინიციატივით სპეციალური შეთანხმებების თაობაზე უნდა გაიმართოს, როგორც კი ეს შესაძლებელი იქნება. თუმცა ექვს ათწლეულზე მეტია, რაც მსგავსი შეთანხმებები არ დადებულია. ამდენად, 43-ე მუხლით გათვალისწინებული სპეციალური შეთანხმებების დადების შესაძლებლობამ პრაქტიკაში მარცხი განიცადა, არ არსებობს რაიმე მექანიზმი იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ განხორციელდეს შესაბამისი მოქმედება მშვიდობის ხელყოფის შემთხვევაში და არ არსებობს მუდმივი სამხედრო

⁸⁵³ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, თბ., გამომცემელი: “ბონა კაუზა”, 2008, გვ.19.

⁸⁵⁴ Goodrich Leland and Simons Anne, *The United Nations and the Maintenance of International Peace and Security*, Washington D. C., The Brookings Institution, 1955, pp. 395–396.

⁸⁵⁵ Kelsen H., *The Law of the United Nations: A Critical Analysis of Its Fundamental Problems*, London: Stevens and Sons, 1951, p. 756.

⁸⁵⁶ Dinstein Yoram, *War, Aggression and Self-Defence*, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.305.

შენაერთები, რომლებიც არიან მზად ისე, როგორც ამას უშიშროების საბჭო გვთავაზობს.⁸⁵⁷

2. გაეროს წესდების 51-ე მუხლი ზუსტად მოითხოვს შეიარაღებულ თავდასხმას, როგორც წინარე პირობას თავდაცვითი ძალის გამოყენებისათვის. სახელმწიფოებს აქვთ უფლება, გამოიყენონ ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის უფლება, თუ შეიარაღებული თავდასხმა ხორციელდება. ასეთი ინტერპრეტაცია შესაბამისობაშია გაეროს წესდების შემქმნელთა მიზნებთან, რომლებსაც სურდათ საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის ცალმხრივად გამოყენების მაქსიმალურად შემცირება.⁸⁵⁸

3. რაც შეეხება შეიარაღებული თავდასხმისას თავდაცვის უფლების უშიშროების საბჭოს წინასწარი თანხმობის გარეშე წარმოშობის საკითხს, შეიძლება ითქვას, რომ შეიარაღებული თავდასხმისას სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს, წესდებიდან გამომდინარე, უშუალოდ წარმოეშობა თავდაცვის უფლება. ამდენად, არ არსებობს უშიშროების საბჭოსგან წინასწარ უფლებამოსილების მინიჭების საჭიროება. თუმცა თავდაცვითი უფლების განხორციელების ნებისმიერ შემთხვევაში საბოლოოდ უშიშროების საბჭო შეისწავლის.

4. გაეროს წესდების 39-ე მუხლის თანახმად, კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა ამოქმედდება მაშინ, როდესაც უშიშროების საბჭო დაადგენს, რომ შეიქმნა საფრთხე მშვიდობისთვის, ხელყოფილია მშვიდობა, ან განხორციელდა აგრესია. ერთი მხრივ, ნებისმიერი სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ჯგუფი უფლებამოსილია, გამოიყენოს ძალა საერთაშორისო ურთიერთობებში მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში თავდაცვითი მიზნით შეიარაღებული თავდასხმისას და მისი გამოყენების კანონიერებას საბოლოოდ უშიშროების საბჭო იკვლევს; მეორე მხრივ უშიშროების საბჭოს შეუძლია გამოიყენოს ძალა კოლექტიური უსაფრთხოების სახელით.

5. გაეროს წესდების თანახმად, უშიშროების საბჭოს დისკრეციული უფლებამოსილება ძალიან ფართოა. წესდებამ უშიშროების საბჭოს მისცა მოქმედების სრული თავისუფლება კოლექტიური უსაფრთხოების განხორციელებისას. საბჭო არა მარტო თავისუფალია, გადაწყვიტოს, თუ რა შემთხვევებში და როგორ გამოიყენოს ძალა, არამედ ზუსტად როდის განახორციელოს ეს და ვის წინააღმდეგ. ნათელია, რომ საბჭოს შეუძლია პრევენციული ომის ინიცირება, თუ არსებობს მშვიდობის ხელყოფის მოლოდინი (მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საფრთხე უკვე მოქმედების ზღვარზეა).⁸⁵⁹ საბჭოს ეს უფლება წარმოეშობა არა მარტო წესდების მე-7 თავიდან გამომდინარე, არამედ ამაზე მიუთითებს წესდების პირველი მუხლი, სადაც ჩამოთვლილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნები და მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, გაერომ განახორციელოს ეფექტური

⁸⁵⁷ იქვე, გვ. 306.

⁸⁵⁸ Glennon Michael, *The Fog of Law: Self- Defense, Inherence, and Incoherence in Article 51 of the United Nations Charter*, *Harvard Journal of Law & Public Policy*, Volume 25, 2002, p. 546.

⁸⁵⁹ Dinstein Yoram, *War, Aggression and Self-Defence*, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.283.

კოლექტიური ღონისძიებანი მშვიდობისათვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად და აღმოსაფხვრელად.⁸⁶⁰

6. 1995 წელს ყოფილი იუგოსლავიის საკითხებზე საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის სააპელაციო პალატამ ტადიჩის საქმეზე აღნიშნა, რომ მშვიდობისათვის საფრთხის განმარტებისას საბჭო არ არის სრულად შეუბოჭავი, რადგან მას მოუწევს წესდების მიზნებისა და პრინციპების ფარგლებში მოქმედება.⁸⁶¹ ამდენად, როგორც წესი, წარმოდგენელია, უშიშროების საბჭომ მიიხილოს მშვიდობისათვის საფრთხის შემცველად ის, რაც არ იქნება წინააღმდეგობაში გაეროს მიზნებთან და პრინციპებთან. შესაბამისად, საბჭოს ფართო დისკრეციული უფლებამოსილება, ჩვეულებრივ, თანხვედრაში უნდა იყოს წესდების მიზნებთან და პრინციპებთან, რაც ზღუდავს კონკრეტული ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.⁸⁶²

7. მშვიდობისათვის საფრთხის შექმნა, შედეგიდან გამომდინარე, განსხვავდება შეიარაღებული თავდასხმისგან. მაშინ, როდესაც მშვიდობისათვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში თავად უშიშროების საბჭო წვეტს კოლექტიური უსაფრთხოების გამოყენების საკითხს, შეიარაღებული თავდასხმისას ნებისმიერ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს უშუალოდ შეუძლია, მიმართოს ინდივიდუალურ ან კოლექტიურ თავდაცვას. ამდენად, მშვიდობისათვის საფრთხის შექმნა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე შეიარაღებული თავდასხმა.

8. გაეროს წესდების შესაბამისი მუხლების (25-ე, 48-ე, 49-ე მუხლები) ინტერპრეტაციიდან გამომდინარე, უშიშროების საბჭოს მე-7 თავით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა გაეროს წევრი ქვეყნებისთვის. საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულება ევალება ორგანიზაციის ყველა წევრს ან ზოგიერთ მათგანს, როგორც ამას უშიშროების საბჭო განსაზღვრავს.

9. საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეკომენდაციები კი მოკლებულია პოლიტიკურ მნიშვნელობას. ისინი არ იწვევენ გაეროს წევრი ქვეყნების მიმართ სამართლებრივი ვალდებულების წარმოშობას. როდესაც გენერალური ასამბლეა რეკომენდაციაში უთითებს ძალის გამოყენებაზე, ეს ინტერპრეტირებული უნდა იქნეს როგორც შეგონება, დარწმუნება წევრი ქვეყნებისა, იმოქმედონ ერთობლივად.⁸⁶³

10. უშიშროების საბჭო არის პოლიტიკური ორგანო. ამდენად, იგი არ არის სათანადო დაწესებულება, რომელსაც შეუძლია მიიღოს სასამართლო გადაწყვეტილება, განსხვავებით მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსგან, რომელიც ქმედების კვალიფიკაციისას სამართლებრივ კრიტერიუმებს ემყარება. ერთი ორგანო ეხება ერთი და იმავე მოვლენის პოლიტიკურ ასპექტებს, ხოლო მეორე – სამართლებრივ საკითხებს. როგორც წესი, პოტენციური უთანხმოების სცენარი

⁸⁶⁰ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, თბ., გამომცემელი: “ბონა კაუზა”, 2008, გვ.6.

⁸⁶¹ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p. 284.

⁸⁶² იქვე, გვ. 285.

⁸⁶³ Thomas Ann Van Wynen and Thomas Aaron Joshua, Non-Intervention: The Law and Its Import in the Americas, Dallas, 1956, pp. 175–176.

უშიშროების საბჭოსა და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს შორის მაქსიმალურად გამოირიცხება. უშიშროების საბჭოს რეზოლუციები უნდა იყოს კანონიერი და არ უნდა სცდებოდეს გაეროს წესდებით საბჭოსთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. ამასთანავე, არ არის მართებული, რომ იგი ეწინააღმდეგებოდეს საერთაშორისო სამართლის იმპერატიულ ნორმებს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ თუ უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული მავალდებულებელი გადაწყვეტილება არ შეესაბამება წესდებას ან საერთაშორისო სამართლის იმპერატიულ ნორმებს, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს შეუძლია, აღნიშნული გადაწყვეტილება ძალადაკარგულად გამოაცხადოს.

11. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ორგანოების პრაქტიკამ წარმოშვა ახალი კრიტერიუმები და პროცედურები ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით წესდებით გაუთვალისწინებელ რამდენიმე შემთხვევაში:⁸⁶⁴

ა) აგრესიის დროს ნებაყოფლობით კოალიციებს შესაძლებლობა მიეცათ, ჩაენაცვლებინათ წესდების 43-ე მუხლით გათვალისწინებული, მაგრამ არასდროს შექმნილი კოალიციური ძალები. ამის მაგალითია კორეა (1950 წელი),⁸⁶⁵ ქუვეითი (1990 წელი),⁸⁶⁶ სომალი (1992 და 1993 წლები),⁸⁶⁷ ჰაიტი (1994 წელი)⁸⁶⁸;

ბ) ზოგიერთ შემთხვევაში წესდების სისტემამ დაუშვა სახელმწიფოების მიერ საპასუხო ქმედების განხორციელება ტერორისტების ან მეამბოხეების წინააღმდეგ, რომლებიც მეზობელი ან სხვა სახელმწიფოდან მომდინარეობდა. ამის მაგალითებია: ისრაელის მოქმედება სინაში (1956 წელი),⁸⁶⁹ თურქეთისა – ერაყში (1995 წელი),⁸⁷⁰

გ) ზოგიერთ შემთხვევაში კი გათვალისწინებულ იქნა სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენების ფაქტი საზღვარგარეთ მისი მოქალაქეების საფრთხის ქვეშ ყოფნისას. მაგალითად, ისრაელის იერიში უგანდის ქალაქ ენტებეზე (1976 წელი)⁸⁷¹ და ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედება იტალიურ გემ „აჩილე ლაუროს“ გამტაცებლების წინააღმდეგ (1985 წელი);⁸⁷²

დ) ცალკეულ შემთხვევაში სახელმწიფომ ძალა გამოიყენა მოახლოებული თავდასხმის დროს, რისი მაგალითიცაა ისრაელი ეგვიპტის წინააღმდეგ (1967 წელი);⁸⁷³

ე) ზოგიერთ შემთხვევაში კი გათვალისწინებულ იქნა სახელმწიფოს ან სახელმწიფოების მიერ ძალის გამოყენების ფაქტი ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევების დროს განხორციელებული ცალკეული მთავრობის მიერ საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ. ამის ერთ-ერთი

⁸⁶⁴Thomas M. Franck, The Use of Force in International Law, Tulane Journal of International and Comparative Law, Volume 11, 2003, p.11.

⁸⁶⁵ იქვე.

⁸⁶⁶ იქვე.

⁸⁶⁷ იქვე.

⁸⁶⁸ იქვე.

⁸⁶⁹ იქვე, გვ.12.

⁸⁷⁰ იქვე.

⁸⁷¹ იქვე.

⁸⁷² იქვე.

⁸⁷³ იქვე.

მაგალითია ინტერვენცია ლიბიასა და სიერა-ლეონეში (1989-1999 წლები).⁸⁷⁴

12. ქვეყანას არ აქვს პრევენციული თავდაცვის უფლება იმ საფრთხის წინააღმდეგ, რომელიც ჯერ კიდევ გაურკვეველია და, სავარაუდოდ, მოსალოდნელია მომავალში. უშიშროების საბჭოს პასუხისმგებლობაა, განიხილოს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის საფრთხის შემქმნელი შემთხვევები და სახელმწიფოს არ აქვს უფლება, თავად განახორციელოს მსგავსი ფუნქცია დამატებით ან პარალელურად.

13. გაეროს წესდების 51-ე მუხლი, ზოგადად, საუბრობს შეიარაღებულ თავდასხმაზე და არ მიუთითებს თავდასხმის სუბიექტზე, შესაბამისად, განიხილოს: აქვს თუ არა სახელმწიფოს თავდაცვის გამოყენების უფლება იმ შემთხვევაში, თუ ის უშუალოდ სხვა სახელმწიფოსგან არ მომდინარეობს? საერთაშორისო რეაქცია 11 სექტემბრის შემდეგ ადასტურებს, რომ შეიარაღებული თავდასხმის კონცეფცია არ არის შეზღუდული სახელმწიფოს ქმედებებით. თავდაცვის უფლებას ექვემდებარება ისეთი თავდასხმაც, რომელიც წარმოიშვა არასახელმწიფოებრივი ერთეულის მიერ. **თუმცა თავდაცვის უფლების ზუსტი რეგულირებისთვის უმჯობესია ამ მუხლის შემდეგნაირად ჩამოყალიბება: „ეს წესდება არ ეხება ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის ხელშეუვალ უფლებას, თუ ორგანიზაციის წევრზე შეიარაღებული თავდასხმა განხორციელდა სახელმწიფოს ან არასახელმწიფოებრივი ერთეულის მიერ იმ შემთხვევაში, როდესაც თავდასხმა მომზადებულია უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე...“**

14. მიუხედავად იმისა, რომ აუცილებლობა და პროპორციულობა ძალის გამოყენების ნებისმიერი შემთხვევის მიმართ მოქმედებს, გაეროს წესდების 51-ე მუხლში აღნიშნული კრიტერიუმები მითითებული არ არის და ეს საკითხი საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით რეგულირდება. გარდა ამისა, არსებობს მესამე კრიტერიუმიც – დროულობა, რომელიც ეგზისტენციის ფორმულიდან მომდინარეობს და გულისხმობს, ყოველგვარი ფიქრისა და ყოყმანის გარეშე, თავდასხმის შეჩერების მიზნით აქტიურ მოქმედებაზე გადასვლას.

15. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების პირობებში განხორციელებული კიბერშეტევები შეიძლება გახდეს შეიარაღებული კონფლიქტის შემადგენელი ნაწილი. 2007 წელს ესტონეთსა და 2008 წელს საქართველოზე განხორციელებული კიბერთავდასხმა აჩვენებს, რომ იგი ომის წარმოების თანამედროვე ფორმაა. შააპი იყენებს სპეციალურ ტერმინს – „კიბერომის ოპერაციები“, რომლებიც მოიცავს კიბერსიგნალში განხორციელებულ ყველა სამხედრო ოპერაციას და გულისხმობს ერთი სახელმწიფოს მიერ კომპიუტერული ქსელების შესაძლებლობების გამოყენებას მეორე სახელმწიფოს კომპიუტერში ან კომპიუტერებში არსებული ინფორმაციის გასანადგურებლად, შესაცვლელად ან სხვაგვარი მანიპულაციების შესასრულებლად.⁸⁷⁵ გაეროს წესდება დაიწერა მაშინ, როდესაც ინტერნეტი არ არსებობდა. ამდენად, კიბერომი არის გამოწვევა ძალის გამოყენების ტრადიციული განმარტებისთვის. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო თანამეგობრობას მოუწევს, მიაღწიოს კონსენსუსს როგორც კიბერომის განსაზღვრების

⁸⁷⁴ იქვე, გვ.13.

⁸⁷⁵ Major Schaap Arie, Cyberlaw Edition: Cyber Warfare Operations: Development and Use Under International Law, The Air Force Law Review, Volume 64, 2009, pp.126-127.

თაობაზე, ისე იმ ზომების შესახებ, რომელთა გამოყენების უფლება უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს კიბერშეტევის დროს.⁸⁷⁶

16. ზოგადად, თავდაცვის უფლების განხორციელება უფლებაა და არა მოვალეობა. ერთი მხრივ, ერთი სახელმწიფო არ არის ვალდებული, მოიგერიოს მსხვერპლი ქვეყნის წინააღმდეგ მეორე სახელმწიფოს მიერ განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა მანამ, სანამ თავდაცვის უფლების განხორციელების ვალდებულება არ განისაზღვრება შესაბამის მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით; მეორე მხრივ, ერთი სახელმწიფო ვერ აიძულებს მეორე სახელმწიფოს, მიიღოს მისი დახმარება ამ უკანასკნელის ნების საწინააღმდეგოდ, თუკი მათ შორის არ არსებობს სავალდებულო ხასიათის შეთანხმება კოლექტიური თავდაცვის შესახებ.⁸⁷⁷ სათანადო ხელშეკრულების არსებობის გარეშე ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე საკუთარი ინიციატივით ჯარების შეყვანა შეიარაღებულ თავდასხმას უტოლდება. ამდენად, სახელმწიფო უნდა დაელოდოს მსხვერპლი ქვეყნის თხოვნას დახმარების აღმოჩენის თაობაზე.⁸⁷⁸

17. რაც შეეხება ძალის გამოყენებას ჰუმანიტარული საფუძვლებით, ზოგიერთი მეცნიერი ჰუმანიტარული ინტერვენციის დოქტრინის დამკვიდრებისთვის იშველიებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს. მათი მოსაზრებით, რადგან ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულება გაეროს სისტემისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დოკუმენტების საფუძველია, ინტერვენცია აღნიშნული ვალდებულების დაცვის მიზნით კანონიერი უნდა იყოს. თუმცა ეს არგუმენტი ჰუმანიტარული ინტერვენციის გასამართლებლად ბუნდოვანია. ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემა მიზნად ისახავს სახელმწიფოთა წახალისებასა და დარწმუნებას, გააუმჯობესონ თავიანთ მოქალაქეებსა და უცხო პირებთან მოპყრობა, მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დოკუმენტები არ შეიცავს ასეთი ვალდებულების განხორციელების მიზნით ცალმხრივად ძალის გამოყენების ნაგულისხმევ უფლებას. იმავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ადამიანის უფლებათა პატივისცემაა გაეროს ერთ-ერთი მთავარი მიზანი, მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება, ცალმხრივი, არასანქცირებული ძალის გამოყენების აკრძალვა ასევე არის უმნიშვნელოვანესი ღირებულება.⁸⁷⁹ ამჟამად ჰუმანიტარული ინტერვენცია ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის არგუმენტირებული და მას არ გააჩნია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მანდატირებული საფუძველი. მიუხედავად ამისა, უკვე მრავალმა შემთხვევამ დაადასტურა, რომ იძულებითი ჰუმანიტარული ინტერვენციის კონცეფცია ლეგიტიმურობას პოულობს. შესაბამისად, ახალი საერთაშორისო წესები შეიძლება უნებლიეთ შეიქმნას.⁸⁸⁰

⁸⁷⁶ Hoisington Matthew, *Cyber Warfare and the Use of Force Giving Rise to the Right of Self-Defense*, Boston College International and Comparative Law Review, Volume 32, 2009, p.454.

⁸⁷⁷ Dinstein Yoram, *War, Aggression and Self-Defence*, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.269.

⁸⁷⁸ იქვე, გვ. 270.

⁸⁷⁹ Cassese Antonio, *International Law*, 2nd Edition, Oxford University Press, 2005, p.373.

⁸⁸⁰ Guicherd Catherine, *International Law and the War in Kosovo*, International Institute for Strategic Studies, Survival, Volume 41, 1999, pp.19-34.

18. კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის კლასიკური განმარტების თანახმად, მასში გაერთიანებულ სახელმწიფოთა მიზანია საფრთხეების შემცირება და თანხმობის მიღწევა იმის თაობაზე, რომ, თუ რომელიმე წევრი ქვეყანა დაარღვევს კოლექტიური უსაფრთხოების ნორმებს, მის მიმართ დანარჩენი წევრები განახორციელებენ შესაბამის ღონისძიებებს.⁸⁸¹ აღნიშნული სისტემა განსხვავდება სამხედრო ალიანსების საფუძველზე შექმნილი სისტემისგან, რომელიც, ძირითადად, ორიენტირებულია არა წევრი ქვეყნების შიგნით არსებულ საფრთხეზე, არამედ გარეშე გამოწვევებზე.⁸⁸² მიუხედავად ამისა, ვინაიდან იზრდება საერთო საფრთხეების ალბათობა, შიდა და გარეშე საფრთხეებს შეუძლია მსგავსი გავლენა მოახდინოს კოლექტიური უსაფრთხოების სისტემაზე.⁸⁸³

19. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ავტორებს სურდათ, შეექმნათ კოლექტიური უსაფრთხოების ეფექტური სისტემა. გაეროს წესდების 24-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სწრაფი და ეფექტური მოქმედების უზრუნველსაყოფად მისი წევრები უშიშროების საბჭოს აკისრებენ მთავარ პასუხისმგებლობას საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დასაცავად და თანხმდებიან იმაში, რომ ამ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა შესრულებისას უშიშროების საბჭოს სახელით იმოქმედებენ.⁸⁸⁴ მიუხედავად გაეროს წესდების შემქმნელთა სურვილისა, აღნიშნული სისტემა არ აღმოჩნდა ქმედითი საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის პროცესში. უშიშროების საბჭოში მუდმივი წევრების ინტერესების შესაბამისად, სათანადო გადაწყვეტილებების მიუღებლობამ საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი მთავარი ორგანო უუნარო გახადა.

20. გაეროს წესდების მე-8 თავი უშვებს რეგიონალური შეთანხმებებისა და ორგანოების არსებობას, რათა მათი მეშვეობით განისაზღვროს საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები და განხორციელდეს შესაბამისი რეგიონალური ღონისძიებები. ასეთი შეთანხმებები და ორგანოები უნდა შეესაბამებოდეს გაეროს მიზნებსა და პრინციპებს.⁸⁸⁵ წესდების 53-ე მუხლის თანახმად, უშიშროების საბჭო გამოიყენებს, სადაც ეს მართებული იქნება, რეგიონალურ შეთანხმებებს ან ორგანოებს იძულებით ღონისძიებათა განსახორციელებლად თავისი ხელმძღვანელობით. მაგრამ არავითარი იძულებითი ღონისძიება არ განხორციელდება ამ რეგიონალურ შეთანხმებათა ძალით ან რეგიონალური ორგანოების მიერ, თუ ამის უფლებამოსილება არ გასცა უშიშროების საბჭომ.⁸⁸⁶ აღნიშნული მუხლის ფორმულირება ნათელია: რეგიონალური იძულებითი ღონისძიებების კანონიერება მთლიანად დამოკიდებულია უშიშროების

⁸⁸¹ Downs George, *Collective Security beyond the Cold War*, the University of Michigan Press, 1994, p.18.

⁸⁸² იქვე.

⁸⁸³ იქვე, გვ.29.

⁸⁸⁴ Dinstein Yoram, *War, Aggression and Self-Defence*, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.279.

⁸⁸⁵ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, თბ., გამომცემელი: “ბონა კაუზა”, 2008, გვ.22-23.

⁸⁸⁶ იქვე.

საბჭოზე.⁸⁸⁷ ამასთანავე, დასაშვებია, უშიშროების საბჭომ გამოიყენოს რეგიონალური ორგანიზაცია იძულებითი ღონისძიებების განსახორციელებლად რეგიონის საზღვრებს მიღმა. მაგალითად, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციამ ლიბიაში სამხედრო ოპერაციას უხელმძღვანელა და გაეროს №1973-ე რეზოლუციის საფუძველზე უზრუნველყო მშვიდობის დაცვა აღნიშნულ რეგიონში. შეიძლება ითქვას, რომ მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება რეგიონალური ორგანიზაციების როლი საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში.

21. რაც შეეხება 2008 წლის აგვისტოს ომს, რუსეთმა განახორციელა შეიარაღებული თავდასხმა საქართველოზე საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების დარღვევით. საერთაშორისო სამართლის თანახმად, საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედება იყო ტიპური აგრესიული ქმედება. მიუხედავად ამისა, რუსეთმა სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებულ სადამსჯელო ოპერაციას ე.წ. უცხო ქვეყანაში „საკუთარ მოქალაქეთა“ დაცვის უფლებით „ჰუმანიტარული ინტერვენცია“ უწოდა. საერთაშორისო თანამეგობრობამ ერთმნიშვნელოვნად მიუთითა, რომ რუსეთის სამხედრო ქმედებები არ აკმაყოფილებს არც ერთ იმ წინაპირობასა და კრიტერიუმებს, რომლებიც უნდა იყოს გამოკვეთილი, რათა სამხედრო ქმედებას ჰუმანიტარული ინტერვენციის კვალიფიკაცია მიეცეს. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ერთ სახელმწიფოს არ აქვს უფლება, ჩაერიოს მეორე სახელმწიფოს საშინაო და საგარეო საქმეებში. როგორც შედეგის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლ ბილდტმა ოფიციალურ განცხადებაში აღნიშნა: „არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, სამხედრო ძალით შეიჭრას სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მხოლოდ იმიტომ, რომ იქ მისი პასპორტის მქონე პირები სახლობენ ან ეთნიკურად მისი ეროვნებისანი არიან. ამგვარი დოქტრინის გამოყენების მცდელობებმა ადრეც ჩაითრია ევროპა ომში და სწორედ ამიტომაც მნიშვნელოვანი მასზე ერთხელ და სამუდამოდ უარის თქმა. იგივე დოქტრინა თანაბრად სახიფათო შეიძლება აღმოჩნდეს სხვა ვითარებებშიც... ჩვენ ასევე უნდა გვახსოვდეს, ამ 70-იოდე წლის წინ როგორ გამოიყენა სწორედ ეს დოქტრინა ჰიტლერმაც ცენტრალური ევროპის მნიშვნელოვანი ნაწილის დასაპყრობად!“⁸⁸⁸

კვლევის შედეგების შეჯამების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ძალის გამოყენების სამართლებრივმა რეგულირებამ უზარმაზარი ტრანსფორმაცია განიცადა; დაწყებული „სამართლიანი ომის“ დოქტრინის თეორიიდან, გაგრძელებული ძალის გამოყენების სრული თავისუფლებით მე-17 საუკუნიდან მე-20 საუკუნემდე, და დამთავრებული გაეროს წესდებაში ძალის გამოყენების ზოგადი აკრძალვით. თუმცა ამ უკანასკნელმა დაუშვა ძალის გამოყენება ინდივიდუალური და

⁸⁸⁷ Dinstein Yoram, War, Aggression and Self-Defence, Fourth edition, Cambridge University Press, 2005, p.311.

⁸⁸⁸ ასმუხი რონალდ, მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010 წელი, გვ.46-47.

კოლექტიური თავდაცვის დროს, ასევე უშიშროების საბჭოს მიანიჭა პრეროგატივა, მიიღოს გადაწყვეტილება იძულებითი ღონისძიებების განხორციელების შესახებ.

უშიშროების საბჭოს უუნარობა კი, უზრუნველყოს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვა, ზრდის რეგიონალური ორგანიზაციებისა და კოლექტიური თავდაცვითი ხელშეკრულებების მნიშვნელობას. ორმხრივი და მრავალმხრივი თავდაცვითი დახმარების ხელშეკრულებები არის ინსტრუმენტი, რომლის საფუძველზე მხარეებს შეუძლიათ, შეთანხმდნენ, რომ შეიარაღებული თავდასხმა თითოეულ მათგანზე განიხილება თავდასხმად ყველა მათგანზე და ამ შემთხვევაში ისინი დახმარებას უწევენ საფრთხეში მყოფ მხარეს ან მხარეებს. გაეროს წესდების 51-ე მუხლის თანახმად, ინდივიდუალური თავდაცვის უფლების მსგავსად, კოლექტიური თავდაცვის უფლება წარმოიშობა თავდასხმისთანავე და გრძელდება მანამ, სანამ უშიშროების საბჭო არ მიიღებს შესაბამის ზომებს.

დაბოლოს, საერთაშორისო სამართლის ნორმების თანახმად, საერთაშორისო ვალდებულებების მძიმე დარღვევების შემთხვევებში, როგორც ეს 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისას მოხდა და დღემდე გრძელდება, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, ითანამშრომლონ, რათა კანონიერი საშუალებებით აღკვეთონ მძიმე დარღვევები, არ ცნონ კანონიერად ამ დარღვევის შედეგად შექმნილი ვითარება და ხელი შეუწყონ, განსაკუთრებით, პატარა სახელმწიფოების მიმართ საერთაშორისო სამართლისა და სამართლიანობის პრინციპებთან შეუთავსებელი ძალადობის, ზეწოლის პოლიტიკის გამოყენებასთან დაკავშირებით ერთიანი, პრინციპული პოზიციის ჩამოყალიბებას.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები და წიგნები:

- ალექსიძე ლევან, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 2006.
- ასმუსი რონალდ, მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შექმრა, თბ., 2010.
- ბურკაძე ხათუნა, კორეპანოვი ანატოლი, ეს ნატოა, თბ., 2010.
- Akehurst Michael, Enforcement Action by Regional Agencies, with Special Reference to the Organization of American States, British Year Book of International Law, 1967.
- Akehurst Michael, The Use of Force to Protect Nationals Abroad, London, 1977.
- Alexandrov S. A., Self-defence Against the Use of Force in International Law, Hague, 1996.
- Alston Ph. and Macdonald E., Sovereignty, Human Rights, Security: Armed Intervention and the Foundational Problems of International Law in Human Rights, Intervention and the Use of Force, Oxford University Press, 2008.
- Aust Anthony, The Procedure and Practice of the Security Council Today, in Peace Keeping And Peace-Building: The Development of The Role of The Security Council, Editor: Rene-Jean Dupuy, Boston, 1993.
- Bailey S.D. and Daws S., The Procedure of the UN Security Council, 3rd Edition, Oxford: Clarendon Press, 1998.
- Bedjaoui Mohammed, The New World Order And The Security Council: Testing The Legality of Its Acts, Boston, 1994.
- Broms Bengt, The United Nations, Helsinki: Suomalainen Tiedekatemia (Finnish Academy of Science and Letters), 1990.
- Brownlie Ian, Humanitarian Intervention, Law and Civil War in the Modern World, Editor: Moore. J.N., USA: Johns Hopkins University Press, 1974.
- Brownlie Ian, Principles of Public International Law, Sixth edition, Oxford University Press, 2003.
- Bowett D. W., Self-Defense in International Law, New York, 1958.
- Cassese Antonio, International Law, Oxford: Oxford University Press, 2001.
- Dinstein Yoram, The International Legal Response to Terrorism, in International Law at the Time of Its Codification: Essays in Honour of Robert Ago, Editor: P. L. Zanardi, Milan, 1987.

Dinstein Yoram, *War, Aggression and Self-Defence*, Fourth edition, Cambridge University Press, 2005.

Brownlie Ian, *International Law and the Use of Force by States*, Oxford: Clarendon Press, 1963.

Falk R. A., *The Vietnam War and International Law*, Volume 3, Princeton University Press, 1972.

Fawcett J. E. S., *Security Council Resolutions on Rhodesia*, *British Year Book of International Law*, Volume 41, 1965–6.

Fletcher George, *Basic Concepts of Criminal Law*, Oxford University Press, 1998.

Franck Thomas, *Nation Against Nation*, Oxford University Press, 1985.

Franck T.M., *Recourse to Force: State Action against Threats and Armed Attacks*, Cambridge, 2002.

Frowein Jochen and Krisch Nico, “Article 40”, *The Charter of the United Nations: A Commentary*, Volume I, Editor: Bruno Simma, 2nd ed., Oxford University Press, 2002.

Gardam Judith, *Necessity, Proportionality and the Use of Force by States*, Cambridge University Press, 2004.

Garwood-Gowers A., *Pre-Emptive Self-Defence: A Necessary Development or the Road to International Anarchy*, *Australian Year Book of International Law*, Volume 23, 2002.

Gill T. D., *Legal and Some Political Limitations on the Power of the UN Security Council to Exercise Its Enforcement Powers under Chapter VII of the Charter*, *Netherlands Yearbook of International Law*, Volume 26, 1995.

Goodrich L. M., Hambro E. and Simons A. P., *Charter of the United Nations*, 3rd ed., New York, Columbia University Press, 1969.

Goodrich Leland and Simons Anne, *The United Nations and the Maintenance of International Peace and Security*, Washington D. C., The Brooking Institution, 1955.

Gray Christine, *Bosnia and Herzegovina: Civil War or Inter-State Conflict: Characterisation and Consequences*, *British Yearbook of International Law*, Volume 67, 1996.

Gray Christine, *International Law and the Use of Force*, Second Edition, Oxford University Press, 2004.

Gray Christine, *The Use of Force and International Legal Order*, Editor: Malcolm D. Evans, Second Edition, Oxford University Press, 2006.

Green Leslie, *The Contemporary Law of Armed Conflict*, 2nd ed., Manchester: Manchester University Press, 2000.

Geiger R., "Article 106", *The Charter of the United Nations: A Commentary*, Editor: Bruno Simma, 2nd ed., Oxford University Press, 2002.

Hall W.E., *A Treatise on International Law*, 4th ed., London, 1895.

Henkin Louis, *How Nations Behave*, New York: Columbia University Press, 1979.

Henkin Louis, *Nations Behave: Law and Foreign Policy*, Second Edition, New York: Columbia University Press, 1979.

Higgins Rosalyn, *Intervention and International Law*, Editor: Hedley Bull, *Intervention in World Politics*, Oxford, Clarendon Press, 1984.

Higgins Rosalyn, *Problems and Process: International Law and How We Use It*, Clarendon Press, Oxford, 1994.

Janse Daniel, *International Terrorism and Self-Defence*, *Israel Yearbook on Human Rights*, Volume 36, 2006.

Jessup P. C., *A Modern Law of Nations*, Toronto: Macmillan Company of Canada, 1948.

Kelsen H., *General Theory of Law and State*, Harvard, 1945.

Kelsen H., *The Law of the United Nations: A Critical Analysis of Its Fundamental Problems*, London, 1951.

Klare Michael, *The Deadly Connection: Paramilitary Bands, Small Arms Diffusion and State Failure*, in *When States Fail: Causes and Consequences*, Editor: Robert I. Rotberg, Princeton: Princeton University Press, 2004.

Kooijmans P. H., *The Security Council and Non-State Entities as Parties to Conflicts*, *International Law: Theory and Practice (Essays in Honour of Eric Suy)*, editor: Karel Wellens, Kluwer Law International, Hague, 1998.

Luard Evan, *A History of the United Nations: The Years of Western Domination (1945-1955)*, London: Macmillan, 1982.

Macdonald Ronald St. John, *The Nicaragua Case: New Answers to Old Questions*, *Canadian Yearbook of International Law*, Volume 24, University of British Columbia Press, 1986-1988.

Maogoto Jackson Nyamuya, *Battling Terrorism: Legal Perspectives on the Use of Force and the War on Terror*, Ashgate Publishing Company, 2005.

Martin Andrew, *Collective Security*, New York: Columbia University Press, 1952.

McDougal Myres S. and Feliciano Florentino, *Law and Minimum World Public Order*, Yale University Press, 1961.

Mearsheimer John, *The False Promise of International Institutions*, in *Theories of War and Peace*, Editor: Michael E. Brown, Cambridge, 1998.

Merrills J. G., *International Dispute Settlement*, 3rd ed., Cambridge University Press, 1998.

Oppenheim L., *International Law: A Treatise*, Editor: H. Lauterpacht, 8th ed., New York, 1955.

Osterdahl Inger, *Threat to the Peace: The Interpretation by the Security Council of Article 39 of the UN Charter*, Publisher: Uppsala: Iustus Förlag, 1998.

Ramsbotham Oliver and Woodhouse Tom, *Humanitarian Intervention in Contemporary Crisis*, Cambridge: Polity Press, 1996.

Randelzhofer A., "Article 51", *the Charter of the United Nations - A Commentary*, Volume I, Editor: Bruno Simma, 2nd edition, Oxford: Oxford University Press, 2002.

Rothgeb John, *Defining Power: Influence and Force in the Contemporary International System*, New York: St Martin's Press, 1993.

Sen B., *A Diplomat's Handbook of International Law and Practice*, 3rd ed., Dordrecht, Martinus Nijhoff, 1988.

Schachter Oscar, *International Law in Theory and Practice*, Boston: M. Nijhoff, 1991.

Schachter O., *International Law in the Hostage Crisis: Implications for Future Cases*, Editor: W. Christopher, Yale University Press, 1985.

Schachter O., *Legal Aspects of the Gulf War of 1991 and Its Aftermath, Law, Policy, and International Justice (Essays in Honour of Maxwell Cohen)*, Editors: W. Kaplan and D. McRae, 1993.

Schmitt Michael, *Counter-Terrorism and the Use of Force in International Law*, The Marshall Centre Papers, November, 2002.

Schwarzenberger G., *International Constitutional Law (International Law as Applied by International Courts and Tribunals, III)*, 1967.

Schwarzenberger G. and Brown E. D., *A Manual of International Law*, Milton, 1976.

Schweisfurth T., *Operations to Rescue Nationals in Third States Involving the Use of Force in Relation to the Protection of Human Rights*, German Yearbook of International Law, Volume 23, 1980.

Simpson Gerry, *Great Powers and Outlaw States: Unequal Sovereign in the International Legal Order*, Cambridge University Press, 2004.

Sharp Walter Gary, Cyberspace and the Use of Force, Aegis Research Corporation, 1999.

Shaw M., International Law, Cambridge University Press, 5th edition, 2003.

Shaw M., The Security Council and the International Court of Justice: Judicial Drift and Judicial Function, The International Court of Justice: Its Future Role after Fifty Years, Hague, 1997.

Stone J., Legal Controls of International Conflict: A Treatise on the Dynamics of Disputes and War – Law , London, 1954.

Svanberg-Torpman K., The Security Council as a Law Enforcer and Legislator, Peace and Security: Current Challenges in International Law, Editors: D. Amne'us and K. Svanberg-Torpman, Lund, Suecia: Studentlitteratur, 2004.

Thomas Ann Van Wynen and Thomas Aaron Joshua, Non-Intervention: The Law and Its Import in the Americas, Dallas: Southern Methodist University Press, 1956

Triggs Gillian, International Law: Contemporary Principles and Practices, Sydney, 2006.

Vattel Emmerich, The Law of Nations or the Principles of Natural Law, Book III, (Classics of International Law), Editor: C. G. Fenwick, 1916.

Vetschera H., International Law and International Security: The Case of Force Control, German Yearbook of International Law, Volume 24, 1981.

Wet E., The Chapter VII Powers of the United Nations Security Council, Oxford: Hart Publishing, 2004.

Williams J. F., Some Aspects of the Covenant of the League of Nations, Oxford University Press, London, 1934.

White N. D., Keeping the Peace: The United Nations and the Maintenance of International Peace and Security, Second Edition, Manchester: Manchester University Press, 1997.

ჟურნალები:

ალექსიძე ლევან, „აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდის საერთაშორისო დაგმობის საქმეში ეუთოს გადამწყვეტი როლის შესახებ“, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, №1, 2008, გვ. 33-46.

ალექსიძე ლევან, საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის შეიარაღებული შემოჭრის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, №2, 2008, გვ. 7-8.

რუხაძე ნ., ჰუმანიტარული ინტერვენცია თანამედროვე საერთაშორისო სამართალში, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, №1, 2009, გვ. 44-64.

სანიკიძე ზ., თავდაცვის, როგორც ძალის გამოყენების კანონიერი უფლების, განმარტების პრობლემები, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, №2, 2010, გვ. 33-58.

Alexidze Levan, The Failure of the UN Security Council in Settlement of the Conflict in Abkhazia, Georgia, Undermines the Fundamentals of the International Legal Order, *Journal of International Law*, N1, 2009, pp. 101-118.

Akande D., The International Court of Justice and the Security Council: Is There Room for Judicial Control of Decisions of the Political Organs of the United Nations? *International and Comparative Law Quarterly*, Volume 46, 1997, pp. 309-343.

Andrassy Juraj, “Uniting for Peace”, *American Journal of International Law*, Volume 50, 1956, pp. 563-582.

Bakircioglu Onder, The Right to Self-defence in National and International Law: The Role of the Imminence Requirement, *Indiana International & Comparative Law Review*, 2009, pp.1-48.

Barkham Jason, Information Warfare and International Law on the Use of Force, *New York University Journal of International Law and Politics*, Volume 34, 2001-2002, pp.79-113.

Barry Benjamin, Unilateral Humanitarian Intervention: Legalizing the Use of Force to Prevent Human Rights Atrocities, *Fordham International Law Journal*, Volume 16, 1992-1993, pp. 120-158.

Bazyler Michael, Re-examining the Doctrine of Humanitarian Intervention in Light of the Atrocities in Kampuchea and Ethiopia, *Stanford Journal of International Law*, Volume 23, 1987, pp. 547-619.

Beveridge Fiona, The Lockerbie Affair, *International and Comparative Law Quarterly*, Volume 41, 1992, pp. 907-920.

Bilder R.B., Judicial Procedures Relating to the Use of Force, *Virginia Journal of International Law*, Volume 31, 1990-1991, pp. 249-279.

Bothe Michael, Terrorism and the Legality of Pre-emptive Force, *European Journal of International Law*, Volume 14, 2003, pp. 227-240.

Bowett D., The Impact of Security Council Decisions on Dispute Settlement Procedures, *European Journal of International Law*, Volume 5, 1994, pp. 89-96.

Bruno Simma, NATO, the UN and the Use of Force: Legal Aspects, *European Journal of International Law*, Volume 10, 1999, pp.1-22.

Charney Jonathan, NATO’s Kosovo Intervention: Anticipatory Humanitarian Intervention in Kosovo, *American Journal of International Law*, Volume 93, 1999, pp. 834-841.

Chimni B.S., The International Court and the Maintenance of Peace and Security: The Nicaragua Decision and the United States Response, *International and Comparative Law Quarterly*, Volume 35, 1986, pp.960-970.

Chinkin Christine, The Legality of NATO's Action in the Former Republic of Yugoslavia under International Law, *The International and Comparative Law Quarterly*, Volume 49, 2000, pp. 910-925.

Craig Hammer, Reforming the U.N. Security Council: Open Letter to U.N. Secretary General Kofi Annan, *Florida Journal of International Law*, Volume 15, 2002-2003, pp.261-271.

Delahunty Robert J., Symposium on Re-examine the law of War: Paper Charter: Self-Defense and the Failure of the United Nations Collective Security System, *Catholic University Law Review*, Volume 56, 2006-2007, pp. 871-957.

Dinstein Yoram, International Law as a Primitive Legal System, *New York University Journal of International Law and Politics*, Volume 19, 1986–1987, pp.1-32.

Farer Tom, Human Rights in Law's Empire: The Jurisprudence War, *American Journal of International Law* , Volume 85, 1991, pp.117-127.

Farer Tom, Drowning the Right Line, *American Journal of International Law*, Volume 81, 1987, pp. 112-116.

Fitzgerald Amber, Security Council Reform: Creating A More Representative Body of the Entire U.N. Membership, *Pace International Law Review*, Volume 12, 2000, pp. 319-365.

Fitzmaurice G.G., The Foundations of the Authority of International Law and the Problem of Enforcement, *Modern Law Review*, Volume 19, 1956, pp.1-13.

Franck Thomas, The Use of Force in International Law, *Tulane Journal of International and Comparative Law*, Volume 11, 2003, pp.7-19.

Franck Thomas, When, If Ever, May States Deploy Military Force Without Prior Security Council Authorization?, *Washington University Journal of Law and Policy*, Volume 5, 2001, pp. 51-68.

Gardam Judith Gail, Proportionality and Force in International Law, *American Journal of International Law*, Volume 87, 1993, pp.391-413.

Geissler L., The Law of Humanitarian Intervention and the Kosovo Crisis, *Hamline Law Review*, Volume 23, 1999-2000, pp.323-347.

Glennon Michael, The Fog of Law: Self- Defense, Inherence, and Incoherence in Article 51 of the United Nations Charter, *Harvard Journal of Law & Public Policy*, Volume 25, 2002, pp. 539-558.

Gowlland-Debbas V., Security Council Enforcement Action and Issues of State Responsibility, *International and Comparative Law Quarterly*, Volume 43, 1994, pp. 55-98.

Gray Christine, The British Position in regard to the Gulf Conflict, *International and Comparative Law Quarterly*, Volume 37, 1998, pp. 420-428.

Green James A., Docking the Caroline: Understanding the Relevance of the Formula in Contemporary Customary International Law Concerning Self-Defense, *Cardozo Journal of International and Comparative Law*, Volume 14, 2006, pp.430-481.

Greenwood Christopher, International Law and the Pre-emptive Use of Force: Afghanistan, Al-Qaida and Iraq, *San Diego International Law Journal*, Volume 4, 2003, pp.7-37.

Greenwood Christopher, International Law and the NATO Intervention in Kosovo, *The International and Comparative Law Quarterly*, Volume 49, 2000, pp. 926-934.

Hargrove John Lawrence, The Nicaragua Judgment and the Future of the Law of Force and Self-Defense, *American Journal of International Law*, Volume 81, 1987, pp.135-143.

Hoisington Matthew, Cyber Warfare and the Use of Force Giving Rise to the Right of Self-Defense, *Boston College International and Comparative Law Review*, Volume 32, 2009, pp.439-454.

Karsten Nowrot and Emily W. Schabacker, The Use of Force to Restore Democracy: International Legal Implications of the ECOWAS Intervention in Sierra Leone, *American University International Law Review*, Volume 14, 1998-1999, pp. 321-412

Kearley Timothy, Raising the Caroline, *Wisconsin International Law Journal*, Volume 17, 1999, pp.325-346.

Kelly Michael, U.N. Security Council Permanent Membership: A New Proposal for a Twenty-First Century Council, *Seton Hall Law Review*, Volume 31, 2000-2001, pp. 319-399.

Kelsen H., Collective Security and Collective Self- defence under the Charter of the United States, *American Journal of International Law*, Volume 42, 1948, pp.783- 796.

Kirgis Frederic L., The Security Council's First Fifty Years, Volume 89, *American Journal of International Law*, 1995, pp. 506-539.

Krift T. R., Self-Defence and Self-Help: The Israeli Raid on Entebbe, *Brooklyn Journal of International Law*, Volume 4, 1977-8, pp. 43-62.

Kunz Josef L., The Inter-American Treaty of Reciprocal Assistance, *American Journal of International Law*, Volume 42, 1948, pp. 111-120.

Lieutenant Colonel Patrick W. Franzese, *Cyber Law Edition: Sovereignty in Cyberspace: Can It Exist?* *The Air Force Law Review*, Volume 64, 2009, pp.1-42.

Major Arie J. Schaap, *Cyber Law Edition: Cyber Warfare Operations: Development and Use Under International Law*, *The Air Force Law Review*, Volume 64, 2009, pp.121-173.

Major Todd Graham H., *Cyber Law Edition: Armed Attack in Cyberspace: Detering Asymmetric Warfare Within An Asymmetric Definition*, *Air Force Law Review*, Volume 64, 2009, pp.65-102.

Martenczuk B., *The Security Council, the International Court and Judicial Review: What Lessons from Lockerbie?*, *European Journal of International Law*, Volume 10, 1999, pp. 517-532.

Merriam John, *Kosovo and the Law of Humanitarian Intervention, The Case Western Reserve Journal of International Law*, Volume 33, 2001, pp.111-154.

Moore John Norton, *The Secret War in Central America and the Future of World Order*, *American Journal of International Law*, Volume 80, 1986, pp. 104–105.

Murphy Sean D. , *Contemporary Practice of the United States Relating to International Law*, *American Journal of International Law*, Volume 96, 2002, pp. 237-263.

Murphy Sean D., *Libyan Payment to Families of Pan Am Flight 103 Victims*, *American Journal of International Law*, Volume 97, 2003, pp. 987-991.

Nourse V. F., *Self-Defense and Subjectivity*, *University of Chicago Law Review*, Volume 68, 2001, pp. 1235-1308.

Orakhelashvili Alexander, *The Legal Basis of the United Nations Peace-Keeping Operations*, *Virginia Journal of International Law*, Volume 43, Winter, 2003, pp.485-524.

Quigley John, *The Afghanistan War and Self-Defense*, *Valparaiso University Law Review*, Volume 37, 2002-2003, pp. 541-562.

Rostow Eugene, *Until What? Enforcement Action or Collective Self-Defense?*, *American Journal of International Law*, Volume 85, 1991, pp. 506- 516.

Ruth Gordon, *Humanitarian Intervention by the United Nations: Iraq, Somalia, and Haiti*, *Texas International Law Journal*, Volume 31, 1996, pp. 43-56.

Ruth Gordon, *United Nations Intervention in Internal Conflicts: Iraq, Somalia, and Beyond*, *Michigan Journal of International Law*, Volume 15, 1994, pp. 519-589.

Schachter O., *United Nations Law in the Gulf Conflict*, *American Journal of International Law*, Volume 85, 199, pp. 452–473.

Schacter O., The Right of States to Use Armed Force, Michigan Law Review, Volume 82, 1983-1984, pp. 1620-1646.

Schachter O., The Quasi-Judicial Role of the Security Council and the General Assembly, American Journal of International Law, Volume 58, 1964, pp.960-967.

Schachter O., Self-Defense and the Rule of Law, American Journal of International Law, Volume 83, 1989, pp. 259-277.

Scheffer David, Toward a Modern Doctrine of Humanitarian Intervention, University of Toledo Law Review, Volume 23, 1991-1992, pp. 253-293.

Schmitt Michael, Computer Network Attack and the Use of Force in International Law: Thoughts on a Normative Framework, Columbia Journal of Transnational Law, Volume 37, 1998-1999, pp.885-937.

Schmitt Michael, International Law and the Use of Force: The Jus Ad Bellum, Volume II, Quarterly Journal, September, 2003, pp. 89-97.

Schmitt Michael, Pre-emptive Strategies in International Law, Michigan Journal of International Law, Volume 24, 2002-2003, pp. 513-548.

Spaid Brian, Collective Security v. Constitutional Sovereignty: Can the President Commit U.S. Troops Under the Sanction of the United Nations Security Council Without Congressional Approval? University of Dayton Law Review, Volume 17, 1991-1992, pp. 1055-1088.

Stavropoulos Constantin, The Practice of Voluntary Abstentions by Permanent Members of the Security Council under Article 27, Paragraph 3, of the Charter of the United Nations, American Journal of International Law, Volume 61, 1967, pp. 737-752.

Stone Julius, Hopes and Loopholes in the 1974 Definition of Aggression, American Journal of International Law, Volume 71, 1977, pp. 224-246.

Stromseth Jane, Future Implication of the Iraq Conflict: Law and Force after Iraq: A Transitional Moment, American Journal of International Law, Volume 97, 2003, pp.628-642.

Tams Christian, The Use of Force Against Terrorists, European Journal of International Law, Volume 20, 2009, pp. 359-398.

Värk René, The Use of Force in the Modern World: Recent Developments and Legal Regulation of the Use of Force, Baltic Defense Review, Volume 10, November, 2003, pp. 27-44.

Ved Nanda, The Iraqi Invasion of Kuwait: The U.N. Response, Southern Illinois University Law Journal, Volume 15, 1990-1, pp. 431-453.

Walker George, The Crisis over Kuwait, August 1990 – February 1991, Duke Journal of Comparative and International Law, Volume I, 1991, pp. 25-56.

Walker George, Anticipatory Collective Self-Defence in the Charter Era: What the Treaties Have Said, Cornell International Law Journal, Volume 31, 1998, pp.321-376.

Wedgwood Ruth, Responding to Terrorism: The Strikes against Bin Laden, Yale Journal of International Law, Volume 24, 1999, pp. 559-576.

Wedgwood Ruth, NATO's Campaign in Yugoslavia, American Journal of International Law, Volume 93, 1999, pp. 828-834.

Wilmshurst Elizabeth, The Chatham House Principles of International Law on the Use of Force in Self-Defence, International and Comparative Law Quarterly, Volume 55, 2006, pp. 963-972.

Woolsey L. H., The “Uniting for Peace” Resolution of the United Nations, American Journal of International Law, Volume 45, 1951, pp. 129-145.

Zacklin R., Beyond Kosovo: The United Nations and Humanitarian Intervention, Virginia Journal of International Law Association, Volume 41, 2001, pp. 923-940.

Ziyad Motala and ButleRitchie David, Self-Defence in International Law, The United Nations and the Bosnia Conflict, University of Pittsburgh Law Review, Volume 57, 1995-1996, pp.1-34.

Yoxall Thomas, Iraq and Article 51: A Correct Use of Limited Authority, International Lawyer, Volume 25, 1991, pp. 967- 994.

Алексидзе Л., И Снова Агрессия, Интервенция и Оккупация Грузии с Целью Ликвидации Суверенитета и Территориальной Целостности Страны, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, №2, 2008, 185-194.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტები:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, თბ., გამომცემელი: “ბონა კაუზა”, 2008.

Declaration on the Inadmissibility of Intervention and Interference in the Internal Affairs of States, 91st plenary meeting, December 9, 1981, General Assembly, <http://www.un.org/documents/ga/res/36/a36r103.htm> (ნანახია: 10.09.2010).

General Assembly Resolution - “Uniting for Peace”, N377, November 3, 1950, <http://www.un.org/ga/about/background.shtml> (ნანახია: 25.02.2010).

General Assembly Resolution on the Definition of Aggression, №3314, December 14, 1974, <http://www.un.org/ga/about/background.shtml> (ნანახია: 25.05.2010).

Security Council Resolution on Israel-Tunisia, October 4, 1985, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/489/10/IMG/NR048910.pdf?OpenElement> (6868608: 10.10.2010).

Security Council Resolution N669, September 24, 1990, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/575/19/IMG/NR057519.pdf?OpenElement> (6868608: 25.05.2010).

Security Council Resolutions about Threats to International Peace and Security caused by terrorist acts (N1368, N1373, adopted on September 12 and September 28, 2001), <http://www.un.org/Docs/scres/2001/sc2001.htm> (6868608: 10.02.2010).

Security Council Resolution N386, March 17, 1976, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/294/74/IMG/NR029474.pdf?OpenElement> (6868608: 25.05.2010).

Security Council Resolution N748, March 31, 1992, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/011/07/IMG/NR001107.pdf?OpenElement> (6868608: 25.05.2010).

Security Council Resolution N665, August 25, 1990, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/575/15/IMG/NR057515.pdf?OpenElement> (6868608: 24.06.2010).

Security Council Resolution N1368, September 12, 2001, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N01/533/82/PDF/N0153382.pdf?OpenElement> (6868608: 20.07.2010).

Security Council Resolution N1373, September 28, 2001, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N01/533/82/PDF/N0153382.pdf?OpenElement> (6868608: 20.07.2010).

Security Council Resolution N1377, November 12, 2001, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N01/633/01/PDF/N0163301.pdf?OpenElement> (6868608: 24.07.2010).

Security Council Resolution N1438, October 14, 2002, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N02/638/47/PDF/N0263847.pdf?OpenElement> (6868608: 24.07.2010).

Security Council Resolution N1450, December 13, 2002, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N02/740/29/PDF/N0274029.pdf?OpenElement> (6868608: 24.07.2010).

Security Council Resolution N1465, February 13, 2003, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N03/247/96/PDF/N0324796.pdf?OpenElement> (6868608: 24.07.2010).

Security Council Resolution N1127, August 28, 1997, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N97/226/93/PDF/N9722693.pdf?OpenElement> (6868608: 24.05.2010).

Security Council Resolution N1540, April 28, 2004, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N04/328/43/PDF/N0432843.pdf?OpenElement> (6868608: 24.05.2010).

Security Council Resolution N1192, August 27, 1998, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N98/251/64/PDF/N9825164.pdf?OpenElement> (6868608: 21.03.2010).

Security Council Resolution N1506, September 12, 2003, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N03/498/81/PDF/N0349881.pdf?OpenElement> (6868608: 21.03.2010).

Security Council Resolution N1368, September 12, 2001, <http://www.un.org/Docs/scres/2001/sc2001.htm> (6868608: 21.03.2010).

Security Council Resolution N1373, September 28, 2001, <http://www.un.org/Docs/scres/2001/sc2001.htm> (6868608: 21.03.2010).

Security Council Resolution N1378, November 14, 2001, <http://www.un.org/Docs/scres/2001/sc2001.htm> (6868608: 25.08.2010).

Security Council Resolution N1386, December 20, 2001, <http://www.un.org/Docs/scres/2001/sc2001.htm> (6868608: 25.08.2010).

Security Council Resolution N1199, September 23, 1998, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N98/279/96/PDF/N9827996.pdf?OpenElement> (6868608: 05.05.2009).

Security Council Resolution N82, June 25, 1950, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/064/95/IMG/NR006495.pdf?OpenElement> (6868608: 27.07.2010).

Security Council Resolution N502, April 3, 1982, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/435/26/IMG/NR043526.pdf?OpenElement> (6868608: 27.07.2010).

Security Council Resolution N598, July 20, 1987, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/524/70/IMG/NR052470.pdf?OpenElement> (6868608: 27.07.2010).

Security Council Resolution N83, June 27, 1950, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/064/96/IMG/NR006496.pdf?OpenElement> (6868608: 27.07.2010).

Security Council Resolution N84, July 7, 1950, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/064/97/IMG/NR006497.pdf?OpenElement> (6868608: 27.07.2010).

Security Council Resolution N598, July 20, 1987, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/524/70/IMG/NR052470.pdf?OpenElement> (6868608: 27.07.2010).

Security Council Resolution N546, January 6, 1984, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/487/76/IMG/NR048776.pdf?OpenElement> (6868608: 27.07.2010).

Security Council Resolution N54, July 15, 1948, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/047/79/IMG/NR004779.pdf?OpenElement> (6868608: 2.08.2010).

Security Council Resolution N232, December 16, 1966, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/227/55/IMG/NR022755.pdf?OpenElement> (6868608: 2.08.2010).

Security Council Resolution N418, November 4, 1977, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/297/01/IMG/NR029701.pdf?OpenElement> (6868608: 2.08.2010).

Security Council Resolution N353, July 20, 1974, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/289/72/IMG/NR028972.pdf?OpenElement> (6868608: 2.08.2010).

Security Council Resolution N161, February 21, 1961, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/171/68/IMG/NR017168.pdf?OpenElement> (6868608: 2.08.2010).

Security Council Resolution N661, August 6, 1990, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/575/11/IMG/NR057511.pdf?OpenElement> (6868608: 2.08.2010).

Security Council Resolution N665, August 25, 1990, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/575/15/IMG/NR057515.pdf?OpenElement> (6868608: 2.08.2010).

Security Council Resolution N678, November 29, 1990, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/575/28/IMG/NR057528.pdf?OpenElement> (6868608: 2.08.2010).

Security Council Resolution N687, April 3, 1991, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/596/23/IMG/NR059623.pdf?OpenElement> (6868608: 10.08.2010).

Security Council Resolution N733, January 23, 1992, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/010/92/IMG/NR001092.pdf?OpenElement> (6σ6σ6σ: 10.08.2010).

Security Council Resolution N757, May 30, 1992, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/011/16/IMG/NR001116.pdf?OpenElement> (6σ6σ6σ: 10.08.2010).

Security Council Resolution N788, November 19, 1992, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N93/010/46/IMG/N9301046.pdf?OpenElement> (6σ6σ6σ: 10.08.2010).

Security Council Resolution N807, February 19, 1993, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N93/095/42/IMG/N9309542.pdf?OpenElement> (6σ6σ6σ: 10.08.2010).

Security Council Resolution N841, June 16, 1993, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N93/354/58/IMG/N9335458.pdf?OpenElement> (6σ6σ6σ: 10.08.2010).

Security Council Resolution N918, May 17, 1994, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N94/218/36/PDF/N9421836.pdf?OpenElement> (6σ6σ6σ: 10.08.2010).

Security Council Resolution N1101, March 28, 1997, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N97/084/37/PDF/N9708437.pdf?OpenElement> (6σ6σ6σ: 10.08.2010).

Security Council Resolution N1125, August 6, 1997, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N97/211/81/PDF/N9721181.pdf?OpenElement> (6σ6σ6σ: 10.08.2010).

Security Council Resolution N1127, August 28, 1997, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N97/226/93/PDF/N9722693.pdf?OpenElement> (6σ6σ6σ: 10.08.2010).

Security Council Resolution N1132, October 8, 1997, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N97/267/13/PDF/N9726713.pdf?OpenElement> (6σ6σ6σ: 10.08.2010).

Security Council Resolution N1199, September 23, 1998, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N98/279/96/PDF/N9827996.pdf?OpenElement> (6σ6σ6σ: 10.08.2010).

Security Council Resolution N1264, September 15, 1999, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N99/264/81/PDF/N9926481.pdf?OpenElement> (6σ6σ6σ: 15.08.2010).

Security Council Resolution N1267, October 15, 1999, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N99/300/44/PDF/N9930044.pdf?OpenElement> (6868608: 15.08.2010).

Security Council Resolution N1343, March 7, 2001, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N01/276/08/PDF/N0127608.pdf?OpenElement> (6868608: 15.08.2010).

Security Council Resolution N1363, July 30, 2001, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N01/473/97/PDF/N0147397.pdf?OpenElement> (6868608: 15.08.2010).

Security Council Resolution N1529, February 29, 2004, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N04/254/10/PDF/N0425410.pdf?OpenElement> (6868608: 15.08.2010).

Security Council Resolution N1556, July 30, 2004, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N04/446/02/PDF/N0444602.pdf?OpenElement> (6868608: 15.08.2010).

Security Council Resolution N713, September 25, 1991, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/596/49/IMG/NR059649.pdf?OpenElement> (6868608: 15.08.2010).

Security Council Resolution N733, January 23, 1992, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/010/92/IMG/NR001092.pdf?OpenElement> (6868608: 15.08.2010).

Security Council Resolution N748, March 31, 1992, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/011/07/IMG/NR001107.pdf?OpenElement> (6868608: 15.08.2010).

Security Council Resolution N757, May 30, 1992, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/011/16/IMG/NR001116.pdf?OpenElement> (6868608: 20.08.2010).

Security Council Resolution N781, October 9, 1992, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N92/491/64/IMG/N9249164.pdf?OpenElement> (6868608: 20.08.2010).

Security Council Resolution N788, November 19, 1992, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N93/010/46/IMG/N9301046.pdf?OpenElement> (6868608: 20.08.2010).

Security Council Resolution N841, June 16, 1993, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N93/354/58/IMG/N9335458.pdf?OpenElement> (6868608: 20.08.2010).

Security Council Resolution N918, May 17, 1994, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N94/218/36/PDF/N9421836.pdf?OpenElement> (6.8.2010).

Security Council Resolution N942, September 23, 1994, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N94/372/72/PDF/N9437272.pdf?OpenElement> (6.8.2010).

Security Council Resolution N1160, March 31, 1998, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N98/090/23/PDF/N9809023.pdf?OpenElement> (6.8.2010).

Security Council Resolution N1267, October 15, 1999, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N99/300/44/PDF/N9930044.pdf?OpenElement> (6.8.2010).

Security Council Resolution N794, December 3, 1992, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N92/772/11/PDF/N9277211.pdf?OpenElement> (6.8.2010).

Security Council Resolution N816, March 31, 1993, <http://www.un.org/Docs/scres/1993/scres93.htm> (6.8.2010).

Security Council Resolution N929, June 22, 1994, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N94/260/27/PDF/N9426027.pdf?OpenElement> (6.8.2010).

Security Council Resolution N940, July 31, 1994, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N94/312/22/PDF/N9431222.pdf?OpenElement> (6.8.2010).

Security Council Resolution N1386, December 20, 2001, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N01/708/55/PDF/N0170855.pdf?OpenElement> (6.8.2010).

Security Council Resolution N1510, 13 October, 2003, http://www.un.org/Docs/sc/unsc_resolutions03.html (6.8.2010).

Security Council Resolution N1483, May 22, 2003, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N03/368/53/PDF/N0336853.pdf?OpenElement> (6.8.2010).

Security Council Resolution N1511, October 16, 2003, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N03/563/91/PDF/N0356391.pdf?OpenElement> (6.8.2010).

Security Council Resolution N1546, June 8, 2004, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N04/381/16/PDF/N0438116.pdf?OpenElement> (6.8.2010).

Security Council Resolution N199, December 30, 1964, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/211/57/IMG/NR021157.pdf?OpenElement> (ნანახია: 23.07.2010).

Security Council Resolution N217, November 20, 1965, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/222/88/IMG/NR022288.pdf?OpenElement> (ნანახია: 23.07.2010).

Security Council Resolution N1973, March 17, 2011, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N11/268/39/PDF/N1126839.pdf?OpenElement> (ნანახია: 20.04.2011).

Security Council Resolution N1970, February 26, 2011, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N11/245/58/PDF/N1124558.pdf?OpenElement> (ნანახია: 20.04.2011).

Security Council Resolution N1781, October 15, 2007, Security Council Resolution N1752, April 13, 2007, www.un.org (ნანახია: 27.03.2010).

პერიოდიკა:

ბურკაძე ხათუნა, მე-5 მუხლი – კოლექტიური თავდაცვა, გაზეთ „24 საათის“ დამატება „ნატო საქართველოში“, 2008 წლის 6 ივნისი.

ნატო-ანტივირუსი: ინტერვიუ საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენა“-ს აღმასრულებელ დირექტორთან, რამაზ ქვათაძესთან, გაზეთ „24 საათის“ დამატება „ნატო საქართველოში“, 2009 წლის 1 ივლისი, №16.

Cassese Antonio, The Wolf That Ate Georgia, Guardian, September 1, 2008, <http://www.guardian.co.uk/commentisfree/2008/sep/01/georgia.russia1> (ნანახია: 20.05.2009).

Craig R. Whitney, Hands Off: The No Man's Land in the Fight for Human Rights, New York Times, December 12, 1999.

Markoff J., Before the Gunfire Cyber attacks, New York Times, August 12, 2008, www.nytimes.com/2008/08/13/technology/13cyber.html?_r=1&em (ნანახია: 20.05.2010).

Simon Houston, War is Over; Surrender: Milosevic Agrees to Pull Out of Kosovo, Scottish Daily Record, June 10, 1999.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს დოკუმენტები:

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება დროებითი ღონისძიებების დაკისრების შესახებ რასობრივი

დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის თაობაზე საერთაშორისო კონვენციის გამოყენების საქმესთან დაკავშირებით (საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ), 2008 წლის 15 ოქტომბერი, <http://www.justice.gov.ge/files/Documents/GG-ORDER.doc>.

Advisory Opinion on the Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons, International Court of Justice, 1996, <http://www.icj-cij.org/docket/files/95/7495.pdf> (ნანახია: 25.01.2010).

Advisory Opinion on Certain Expenses of the United Nations (Article 17, Paragraph 2, of the Charter), International Court of Justice, 1962, <http://www.icj-cij.org/docket/index.php> (ნანახია: 25.02.2010).

Case Concerning Application of the International Convention on the Elimination of All Forms of Racial Discrimination (Georgia v. Russian Federation), Judgement, April 1, 2011.

Case Concerning Armed Activities on the Territory of the Congo (Democratic Republic Congo v. Uganda), International Court of Justice, December 19, 2005, Separate opinion of Judge Simma.

Case Concerning Oil Platforms, 2003, International Legal Materials, Volume 42, 2003.

Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory, Advisory Opinion, International Court of Justice, July 9, 2004, Separate Opinion of Judge Kooijmans.

Military and Paramilitary Activities (Nicaragua . v. U.S.), International Court of Justice, Report 14, June 27, 1986.

ყოფილი იუგოსლავიისთვის შექმნილი სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი:

Prosecutor v. Tadic, Judgment, International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia, Case No. IT-94-1-AR72 (Jurisdiction), Appeals Chamber, 1995, International Legal Materials, Volume 35, 1996.

ინტერნეტრესურსები:

ინტერვიუ სტივენ ბიდლთან: რამდენად მნიშვნელოვანია კიბერუსაფრთხოება? ანა კალანდაძე, 2009 წლის 24 დეკემბერი, <http://www.voanews.com/georgian/news/a-54-2009-12-24-voa17-93135159.html>.

ლიტვის რესპუბლიკის სეიმის რეზოლუცია „საქართველოში შექმნილი ვითარების შესახებ“, 2010 წლის 1 ივნისი, http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=30&info_id=12150.

ტერორისტებმა შეიძლება ბომბები კიბერშეტევებით შეცვალონ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი, 2010 წლის 9 მარტი, <http://ictgov.wordpress.com/category/>.

Cassese Antonio, Terrorism is also Disrupting Some Crucial Legal Categories of International Law, 2001, European Journal of International Law Discussion Forum, http://www.ejil.org/forum_WTC/ny.cassese.html.

Coleman Kevin, Cyber threats worsen every second, stronger measures necessary to address more frequent and sophisticated attacks, April 22, 2010, <http://www.defensesystems.com/Articles/2010/04/26/Digital-Conflict-Cyber-Defense.aspx>.

Coleman Kevin, Cyber Weapons and E-Bombs, March 13, 2008, http://www.defensetech.org/archives/cat_cyberwarfare.html.

Coleman Kevin, The Cyber Arms Race Has Begun, January 28, 2008, <http://www2.csoonline.com/exclusives/column.html?CID=33496>.

Cyber Attacks Ranked 3rd Danger Behind Nuclear War, ARY One World, January 8, 2009, <http://www.thearynews.com/english/newsdetail.asp?nid=19868>.

Extraordinary European Council, Brussels, September 1, 2008, Presidency Conclusions, http://www.report.smr.gov.ge/GoG_WarRep_Ch9/GoG_WarRep_Ch9.Att221.pdf.

Giorgio Gaja, In What Sense Was There an Armed Attack?, 2001, European Journal of International Law Discussion Forum, http://www.ejil.org/forum_WTC/ny.gaja.html>.M.

Human Rights in Areas Affected by the South Ossetia Conflict, Thomas Hammarberg, Council of Europe Commissioner for Human Rights, Strasbourg, September 8, 2008, http://www.report.smr.gov.ge/GoG_WarRep_Ch9/GoG_WarRep_Ch9.Att222.doc.

Letter from the Chairman, Zahir Tanin, of the intergovernmental negotiations on the question of equitable representation and increase in the membership of the Security Council and other matters related to the Council, <http://www.reformtheun.org/index.php?module=uploads&func=download&fileId=4097>.

Lieutenant Colonel Paul Berg, Air Force Works to Defend Cyberspace, June 30, 2008, <http://www.afcyber.af.mil/news/commentaries/story.asp?id=123104768>.

Ministerial Declaration of the 23rd Annual Meeting of the Ministers for Foreign Affairs of the Group of 77, September 24, 1999, <http://www.g77.org/doc/Decl1999.html>.

Myers Steven Lee, Estonia Accuses Russia of Computer Attacks, New York Times, May 18, 2007, <http://www.nytimes.com/2007/05/18/world/europe/18cnd-russia.html?h>.

National Strategy to Secure Cyberspace, February, 2003, http://www.dhs.gov/xlibrary/assets/National_Cyberspace_Strategy.pdf.

NATO and Libya - Operation Unified Protector, 2011, http://www.nato.int/cps/en/natolive/topics_71652.htm?.

NATO Parliamentary Assembly, Resolution N382 on the Situation in Georgia, adopted by the Plenary Assembly on Tuesday 16 November 2010, Warsaw, Poland, http://www.parliament.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=63&info_id=29792.

Press Release, United Nations, Secretary-General Speaks of Security Council Reform in Lecture at Foreign Ministry of Mexico, March 4, 1996, <http://www.un.org/News/Press/docs/1996/19960304.sgsm5906.html>.

Ruiz Maricelle, Internet Law - Should We Go to War Over a Massive Cyber-Attack?, Internet Business Law Services, May 23, 2007, http://www.ibls.com/internet_law_news_portal_view.aspx?s=latestnews&id=1762.

Ryan Johnny, Growing Dangers: Emerging and Developing Security Threats, NATO Review, Winter, 2007, <http://www.nato.int/docu/review/2007/issue4/english/analysis2.html>.

Statement of the Secretary General to the General Assembly, March 21, 2005, <http://www.un.org/largerfreedom/sg-statement.html>.

“Uniting for Consensus”, Press Release, July 26, 2005, General Assembly, <http://www.un.org/News/Press/docs/2005/ga10371.doc.htm>.

United Nations, Security Council Reform: Plan A or Plan B, 2005, <http://stephenspillane.blogspot.com/2005/03/united-nations-security-council-reform.html>.

U.S. Department of State, Erasing History: Ethnic Cleansing in Kosovo, 2000, <http://www.state.gov/www/regions/eur/rpt9905ethinicksvo2.html>.

European Parliament Resolution of 17 November, 2011, <http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?type=TA&reference=P7-TA-2011-0514&format=XML&language=EN>.

საქართველოს მთავრობის ანგარიში:

საქართველოს მთავრობის ანგარიში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სრულმასშტაბიან აგრესიასთან დაკავშირებით, თბ., 2009.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება და მიმართვა:

საქართველოს პარლამენტის დადგენილება „რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ“, 2008 წლის 29 აგვისტო.

საქართველოს პარლამენტის მიმართვა საერთაშორისო თანამეგობრობისადმი, 2008 წლის 14 აგვისტო.